ISBN 9941945069

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25-ე წლისთავი

საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო

და

9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს რესპუბლიკის
დამოუკიდებლობის
აღდგენის 25-ე წლისთავი

საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო
და
9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

ეძღვნება
საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის
აღდგენის 25-ე წლისთავს

2016

Saint Andrew the First-Called Georgian University
of the Patriarchate of Georgia

Supreme Council of the Republic of Georgia and the Act of Reestablishment of Independence on April 9

Dedicated to the 25th Anniversary of Reestablishing
Independence of the Republic of Georgia

2016

1991 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა პირველი მრავალპარტიული, საყოველთაო და დემოკრატიული არჩევნები; არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭო - პირველი ეროვნული ხელისუფლება. უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა საყოველთაო რეფერენდუმი კითხვით: **„გსურთ თუ არა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?“** რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინებით **1991 წლის 9 აპრილს** აღდგა **საქართველოს დამოუკიდებლობა**. სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ხელისუფლება მალევე, 1992 წლის დასაწყისში, გარეშე ძალების ჩარევით დევნილ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქვეყანა მოიცვა ანარქიამ და ქაოსმა.

1991 წლის 9 აპრილიდან დღემდე საქართველოსთვის მძიმე 25 წელი გავიდა. სამწუხაროდ, დღემდე სათანადოდ არ არის შეფასებული და დაფასებული პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს საქმიანობა. გარკვეულწილად ამ ხარვეზის შევსებას ემსახურება საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის **ქართულ უნივერსიტეტში ყოველი წლის 9 აპრილს უზენაესი საბჭოს წევრთა მოწვევა და წინამდებარე სამეცნიერო კრებულის გამოცემა;** კერძოდ:

- ქართულ უნივერსიტეტში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის სრულუფლებიანი წარმომადგენლის, მეუფე იაკობის კურთხევითა და რექტორის, პროფესორ სერგო ვარდოსანიძის გადაწყვეტილებით უკვე მეხუთე წელია ყოველი წლის 9 აპრილს ქართული უნივერსიტეტი შეხვედრას უწყობს **საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერ დეპუტატებს**.

- ქართული უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრში (ხელმძღვანელი: პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე) გამოსაცემად მომზადდა სამეცნიერო კრებული: **„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“.**

რედაქტორი
სერგო ვარდოსანიძე
პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ISBN 978-9941-9450-6-9

On October 28 1991, the first multiparty, general and democratic election was held in Georgia and the Supreme Council the first convocation of the republic of Georgia was elected. This very Council represented the first national authority of the country. According to the resolution of the Supreme Council, independence of Georgia was reestablished on the 9th of April in 1991. Because of the reestablishment of independence, the national authorities were overthrown with the help of outer forces in 1992-93.

25 hard years have passed since April 9 1991. Unfortunately, activities of the Supreme Council of the first convocation have not been evaluated and appreciated so far. To somehow fill these gaps, the ceremony is held annually on April 9 at the Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia during which members of the Supreme Council are invited and the scientific collection is published. In particular:

- With the blessing of Bushob Iakob - plenipotentiary representative of his Holiness and Beatitude, Catholicos-Patriarch of All Georgia, the Archbishop of Mtskheta-Tbilisi and Metropolitan bishop ofBichvinta and Tskhum Abkhazia Ilia II and according to the decision of the rector prof. Sergo Vardosanidze, it has been the 5th event organized by the Georgian University to meet the deputies who signed the Act of Independence of Georgia.
- By the decision of the rector of the Georgian University, scientific collection 'Supreme Council of the Republic of Georgia and the Act of Reestablishment of Independence on April 9' was prepared for publishing at the Kartvelology Centre of the St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia (head of the centre: prof. Tariel Putkaradze).

Editor
Prof.dr. Sergo Vardosanidze
Doctor of History

სარჩევი

1. სერგო ვარდოსანიძე: თავისუფლებისათვის ბრძოლის ჯვალდაჯვალ 7

2. ჯონი ხეცურიანი: 9 აპრილიდან 9 აპრილამდე 15

3. „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის" სამუშაო ვერსიები /ზვიად გამსახურდიასა და ჯონი ხეცურიანის ჩასწორებები/ 27

4. მანანა ტაბიძე: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მისია – საქართველოს დამოუკიდებლობა..... 36

5. ტარიელ ფუტკარაძე: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორიენტირები თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში 45

6. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა ბიოგრაფიული მონაცემები /მოამზადა თეიმურაზ მურვანიძემ/ 60

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი

თავისუფლებისათვის ბრძოლის ჯვალდაჯვალ

1802 წლის 12 აპრილს თბილისში, სიონის საპატრიარქო ტაძარში შეკრებილ ქართველ თავად-აზნაურობას, სასულიერო წოდებას წაუკითხეს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთის იმპერიასთან შეერთების შესახებ. ჩაიშალა რუსი მოხელეების მცდელობა ამ აქტისათვის საზეიმო ელფერი მიეცათ, ტაძარში უკმაყოფილო შეძახილები გაისმა, ხალხის ნაწილმა მოახერხა გაერღვია საგანგებოდ მობილიზებული სამხედროების ალყა და სამშვიდობოს გაღწევა. ერთმორწმუნოების დოგმებზე ნალოლიავებმა დიპლომატიამ და ილუზიებმა სრული კრახი განიცადა. მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის ბედი ერთი ხელის მოსმით გადაწყდა...

ჩვენი დიდი წინაპრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ, მთელი XIX საუკუნე ქართველი ხალხი იბრძოდა სახელმწიფოებრივი და ეკლესიური თავისუფლებისათვის. ამის დასტური იყო 1802, 1804, 1812, 1819-20, 1832, 1841, 1856-57 წლების აჯანყებები...

XIX საუკუნის II ნახევარში დიდმა ილია ჭავჭავაძემ – წმიდა ილია მართალმა დაქსაქსული ქართველობა გააერთიანა „მამული, ენა, სარწმუნოების“ დროშის გარშემო და მიზნად დაუსახა მათ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“... ბრძოლა ღირსებისათვის, ეროვნული და ეკლესიური თავისუფლებისათვის გაითავისა ჩვენმა ხალხმა... სამწუხაროდ ისტორიას ხშირად უყვარს პარადოქსებიც, პოლიტიკური ძალა, რომელიც 1918 წელს დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში მოვიდა, ებრძოდა მისი დამოუკიდებლობის იდეოლოგს ილია ჭავჭავაძეს, მაგრამ ბედის ირონია იყო მათი პირველობა.

XX საუკუნის საქართველოს ისტორია სამმა ისტორიულმა მოვლენამ განსაზღვრა. 1917 წლის 12 (25) მარტს საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ ერთსაუკუნოვანი მონობის შემდეგ აღადგინა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია – „არღარ ვართ მონა, არამედ აზნაურ“ – ამ სიტყვებით დაიწყო მოღვაწეობა მისმა პირველმა საჭეთმპყრობელმა უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II-ემ.

1918 წლის 26 იანვარს, წმიდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი. 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა...

მძიმე სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში, ომსა და გაჭირვებაში განვლო დამოუკიდებლობის სამმა წელმა, მაგრამ მისი სიდიადე ჩვენმა ხალხმა მაშინ გაიგო, როდესაც იგი დაკარგა 1921 წლის 25 თებერვალს...

საოკუპაციო რეჟიმი მკვიდრდებოდა არნახული ტერორის, აგრესიული ათეიზმის პირობებში... ყოველ დღე სისხლის წვიმები იდგა საქართველოში, დაპატიმრება, გადასახლება, ქონების ჩამორთმევა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო და 30-იან წლებში საზოგადოებაში მყარად დამკვიდრდა ახალი რეჟიმის იდეოლოგიური დოგმები, ამ ვითარებაში საქართველოს სახელმწიფოებრივ თავისუფლებაზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო. პირველი გაუბედავი ნაბიჯი დიდი იმპერიის იდე-

ოლოგიის წინააღმდეგ პროტესტისა გამოჩნდა 1956 წლის 9 მარტის ცნობილი მოვლენების შემდეგ, როდესაც საბჭოთა პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის ბრძანებით თბილისში ასობით ახალგაზრდა დახვრიტეს, ქალაქის ქუჩებში უშიშროების თანამშრომლები წააწყდნენ თავზარდამცემ პროკლამაციებს, რომელიც ხალხს მოუწოდებდა გაეაზრებინათ მომხდარი და ეფიქრათ საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე. შემდეგ იყო არალეგალური თვითგამოცემები „ოქროს საწმისი“, „საქართველოს მოამბე“...

1978 წლის 14 აპრილს, როდესაც თბილისში რუსთაველის პროსპექტზე გამოვიდა 50 ათასამდე დემონსტრანტი და დაუპირისპირდა ვეებერთელა იმპერიის განზრახვას საქართველოს სსრ კონსტიტუციიდან ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის ამოღების სურვილს და მიაღწია კიდეც გამარჯვებას...

1989 წლის 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე კვლავ დაიღვარა სისხლი, საბჭოთა იმპერია ტანკებითა და სპეცდანიშნულების ჯარებით დაუპირისპირდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ მოთხოვნას. 9 აპრილმა აზროვნების წესი შეცვალა საქართველოში, ორთოდოქსი კომუნისტებიც კი აგიზგიზებულ კოცონებში ჰყრიდნენ პარტიის ბილეთებს... საქართველოში დამყარდა ორხელისუფლებიანობა, დე იურე – საქართველოს კომპარტიის და დე ფაქტო ეროვნულ-განმათავსუფლებელი მოძრაობის სახით. 1990 წლის აგვისტოში დე იურე ხელისუფლება იძულებული გახდა

დაენიშნა პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომელიც 28 ოქტომბერს გაიმართა, ამ არჩევნებში გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა. 1990 წლის 14 ნოემბერს შეიკრიბა ახალი მოწვევის პარლამენტი, რომელმაც პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩია ზვიად გამსახურდია. მან გამოაცხადა გარდამავალი პერიოდი, გააუქმა საბჭოთა სიმბოლიკა და შეუდგა საქართველო დამოუკიდებლობის ძნელ და რთულ გზას. 1991 წლის 31 მარტს საქართველოს ტერიტორიაზე (აფხაზეთსა და ცხინვალის მხარის ჩათვლით) ჩატარდა რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით, რასაც მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა.

1991 წლის 9 აპრილს ამ უზენაესმა საბჭომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა...

აღსრულდა ქართველი ხალხის მრავალი თაობის სანუკვარი ოცნება, მაგრამ ამ დღიდან დაიწყო საქართველოს გოლგოთაც. მომაკვდავი საბჭოთა იმპერიის სპეცსამსახურებმა აამოქმედეს საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იან წლებში ჩადებული ნელი მოქმედების ნაღმები. ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყანა რთული გამოწვევების წინაშე დადგა – საინფორმაციო ომი, ინსპირირებული კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში, ამას დაერთო პარლამენტს გარეთ დარჩენილი შიდა ოპოზიციური ძალების დაპირისპირება ეროვნულ ხელისუფლებასთან... საქართველო დიდი გეოპოლიტიკური გარიგების მსხვერპლი გახდა...

1991 წლის დეკემბერში თბილისში პარლამენტის შენობისკენ გასროლილმა ტყვიამ საქართველო ჩაითრია მრავალწლიან შიდა დაპირისპირებასა და ქაოსში... 1992 წლის 6 იანვარს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თბილისი დატოვა, შეიქმნა ე. წ. „სამხედრო საბჭო“... დევნილ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ უზენაესი საბჭოს წევრები – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერი დეპუტატები.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულმა უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ყოველი წლის 9 აპრილს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის

დღეს უმასპინძლოს ისტორიული უზენაესი საბჭოს დეპუტატებს და გამოხატოს მათდამი უდიდესი პატივისცემა. აქვე გთავაზობთ რამდენიმე სურათს, რომელიც ბოლო წლების 9 აპრილის შეხვედრებს ასახავს:

2015 წლის 14 ნოემბერს კიდევ ერთ საინტერესო შეხვედრას ჩაეყარა საფუძველი:

როგორც ცნობილია, 1991 წლის 14 ნოემბერს ჩატარდა პირველი მრავალპარტიული, საყოველთაო და დემოკრატიული არჩევნებით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სხდომა. სწორედ

პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილს. 2015 წლის 14 ნოემბერს შესრულდა 25 წელი უზენაესი საბჭოს პირველი სხდომიდან. ამ ფაქტთან დაკავშირებით ქართული უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის, პროფესორ სერგო ვარდოსანიძის გადაწყვეტილებით დაიგეგმა ქართული უნივერსიტეტის სტუდენტების შეხვედრა პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატებთან, ქართული უნივერსიტეტის პროფესორებთან: თეიმურაზ გვანცელაძესთან, როინ მეტრეველთან, მინდია უგრეხელიძესთან და ტარიელ ფუტკარაძესთან. შეხვედრა ძალიან ემოციური და ამავე დროს, საქმიანი გამოვიდა.

ისტორიას თავისი ულმობელი კანონები აქვს, როგორც არ უნდა ვცადოთ ამ კანონების წინააღმდეგ ბრძოლა, უძლურნი ვიქნებით, საქართველოს მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვებული უზენაესი საბჭოსა და მისი მეთაურის ბატონ ზვიად გამსახურდიას როლი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში განუზომელია და მისი დაკნინების ნებისმიერი მცდელობა განწირულია მარცხისათვის.

პირველი უზენაესი საბჭოს შესახებ წიგნის გამოცემა მათი საქმის დიდი პატივისცემის განხორციელებაა.

14 ნოემბერი, 2015 წელი

პროფესორი ჯონი ხეცურიანი
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

9 აპრილიდან 9 აპრილამდე

9 აპრილი გამორჩეული თარიღია საქართველოს უახლეს ისტორიაში. ამ თარიღით აღინიშნება, ერთი მხრივ, 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარი ტრაგედია, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ სისხლში ჩაახშო მთავრობის სახლის წინ მრავალათასიანი მშვიდობიანი მიტინგი, რომელზეც ქართველი ხალხი მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობას და, მეორე მხრივ, 1991 წლის 9 აპრილი, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ იმავე წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

ეს ორმაგი ბუნება 9 აპრილისა, კერძოდ, ეროვნული გლოვის დღე და ეროვნული დღესასწაულის დღე მის ოფიციალურ სახელწოდებაშიც აისახა. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლით 9 აპრილი გამოცხადებულია უქმე დღედ, როგორც „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე – საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე“.

ამ ორ ცხრა აპრილს შორის 2 წელი ძევს – 2 წელი, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებით იყო დატვირთული და რომელმაც მოამზადა, წინა პირობა შეუქმნა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებას. ამიტომ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით: რომ არა 1989 წლის 9 აპრილი, არ იქნებოდა 1991 წლის 9 აპრილი. შეიძლება ასეთი შეფასება ვინმეს მართლაც გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მით უმეტეს, რომ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებმა სხვა გზით მიაღწიეს ასეთ შედეგს, მაგრამ 1989 წლის 9 აპრილამდე და მის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში განვითარებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ანალიზი, რომლზეც

ქვემოთ გვექნება საუბარი, ვფიქრობ, ასეთი დასკვნისათვის საფუძველს იძლევა.

ერთი რამ კი შეიძლება ახლავე აღვნიშნოთ: ყოფილ საბჭოეთში საქართველო აღმოჩნდა ის ქვეყანა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მიიღო დარტყმა საბჭოთა იმპერიული მანქანისაგან, მსხვერპლი გაიღო ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნისათვის და ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა დამოუკიდებლობა, რითაც საბჭოთა კავშირის, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტისა და გეოპოლიტიკური რეალობის რღვევის პროცესი დაჩქარდა.

1985 წლიდან საბჭოთა კავშირში ახალი სტრატეგიული კურსის (ე. წ. პერესტროიკის) განხორციელებას შეუდგნენ, რომელიც მათი ავტორების აზრით, გულისხმობდა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს საფუძვლიან რეფორმირებას. ამასთან, აქტუალური გახდა სამართლებრივი სახელმწიფოს, ადამიანის უფლებათა დაცვის, საჯაროობისა და საერთოდ საზოგადოების დემოკრატიზაციის იდეები.

ამ პოლიტიკურ ფონზე საქართველოში მკვეთრად გააქტიურდა საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო ძირითადად ეროვნული ინტერესების დასაცავად (მხედველობაში მაქვს დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დაცვისათვის მოძრაობა, ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალის ეკოლოგიური უზრუნველყოფის პრობლემები, მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის შემზღუდავი ნორმების საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში დადგენისადმი საპროტესტო აქცია, საბჭოთა არმიაში ქართველ ჯარისკაცთა დისკრიმინაციის საკითხი და სხვ.). წარმოიშვნენ ე. წ. არაფორმალური გაერთიანებები, რომლებიც დღევანდელი პოლიტიკური პარტიების ჩანასახს წარმოადგენდნენ. ისინი ხელს უწყობდნენ საზოგადოებაში პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებას და უშუალო დემოკრატიის ისეთი ინსტიტუტების მეოხებით, როგორებიცაა მიტინგები და მანიფესტაციები, ცდილობდნენ ზემოქმედების მოხდენას პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებზე. თანდათანობით წინა პლანზე წამოიწია ეროვნული დამოუკიდებლობის, 1921 წელს გარეშე ძალის, საბჭოთა არმიის აგრესიის შედეგად დაკარგული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეამ. აშკარა იყო, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში იწყებოდა ახალი და მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი.

საქართველოს იმჟამინდელმა ხელისუფლებამ, რომელიც ვერ გაერკვა საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და ძველი იდეოლოგიური სტერეოტიპებით აზროვნებდა, თავიდანვე მკვეთრად უარყოფითი, მტრული დამოკიდებულება გამოავლინა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის მიმართ, რომელიც არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერების აქტიურობის წყალობით სულ უფრო პოპულარული ხდებოდა. სულ მალე ხელისუფლებისა და ხალხის პოზიციების სრული პოლარიზაცია მოხდა. ასეთ

პირობებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის განმუხტვისა და ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, ხელისუფლებამ საბჭოთა წყობილებისათვის ნაცად, ტრადიციულ მეთოდს – შიშველ ძალას მიმართა. ეს, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატა მიტინგებისა და მანიფესტაციების აკრძალვასა და დარბევაში. უფრო მეტიც, 1988 წლის ნოემბერში საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს თბილისში კომენდანტის საათის შემოღების აუცილებლობის შესახებ. ესეც საბჭოური ტრადიციის მიხედვით მოხდა, თუმცა მაშინ გარეშე ძალის გამოყენება აღარ გახდა საჭირო. სამაგიეროდ, 1989 წლის გაზაფხულზე მოვლენები უსწრაფესად განვითარდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნის საპირისპიროდ ცენტრი შეეცადა, საქართველოზე ზემოქმედება მოეხდინა ავტონომიების საკითხის წინ წამოწევით.

18 მარტს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში აფხაზეთის სახალხო ფრონტის ინიციატივით გაიმართა აფხაზი მოსახლეობის მიტინგი. მათი მოთხოვნა იყო ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შეცვლა, საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გასვლა.

25 მარტს ქართველი მოსახლეობის საპასუხო მიტინგი გაიმართა სოხუმში, რომელშიც მონაწილეობდნენ არაფორმალური გაერთიანებების ლიდერები. იმავე დღესვე ნებადართული მიტინგი მოეწყო თბილისში, გამარჯვების პარკში. მას მოჰყვა რუსთაველის პროსპექტზე მსვლელობა და მთავრობის სახლთან მანიფესტაცია.

4 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები ატარებენ მიტინგს ე. წ. „აფხაზეთის საკითხზე“. საღამოს მომიტინგეებმა მთავრობის სახლთან გადაინაცვლეს.

მიტინგის მონაწილეებმა დღის წესრიგიდან მოხსნეს ე. წ. „აფხაზეთის საკითხი“, რადგანაც დარწმუნდნენ, რომ იგი ინსპირირებული იყო და წამოაყენეს მოთხოვნა საქართველოს 1921 წელს დაკარგული (უფრო სწორად წართმეული) დამოუკიდებლობის აღდგენის და კონსტიტუციის 69-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ. ამ კონსტიტუციური მოთხოვნის გამოსახატავად მათ მიმართეს მშვიდობიან ფორმას – შიმშილობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიტინგს არ ჰქონდა ულტიმატუმის ხასიათი, არ იყო მოწოდება ხელისუფლების ძალად დამხობის ან შეიარაღებული ამბოხისაკენ და მიზნად არ ისახავდა კონკრეტული პოლიტიკური შედეგის დაუყოვნებლივ მიღწევას. უფრო მეტიც, საჯაროდ გამოცხადდა, რომ მიტინგი ყველა შემთხვევაში 14 აპრილს დაიშლებოდა. მიტინგმა ფართო ხასიათი მიიღო და პერმანენტულად დღედაღამ მიმდინარეობდა. მასში მონაწილეობდნენ სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის, საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები. მომიტინგეებს სოლიდარობას უცხადებდნენ

საქართველოს რაიონები და ქალაქები, საწარმო-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები.

მიუხედავად იმისა, რომ მომიტინგეები აყენებდნენ კონსტიტუციით გათვალისწინებულ მოთხოვნას, საბჭოთა იდეოლოგიისა და სინამდვილ-ისათვის იგი არათუ მიუღებელი, არამედ დანაშაულებრივი იყო. მართალია, იმდროინდელი კონსტიტუციური წყობილებით საბჭოთა კავშირი მოკავშირე რესპუბლიკების ნებაყოფლობით კავშირად იყო აღიარებული, საიდანაც რესპუბლიკას ჰქონდა თავისუფალი (უპირობო) გასვლის უფლება, მაგრამ საბჭოთა იდეოლოგია უმძიმეს სახელმწიფო დანაშაულად მიიჩნევდა თვით აზრის გამოთქმასაც კი საბჭოთა კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის კონსტიტუციური უფლების განხორციელების შესახებ. სწორედ ამიტომ და იმ მიზნითაც, რომ სამაგალითოდ დაესაჯათ ერი, რომელიც გაუქმებული სახელმწიფოებრიობის აღდგენას მოითხოვდა, 1989 წლის 9 აპრილს, ღამის 4 საათზე სამხედრო ძალის გამოყენებით დაარბიეს მთავ-რობის სახლის წინ მიმდინარე მრავალათასიანი მშვიდობიანი მიტინგი. მიტ-ინგის დარბევის შედეგად დაიღუპა 19 ადამიანი, რომელთაგან 16 ქალი იყო (მათ შორის 2 არასრულწლოვანი და ერთი ფეხმძიმე). 200-ზე მეტმა მიიღო სხვადასხვა ხარისხის დაზიანება. მომწამვლელი გაზების გამოყენების შედე-გად სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს მიმართა 4 ათასზე მეტმა პიროვნებამ, მათგან 500 სტაციონარულ, ხოლო 3828 ამბულატო-რიულ მკურნალობაზე აიყვანეს.

მეორე დღესვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტ-მა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და მინისტრთა საბჭომ გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც იუწყებოდნენ, რომ 9 აპრილს, გამთენიისას, მთავ-რობის სახლის წინ მოხდა ტრაგედია. ანტისახელმწიფოებრივი მიტინგის აღკვეთას შედეგად მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი. არიან დაზარალებულე-ბიც. ამ უბედურებისათვის პასუხისმგებლობა, ნათქვამია განცხადებაში, პირველ რიგში, ეკისრებათ რადიკალურად განწყობილ არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებს, რომლებმაც დაუშვებელი, თავაშვებული, ანტი-სახელმწიფოებრივი მოქმედებით დაძაბეს საზოგადოებრივი ატმოსფერო, შექმნეს აშკარა პოლიტიკური ისტერიის ვითარება და მიიყვანეს ჩვენი საზოგადოება, ხალხი, რესპუბლიკა კატასტროფამდე. ამასთანავე აღნიშ-ნული იყო, რომ ამ ტრაგედიის ყველა გარემოების გამოსარკვევად შეიქმნა სამთავრობო კომისია მთავრობის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 9 აპრილის ბრძანებულებით, თბილისში შემოიღეს კომენდანტის საათი, რომ-ლის ამოქმედება 10 აპრილის 23 საათიდან საქართველოს მოსახლეობას ამცნო თბილისის კომენდანტად დანიშნულმა გენერალმა როდიონოვმა 4 წუ-თით ადრე სატელევიზიო გამოსვლისას.

აშკარა იყო, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა მომხდარ-

ზე პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დისკრედიტაციას და საბჭოთა არმიაზე დაყრდნობით, არსებული სახელმწიფოებრივი წესწყობილებისა და რეჟიმის შენარჩუნებას. ეს კი, უწინარეს ყოვლისა, საკავშირო სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარეობდა და მას აძლევდა ხელს.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ შეცვლილი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, საჭირო იყო, ერთი მხრივ, 9 აპრილის ტრაგედიის ყველა გარემოების დეტალური გამოძიება, რომლის შედეგები თვალსაჩინოს გახდიდა, რომ საბჭოთა კავშირში გამოცხადებული გარდაქმნის, რეფორმების, საჯაროობის, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის, დემოკრატიზაციის, ხალხთა სუვერენული უფლებების დაცვის ყბადაღებული პოლიტიკა ფიქციაა, რომ ძველი საბჭოური რეჟიმი არსებითად არ შეცვლილა, მისთვის დამახასიათებელი ძალმომრეობის სახელმწიფო მექანიზმი სრულ მწყობრშია და ნებისმიერ კრიტიკულ სიტუაციაში მზადაა, ძალის გამოყენებით ჩაახშოს ცალკეული ერების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. ამას კი ხელისუფლების მიერ შექმნილი სამთავრობო კომისია ვერ ან, უფრო სწორად, არ გააკეთებდა. მეორე მხრივ, საჭირო იყო მორალურ-პოლიტიკური უპირატესობის ფონზე მშვიდობიანი, სამართლებრივი გზით ეროვნული ძალების ხელისუფლების ორგანოებში არჩევა, მარიონეტული ხელისუფლების შეცვლა. მანამდე კი – საზოგადოებრივი აზრის გამოყენებით, ხელისუფლებაზე ზემოქმედება ეროვნული ინტერესების დასაცავად.

ტრაგედიიდან მეორე დღესვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის 38 თანამშრომელი (მათ შორის გახლდით მეც) პრესაში გამოვიდა განცხადებით, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 9 აპრილს მომხდარი ტრაგედია შეიცავს უდანაშაულო ადამიანების ორგანიზებული, მასობრივი განადგურების ნიშნებს, რომელიც ჩადენილია განსაკუთრებული სისასტიკით და ხელისუფლების განკარგულებით. ამდენად, სამთავრობო კომისია ობიექტური ვერ იქნებოდა ტრაგედიის გარემოებათა გამოძიებასა და ჭეშმარიტების დადგენაში, რადგანაც არავინ არ შეიძლება იყოს საკუთარი მოქმედებების პირუთვნელი მსაჯული. საქართველოს კონსტიტუციის 119-ე მუხლზე დაყრდნობით, სწავლულ იურისტთა ეს ჯგუფი მოითხოვდა საქართველოს უზენაესი საბჭოს საგამოძიებო კომისიის შექმნას და გამოთქვამდა მზადყოფნას, მონაწილეობა მიეღო მის საქმიანობაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გაფართოებულ სხდომაზე მიიღეს მიმართვა 9 აპრილის ტრაგედიის გარემოებათა დასადგენად საქართველოს კონსტიტუციის 119-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო კომისიის შექმნის აუცილებლობის შესახებ. 1989 წლის 17 აპრილს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ასეთი კომისია მართლაც შეიქმნა დეპუტატებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენ-

ლებისაგან. კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორი პროფესორი თამაზ შავგულიძე. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ სამეცნიერო ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის ხელმძღვანელობით, ყველა პირობა შეუქმნა კომისიას ნაყოფიერი მუშაობისათვის.

რა დაადგინა და რა შეფასებები გააკეთა კომისიამ? როგორი იყო მისი საქმიანობის მთავარი შედეგი?

- კომისიამ მოკვლეული მასალების საფუძველზე დაადგინა, რომ, რადგანაც მთავრობის სახლის წინ მიმდინარე მიტინგი ატარებდა მშვიდობიან ხასიათს და მიზნად არ ისახავდა ხელისუფლების ძალად დამხობას, არ იყო დაკავშირებული ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ქმედებებთან, ამდენად, არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი საბჭოთა არმიის მონაწილეობით მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მისაღებად;
- გადაწყვეტილება საბჭოთა არმიის მონაწილეობით მიტინგის აღკვეთის შესახებ მიღებულია საქართველოს პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მიერ, აგრეთვე საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროსა და პოლიტბიუროს დასტურით;
- გადაწყვეტილება მიღებულია კონსტიტუციის ნორმების მოთხოვნათა უხეში დარღვევით, რადგანაც საბჭოთა არმიის ნაწილები ისე გამოიყენეს მიტინგის აღსაკვეთად, რომ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არ გამოუცხადებია ქ. თბილისში საომარი ან საგანგებო მდგომარეობა. უკანონო გადაწყვეტილების მიღების გამო, რომელმაც გამოიწვია ადამიანთა მსხვერპლი, უნდა დადგეს გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობის პირთა პოლიტიკური და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა;
- უკანონოა საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 8 აპრილის განკარგულება საბჭოთა არმიის მონაწილეობით მიტინგის აღკვეთის შესახებ, რადგანაც საქართველოს მთავრობას საბჭოთა არმიის მიმართ ასეთი დავალების დაკისრების უფლებამოსილება არ ჰქონდა;
- უკანონოა არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც მიიღეს პარტიული აქტივის კრებაზე, რადგანაც პარტიული ორგანოები ასეთი უფლებამოსილებებით აღჭურვილი არ არიან;
- მიტინგის აღკვეთა განხორციელდა დანაშაულებრივი მეთოდებით. უიარაღო მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ გამოიყენეს მესანგრის ორლესული ნიჩბები, ცეცხლსასროლი იარაღი, ქალებისა და არას-

რულწლოვანთა მიმართ გამოიყენეს რეზინის ხელკეტები, რაც მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული იყო. მომიტინგეების მიმართ გამოყენებული იყო მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებები (სი-ესი), რომლებიც შინაგანი ჯარების შეიარაღებაში არ უნდა ჰქონოდათ, რადგანაც არ წარმოადგენდნენ მათ სატაბელო საშუალებებს;

- მიტინგის აღკვეთის შესახებ უკანონო გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს ისეთი საშუალებებითა და ისეთი ფორმით, რომ იგი იყო არა მიტინგის დასაშლელად გამიზნული, არამედ წარმოადგენდა სამხედრო სადამსჯელო ოპერაციას. ამდენად, სახეზეა კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ნიშნები, რისთვისაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მიტინგის აღკვეთის ოპერაციის ხელმძღვანელებსა და შემსრულებლებს;
- მიტინგის აღკვეთის შემდეგ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული ბრძანებულება თბილისში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ, ანტიკონსტიტუციური აქტია, რადგანაც ამ ორგანოს არც საქართველოს და არც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციებით ასეთი უფლება არ ჰქონდა. ამდენად, მან გადააჭარბა უფლებამოსილებას, რისთვისაც უნდა დაეკისროს იურიდიული პასუხისმგებლობა;
- საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრს არ ჰქონდა თბილისის კომენდანტის დანიშვნის უფლება, ხოლო ამ უკანასკნელს – განეხორციელებინა საგანგებო ზომები, რადგანაც თბილისში არ იყო საომარი ან საგანგებო მდგომარეობა გამოცხადებული;
- თბილისის სამხედრო კომენდანტმა არ მიიღო ზომები მოსახლეობის დროული ინფორმირებისათვის დედაქალაქში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ, რასაც კომენდანტის საათის შემოღებისთანავე მოჰყვა მძიმე შედეგები (სამხედრო პირთა მიერ არაინფორმირებული მოქალაქეების მკვლელობისა და დაჭრის ფაქტები), რისთვისაც უნდა დადგეს ამ თანამდებობის პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

6 თვის ინტენსიური მუშაობის შემდეგ კომისიამ მის წინაშე დასახული ამოცანა შეასრულა და თავისი დასკვნა (ქართულ და რუსულ ენებზე) გამოაქვეყნა პრესაში. საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1989 წლის 18 ნოემბერს მოიწონა კომისიის დასკვნა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური კომისია შეიქმნა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატების პირველი ყრილობის გადაწყვეტილებით, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი იურისტი, დეპუტატი ანატოლი სობჩაკი. კომისიის შემადგენლობაში შეიყვანეს ბატონი ელდარ შენგელაია,

რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რესპუბლიკური და საკავშირო კომისიების შეთანხმებული მოქმედების უზრუნველყოფაში. ჩვენი და საკავშირო კომისიების ძირითადი დასკვნები 9 აპრილის ტრაგედიის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და შეფასებების თვალსაზრისით თითქმის იდენტური აღმოჩნდა. კომისიისა და ჩვენი დეპუტაციის ძალისხმევით საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატების მეორე ყრილობამ 1989 წლის 24 დეკემბერს მოიწონა ამ კომისიის დასკვნა და, რაც მთავარია, დაგმო ძალის გამოყენება მიტინგის მონაწილეთა მიმართ.

უმთავრესი დასკვნა კი, რომელიც ზემოთ აღნიშნული კომისიების მუშაობის შედეგად შეიძლება გამოვიტანოთ და რომელსაც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, იმის გაცნობიერებაში მდგომარეობდა, რომ უკვე აღარ არის ის დრო, როდესაც შეიძლებოდა საკუთარი ხალხის მიმართ შიშველი ძალისა და რეპრესიების გამოყენების მიჩქმალვა (როგორც ეს ხდებოდა 1924, 1937 და 1956 წლებში) და ამავე მეთოდებით – დასჯით, ეგზეკუციით ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე ხელის აღება. დადგა ის დრო, როდესაც არაფერი არ დარჩება დამალული, გამოუძიებელი, გამოუკვლეველი და ყოველი დანაშაული, რომელიც მიმართულია კაცობრიობის წინააღმდეგ, ხალხის, მსოფლიო საზოგადოებრიობის სამსჯავროზე იქნება გამოტანილი.

სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ 9 აპრილის ტრაგედიამ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კი არ ჩაკლა და ჩააქრო, პირიქით, ახალი პოლიტიკური და ზნეობრივი მუხტი შესძინა მას. ამის დასტურია, თუნდაც მოვლენების შემდგომი განვითარება.

პოლიტიკურ ძალთა მოთხოვნით, საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1989 წლის 20 ივნისს შექმნა კომისია, რომელსაც პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცა საქართველოსა და რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევისათვის. ამით ხელისუფლების იმჟამინდელი ორგანო იძულებული იქნებოდა, დაედასტურებინა ფაქტი, რომ საქართველოს 1918-1921 წლების დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გარეშე ძალის ჩარევით შეწყვიტა არსებობა და საქართველო იძულებით იქნა ინკორპორირებული საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. ვფიქრობ, დამატებით განმარტებას არ საჭიროებს, თუ რა პოლიტიკურ, სამართლებრივ და საერთაშორისო სამართლებრივ შედეგებს ისახავდა მიზნად ამგვარი აღიარება არსებული ხელისუფლების მხრიდან, რომელიც 1921 წელს რუსეთის არმიის აგრესიის წყალობით მოსული ხელისუფლების უშუალო სამართალმემკვიდრე იყო.

კომისიის დასკვნით, „1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენდა სამხედრო ჩარევას (ინტერვენციას) და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო

პოლიტიკური თვალსაზრისით – ფაქტობრივ ანექსიას“. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიამ 1989 წლის 18 ნოემბერს მოიწონა კომისიის დასკვნა და გადაწყვიტა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების მე-2 ყრილობის წინაშე დაესვა ეს საკითხი.

იმავე სესიაზე ცვლილებები განიცადა საქართველოს კონსტიტუციამ. ახალი კონსტიტუციური ნორმებით განისაზღვრა, რომ საბჭოთა კავშირიდან საქართველოს თავისუფალი გასვლის უფლება წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელია. ამ უფლების გაუქმების მომენტიდან საქართველო გასულად ითვლება საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. ახლებურად განისაზღვრა საკავშირო კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოქმედების წესი საქართველოს ტერიტორიაზე. დადგინდა, რომ ეს საკანონმდებლო აქტები საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ ისინი შეესაბამება რესპუბლიკის ინტერესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი საბჭო აჩერებს მათ მოქმედებას რესპუბლიკაში.

ამავე პერიოდში შეინიშნება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში კონსოლიდაციისა და ერთიანობის ტენდენციები: 1990 წლის 13-15 მარტს თბილისში გაიმართა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოში არსებულმა ყველა ეროვნულ-პოლიტიკურმა პარტიამ თუ ორგანიზაციამ, საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა და რეგიონების წარმომადგენლებმა. კონფერენციამ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად: **1.** საქართველოს უნდა განესაზღვროს ოკუპირებული და ანექსირებული ქვეყნის სტატუსი. **2.** საქართველოს ამჟამინდელი სტატუსი მიჩნეულ იქნეს ფიქციად და აგრესიის შედეგების დაფარვისათვის გამიზნულად. **3.** საქართველოში „დე ფაქტოდ“ არსებული საბჭოთა ხელისუფლება და სახელმწიფო წყობილება მიჩნეულ იქნეს დანაშაულებრივად. **4.** 1990 წლის 25 მარტის საქართველოს უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებს გამოეცხადოს ბოიკოტი. **5.** დემოკრატიულ საფუძვლებზე აირჩეს გარდამავალი ხელისუფლება, რომელიც რეალურად დასვამს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს. **6.** პარიტეტულ საწყისებზე შეიქმნას ეროვნული ფორუმი, რომელიც იქნება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი და უზრუნველყოფს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას.

ამ პერიოდისათვის ხელისუფლებაზე ეროვნული ძალების გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ უზენაესმა საბჭომ ზემოთ აღნიშნული კონფერენციის ჩატარებიდან 5 დღეში მიიღო გადაწყვეტილება 1990 წლის 25 მარტს დანიშნული უზენაესი საბჭოს არჩევნების იმავე წლის შემოდგომაზე გადატანის შესახებ, თანაც იმ მოტივით, რომ არჩევნები უნდა გამართულიყო მრავალპარტიულობის საფუძველზე. ამავე დროს კომუნისტებით თითქმის სრულად დაკომპლექტებულმა უზენაესი საბჭოს სესიამ მიიღო „საქართველოს

სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“ უპრეცედენტო დადგენილება, რომელშიც აღიარა 1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ გამოცხადებული აგრესია, ოკუპაცია და ანექსია. დაგმო ეს ფაქტი, როგორც საერთაშორისო დანაშაული და დაადასტურა, რომ საქართველო ესწრაფვის საქართველოსთვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის შედეგების გაუქმებას და საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულებით აღიარებული საქართველოს უფლებების აღდგენას. ამავე დოკუმენტით უკანონოდ და ბათილად იქნა ცნობილი სსრ კავშირის შექმნის შესახებ სამოკავშირეო ხელშეკრულება და მოთხოვნილ იქნა მოლაპარაკების დაწყება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის თაობაზე.

იმავე სესიაზე ცვლილებები შეიტანეს საქართველოს კონსტიტუციაში. ლეგალურად იქნა შემოღებული მრავალპარტიულობა.

1990 წლის ზაფხულში საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, რომლითაც საკანონმდებლო ორგანო უნდა არჩეულიყო შერეული წესით, მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ 1990 წლის მიწურულს ქართველი ხალხი, საზოგადოებრივი ცნობიერება მზად იყო ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის განხორციელებისათვის. ეს გამოიხატა კიდევაც საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგებში. საქართველოს მოსახლეობამ მხარი დაუჭირა იმ პოლიტიკურ ძალებს, რომელთა საპროგრამო ამოცანა იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. „მრგვალმა მაგიდამ – თავისუფალმა საქართველომ“ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით არჩევნებში აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო ეროვნული ფორუმის პოლიტიკურ პარტიათა გარკვეულმა ჯგუფმა, რითაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მნიშვნელოვანი ბზარი გაჩნდა და მომავალი პოლიტიკური დაპირისპირებისა და კონფრონტაციის წინა პირობა გახდა.

ახლად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ განახორციელა აუცილებელი ცვლილებები საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციაში, რომელსაც უნდა ემოქმედა ახალი კონსტიტუციის მიღებამდე. არსებული კონსტიტუცია მიიჩნიეს დროებით ძირითად კანონად. გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი. გატარდა სასამართლო რეფორმის პირველი ეტაპი. საქართველოს სასამართლოები გამოყვანილ იქნენ საბჭოთა კავშირის მართლმსაჯულების სისტემიდან. ჩატარდა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები, მიღებულ იქნა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის, რეფერენდუმის, ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ კანონები, საფუძველი ჩაეყარა ეროვნული საჯარისო ფორმირებების შექმნას და სხვ.

ისმის კითხვა: უზენაესმა საბჭომ, რომელშიც აბსოლუტურ უმრავ-ლესობას ეროვნული მოძრაობიდან მოსული დეპუტატები შეადგენდნენ, რატომ დაუყოვნებლივ არ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრი-ვი დამოუკიდებლობის აღდგენა? საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში საბჭოთა კავშირში უკვე კარგა ხნის დაწყებული იყო საკავშირო მასშტაბით რეფ-ერენდუმისათვის მზადება საბჭოთა კავშირის როგორც განახლებული ფედერაციის შენარჩუნების საკითხზე. ამასთანავე, მთლიანად საბჭოთა კავშირში რეფერენდუმის შედეგები უნდა განსაზღვრულიყო თითოეულ რესპუბლიკაში კენჭისყრის შედეგების გათვალისწინებით. როგორც ცნობილია, რეფერენდუმის გზით მიღებულ სახალხო გადაწყვეტილებას უფრო მეტი იურიდიული ძალა აქვს, ვიდრე საკანონმდებლო ორგანოს აქტს (დეკლარაციას, რეზოლუციას). საყურადღებოა, რომ საბჭოთა სახ-ელმწიფოს ისტორიაში რეფერენდუმი პირველად ტარდებოდა. რეფერ-ენდუმის გამართვის თარიღად 1991 წლის 17 მარტი განისაზღვრა. ნი-შანდობლივია, რომ საბჭოთა სახელმწიფომ მაშინ გადაწყვიტა უშუალო დემოკრატიის ამ ინსტიტუტის გამოყენება, როდესაც საბჭოთა იმპერიის რღვევა უკვე დაწყებული იყო და ხალხის ნების აპელირებით ცდილობდა ამ პროცესის შეჩერებას.

ასეთ პირობებში პოლიტიკურად და სამართლებრივად გამართლებული იყო, რეფერენდუმს რეფერენდუმითვე დავპირისპირებოდით. კერძოდ, საქა-რთველოს დამოუკიდებლობის საკითხი თვით საქართველოს მოსახლეობას გადაეწყვიტა და არა მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს, რომელიც ლეგი-ტიმურობის მაღალი ხარისხის მიუხედავად, მაინც მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ნდობით იყო აღჭურვილი.

საქართველომ საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიიღო და იმავე წლის 31 მარტს დანიშნა რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოე-ბრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე.

1991 წლის 31 მარტს გამართული რეფერენდუმით საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. რეფერენდუმის შედეგი გახდა დამატებითი სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძველი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებისა, რითაც მთელ მსოფლიოს ეცნობა ქართველი ერისა და მთლიანად საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანი ნება. ამრიგად, რეფერენდუმით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს მყარი სამართ-ლებრივი გარანტია შეექმნა.

ასეთია საქართველოს უახლეს ისტორიაში ამ ორ თარიღთან დაკავ-შირებული მოვლენები. რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ აქედან?

პირველი. ქართველმა ერმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა არა საბჭოთა იმპერიის დაშლის, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად. იმპერიის დაშლის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი სწორედ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო. იმპერია აგებული იყო ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაუქმებაზე, ძალადობასა და უსამართლობაზე. ამიტომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ისტორიული სამართლიანობის აღდგენას ნიშნავს, გასაკუთრებით იმ ერისათვის, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციები აქვს.

მეორე. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ეფუძნება ქართველი ერის ნებას, რომელიც იურიდიულად 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებითა და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით დადასტურდა.

ამიტომ, ხელისუფლებაში სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის ძალების მონაცვლეობისას, იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობას ეხება, სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს კომპეტენციას სცილდება და მხოლოდ ქართველი ერის ნებაზეა დამოკიდებული. რეფერენდუმით მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმით.

მესამე და უმთავრესი. ერი მხოლოდ მაშინ აღწევს გამარჯვებას, როდესაც გაცნობიერებული აქვს თავისი ინტერესები, ერთსულოვანია და დაუცხრომლად იბრძვის მათ დასაცავად[1].

---

[1] პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში (№83-84) 2001 წლის 8 აპრილს.

"საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის" სამუშაო ვერსიები

ქვემოთ გთავაზობთ ბ-ნი ჯონი ხეცურიანის მიერ გამოქვეყნებულ „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ სამუშაო ვერსიებს[2], რომლებზეც კარგად ჩანს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიასა და ბ-ნი ჯონი ხეცურიანის ხელით მიწერილი დამატებანი. პირველი დოკუმენტი არის „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ ის პროექტი, რომელშიც ხელით ჩასწორებები ეკუთვნის ზვიად გამსახურდიას. ჩასწორებულ მონაკვეთთაგან ყურადღებას იქცევს **ზვიად გამსახურდიას თვალსაზრისი** აფხაზეთისისა და აჭარის ავტონიმიების შესახებ; კერძოდ, მის ტექსტში ასეთი ფრაზაა:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის აზრით, „საქართველოს რესპუბლიკა ავტონომიას აძლევს აფხაზ ხალხს, ხოლო აჭარის ავტონომიის საკითხი გადაწყდება რეფერენდუმით“.

ტარიელ ფუტკარაძე

[2] ჯ. ხეცურიანი, დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, თბ., 2006, გვ. 139-147

პროექტში ცვლილებები და დამატებანი ეკუთვნის ზვიად გამსახურდიას:



პროექტი

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა მიღმა იღებს სათავეს, მე-19 საუკუნის დასაწყისში [illegible] [illegible] [illegible]

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანია და ჯანუყოფელია
და მის დარღვევაში მოქმედებს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ხელ-
[illegible]
სუფლების უზენაესობა. ყოველი მოქმედება მიმართული საქართველოს
რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული
მთლიანობის დარღვევისათვის ჩაითვლება სუვერენულ სახელმწიფოს საში-
ნაო საქმეებში ჩარევად და აკრძალულად, საერთაშორისო საზარალის ნორ-
მების უხეშ დარღვევად.

საქართველოს რესპუბლიკა ისწრაფვის დამოუკიდებელ ადგილი დაიკავოს
მსოფლიოს თავისუფალ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს სა-
ერთაშორისო საზარალის პრინციპებსა და ნორმებს, უზრუნველყოფს ადა-
მიანის, ეროვნულ უმცირესობათა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ
მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და
კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

ქვემოთ წარმოდგენილ პროექტში ცვლილებები და დამატებანი ეკუთვნის ჯონი ხეცურიანს:

პროექტი

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა მიღმა იღებს სათავეს, მე-19 საუკუნის დასაწყისში დაკარგულ იქნა გარეშე ძალის ჩარევით. ქართველი ხალხი არასოდეს შეხვედრია სახელმწიფოებრიობის დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა რუსეთის იმპერიის მიერ (საქართველოს) გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი დაქტორული ანექსია.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. დაბოლოს ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება, მისი მიზანია დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას,

აღგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. [illegible] მის დარღვევაში [illegible] შეიძლება საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობა, ყველა მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შესუსტების ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩითვლება სუვერენულ სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აკრძალულია, საერთაშორისო საზარელის ნორმების უხეშ დარღვევად.

~~საქართველოს რესპუბლიკა ისწრაფვის [illegible] ადგილი დაიკავოს მსოფლიო თანამეგობრობაში, [illegible] საერთაშორისო საზარელის პრინციპებსა და ნორმებს, [illegible] თანამიერ, ერთგულ უმრავლესობაა ძალიან [illegible] [illegible].~~

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მზადაა დაიდოს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

[illegible]

[illegible]

„საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის“ საბოლოო ვარიანტი, რომელიც ხელმოსაწერად გადაეცა უზენაესი საბჭოს დეპუტატებსა და მთავრობის წევრებს. **რედაქციული შენიშვნები ეკუთვნის ზვიად გამსახურდიას,** ფანქრით აღნიშნული შესწორებები კი შესრულებულია ჯ. ხეცურიანის მიერ:



~~პროექტი~~

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის
აღდგენის აქტი

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკუნ[illegible] დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეპგუებია ~~სახელმწიფოებ-~~ ~~რიობის~~ დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველოს-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის საბჭვიდრო ხელშეკრულება და (შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა) საქართველოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიულ მოვრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანებას, აღგენს და საქმიანად აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი

<u>დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.</u>

საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის [illegible] [illegible] [illegible] ეფარება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას და ხელისუფლებას. [illegible]. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ნარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.

საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად.

საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართალი: გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, [illegible] [illegible] [illegible]

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნებისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს რესპუბლიკის უ'იშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება.

რბ.



საქართველოს საზელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

[illegible]

[illegible]

[illegible]

პროფესორი მანანა ტაბიძე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მისია – საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს უახლეს ისტორიაში ძალზე ცოტაა ისეთი პოზიტიური შედეგის მომტანი თარიღები, როგორებიცაა 1990 წლის 28 ოქტომბერი, როდესაც ჩატარდა პირველი საყოველთაო, არასაბჭოური, მრავალპარტიული არჩევნები, 1991 წლის 31 მარტი, რომელიც გახდა აუცილებელი და მყარი წინაპირობა 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა, და თავად 1991 წლის 9 აპრილი საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.

თანამედროვე საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს კარგად ახსოვს ეს პერიოდი, მაშინდელი მღელვარება, აზრთა სხვადასხვაობა, შიშიც, ეჭვიც... და იმედიც, უპირველეს ყოვლისა, იმედი თავისუფლებისა, რომლის მოლოდინში მოდიოდნენ და მერე გულდამძიმებულნი მარადისობაში მიდიოდნენ ჩვენი უახლოესი წინაპრები, ჩვენი მშობლები და მათი მშობლები... ჩვენ ყველას გვესმის, რომ გახანგრძლივებულმა საბჭოურმა რეჟიმმა გაბზარა ჩვენი იდენტობა, ერი გადააჩვია თავისუფლებისათვის ბრძოლას, გააბატონა ნიჰილიზმი და ფსევდოღირებულებები... დროთა განმავლობაში ასე თუ ისე მოიძებნა კოლონიური არსებობისათვის დამახასიათებელი მეტნაკლებად ადაპტირებული, ვითარებას „მორგებული“ სასიცოცხლო ფორმები, რომელთა დარღვევის შიშიც არანაკლებად ქმედითი ცენზორია თავისუფლების იდეის შესაკვეცად.

ცხადია, ამ „ფრთხილი წონასწორობის“ დარღვევა ადვილი არ გახლდათ; 1980-იანი წლების ბოლოდან გააქტიურებული ეროვნული მოძრაობის გარემოში ასე თუ ისე ყველას ესმოდა, რომ თავისუფლებისთვის ბრძოლა ჩვეული კალაპოტიდან ამოგვაგდებდა, ავად თუ კარგად დაწყობილ ცხოვრებას აგვირევდა, მთვლემარე წითელ გველეშაპს გააღვიძებდა და სიძნელეებით სავსე უცნობი მომავლისაკენ წაგვიყვანდა... როგორც ყოველთვის, მა-

შინაც საზოგადოება არ იყო ერთგვაროვანი: ზოგი ბრძენი იყო, ზოგი – არა, ზოგი მდიდარი იყო, ზოგი – არა, ზოგი ეთნიკური ქართველი იყო, ზოგი – არა, ზოგი წარმატებული გახლდათ და ზოგიც – არა... და მაინც 1990 წელს საქართველოს მოსახლეობამ ერთსულოვნად მიიღო მონაწილეობა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში და ხელისუფლებაში ეროვნული ძალების მოსვლა განაპირობა; ასევე ერთსულოვნად დაიძრა მთელი საქართველო 1991 წლის 31 მარტს, საყოველთაო რეფერენდუმში მონაწილეობის მისაღებად და უპასუხა „დიახ" ერთადერთ კითხვას: „ეთანხმებით თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე". რეფერენდუმში მონაწილეობა ნამდვილად იყო საქართველოს მოსახლეობის თავისუფალი არჩევანი, რადგან ამ მომენტისათვის ეროვნული ხელისუფლება არ ფლობდა ამა თუ იმ ძალოვან ბერკეტებს ხალხისათვის თავისი ნების თავსმოსახვევად, არც საბჭოური იდეოლოგიის მუდმივი შეგონებებისაგან არ იყო ბოლომდე გათავისუფლებული განათლებისა და კულტურის სტრუქტურები, არც „დიდი საბჭოეთის" უკვდავების რწმენა არ იყო საყოველთაოდ დაძლეული... და მაინც, მოსახლეობამ რეფერენდუმში დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი;

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი, რომელსაც უმოკლეს ვადაში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება დაეფუძნა, საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასა და უზენაეს საბჭოს უკავშირდება. თუ სადმე და ოდესმე ჩვენი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე იქნება საუბარი, რომც არ ახსენონ, ზვიად გამსახურდია და საქართველოს უზენაესი საბჭო ყოველთვის იქნება მუდმივი თანამდევი ამ ორი უძვირფასესი სიტყვისა, იქნება ნაწილი თავისუფლებისთვის დიდი, უწყვეტი ბრძოლისა...

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება მხოლოდ ხალხს შეეძლო, მის აღზრდას, კონსოლიდაციასა და წარმართვას კი ლიდერი ესაჭიროებოდა. თუ დამოუკიდებლობის აქტს ჩვენ განვიხილავთ, როგორც წამიერი აფექტის შედეგს, ხელოვნურს, არაორგანულსა და გაუაზრებელს, მაშინ ამ დამოუკიდებლობას ჩვენ ასევე წამიერად დავკარგავდით... მაგრამ ეს ასე არ მოხდა. დღეს, შედარებით შორი გადასახედიდან კარგად ჩანს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ სვლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უამრავმა ადამიანმა, რიგითმა მოქალაქემ თუ სხვადასხვა პოლიტიკურმა ფიგურამ, ეროვნული მოძრაობის სხვადასხვა საფეხურზე ამ ხალხმა დიდი შემეცნებითი მუშაობა გასწია, მაშინაც კი, როდესაც ნებსით თუ უნებლიეთ დესტრუქციულ მოქმედებას ეწეოდა ვინმე, პოზიტიური შედეგიც დგებოდა, რადგან უკეთ ჩანდა კონსტრუქციული აზრი და გზა...

და რაც მთავარია, ყველა ამ პროცესს მოჰყვა შედეგი – დამოუკიდებელი საქართველო.

როგორც აღვნიშნეთ, თავისუფლებისაკენ სვლა საქართველომ 1990

წლის ოქტომბრამდე ბევრად ადრე დაიწყო.... დღესაც კი ზოგიერთები კამათობენ იმაზე, რომ საქართველოს მოსახლეობას გააზრებული არ ჰქონდა სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და ის შედეგები, რომელიც 1990-91 წლებში განვითარებულ მოვლენებს მოჰყვა. რომ საქართველოს მოსახლეობას არ ესმოდა, ვის ირჩევდა 28 ოქტომბერს, რომ ქვეყანა არ იცნობდა თავის დეპუტატებს, რომ ამომრჩეველი ბრმად, ეიფორიაში მყოფი მივიდა არჩევნებზე და „შემთხვევითი", ქვეყნის მართვის უუნარო ხალხი მოიყვანა ხელისუფლებაში...

იყო თუ არა ეს ასე?

მე-20 საუკუნის 80-90-იან წლებში საქართველოს მოსახლეობა უაღრესად აქტიურ, პოლიტიკურად განსწავლულ, მოქალაქეობრივად შეგნებულ საზოგადოებას წარმოადგენდა, რომელმაც იცოდა ყველაფერი საბჭოური თუ საზღვარგარეთული პოლიტიკური ტენდენციების, ეკონომიკური პროცესების, სახელისუფლებო ინტრიგების შესახებ, ახსოვდა ნებისმიერი ეროვნული თვალსაზრისით საინტერესო სტატიის ავტორთა გვარები და სახელები, მეტ—ნაკლებად აქტიური პოლიტიკური მოღვაწეების გამონათქვამები და ბიოგრაფიები, კითხულობდა, ესწრებოდა საჯარო ლექციებს, დისპუტებს, კულტურულ ღონისძიებებს, აქციებს, დემონსტრაციებს, კამათობდა, ღელავდა, მსჯელობდა... საარჩევნო სიები, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიასა თუ გაერთიანებას ჰქონდა წარმოდგენილი, ხალხს გამოწვლილვით ჰქონდა შესწავლილი... ყველაზე დიდი ყურადღებით კი სწორედ კომუნისტებისა და „მრგვალი მაგიდის" კანდიდატებს სწავლობდნენ. სწავლობდნენ მტრებიც და მოყვარენიც – ერთს მოწინააღმდეგის დისკრედიტაცია სურდა, მეორეს – კანდიდატთა ღირსების აღმოჩენა-წარმოჩენა. იმ ადამიანთა უმრავლესობა, ვინც 28 ოქტომბრის არჩევნებით ხელისუფლებაში მოვიდა, ნამდვილად იყო გამორჩეული თავისი პოლიტიკური, შემოქმედებითი ან სამეცნიერო დამსახურებებით; ამ ხალხმა თავდადებით იბრძოლა ეროვნული ხელისუფლების გადასარჩენად, ბევრი ამ ბრძოლასა და დაუნდობელ რეპრესიებს შეეწირა, ბევრმა, პოლიტიკური მოღვაწეობა განაგრძო; დღეს, როდესაც 25 წელი გავიდა 1990 წლის 28 ოქტომბრიდან, ჩვენ უკვე მაშინდელი დეპუტატების სრული ბიოგრაფიების წაკითხვა შეგვიძლია, და ნათლად ვხედავთ, რომ ამ ადამიანთა უდიდესმა ნაწილმა პირნათლად მოიხადა ვალი თავისი სამშობლოს წინაშე; დაიცვა დამოუკიდებელი საქართველოს სამართალმემკვიდრეობა, თავი გამოიჩინა სამოქალაქო ცხოვრების სხვადასხვა სფეროში: მეცნიერებაში, ხელოვნებაში, პრაქტიკულ დარგებში, პოლიტიკაში...

საქართველოს უზენაესმა საბჭომ უდიდესი მისია შეასრულა ჩვენი ქვეყნის წინაშე; ამ ღვაწლს კარგად წარმოაჩენს ერთ-ერთი ამონარიდი საქართველოს სამართალსუბიექტობის პრობლემისადმი მიძღვნილი გამოკვლევიდან:

„1918 წლის, 26 მაისიდან, ქართველი ხალხის ნება-სურვილით დამყარებულ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, როგორც საერთაშორიო სამართლის ახალ სუბიექტზე პირდაპირ გავრცელებას იწყებს თანამედროვე საერთაშორისო საჯარო სამართალი. 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის ინტერვენციის შედეგად განხორციელდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ოკუპაცია, ხოლო შემდეგ ფაქტობრივი ანექსია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მისი ოკუპაციის და ფაქტობრივი ანექსიის მომენტისათვის წარმოადგენდა სრულფასოვან საერთაშორისო სამართლის სუბიექტს როგორც დეკლარაციული, ისე კონსტიტუციური თეორიების მიხედვით და მასზე ვრცელდებოდა მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმები. 1991 წლის, 31 მარტის, რეფერენდუმისა და 1991 წლის, 9 აპრილის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველზე, საქართველოს მოსახლეობამ თავისი სუვერენული ნების გამოხატვით, საკუთარი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა დაუკავშირა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მოახდინა მასთან იდენტიფიცირება სახელმწიფო კონტინუიტეტის საფუძველზე. 1991 წლის, 9 აპრილის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკამ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან იდენტურობისა და მისი კონტინუიტეტის საფუძველზე აღიდგინა საერთაშორისო სამართალსუბიექტობა და მასთან დაკავშირებული უფლებამოსილებანი. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობა არ არის განპირობებული საბჭოთა კავშირის გაყოფით. იგი განხორციელებულია ხალხის თვითგამორკვევისა (1918-1921 წლები) და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის უფლების რეალიზების შედეგად (1990-1991 წლები). საქართველოს რესპუბლიკა ფლობს საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ყველა თვისებას, წარმოადგენს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იდენტურ და გამგრძელებელ სახელმწიფოს, სრულად პასუხობს საერთაშორისო სამართალსუბიექტობის საერთაშორისო სტანდარტებს. სახელმწიფო „საქართველო“, იგივე სახელმწიფოდ უნდა ჩაითვალოს, რადაც საქართველოს რესპუბლიკა. მხოლოდ ამ გზით წარმოადგენს იგი საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტს და შესწევს უნარი უზრუნველყოს სახელმწიფოს უპირველესი დანიშნულება, საკუთარი ხალხის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი სახელმწიფოებრივი ლეგიტიმურობა და საერთაშორისო სამართალსუბიექტობა მოკლებული იქნება ისეთ უმთავრეს საფუძველს, როგორიცაა საკუთარი ხალხის ნება-სურვილი და დაემყარება სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკური მოსაზრებებით განპირობებულ შეხედულებებს. საქართველოს რესპუბლიკის სამართალსუბიექტობის საერთაშორისო სამართლებრივი აღიარება საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად

წარმოშობილ „ახალ სახელმწიფოდ“, ნიშნავს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკასთან სახელმწიფო „საქართველოს“ სამართლებრივი მემკვიდრეობის არსებობის უარყოფას, 1921 წლის ოკუპაციისა და ანექსიის უკანონობით აღბეჭდილი ფაქტის უგულებელყოფას, აგრეთვე 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის შედეგებისა და სახელმწიფოებრივი იდენტურობისა და სახელმწიფოებრიობის უწყვეტობის უარყოფას. თავის მხრივ, საქართველოსთან მიმართებით, ეს ნიშნავს სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართალში უპირატესობის მინიჭებას არა საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების უზენაესობისათვის, რომლის მიზანია სახელმწიფოთა შორის სამართლიანობის დამკვიდრება, არამედ არჩევანის შეჩერებას პოლიტიკური თუ სხვა კონტექსტით ნაკარნახებ ინტერესებზე. საქართველოს რესპუბლიკა, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იდენტური სახელმწიფო, ლიტვის რესპუბლიკის მსგავსად, არ არის საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე, ვინაიდან უკანასკნელს არ მოუპოვებია სუვერენული უფლებები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ლიტვის რესპუბლიკისა და ბალტიის სხვა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის აღდგენის პრეცედენტიდან გამომდინარე, საერთაშორისო სამართალი შესაძლებლობას იძლევა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის იდენტურობისა და კონტინიუტეტის შენარჩუნება აღიარებულ იქნას საერთაშორისო თემობის მიერ, რაც თავის მხრივ საერთაშორისო სამართლის ძირითადი მიზნის, სახელმწიფოთა შორის თანასწორობისა და სამართლიანობის დამკვიდრების მიღწევას უნდა ემსახურებოდეს“.[3]

ახლა კი გავიმეოროთ ე.წ. ხშირად დასმული შეკითხვები? ესმოდა თუ არა საარჩევნო ხმის უფლების მქონე საზოგადოებას, რას ნიშნავდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოსვლა? ჰქონდა თუ არა საქართველოს მოსახლეობას კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც შეარჩევდა მომავალ დეპუტატებს? ჰქონდა თუ არა საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობას სამოქალაქო საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნიშნები? ითვალისწინებდა თუ არა არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილე საზოგადოება, რომ საქართველოში ამიერიდან საქართველოს სახელმწიფო აშენდებოდა, სახელმწიფო ენა ქართული რეალურადაც სახელმწიფო ფუნქციონირებას დაიწყებდა? ეშინოდა თუ არა არაქართულ მოსახლეობას დამოუკიდებელი საქართველოსი უფრო მეტად, ვიდრე საბჭოთა კავშირისა, და განსაზღვრავდა თუ არა შიში მის არჩევანს? როდიდან უნდა ეგრძნო არაქართულენოვან მოსახლეობას, რომ ქართული ენა ძალებს იკრებდა და

[3] ნ. თოფურიძე, საქართველოს საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტობა, დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი 2015 წელი.

თავისი სახელმწიფოებრივი სტატუსის დაცვას ცდილობდა? აჩვენა თუ არა რეფერენდუმმა, რომ საქართველოს ჰყავდა სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც აერთიანებდა ტერიტორია, ენა, საერთო პოლიტიკური ორიენტაცია და ერთმანეთთან მშვიდობიანად თანაცხოვრების სურვილი?

სამოქალაქო საზოგადოება სოციალური მოქმედების სპეციფიკურ ტიპს წარმოადგენს, რომელიც ორიენტირებულია: **1.** კონფლიქტზე, კომპრომისსა და საზოგადოებრივ თანხმობაზე; **2.** ხაზს უსვამს პიროვნების დამოუკიდებლობას და საზოგადოების თვითორგანიზებულობას, **3.** ცნობს, აღიარებს პლურალიზმს, განსხვავებებსა და დაძაბულობებს; **4.** აქვს არაძალადობრივი, მშვიდობიანი ხასიათი და **5.** ორიენტირებულია ზოგად საკითხებზე, ანუ ეყრდნობა რა კერძო გამოცდილებასა და ინტერესებს, არის საერთო კეთილდღეობის მხარეზე, მაშინაც კი, როდესაც ცალკეულ წევრებს, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების სახელით გამოდიან, შეიძლება საზოგადოებრივ კეთილდღეობად სულ სხვა რამ მიაჩნდეთ.

ანუ კითხვა ასე შეიძლება დაისვას – ვინ მონაწილეობდა არჩევნებსა და რეფერენდუმში – ბრბო თუ სამოქალაქო საზოგადოება?

რეფერენდუმის შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა როგორც სრულიად საქართველოს, ისე ცალკე აფხაზეთის მასშტაბითაც. კითხვაზე, "თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე"? 3,3 მლნ-ზე მეტმა ამომრჩეველმა (ამომრჩეველთა 90%-ზე მეტმა) უპასუხა. რეფერენდუმში მონაწილეთა 98%-მა შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც გავლენიანმა სეპარატისტულმა ორგანიზაციებმა რეფერენდუმს ბოიკოტი გამოუცხადეს, მასში მონაწილეობა მაინც მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის (347175 კაცი) 61,27%-მა, ანუ 212714 კაცმა. საქართველოს დამოუკიდებლობას ხმა მისცა 97,73%-მა, ანუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის თითქმის 60%-მა. შეგახსენებთ, რომ ქართველები აფხაზეთში 47%-ს შეადგენდნენ. დანარჩენი 13%, რა თქმა უნდა, არაქართველთა ხმები იყო, მათ შორის ძალიან დიდი რაოდენობით იყვნენ აფხაზები. რეფერენდუმის შედეგები გახდა საფუძველი 1991 წლის 9 აპრილს აღდგენილი საქართველოს დამოუკიდებლობისა, და ყოველივე ამაში აფხაზეთმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

ცხინვალის რაიონში რეფერენდუმი ჩატარდა შვიდ სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე, სადაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 11376 იყო. გაიცა 10182 ბიულეტენი, რომელთაგან ორი ბათილად იქნა ცნობილი. სარეფერენდუმო კითხვას დადებითი პასუხი გასცა 10180 ამომრჩეველმა.

გვყავდა თუ არა ამ პერიოდში სამოქალაქო საზოგადოება, თუ ეს იყო ბრბო (როგორც ამას რუსული სპეცსამსახურები ამტკიცებდნენ), რომელსაც საეგზალტაციო რიტუალებს უტარებდნენ და ისე მართავდნენ?

ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს რამდენიმე დადასტურებული და უეჭველად გასათვალისწინებელი ფაქტი:

1. საქართველოს მოსახლეობამ 1978 წლის 14 აპრილს (რეფერენდუმამდე 13 წლით ადრე სრულიად გაცნობიერებულად და ორგანიზებულად დაიცვა ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი საქართველოს კონსტიტუციაში;
2. ასევე 13 წლისწინა 14 აპრილის შედეგებს შორის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის ყველა ფაკულტეტზე ქართული მეტყველების კულტურის კურსის შემოღება;
3. საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებსა და წარმოებებში არაქართულენოვანი სპეციალისტებისა და მუშაკებისათვის ქართული ენის შემსწავლელი კურსების გახსნა (რომელთაც, ფაქტობრივ, სახელმწიფო აფინანსებდა);
4. ქართული კულტურის სივრცეში ამ ეპოქისათვის დამახასიათებელია „პერესტროიკით“ მოტანილი ლიბერალური (მართალია, ფსევდოლიბერალური) გარემოს გამოყენებით ეროვნული სულისკვეთების ნაწარმოებების შექმნა (მაგ., რუსთაველის თეატრის ცნობილი დადგმა „ჩემო კალამო“, ქართველ სპორტსმენთა საყოველთაო ქომაგობა საკავშირო და საერთაშორისო ჩემპიონატებში და სხვ.);
5. 1990/91 წლებში საქართველო არ დაუტოვებია რუსეთის ჯარებს და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სათავო ოფისი კვლავ თბილისში, ახლანდელი გურამიშვილის ქუჩაზე მდებარეობდა. ასე რომ მოსახლეობის მონაწილეობა არჩევნებსა და რეფერენდუმში და სარეფერენდუმო კითხვაზე პასუხის შინაარსი იმ საზოგადოების პასუხს წარმოადგენდა, რომელიც ითვალისწინებდა დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე მოსალოდნელ სიძნელეებს (რა თქმა უნდა, რეალობა ბევრად უფრო სასტიკი აღმოჩნდა) და მიუხედავად ამისა, საქართველოში ცხოვრებასა და ქართული სახელმწიფოს სრულფასოვან ნაწილად ყოფნას აპირებდა (თუმცა მოგვიანებით, ეს საზოგადოება დააეჭვეს ამგვარი ინტეგრაციის აუცილებლობაში);
6. სტატისტიკური მონაცემები (საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, სტატისტიკური კრებული, (მოსახლეობის 1989 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით) საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი თბილისი, 1991) ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოს არაქართული მოსახლეობის იმ ნაწილის ენობრივ არჩევანში, რომელმაც ასიმილაცია განიცადა და ეთნიკური ენის ნაცვლად სხვა ენა აღიარა მშობლიურად, 1989 წლის მონაცემებით ქართული ენა რუსულთან შედარებით მეორე ადგილზე იდგა (ერთადერთ გამონაკლისს

წარმოადგენდნენ ქართველი ებრაელები, რომელთაგანაც (14314 კაციდან) მშობლიურ ენად რუსული მხოლოდ 657-მა დაასახელა). და მაინც რეფერენდუმში ამგვარმა მოსახლეობამაც დამოუკიდებლობის აღდგენას დაუჭირა მხარი.

7. საკითხებმა, რომლებიც გასული საუკუნის 70-80-იან წლებში გაჟღერდა ქართულ პერიოდულ გამოცემებსა და, ზოგადად, მედიასაშუალებებში, შეიძლება ითქვას, პრაგმატული ლინგვისტიკის თითქმის ყველა ასპექტი მოიცვა; ამასთან, ამ პრობლემატიკაზე მსჯელობის მოწადინე აღმოჩნდნენ საზოგადოების ყველა სოციალური ფენისა და ყველა ეთნიკური წარმომავლობის მოქალაქეები, მათ შორის სპეციალისტებიც; ასე რომ, თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ ჩატარდა "დიდი დისკუსია" ქართულის - როგორც სახელმწიფო ენის, განათლებისა და სახელმწიფო ენის მიმართების, ორენოვნებისა და მრავალენოვნების, საქართველოს სხვადასხვა რეგიონების ენობრივი სიტუაციის თავისებურებათა (აფხაზეთი, სამაჩაბლო, სამცხე-ჯავახეთი) და სხვა პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით; წარმოუდგენელია, რომ ამ დისკუსიას არ შეემზადებინა მაშინდელი საქართველოს მრავალფეროვანი საზოგადოება იმ პერსპექტივისათვის, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობა მოიტანდა.

ამრიგად, 1991 წლის 31 მარტს საქართველოს დამოუკიდებლობას ხმა მისცა საქართველოს მოსახლეობის საარჩევნო ხმის უფლების მქონე ნაწილის 90 პროცენტზე მეტმა, რომელმაც იცოდა, რომ რუსულ ჯარებს ჯერაც მყარად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული ქვეყანაში, რომ ქართული რეალურად გახდებოდა ფუნქციონირებადი სახელმწიფო ენა, რომ ადვილი არ იქნებოდა ენობრივი ინტეგრაცია საქართველოს ავტოქთონ მოსახლეობაში, რომ ამიერიდან ყველაფერი იქნებოდა სხვაგვარად, - არა ისე როგორც შეეჩვია, არამედ ისე როგორც საზოგადოებრივი ინტერესებისთვის იყო საჭირო, ანუ რეფერენდუმის მონაწილეები იყვნენ „ორიენტირებულნი ზოგად საკითხებზე, და ეყრდნობოდნენ რა კერძო გამოცდილებასა და ინტერესებს, იყვნენ საერთო კეთილდღეობის მხარეზე, მაშინაც კი, როდესაც ცალკეულ წევრებს, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების სახელით გამოდიოდნენ, შესაძლოა საზოგადოებრივ კეთილდღეობად სულ სხვა რამ მიაჩნდათ." ეს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებულობის მაჩვენებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანთაგანია.

რეფერენდუმმა გამოავლინა, რომ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება 1991 წლის 31 მარტის საეტაპო მომენტისათვის სავსებით ჩამოყალიბებული იყო.

კიდევ ერთი რეპლიკა რეფერენდუმთან დაკავშირებით: ღირდა თუ არა დამოუკიდებლობა იმ დანაკარგებად, რომელიც დღევანდელ საქართ-

ველოში დაჩნდება? და ვის დავაკისროთ პასუხისმგებლობა ამ დანაკარგებზე, ერსა და ეროვნულ ხელისუფლებას, თუ კომუნისტურ იმპერიასა და მის ადეპტებს?

ეს კითხვა ჩვენ რომც არ დავსვათ, მაინც იტივტივებს ჩვენ შორის და ერთმანეთისაკენ გულწრფელი მისწრაფების ხელისშემშლელი იქნება... მე, ჩემი პირადი მსოფლმხედველობრივი შეხედულების „მოწესრიგებისას", არ გავურბივარ ამ კითხვაზე პასუხს, რადგან ვიცი, ერი მაშინაა ერი, როდესაც თავისუფლებისთვის იბრძვის და იღწვის; არ შეიძლება ცოცხალ არსებას აუკრძალო სუნთქვა, წაართვა თავმოყვარეობა, მოუკლა წარსული, აწმყო და მომავალი... სუნთქვა, ღირსება და მომავალი კი თავისუფლება გახლავთ. თავისუფლება ღვთის საჩუქარია, რომელსაც ყველა საერთაშორისო კანონი და დოკუმენტი ცნობს და აღიარებს. თავისუფლებისთვის ბრძოლა სულიერი მდგომარეობაა, რომელიც შედეგის მიუხედავად არსებობს როგორც აუცილებელი მიზანი, როგორც მაცოცხლებელი ჰაერის ყლუპს მონატრული ფილტვები, როგორც წყაროს წყალს მოწყურებული დაჭრილი ირმების გუნდი... თავისუფლების მოპოვების გზაზე მომხდარ უბედურებებზე პასუხისმგებლობა კი ეკისრება კომუნისტურ ურჩხულს, რომელიც მაცოცხლებელ ჰაერს უკეტავდა დაპყრობილ ქვეყანას, სათითაოდ აცლიდა ხელიდან ადამიანებს და აიძულებდა მათ თავისუფლების მტრებად გადაქცეულიყვნენ. ეს თავისებური რეპრესიებია, რეჟიმის მიერ ადამიანთა გარკვეული ნაწილის სულიერი განადგურების ფორმით ჩატარებული. მე ვფიქრობ, საქართველოს მოსახლეობის ეს ნაწილიც მსხვერპლია, კომუნისტური რეპრესიების კიდევ ერთი მსხვერპლი, რომელსაც თავის ხალხთან ერთად თავისუფლებისათვის ბრძოლის სიხარული წაართვეს.

პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორიენტირები თანამედროვე კონტექსტში

შესავალი

ქართველი ერი ერთ-ერთი უძველესი ერია მსოფლიოში და, ამავე დროს, ერთ-ერთი იშვიათი, რომელმაც სახელმწიფო შექმნა ჯერ კიდევ ძვ.წ. XV-XIII საუკუნეებში (იხ., კოლხური არქეოლოგიური კულტურის საზღვრები) და დღემდე აქვს. ამ ხნის მანძილზე **საქართველო ზოგჯერ დამოუკიდებლობას კარგავდა ხოლმე,** მაგრამ ძირითადი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები და სამეფო დინასტია უწყვეტად შეინარჩუნა XIX საუკუნემდე. XIX-XX საუკუნეებში კი საქართველო ორჯერ გახდა რუსეთის აგრესიის მსხვერპლი; კერძოდ, რუსეთის იმპერიამ **ე.წ. მცოცავი ანექსიის გზით** საქართველო ნაწილ-ნაწილ მიიერთა 1804-1878 წლებში. საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგა 1918 წლის 26 მაისს, მაგრამ ბოლშევიკურმა რუსეთმა სამი წლის შემდეგ ისევ იარაღის ძალით დაიპყრო საქართველო. მხოლოდ 70 წლის შემდეგ - 1991 წლის 9 აპრილს - შეძლო ქართველმა ხალხმა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა: გამოაცხადა **"საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი",** რომლის საფუძველზე მსოფლიომ ცნო საქართველო, როგორც თანამედროვე და დამოუკიდებელი სახელმწიფო 1991 წელს არსებულ საბჭოთა საქართველოს საზღვრებში.

პირველი მრავალპარტიული, საყოველთაო და დემოკრატიული არჩევნები საქართველოს სინამდვილეში და ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება 1990 წლის 28 ოქტომბერს

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე პირველი ნაბიჯი იყო 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნები, რომელიც დაინიშნა კომუნისტურ ხელისუფლებაზე ეროვნული მოძრაობის ზეწოლით. საბჭოთა იმპერიისათვის ამ უპრეცედენტო არჩევნებში გაიმარჯვა პოლიტიკურმა გაერთიანებამ **"მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო".** ახალარჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გახდა ზვიად გამსახურდია. სწორედ მისი ხელმძღვანელობით მომზადდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღორძინებისათვის აუცილებელი სახალხო განწყობა, რომელიც გამოვლინდა 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო სახალხო რეფერენდუმში. საერთო-სახალხო რეფერენდუმმა მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ **საქართველოს მოსახლეობის ნებაა ისტორიული სახელმწიფოობრიობის აღდგენა და დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრება.** რეფერენდუმის საფუძველზე კი 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ამას წინ უძღოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობით წარმოებული მრავალწლიანი ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის; ეს იყო XIX-XX საუკუნეებში ქართველი ერის თავისუფლებისათვის ბრძოლის **ღირსეული დაგვირგვინება**. 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში ჩაიწერა:

“საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლუკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს კონსტიტუციის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად.

საქართველოს რესპუბლიკა ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყობს საერთაშორისი სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფის ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო აქტები და კონვენციები...

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის კანონიერი და სამართლიანი ნაბიჯისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებული სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი მტკიცე გარანტი იქნება”.

9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით დეკლარირებული ორიენტირები ცხადყოფს, რომ 1990 წლის 28 ოქტომებრს **საქართველოს პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ვექტორი მშვიდობიანი გზით რადიკალურად შეიცვალა.**

ხელისუფლების ძალადობის გზით შეცვლა 1992-93 წლებში

საბჭოთა იმპერიის სამართალმემკვიდრე რუსეთს არ სურდა საქართველოს დამოუკიდებლობა, რამდენადაც ექმნებოდა საფრთხე, მთელი **კავკასია დაეკარგა**. 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთის გეოპოლიტიკური ველიდან გასვლას ესწრაფოდნენ ასევე აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები და ბალტიის ქვეყნები. დამოუკიდებლობისკენ მათი სწრაფვა უფრო შეუქცევადი იყო, რამდენადაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი ცივილიზებულ დასავლეთს დე იურე არასოდეს უცვნია საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. **საქართველოს მოსახლეობის ნების მიუხედავად, 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ბედი დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშეების მოლაპარაკების მაგიდაზე გადაწყდა:**

რუსეთის იმპერიამ ცივილიზებული სამყაროს ზეწოლით დათმო აღმოსავლეთ ევროპა და ბალტიის ქვეყნები, მაგრამ რუსული გეოპოლიტიკური გავლენის ველში დარჩა შუა აზია, კავკასია, უკრაინა და ბელორუსია. რუსეთმა 1992-93 წლებში იარაღის ძალით დაამხო საქართველოს დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ხელისუფლების ყველა შტო.

1992-93 წლებში ხელისუფლების დამხობას მოჰყვა საქართველოსათვის მძიმე შედეგები; კერძოდ, გარედან მართული დაპირისპირებების ფონზე განდევნილ იქნა საქართველოს პრეზიდენტი; რუსეთმა დაიკავა **საქართველოს ისტორიული ტერიტორიები**: აფხაზეთი და ცხინვალის მხარე; ამ ძირძველ ქართულ კუთხეებში მოხდა ქართველთა გენოციდი: პრორუსულმა ძალებმა ბევრი ქართველი დახოცეს, 400 000-ზე მეტი კი დევნილად აქციეს.

საქართველოში გარედან მართული პროცესების არაადეკვატური ტერმინოლოგიური შეფასების პრობლემა

1992-93 წლებში საქართველოში ლეგიტიმური ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლით საქართველოში დაიწყო **სამართლებრივი ვაკუუმი**, რომელიც დღემდე გრძელდება; განადგურებულ იქნა ეროვნული ორიენტაციის პარტიები; დაისადგურა დიდმა უსამართლობამ... ამ ყოველივეს დაერთო კარგად ორგანიზებული საინფორმაციო ზეწოლა საქართველოს მოსახლეობის ცნობიერებაზე. საინფორმაციო ომის კონტექსტით არსებითია ის ფაქტი, რომ კრემლის იდეოლოგებმა საქართველოში განხორციელებული გეოპოლიტიკური კონტრრევოლუცია **ტერმინოლოგიურადაც შენიღბეს და მას უწოდეს ე.წ. "სამოქალაქო ომი" და "ქართულ-აფხაზური" და "ქართულ-ოსური" ეთნოკონფლიქტები.** ამგვარი კვალიფიკაციები ფართოდ გავრცელდა და ინერციით დღესაც გამოიყენება.

თავს დატეხილი ბევრი უბედურებისა თუ პრობლემების მიუხედავად, საქართველოს მოსახლეობამ 2005 წელს პლებისციტით მხარი ისევ დაუჭირა ცივილიზებულ დასავლეთთან ინტეგრაციას - "ნატოს" წევრობას, მაგრამ **საქართველო დღემდე მძიმე სიტუაციაშია:** საქართველოს მესამედი ისევ რუსეთის მიერაა ოკუპირებული, დანარჩენი ნაწილი კი დასავლეთისგან ელის ქმედით მხარდაჭერას. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ საქართველოში დღემდე ვერ ჩამოყალიბდა ქართველი ერის, ზოგადად, საქართველოს მოსახლეობის ინტერესების ადეკვატური პოლიტიკური სპექტრი. **საქართველოს ღირსებისა და ინტერესების დამცავი პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია საქართველოში ბოლო 25 წელიწადში განვითარებული მოვლენების სამართლებრივი შეფასება.** საქართველოში სამართლიანობის აღდგენა უნდა დაიწყოს 1992-93 წლების მოვლენების სამართლებრივი შეფასებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები

1992-93 წლებში საქართველოს ხელისუფლების დამხობის ფაქტის აქამდე რომ გამოძიებულიყო, ვფიქრობ, დღემდე ბევრი რამ დადგებოდა თავის ადგილას საერთაშორისო სივრცეშიც და საქართველოშიც; შდრ.: 1992-93 წლების გადატრიალების შემდეგ დღემდე პოლიტიკური სპექტრიდან განდევნილია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებების მატარებელი პარტიების დიდი ნაწილი, კერძოდ, ფაქტობრივად დღემდე იგნორირებულია იმ უზენაესი საბჭოს ფუძემდებელი პარტიები, რომელმა უზენაესმა საბჭომაც საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში შეძლო 31 მარტის რეფერენდუმის ჩატარება, 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის გამოცხადება და შემდეგი კანონების მიღება:

საქართველოს კანონი "გარდამავალი პერიოდის შესახებ" (1990 წლის 14 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესმა საბჭომ მიიღო ეს კანონი, რომ უმტკივნეულოდ განხორციელებულიყო საბჭოთა იმპერიის სტრუქტურების ჩანაცვლება ქართულ სახელმწიფოებრიობაზე ორიენტირებული სამსახურებით); მას მოჰყვა სხვა კანონები და დადგენილებები:

- საქართველოს რესპუბლიკის კანონი გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ;
- საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ
- საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო დროშის შესახებ;
- საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო გერბის შესახებ;
- საქართველოს რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო ჰიმნის შესახებ.
- საქარველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება შინაგანი ჯარის ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ;
- საქართველოს რესპუბლიკის კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ;
- დადგენილება "შინაგან ჯარებში — ეროვნულ გვარდიაში გაწვევის დებულების შესახებ";
- საქართველოს რესპუბლიკის კანონი პრივატიზაციის შესახებ;
- საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ ოლქის სტატუსის შეცვლის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ;
- საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ; აქვე აღვნიშნავთ, რომ 1991 წლის 23 მარტს

ყაზბეგში გაიმართა ზვიად გამსახურდიას შეხვედრა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბორის ელცინთან. შეხვედრის შემდეგ მიღებულ ოქმში რუსეთის პრეზიდენტის თანხმობით ჩაიწერა ტერმინი „ყოფილი სამხრეთ ოსეთი“, რითაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში დაადასტურა ავტონომიური ოლქის გაუქმების ფაქტი;

- საქართველოს რესპუბლიკის კანონი პოლიციის შესახებ;
- საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამეწარმეო საქმიანობის შესახებ;
- საქართველოს რესპუბლიკის კანონი ეკონომიკური სისტემის საფუძვლების შესახებ;
- საქართველოს რესპუბლიკის კანონი სასამართლო რეფორმის შესახებ;
- საქართველოს რესპუბლიკის კანონი პრეფექტურების შესახებ;
- საქართველოს რესპუბლიკის კანონი საკრებულოების შესახებ;
- საქართველოს რესპუბლიკის კანონი პრესის შესახებ;
- საქართველოს რესპუბლიკის კანონი პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ;
- საქართველოს რესპუბლიკის დადგენილება სამოქალაქო და რელიგიური დღესასწაულების შესახებ;
- საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. რეფერენდუმში მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა 3.302.572 კაცს (90,3 პროცენტი). რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო სამხრეთ ოსეთის ყოფილი ოლქისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობამაც. რეფერენდუმში მონაწილეთა 98,9 პროცენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.
- 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი; 1991 წლის 9 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო სპეციალური რეზოლუცია (№94) “საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და დემოკრატიული ეროვნული ხელისუფლების მხარდაჭერის შესახებ”.
- საქართველოს რესპუბლიკის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ; 1991 წლის 14 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს პირველ პრეზიდენტად აირჩია ზვიად გამსახურდია.
- საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის ორგანიზებით 1991 წლის 26 მაისს ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საერთო-სახალხო არჩევნები. არჩევნებში მონაწილე

ამომრჩეველთა 89,59 პროცენტმა ხმა მისცა ზვიად გამსახურდიას და იგი გახდა ხალხის მიერ არჩეული საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი.

- საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება თავდაცვის სამინისტროს შექმნის შესახებ;
- საქართველოს რესპუბლიკის კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ;
- საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრკ ჯარებისათვის "საოკუპაციო ჯარების სტატუსის" მინიჭების შესახებ (1991 წლის 15 სექტემბერი);
- საქართველოს რესპუბლიკის კანონი ამნისტიის შესახებ;
- 1991 წლის 21 დეკემბერს ალმა-ათაში ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას: ალმა-ათაში დსთ-ს სახელით გაფორმდა რუსეთის მოდერნიზებული იმპერია: სსრ კავშირის მემკვიდრე გახდა ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, რომლის შემადგენლობაში არ შევიდნენ ბალტიისპირეთის სახელმწიფოები და საქართველო. ამის გამო რუსეთმა მეორე დღესვე, 22 დეკემბერს დაიწყო საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობის ოპერაცია; ხელისუფლების დამხობის პროცესი დასრულდა 1992 წლის 6 იანვარს.
- საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება 1991 წლის 22 დეკემბერს რესპუბლიკაში მომხდარი მოვლენების პოლიტიკური შეფასების შესახებ (მიღებულ იქნა დევნილობის პერიოდში);
- დადგენილება ჩეჩნეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ (მიღებულ იქნა დევნილობის პერიოდში)...

საქართველოს ინტერესების დამცველი პოლიტიკური სპექტრის პრობლემა საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საინფორმაციო ომის ფონზე

სასამართლოს წესით დღემდე შეუფასებელია ზემოთ დასახელებული კანონებისა და სამართლებრივი დოკუმენტების შემქმნელი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს იარაღის ძალით დამხობის ფაქტი. **ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ესეცაა, რომ საქართველოში ვერ ყალიბდება საქართველოს ინტერესების დამცველი პოლიტიკური სპექტრი და ამიტომაც, საქართველო აგებს საინფორმაციო ომს თითქმის ყველა მიმართულებით; საქართველოს დანაწევრების მოსურნეთა მიერ წარმატებით ხორციელდება:**

- საქართველოს ისტორიული კუთხეების: აფხაზეთის, სამეგრელოს, აჭარის, ხევსურეთის, თუშეთის, ცხინვალის, ჯავახეთის სამცხის, ტაოკლარჯეთის და სხვა მხარეების ისტორიის გაყალბებით ანტიქართული იდეოლოგემების ჩამოყალიბება და მთელ მსოფლიოში გავრცელება;
- მილიარდნახევარი მაჰმადიანისა და მილიარდნახევარი ქრისტიანის საზღვარზე არსებულ საქართველოში რელიგიური დაპირისპირების პროვოცირება;
- რუსეთის აგრესიის სახელდება ე.წ. სამოქალაქო ომად, "ქართულ-აფხაზურ" და "ქართულ-ოსურ" ეთნოკონფლიქტებად (სინამდვილეში კი ბათუმში, ზუგდიდში, გორში, ქუთაისსა თუ თბილისში მრავალ აფხაზსა და ოსს მშვიდობიანი თანაცხოვრება აქვს ქართველებთან);
- არაქართული ეთნიკური ჯგუფების სტიმულირება, დაუპირისპირდნენ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას;
- დაუსაბუთებელი ე.წ. ენათმეცნიერული თვალსაზრისის პროპაგანდა, რომლის მიხედვითაც ქართველური ენობრივი სამყარო ნაწევრდება რამდენიმე ქართველურ ენად და ამ საფუძვლით შედგენილი ე.წ. ეთნიკური რუკები ვრცელდება მთელ მსოფლიოში (რომელთა მიხედვითაც დასავლეთით ქართული ენის საზღვარია სამტრედია, ჩრდილო-დასავლეთით კი - ცაგერი); შედეგად დღეს ინტენსიურად მიმდინარეობს ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მცდელობა, რომლის საბოლოო მიზანია საქართველოს საბოლოო დანაწევრება;
- ტრადიციული ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორიენტირების დისკრედიტირება თუ შეცვლის მცდელობა და სხვ.

არსებულ სიტუაციაში რეალური საფრთხე ემუქრება როგორც საქართველოს სახელმწიფოს, ასევე, ქართველი და აფხაზი ხალხების იდენტობას. კრიზისიდან გამოსავლის მოძებნა შესაძლებელია მკაფიოდ ჩამოყალიბებული ეროვნულ-სახელმწფოებრივი ფასეულობებისა და გამოკვეთილი სტრატეგიის აღორძინების შემთხვევაში; პირველ რიგში კი აუცილებელია 1991-93 წლებში კანონიერი ხელისუფლების დამხობის ფაქტის გამოძიება საერთაშორისო მონიტორინგის პირობებში. აუცილებელია იმიტომ, რომ კავკასიის ცენტრალური სახელმწიფოს - საქართველოს - ხელისუფლებაში კვლავ არ მოხვდნენ პირები, რომლებიც, ბოლო წლებში არაერთხელ იქცნენ გარეშე ძალების ნების აღმსრულებლებად; აუცილებელია იმიტომაც, რომ ცივილიზებულმა მსოფლიომ ობიექტურად შეაფასოს მე-20 საუკუნის 90-იან წლებში კავკასიაში განხორციელებული რუსული აგრესია და წარმოჩნდეს აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში მიმდინარე კონფლიქტის არსი, ასევე, 2008 წლის აგვისტოში რუსული აგრესიის რეალური მიზანი - **საქართველოს დასჯა ნატოში გაწევრიანების პლებისციტის (2008)**

ჩატარების გამო; შდრ.: პლებისციტის კითხვა იყო: "უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს გაწევრიანებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო)?"

	დიახ	არა	სულ
ხმების რაოდენობა	1,355,328	404,943	1,760,271
%	77.00	23.00	100.00

ამ შედეგებით გამოჩნდა:

ქართველი ერის თანამედროვე თაობა შორს არის **გულუბრყვილო მოლოდინისგან**, რომ უახლოეს მომავალში ნატო იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის ასპროცენტიანი გარანტია; თუმცა თვლის, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი **ძირეული ინტერესის - საქართველოს დამოუკიდებლობა და სამართლიანობაზე ორიენტირებული სახელმწიფო - განხორციელების ყველაზე ეფექტური და პრაგმატული სტრატეგიაა ნატოში გაწევრიანება.** სწორედ დასავლური არჩევანის გამო ბოლო 25 წელიწადში საქართველო მეორედ დაარბია რუსულმა ჯარმა (პირველად 1992-93 წლებში).

უკანასკნელ ათწლეულებში საქართველოში მომხდარი სახელმწიფოებრივი დანაშაულების სამართლებრივი შეფასების პარალელურად, აუცილებელია:

ა) საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ქართული ენის მაკონსოლიდირებელი როლის წარმოჩენა და ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირების აღდგენის სტრატეგიის შემუშავება; ყველა სახის უმცირესობებისათვის საქართველოს სახელმწიფო ენის სწავლების ორგანიზებით საქართველოს სახელმწიფოში მათი ინტეგრაციის რეალური პირობების შექმნა; ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობისა და უდიდესი მემკვიდრეობის - ქართველთა კუთხური მეტყველებების (მეგრულის, ლაზურის, ხევსურულის, ტაოურის, თუშურის...) - შენარჩუნებისათვის ზრუნვა და ყველა ქართველური მეტყველებით ქართველთა საერთო სამწიგნობრო ენის/კულტურის გამდიდრება; ქართული ენის ტექნოლოგიზება /ქართულიდან და ქართულად აკადემიური ავტომატური თარგმანის განხორციელება და სხვ./, "ქართული ენის ნაციონალური კორპუსის შექმნა" /სადაც შევა სალიტერატურო ენისა და მისი ქვესისტემების - მეგრულის, სვანურის, ლაზურის, ტაოურის, ხევსურულის, იმერულის, ქართლურის... მონაცემები/ და ქართველოლოგიური კვლევების ორგანიზება;

ბ) საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ქართულენოვანი მართლმადიდებლობის /საქართველოს ეკლესიის/ განსაკუთრებული როლის

აღიარება; ქართული კულტურის ჩამოძერწვისა და ქართველთა ეთნიკური მეობის გადარჩენის კუთხით ქართულენოვანი მართლმადიდებლობის ისტორიული როლის გამოკვეთა სხვა კონფესიის ქართველთა, ზოგადად, სხვა კონფესიათა პატივისცემის ფონზე; ასევე, ქართულენოვანი მართლმადიდებლობის, როგორც საუკუნეებისწინანდელი პროდასავლური არჩევანის წარმოჩინება; ზოგადად, მსოფლიო საზოგადოებისათვის საქართველოს სახელმწიფოს ისტორიული პროდასავლური არჩევანის წარმოჩენა;

გ) საქართველოს საზღვრებს მიღმა მცხოვრები ავტოქთონი ქართველების (საინგილოს, ლორე-ტაშირის, ტაო-კლარჯეთის, ლაზეთის მკვიდრი ქართველობის) ეთნიკური იდენტობისა და ქართველური კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენისათვის ზრუნვა /ამ რეგიონებში ძალიან დიდია ქართული ენისა და ქართველთა ეთნიკური მეობის გაქრობის საფრთხე/;

დ) განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიულ დოკუმენტში არა ზოგადად მოქალაქის, **არამედ საქართველოს მოქალაქის აღზრდაზე ორიენტირება;** სწორი სახელმწიფოებრივი (ნაციონალური) ორიენტირების მკაფიოდ გამოკვეთა და ერთიან სახელმწიფოში მოქალაქეთა ინტეგრაციის პროცესის ინტენსიურად წარმართვა.

ე) საინფორმაციო თავდაცვის უზრუნველყოფა: რუსეთის იმპერია და მისი მხარდამჭერი ფსევდოდასავლური ძალები 150-წლიანი "ტრადიციის" კვალად ცდილობენ (ახლა უკვე Soft Power-ის ფორმატით) ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებას ("ეშმაკი ჰყოფს, ღმერთი აერთიანებს") და საინფორმაციო შეტევით საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და საქართველოს პოლიტიკური სპექტრის სრულ დისკრედიტაციას, ასევე, საქართველოს მოქალაქეების დეზორიენტაციას. დღეს პუტინის კლანის მიერ მართული რუსეთი თავისი "უხეში" და "რბილი" ძალების კოორდინირებული ქმედებებით აქტიურად ცდილობს, საქართველო საბოლოოდ დააბრუნოს თავის გეოპოლიტიკურ ველში (ევრაზიული ამბიცია!). პრორუსული პოლიტიკური ჯგუფები თუ სუბიექტები ისევ გადანაწილებულნი არიან დაპირისპირებულ ბანაკებში და ცდილობენ, მართონ დასავლეთელი ექსპერტებისა თუ რეგიონის მოსახლეობის განწყობა (ისევ აპელირება არარსებულ დიქტატურაზე, დემოკრატიის არარსებობაზე, უმცირესობათა უფლებებზე და სხვ.). ამ ფონზეა აუცილებელი საქართველოს პოლიტიკური თუ სამეცნიერო ელიტის მობილიზება, რომ საერთაშორისო სივრცეში თუ საკუთრივ საქართველოში დაბალანსდეს საუკუნის მანძილზე შექმნილი ე.წ. მეცნიერული იდეოლოგემები. ამ გზაზე პირველ რიგში აუცილებელია 9 აპრილის ფენომენის არსის წარმოჩენა.

9 აპრილი - საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და ამ ბრძოლაში გამარჯვების დღე

ვფიქრობ, 9 აპრილი არის 200-წლიანი რუსული ოკუპაციის პირობებში დაკარგული თუ გაუფერულებული ქართული ეროვნული ორიენტირების დაბრუნების სიმბოლო და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე; არადა, დღემდე, ოფიციალურადაც კი 9 აპრილი გლოვის დღედ ან ტრაგედიის დღედ განიხილება.

1989 წლის 9 აპრილს მოწინავე ქართველების გმირულმა წინააღმდეგობამ გააერთიანა ქართველი ერი (საქართველოს მოსახლეობა) **ეროვნული ფასეულობების გარშემო, იმ ღირებულებების გარშემო, რომელთაც ამდენ ხანს გააძლებინეს ქართველ ერს. ეს ფასეულობები განსაზღვრავდა და მომავალშიც განსაზღვრავს ქართველობის სიცოცხლისუნარიანობას და თავგანწირვას.** ვინც 1989 წლის აპრილის დასაწყისში მასშტაბურ ეროვნულ აქციაზე უიარაღოთ ვიდექით რუსული ტანკების წინ, ყველას **სრულად გვქონდა გააზრებული სიკვდილის საფრთხე**; მზად ვიყავით საქართველოსთვის თავის გასაწირად. იმპერიის მხრიდან სასტიკი ანგარიშსორების შესახებ ბოლო საათებში მომიტინგენი გაართხილა **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ**; ხანგრძლივი დუმილის შემდეგ აქციის ყველა მონაწილე ადგილზე დავრჩით... **ჩვენთვის იქ დარჩენა იყო გააზრებული თავგანწირვა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის: გამორჩეულთა ხვედრი გახდა მოწამეობრივი სიკვდილი.**

1989 წლის 9 აპრილის დილას რუსთაველზე ეროვნული ელიტა თუ იყო შეკრებილი, 10 აპრილს მთელი საქართველოს მოსახლეობა იდგა ამ ეროვნული ელიტის გვერდით. რეალურად, **ეს იყო სრული ეროვნული კონსოლიდაცია, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად.** 9 აპრილს მომიტინგეთა შეუპოვრობამ გააერთიანა ქართული საზოგადოება და საქართველოში მცხოვრები სხვა მოქალაქეები **თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს იდეის** გარშემო; **ამ ერთიანობამ შვა საქართველოს დამოუკიდებლობა;** კერძოდ, ზვიად გამსახურდიას მიერ მობილიზებულმა სახალხო მოძრაობამ საქართველოს მოსახლეობას აჩვენა, რომ დამოუკიდებლობის იდეა გადამრჩენია როგორც პიროვნებისა, ასევე, ზოგადად, ქართველი ერის მომავლისა და საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფებისა; ამ იდეით კონსოლიდირებულმა მოსახლეობამ 1991 წლის 31 მარტს თითქმის ერთხმად განაცხადა, რომ აღარ სურს ყოფნა საბჭოთა იმპერიაში, რუსულ იმპერიაში და სურთ დამოუკიდებელი ცხოვრება!

1989 წლის 9 აპრილს საქართველოს მოსახლეობამ უიარაღოდ გაიმარჯვა საბჭოთა იმპერიაზე, რასაც მოჰყვა შეუქცევადი პროცესები: კომუნისტური პარტიის დაშლა, ეროვნული პარტიების შექმნა, საქართველოს

კოლაბორაციონისტული მთავრობის უსუსურობა და ეროვნული ხელისუფლების არჩევის აუცილებლობა და სხვ.

9 აპრილს დისტანციიდან თუ შევხედავთ, შეგვიძლია ვთქვათ: **1989 წლის 9 აპრილი იყო "გამოსვლა ეგვიპტიდან", ეს იყო გააზრებული გადაწყვეტილება და დამოუკიდებლობისკენ სვლის დაწყება, ეროვნული და ქრისტიანული ფასეულობების, როგორც ორიენტირების, აღორძინება!**

1989 წლის 9 აპრილი არის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დასაწყისი, ხოლო 1991 წლის 9 აპრილი საქართველოს დამოუკიდებლობის დე იურე გაფორმებაა (თუმცა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დღემდე გრძელდება). მთლიანობაში **9 აპრილი არის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლო** და არა - გლოვის დღე (9 აპრილი გლოვის დღეა რუსეთის იმპერიისათვის). გამარჯვებით დასრულებულ ყველა ბრძოლაში დაცემულა გმირი მებრძოლი; ამის გამო არავის გამოუცხადებია გამარჯვების დღე გლოვის დღედ: დიდგორშიც დაიხოცნენ გმირები, მაგრამ ეს დღე გლოვის დღედ არავის გამოუცხადებია.

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ აღზევდა ეროვნული მოძრაობა: "საბჭოთა ხალხი" სწრაფად ტრანსფორმირდა ნაციად, ერად. ერს აღარ სურდა რუსულ იმპერიაში ცხოვრება და ეს სურვილი რომ რეალურ ქმედებაში გადასულიყო, ზვიად გამსახურდიამ მართებული გზა აარჩია: არასაბჭოთა, დემოკრატიულ და მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვება და რეფერენდუმის გზით ხალხის ნების დაფიქსირება. 31 მარტის რეფერენდუმის შემდეგ - 1991 წლის 9 აპრილს - მართლაც შეიქმნა საერთაშორისო სამართლის დონეზე გააზრებული დოკუმენტი - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, რითაც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად, მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ სურს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. მსოფლიომ საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო წორედ 9 აპრილის აქტის საფუძველზე; შესაბამისად, ბუნებრივია, რომ **საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 9 აპრილია** (და არა 26 მაისი). დამატებითი არგუმენტის სახით აქ მოკლედ ვიტყვი: დამოუკიდებლობის დღე მსოფლიოში ცხადდება ორი საფუძვლით**:**

- სახელმწიფოს დაფუძნების დღის მიხედვით - ეს დღე ჩვენ არ გვახსოვს, ეს იყო 23 საუკუნის წინ, თუ ჩვენ ავითვლით ფარნავაზიდან და ქუჯიდან, 33-35 საუკუნის წინ, თუკი ავითვლით აიეტის კოლხეთის მიხედვით...
- არსებობს მეორე პრაქტიკაც: დამოუკიდებლობის დღედ ცხადდება ბოლო დამოუკიდებლობის აღდგენის დღე. შდრ.: დღემდე საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ აღინიშნება 26 მაისი, მაშინ როცა 26 მაისი არ არის არც საქართველოს სახელმწიფოს დაფუძნების დღე და არც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ის დღე, რომ-

ლის საფუძველზეც საქართველოს სახელმწიფოობრიობა ცნო მთელმა მსოფლიომ. საქართველოს დამოუკიდებლობის ბოლო აღდგენა იყო 9 აპრილს; ასე წერია კიდეც მოქმედ კონსტიტუციაში; გაეროს დოკუმენტებშიც აღნიშნულია, რომ 9 აპრილის აქტის საფუძველზე გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა; მაგ., **საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის პირველივე მუხლში ვკითხულობთ:**

"საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით".

ლოგიკურია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ აღინიშნებოდეს 9 აპრილი (რამდენადაც, არავის ახსოვს მრავალსაუკუნოვანი საქართველოს სახელმწიფოს დაფუძნების დღე (რომელიც იყო სულ მცირე 24 საუკუნის წინ). რამდენადაც 9 აპრილი არის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლისა (1989 წ 9 აპრილი) და დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების დღე (1991 წლის 9 აპრილი)... გაუმართლებელია 9 აპრილის გმირების გამოცხადება ე.წ. ტრაგედიის მსხვერპლად, ისინი ბრძოლაში დაღუპული გმირები არიან და წმინდანების რანგში უნდა განვიხილოთ, რამდენადაც მათ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის გაწირეს ხორციელი სიცოცხლე.

სამწუხაროდ, დღემდე საქართველო არ არის სრულად დამოუკიდებელი; ჩვენი ტერიტორების ნაწილი დე ფაქტო ოკუპირებულია; იქიდან ქართველობა გამოდევნილია; გაცილებით ბევრი ქართველი მოკლეს ოკუპანტებმა ქართველობისათვის (ვიდრე 9 აპრილს); ქართველობისათვის დევნილნი არიან ჩვენი ძმები და დები აფხაზეთიდან და ცხინვალის მხარიდან და ისინი არანაკლებ ტანჯულნი არიან და არანაკლები გმირები არიან, ვიდრე 9 აპრილის გმირები... ამდენი გმირობა უთუოდ მოიტანს შედეგს და საქართველო სრულად იქნება დამოუკიდებელი, ჩვენი მემკვიდრეები კი წინაპრების დატოვებული დედაენისა და კულტურის განმავითარებელნი... მთავარია, საქართველოს დამოუკიდებლობა დე იურე არსებობს; ჩვენი სამომავლო ამოცანაა, დე ფაქტოც დავიბრუნოთ ის, რაც ჩვენი წინაპრების სისხლით ჩვენამდე იყო შენარჩუნებული. თავისთავად არაფერი ბრუნდება; აუცილებელია საქართველოს მოსახლეობის სწორი ორიენტირება და ქვეყნის სამომავლო სტრატეგიის განსაზღვრა; ეს კი შეუძლებელია, შორეული თუ უახლოესი წარსულის არაობიექტური განსჯის პირობებში. სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ საქართველოს შემდგომი ხელისუფლებების მიერ (დღემდე) ფაქტობრივად უსამართლოდ და მიზანმიმართულადაა მივიწყებული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ღვაწლიც, საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრების თავგანწირვაც და 9 აპრილის მოვლენების რეალური არსიც.

საქართველოს საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტი და ქართველი ერის ჯონსოლიდაცია

საქართველოში და საქართველოს გარშემო მიმდინარე მოვლენების შეფასების მიმართულებით ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის** მიერ დაფუძნებული საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი; კერძოდ, ქართულ უნივერსიტეტში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის სრულუფლებიანი წარმომადგენლის, **მეუფე იაკობის კურთხევით** უნივერსიტეტის რექტორი, **აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი სერგო ვარდოსანიძე** 2011 წლიდან ყოველი წლის 9 აპრილს საზეიმო შეხვედრაზე ოფიციალურად იწვევს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერ დეპუტატებს.

საყურადღებო ფაქტი: ერთ-ერთი ასეთი საზეიმო შეხვედრის მონაწილეებს ემოციური სიტყვით მიესალმა **საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, დამოუკიდებლობის აქტზე ხელისმომწერი აფხაზი მოღვაწე - ბათუმელი მწერალი ანზორ კუდბა,** რომლის ტექსტსაც აქვე გთავაზობთ:

„ეს დღე ყველაზე დიდი და საოცარი დღეა საქართველოში: 1989 წლის 9 აპრილი - გმირობისა და გმირთა დაღუპვის გამო მწუხარების დღე და 1991 წლის 9 აპრილი -საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე! მწუხარება და სიხარული საქართველოს ბედისწერაა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა: იყო მძიმე წლები და გზა ბედით თუ უბედობით; დავკარგეთ ჩვენი ღვიძლი დები და ძმები, ოკუპირებულია ჩვენი ტერიტორიები და დღეს სრულიად საქართველოც ვეღარ ვართ: მოსანანიებელი ბევრი გვაქვს და თუკი სინამდვილეს თვალს გაუსწორებთ, ცხადი იქნება ჩვენთვის, რომ ჩვენც ბევრი შეგვიცოდავს. ღვთისმშობლის წილხვედრ მიწას ღმერთი არ გაწირავს: ერსა თუ ბერს შეგვაკავშირებს ერთ მტკიცე ჯაჭვად, რომლის დაწყვეტას ვერავითარი ბოროტი ძალა ვერ შეძლებს. დადგება ჩვენი ზეობის დღეც“.

ქართული უნივერსიტეტის ეს ინიციატივა მიზნად ისახავს მთავარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალების გარშემო საზოგადოების კონსოლიდაციას. ფაქტია, რომ პირველად სწორედ აქ, ქართულ უნივერსიტეტში, შეძლეს დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მომწერმა ორი დაპირისპირებული პოლიტიკური ძალის წარმომადგენელმა დეპუტატებმა ერთმანეთისთვის ხელის ჩამორთმევა. აქ გამოიკვეთა, რომ მათ შერიგება შეუძლიათ, რადგან,

მიუხედავად იმისა, რომელ მხარეს იდგნენ ისინი და რომელ ბანაკს ეკუთ-ვნოდნენ, ისინი არიან დეპუტატები, რომელთაც ხელი მოაწერეს დოკუ-მენტს, რომელმაც აღადგინა 70 წლის წინ დაკარგული სახელმწიფოებრიობა.

1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული
საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს წევრები:

აბაკელია ვაჟა
აბაშიძე ასლან
აბესაძე ბეჟან
აბზიანიძე შალვა
ადამია ვაჟა
ალექსიძე ლევან
ანდღულაძე ლია
არაბული ალექსი
არევაძე დავით
ასათიანი აკაკი
ასათიანი ლევან
აფაქიძე ანდრია
აფრასიძე ბიმურზა
ახვლედიანი ალექსანდრე
ახმეტელი ლევან (ლერი)
ბალარჯიშვილი მერაბ
ბარათაშვილი იოსებ
ბარათაშვილი პაატა
ბარამიძე თენგიზ
ბდოიან მელს
ბეჟაშვილი თენგიზ
ბერძენიშვილი დავით
ბიბინეიშვილი ბესარიონ
ბობოხიძე აკაკი
ბოკუჩავა ზვიად
ბურკაძე იური
ბურჭულაძე ნემო
გაბაშვილი მანანა
გამსახურდია ზვიად
გამყრელიძე თამაზ
გასანოვ აკიფ
გაფრინდაშვილი შოთა
გაჩეჩილაძე გივი
გელანტია ტარიელ
გვანცელაძე თეიმურაზ
გველესიანი თამაზ
გვერდწითელი გურამ
გიგოლაშვილი ზურაბ
გიორგობიანი ბიძინა
გოგაძე დავით
გოგუაძე ემზარ
გოლეთიანი გივი
გოლეთიანი ჯემალ
გონაშვილი ბეჟან
გოცირიძე რომან
გუგავა ბერდია
გუგუშვილი ეთერ
გუგუშვილი თამაზ
გულბანი გიორგი
გულუა ბაკურ
გუმბარიძე გივი
გურგენიძე ვაჟა
გუჩუა ზურაბ
გუჯაბიძე გურამ
დანგაძე ბიძინა
დევნოზაშვილი ზაქარია
დეკანოსიძე თამარ
დვალიშვილი დემურ
დვალიშვილი მალხაზ
დიაკონიძე ფირუზ
დიასამიძე თამაზ
დიხამინჯია თენგიზ
დოგუზოვი პავლე
დომუხოვსკი ვიქტორ
ელოშვილი ომარ
ვარძელაშვილი ალექსანდრე
ზვიადაძე სალომე
თალაკვაძე გივი
თაქთაქიშვილი გივი
თოიძე პაატა
თომაძე მაია
თუშმალიშვილი მედეა
იმერლიშვილი გივი
იმნაძე ავთანდილ
იმნაძე ნოდარ
ინასარიძე ხვედრი
ინგოროყვა ანტონ
იონათამიშვილი ჯემალ
იოსელიანი რამაზ
ისაკაძე გრიგოლ (გურამ)
კავსაძე ალექსანდრე
კალაძე ამირან
კანდელაკი ზურაბ
კანკავა გურამ
კაპანაძე კონსტანტინე
კასრაძე სოსო
კაცაძე ლია
კახიანი ზაალ (ზაზა)

კემულარია რევაზ
კეშელავა ვარლამ
კვანჭილაშვილი მალხაზ
კვაჭაძე ნუგზარ
კვეზერელი ალექსი
კვეტენაძე ავთანდილ
კვიციანი კანდიდ (კახა)
კიკნაძე მერაბ
კილასონია ნიკოლოზ
კიტოვანი თენგიზ
კობაძე აკაკი
კობერიძე გელა
კონცელიძე რესან
კორძაძე გაიოზ
კოსტავა ზაურ
კოღუაშვილი პაატა
კუბლაშვილი თენგიზ
კუდბა ანზორ
კუპრეიშვილი დავით
ლობჟანიძე გივი
ლორთქიფანიძე თეიმურაზ
ლორთქიფანიძე როსტომ
მათიაშვილი აკაკი
მამალაძე ნუგზარ (ხუტა)
მამულაძე ნოშრევან
მამფორია თენგიზ
მარგიანი ავთანდილ
მარგიანი გრიგოლ
მარკოზია არკადი
მარჯანიშვილი გიორგი
მასხარაშვილი ირაკლი
მაქაცარია გურამ
მაყაშვილი მიხეილ
მაჭავარიანი არჩილ
მაჭავარიანი მაია
მაჭავარიანი მუხრან
მგალობლიშვილი ნუგზარ
მდინარაძე თემურ
მელაშვილი ირაკლი
მელაძე ალბერტი (ალიკო)
მემარნიშვილი როდენ
მეტრეველი როინ
მეუნარგია ვახტანგ
მინდიაშვილი არჩილ
მირიანაშვილი მირიან
მირცხულავა ველოდი
მოლოდინაშვილი ნუგზარ
მჟავია თემურ
ნადარეიშვილი ზვიად
ნადარეიშვილი თამაზ
ნათაძე მაია
ნათაძე ნოდარ
ნარმანია იგორ
ნინიძე თევდორე
ნონიაშვილი ნოდარ
ობგაძე თამაზ
ოდიშარია არჩილ
ოჩიაური გიორგი
პაატაშვილი თედო
პავშენცევი ალექსანდრე
პაპუნიძე გურამ
პეტრიაშვილი სიმონ (გურამ)
პეტრიაშვილი რობერტ
პოპიაშვილი ავთანდილ
ჟორჟოლიანი თამაზ
ჟღენტი ალექსანდრე
რიგვავა სერგო
რცხილაძე ავთანდილ
საკანდელიძე ანზორ
სალუქვაძე მინდია
სალუქვაძე რევაზ
სანებლიძე ნიკოლოზ
სანიკიძე გუბაზ
სანიკიძე ზურაბ
საყვარელიძე ავთანდილ
საყვარელიძე მერაბ
საჯაია ნუგზარ
საჯაია ჯემალ
სილაგაძე აპოლონ
სიჭინავა ანზორ
სუბელიანი გია
სურმანიძე რამაზ
ტაბიძე დავით
ტალიაშვილი ირინე
ტურაშვილი ივანე (უშანგი)
ტუხაშვილი ლოვარდ
უგრეხელიძე მინდია
ურიათმყოფელი გივი

ურიდია მერაბ
ფაჩუაშვილი ჯეირან
ფაცაცია გერმანე
ფიდანიან მამიკონ
ფიროსმანაშვილი დალი
ფირცხალავა კონსტანტინე
ფირცხალაიშვილი გია
ფრანგიშვილი ივერი
ფუტკარაძე ტარიელ
ფხალაძე ვიქტორ
ქავთარაძე გიორგი
ქაშაკაშვილი გურამ
ქებურია დიმიტრი
ქიტიაშვილი შოთა
ქობალია ზაურ
ქობულაშვილი ალექსანდრე
ქორიძე თეიმურაზ
ქუთათელაძე ბესიკ
ქუთელია ნათელა
ღონღაძე რუსლან
ყაველაშვილი ეთერ
ყრუაშვილი ანრი
ყურაშვილი თამაზ
შავთვალაძე ნუგზარ
შაიშმელაშვილი გიორგი
შანიძე მზექალა
შარიქაძე ვალერიან
შაშიაშვილი თეიმურაზ
შენგელაია ელდარ
შონია ჯემალ
შურღაია ვალტერ
შუშანაშვილი ალექსანდრე
ჩაფიჩაძე კუკური
ჩაჩავა თენგიზ
ჩეჩელაშვილი გიორგი
ჩიტლოვი ფოტი
ჩიქავა გოგი
ჩიქავა ლეო
ჩოლოყაშვილი ბიძინა
ჩორგოლაშვილი გელა
ჩხეიძე ირაკლი
ჩხეიძე პაატა
ცაგარეიშვილი ვახტანგ
ცომაია შალვა
ცოფურაშვილი ვლადიმერ
ცხომელიძე რომან
ძიძიგური აკაკი
ძიძიგური ზვიად
ძოძუაშვილი მანანა
ძოწენიძე ზურაბ
წითლანაძე გიორგი
წიკლაური მირიან
წიკლაური შალვა
წინწალაშვილი შალვა
წიქარიძე ზურაბ
წულეისკირი ნოდარ
ჭითავა ვახტანგ
ჭითანავა ნოდარ
ჭილაშვილი ლევან
ხაბულიანი დილარ
ხავთასი გია
ხანიშვილი ტრისტან
ხარატიშვილი გურამ
ხარაძე ევგენი
ხაჭაპურიძე ნიკოლოზ
ხახვა თენგიზ
ხონელიძე გიორგი
ხოშტარია გიორგი
ხუციშვილი მალხაზ
ჯავახია ბეჟან
ჯავახიშვილი ნინო
ჯანბერიძე ნოდარ
ჯანელიძე ედუარდ
ჯანელიძე თამაზ
ჯანელიძე თეიმურაზ
ჯანჯულია ედიშერ
ჯაფარიძე ბადრი
ჯაფარიძე ბუხულა
ჯაში ვიტალი
ჯიქია ბონდო
ჯოლოგუა ვლადიმერ
ჯორჯიაშვილი მიხეილ

ვაჟა ბორისის ძე აბაკელია

დაიბადა 1948 წლის 26 ნოემბერს მარტვილში. მეუღლე – ლელა აბაკელია; შვილები: თამარი, ნინო, ბორისი (დაჩი). განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნე-იურისტის სპეციალობით (1971); თსუ ასპირანტურა სამართლის თეორიის განხრით (1978). კარიერა: ლენინის (ნაძალადევი) რაიონის მოსამართლე (1980-90); გეგეჭკორის (მარტვილი) რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, კომპარტიის რაიკომის პირველი მდივანი (1990). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, №65 მარტვილის საარჩევნო ოლქი, კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის წევრი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სისხლის სამართლის კოლეგიის თავმჯდომარე (1990-91); საქართველოს რესპუბლიკის (დამოუკიდებლობის პერიოდის პირველი) გენერალური პროკურორი (1991-92); საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე (1992-93); სამგორის რაიონის პროკურორი (1993-2001); ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურორი (2001-2005); საქართველოს გენერალური პროკურატურის პასუხისმგებელი მუშაკი. თბილისის ეკონომიკური უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი ადამიანის უფლებათა სამართალსა და სამართლის თეორიაში. იუსტიციის ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი; ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში; პუბლიკაციების ავტორი იურიდიულ საკითხებზე.

ასლან იბრაჰიმის ძე აბაშიძე

დაიბადა 1938 წლის 20 ივლისს ბათუმში. შვილები: გიორგი, დიანა. განათლება: ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი (1962); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი (1984). კარიერა: ქ. ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგი (1962-65); პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების დირექტორი (1965-80); ბათუმის საქალაქო კომიტეტის აღმასკომის თავმჯდომარე (1981-84); აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი, საქართველოს სსრ საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილე (1984-89); საყოფაცხოვრებო მომსახურების

სახელმწიფო კონცერნ "საქყოფსერვისის" პრეზიდენტი (1989-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): პროპორციული წესით, №10 მრავალმანდატიანი ოლქი, ბლოკი "მშვიდობა". საქართველოს პარლამენტის წევრი (1995-99): სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის სიით; პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე (1992-95); 2000 წელს დატოვა პარლამენტი პირადი განცხადების საფუძველზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (1991-2004). აღმოსავლეთმცოდნეთა ასოციაციის, პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი; საპატიო ნიშნის და დიდების ორდენის კავალერი; დემოკრატიული აღორძინების კავშირის თავმჯდომარე; გენერალ-მაიორი. დატოვა საქართველო 2004 წლის 6 მაისს.

ბეჭან გოგიტას ძე აბესაძე

დაიბადა 1957 წლის 13 მარტს ტყიბულში. მეუღლე – დარეჯან ჩუბინიძე; შვილები: თამარი, რუსუდანი. განათლება: თბილისის პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით (1985); მეორადი ფაკულტეტი ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით (1985). კარიერა: სავალდებულო სამხედრო სამსახური (1976-78); თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სასცენო მექანიზაციის უფროსი მექანიკოსი (1979-86); ტყიბულის ინდუსტრიული ტექნიკუმის მასწავლებელი (1986-87); გაზეთ "ტყიბულის" სტილისტი (1988-90). ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციის დელეგატი (1990, მარტი). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", №57 ტყიბულის საარჩევნო ოლქი, ილია მართლის საზოგადოება, უზენაესი საბჭოს მუდმივმოქმედი სამდივნოს და მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის წევრი; საპრეზიდენტო არჩევნებზე პრეზიდენტობის კანდიდატ – ზვიად გამსახურდიას ნდობით აღ-ჭურვილი პირი ტყიბულის რაიონში. ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). პოლიტიკური ორგანიზაციის – "ქარტია 91" დამფუძნებელი

წევრი. ქ. ტყიბულის პირველი პრეფექტი. ქ. ტყიბულის განათლების განყოფილების პედაგოგ-ორგანიზატორი (1992-98); ქ. ტყიბულის №5 საშ. სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი (1994-95); ტყიბულის რ-ნის საკრებულოს წევრი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე (1998-2002); ქ. ტყიბულის კულტურის ცენტრის დირექტორი (1999-2006); ტყიბულის სახალხო თეატრის სცენაზე (პირველად) მისი რეჟისორობით დაიდგა დავით ტურაშვილის პიესა "ტრუბადურები" (2002); თეატრალური ფესტივალის – "იმერეთი 2002" ლაურეატი. 1998 წლიდან ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

† შალვა (შუქრი) გიორგის ძე აბზიანიძე

დაიბადა 1952 წლის 8 აგვისტოს თბილისში. მეუღლე – ნატალია გაბუნია; შვილები: ნინო, გიორგი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი (1974). კარიერა: თსუ-ს: მეცნიერ-თანამშრომელი (1974-81), სოციალური ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი (1981-2006), ასოცირებული პროფესორი 2006 წლიდან, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თსუ-სა და მოსკოვის, იენის, ბრატისლავის, ლიუბლიანის უნივერსიტეტებს შორის შესრულებულ ერთობლივ სამეცნიერო კვლევებს. ჰერთფორდშაირის (ინგლისი) და ამსტერდამის უნივერსიტეტებთან და ლონდონის სამეფო კოლეჯთან ერთობლივი პროექტის (1999-2001), ლონდონის სამეფო კოლეჯის, ათენის, ანკარის, აღმოსავლეთ ლონდონისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების ერთობლივი კვლევითი პროექტის (2006-2007) კოორდინატორი. სენტ ლუისის უნივერსიტეტის პროფესორ ალან ლამბერტთან ერთად სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "დისკრეპანტული ქცევა და სოციალური განწყობების შეცვლა სოციალიზაციის პროცესში"; ფსიქოლოგიის დოქტორი. 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. თსუ ფსიქოლოგიის დეპარტამენტის დირექტორი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, №9 ნაძალადევის თემქის საარჩევნო ოლქი, უზენაესი საბჭოს

ინფორმაციისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელი, ეკონომიკური რეფორმების კომისიის მდივანი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). გარდაიცვალა 2015 წლის 3 სექტემბერს.

ვაჟა გიორგის ძე ადამია

დაიბადა 1950 წლის 26 მაისს თბილისში. მეუღლე – ნატო ადამია; შვილები: გიორგი, ნინო. განათლება: ქ. თბილისის კბილის სატექნიკო სასწავლებელი (1968); ქ. ჩიტას სამედიცინო ინსტიტუტი ექიმი-სტომატოლოგის სპეციალობით (1981). კარიერა: თბილისის №1 და №9 სტომატოლოგიური პოლიკლინიკების კბილის ტექნიკოსი (1968-76); დუშეთის რაიონული საავადმყოფოს ექიმი, თბილისის №3 საბაზო სამედიცინო სასწავლებლის ექიმი-პედაგოგი, №10 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ორთოპედიული განყოფილების გამგე, №2 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ორთოპედი, ამიერკავკასიის რკინიგზის საავადმყოფოს ინპლანტაციისა და პროთეზირების განყოფილების ქირურგი (1981-88). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: პრეზიდიუმის წევრი, საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", ცხინვალის საარჩევნო ოლქი, თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): საკომპენსაციო სიით, მერაბ კოსტავას საზოგადოება, მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისიის თავმჯდომარე. მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარე. მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დასახლების ფონდის თავმჯდომარე.

ლევან ანდრიას ძე ალექსიძე

დაიბადა 1926 წლის 5 ივნისს თბილისში. მეუღლე – თინათინ ქართველიშვილი; შვილები: ანდრო, გიორგი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1946). კარიერა: თსუ ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი (1950-69); გაერო-ს სამდივნოს ადამიანის უფლებათა განყოფილების წამყვანი თანამშრომელი, აშშ საერთაშორისო სამართლის საზოგადოების წევრი (1970-77); საერთაშორისო სამართლის მსოფლიო ასოციაციის წევრი, ეროვნული განყოფილების საერთაშორისო სამართლის საბჭოთა ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი (1977-91). თსუ პირველი პრორექტორი სასწავლო დარგში (1985-93). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომპარტიისაგან, საგარეო ურთიერთობათა კომისიის წევრი, იურიდიული კომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი, საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე (1992); საქართველოს პრეზიდენტის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი საერთაშორისო სამართლის საკითხებზე (1993-2003); მონაწილეობდა მოლაპარაკებებში აფხაზეთის სტატუსის შესახებ ჟენევაში, მოსკოვსა და ნიუ-იორკში. თსუ საერთაშორისო სამართლის კათედრის გამგე 1997 წლიდან; საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი (2009-2010). საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "გაერო-ს უშიშროების საბჭო"; სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობანი XV-XVIII საუკუნეებში". მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, 20-ზე მეტი მონოგრაფიის და სახელმძღვანელოების ავტორი; საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერების დარგში; ღირსების ორდენის კავალერი.

† ლია ნიკოლოზის ასული ანდღულაძე

დაიბადა 1931 წლის 2 აპრილს თბილისში. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1955). კარიერა: თბილისის სხვადასხვა საშუალო სკოლის მასწავლებელი (1955-57); 1957 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის

უფროსი ლაბორანტი, უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრი (1991). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. რუსეთ-საქართველოს თანამედროვე ჰუმანიტარული უნივერსიტეტის პროფესორი (2003-2005); საქართველოს ეროვნული სათათბიროს თავმჯდომარე. მონოგრაფიების, სამეცნიერო შრომების ავტორი. გარდაიცვალა 2010 წლის 23 ივლისს.



ალექსი დავითის ძე არაბული

დაიბადა 1948 წლის 27 თებერვალს საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორში. მეუღლე – ანა გზირიშვილი; შვილები: მინდია, ბერდია. განათლება: თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ფილოლოგიის სპეციალობით (1972). კარიერა: ალკკ საგარეჯოს რაიკომის ინსტრუქტორი, მესამე მდივანი (1973-75), პირველი მდივანი (1975-81); საგარეჯოს რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილე (1982-85); საგარეჯოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი (1986-2000). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, №11 საგარეჯოს საარჩევნო ოლქი, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. ქართული ენის სახელმწიფო პალატის საგარეჯოს რაიონული სამმართველოს უფროსი (2000-2003); საქართველოს ლეიბორისტული პარტიის საგარეჯოს რაიონის კოორდინატორი.

დავით ბიკენტის ძე არევაძე

დაიბადა 1941 წლის 7 აგვისტოს თბილისში. მეუღლე – ეკატერინე კალანდარიშვილი; შვილები: ნინო, ნიკოლოზი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი (1963); მოსკოვის ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტი (1966). კარიერა: საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს ინჟინერი, უფროსი ინჟინერი, ჯგუფის უფროსი (1966-71); კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, განყოფილების გამგე (1971-95). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: დამოუკიდებელი მაჟორიტარი, №48 ხარაგაულის საარჩევნო ოლქი, მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); მრეწველობის კომისიის თავმჯდომარე (1990-92); მისი თავმჯდომარეობის პერიოდში პირველად იქნა ინიცირებული ისტორიული "აბრეშუმის გზის" საკითხი; კომისიის გადაწყვეტილებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ტრანსპორტის, მშენებლობის, მრეწველობის სამინისტროებისა და მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სპეციალისტთა მონაწილეობით, რომელთაც წარადგინეს პირველი ვარიანტი (1991). საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრის მოადგილე (1992-95); ამერიკულ-ქართული "ჯორჯია აბსოლუტ კონსალტინგის" აღმასრულებელი დირექტორი (1995-2003); კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორი 2003 წლიდან. გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "მადნეულის ბარიტ-სპილენძ-პოლიმეტალური საბადოს წარმოშობის ფიზიკო-ქიმიური პირობები", სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "კავკასიის მადნეული საბადოების გენეზისი"; მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი; მადნეულ-საბადოთა შესწავლისა და პროგნოზირების მის მიერ დამუშავებული მეთოდიკის საფუძველზე (პირველად მსოფლიოში, აშშ მეცნიერებთან პარალელურად) სსრკ გეოლოგიის სამინისტროს დაკვეთით ქვეყნის უდიდესი საბადოების (კავკასია, ურალი, ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი) შესასწავლად ჩატარებული გეოლოგიური კვლევითი ექსპედიციების ხელმძღვანელი და შრომათა კრებულის ავტორი; საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი.

აკაკი თორნიკეს ძე ასათიანი

დაიბადა 1953 წლის 22 ოქტომბერს თბილისში. მეუღლე – ირინე აბულაძე; შვილები: თორნიკე, რატი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1977). კარიერა: სამხატვრო პედაგოგიური სასწავლებლის პედაგოგი (1978-79); საინფორმაციო სააგენტო "საქინფორმის" მთარგმნელი (1980-82, 1984-89); კულტურის სამინისტროს სარეპერტუარო კოლეგიის რედაქტორი (1983-84); ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე; ეროვნული ხსნის კომიტეტისა და ეროვნული ფორუმის წევრი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1990-91), უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (1991-92); ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): პროპორციული სიით, №6 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი. საქართველოს პარლამენტის წევრი (1999-2004): პარტიული სიით, ბლოკი "საქართველოს აღორძინება", ფრაქცია "ტრადიციონალისტის" თავმჯდომარე. ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე; საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია "სახალხო ფორუმი კეთილდღეობისა და დემოკრატიისათვის" დამფუძნებელი და თავმჯდომარე. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი (2013).

ლევან დიმიტრის ძე ასათიანი

დაიბადა 1953 წლის 9 მაისს თბილისში. მეუღლე – ნინო ასათიანი; შვილები: ირაკლი, ლევანი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით (1975). კარიერა: საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში სხვადასხვა თანამდებობებზე (1975-79); მივლინებული იქნა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში თბოსადგურ "რამინი"-ს მშენებლობაზე სპარსული ენის მთარგმნელად (1979-80); საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების

სამინისტროს მეცნიერების სამმართველოს ინსპექტორი (1980-82); ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (1982-90); თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შრომისა და სოციალურ საკითხთა სამმართველოს სპეციალისტი (1990). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საგარეო ურთიერთობათა კომისიის წევრი, ეკონომიკური ურთიერთობების ქვეკომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიის სამმართველოს უფროსი (1992-94), აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, დირექტორი (1996-2004), აღმოსავლეთის საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი (2004); ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი (1994-96); ხორვატიის რესპუბლიკაში ეუთო-ს დამკვირვებელი (1999-2002); საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში (2004-2009). 2009 წლიდან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორი. 2010 წლიდან ლევან მიქელაძის ფონდის წამყვანი სპეციალისტი; 2011 წლიდან საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) მოწვეული სპეციალისტი.

† ანდრია მელიტონის ძე აფაქიძე

დაიბადა 1914 წლის 3 სექტემბერს სენაკის მაზრის სოფელ ზანაში. მეუღლე – რუსუდან მგელაძე; შვილები: გუძა, თამარი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1937). კარიერა: ნიკო მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (1936-41). დიდი სამამულო ომის მონაწილე (1941-42). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი (1943-53); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი (1953-73); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი; აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი 1983 წლიდან; მცხეთის

არქეოლოგიური ინსტიტუტის ხელმძღვანელი 1994 წლიდან. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში". "არქეოლოგიური ლექსიკონი"-ს და მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; საისტორიო საზოგადოებისა და არქეოლოგიური კომისიის ხელმძღვანელი; საქართველოს არქეოლოგიური ფონდის გამგეობის თავმჯდომარე. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომპარტიისაგან; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს სახელმწიფო და ჯანაშიას სახ. პრემიების ლაურეატი; შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის, ღირსების ორდენის კავალერი; თბილისის საპატიო მოქალაქე; ABI-ის ოქროს მედლის მფლობელი. გარდაიცვალა 2005 წლის 25 ნოემბერს. თბილისში არის მისი სახელობის ქუჩა.

ბიმურზა გერმანეს ძე აფრასიძე (დადეშქელიანი)



დაიბადა 1951 წლის 14 ნოემბერს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში. მეუღლე – თამილა ჟღენტი; შვილი – გერმანე. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ფსიქოლოგიის სპეციალობით (1974). კარიერა: თსუ ლაბორანტი, მეცნიერ-თანამშრომელი, უფროსი მასწავლებელი (1976-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი (მთავარი კომიტეტის წევრი), პრეზიდიუმის წევრი, ეროვნული ერთიანობის, ეროვნებათშორისი ურთიერთობების ქვეკომისიის თავმჯდომარე, იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი, წარმომადგენელი კავკასიის საკითხებში; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას, არაერთგზის იყო დაპატიმრებული; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე; (2004-05) უზენაესი საბჭოს დროებითი თავმჯდომარე დათხოვნილი იყო თსუ-დან (1994-99); კანონიერი ხელისუფლების ლეგიტიმურობის შენარჩუნების მიზნით უარი თქვა სადეპუტატო პენსიაზე. თსუ ესთეტიკის კათედრის წამყვანი მეცნიერ-

თანამშრომელი, ასოცირებული პროფესორი, კათედრის გამგე (1999-2006). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ჯგუფის სისტემური კვლევის საკითხები"; ფილოსოფიის დოქტორი; საუნივერსიტეტო ლიგის თანათავმჯდომარე. საქართველოს სოციოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე 1995 წლიდან.

ალექსანდრე ზურაბის ძე ახვლედიანი

დაიბადა 1961 წლის 16 ივლისს ცაგერში. მეუღლე – ნანა ბურჭულაძე; შვილები: ზურაბი, არჩილი. განათლება: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1982). კარიერა: საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს (1982-83), სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის (1983-84) ინსპექტორი. სავალდებულო სამხედრო სამსახური (1985-86). ვაკის რაიონის საზოგადოებრივი კვების სამმართველოს ეკონომისტი (1987-88); საწარმოო გაერთიანება "ქუთაისავტოგზის" საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექტაციის მთავარი ბუღალტერი (1989-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, ქუთაისის ბაკისუბნის საარჩევნო ოლქი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, ეკონომიკური რეფორმის კომისიის მდივანი; პარალელურად ქუთაისის პრეფექტის პირველი მოადგილე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მთავარი სპეციალისტი (1993-94); რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობის ექსპერტი (1994-96); კერძო ბიზნესში (1997-98). ქ. ქუთაისის საკრებულოსა და მერიაში სხვადასხვა თანამდებობაზე (1999-2004); ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის დირექტორი (2005-2010).

ლევან (ლერი) ელიზბარის ძე ახმეტელი

დაიბადა 1954 წლის 9 თებერვალს თბილისში. მეუღლე – ნანა მაჭავარიანი; შვილები: ანა, სოფიო. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ფაკულტეტი ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით (1977). კარიერა: "თბილქალაქმშენსახპროექტის" კონსტრუქტორი (1977-

81); ტრესტ “ინჟმშენის” სამუშაოთა მწარმოებელი (1981-85); “აგრომშენის” სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი (1985-91). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი; მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის წევრი, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). სპორტის ზამთრის სახეობათა საქართველოს ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (1991-2006). საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა ფედერაციის გამგეობის წევრი.

† მერაბ დავითის ძე ბალარჯიშვილი

დაიბადა 1947 წლის 16 ოქტომბერს თელავში. მეუღლე – ქეთევან მაღრაძე; შვილი – მერაბი (ნიკა). განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. კარიერა: ქ. თელავის სამუსიკო სკოლის პედაგოგი; საქართველოს ტელერადიო მაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის რეჟისორის თანაშემწე, ასისტენტი, რედაქტორი, განყოფილების გამგე, მთავარი რედაქტორის მოადგილე, მთავარი რედაქტორი (1974-85); საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ინსტრუქტორი (1985-87); გაზეთ “ახალგაზრდა კომუნისტის” (შემდგომში – “ახალგაზრდა ივერიელი”) რედაქტორი 1988 წლიდან. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, №17 თელავის საარჩევნო ოლქი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). წლების მანძილზე თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ლექტორი, დეკანის მოადგილე. გარდაიცვალა 2008 წლის 23 ოქტომბერს.

იოსებ ზურაბის ძე ბარათაშვილი

დაიბადა 1960 წლის 19 მაისს ბოლნისში. მეუღლე – ლაურა გამსახურდია; შვილები: მარიამი, გიორგი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით (1983); ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნის სპეციალობით (1996). ანდრია პირველწოდებულის სახ. უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დოქტორანტი (2012-2014). კარიერა: გეოლოგიური ექსპედიციის ინჟინერ-გეოლოგი (1983-89). 80-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). თბილისის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის პედაგოგი (1996-97); საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის (1997-2005), საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის (2006 წლიდან) წევრი; ა/ო "წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი – (GCRT)"-ის იურისტი (2002-2007); საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიწვეული სპეციალისტი (2006); საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის გამგეობის წევრი, სისხლის სამართლის კომიტეტის თავმჯდომარე (2009-2013). 2010 წლიდან იურიდიული კომპანია "პროცესი"-ს პარტნიორი, დირექტორი; 2012 წლიდან სისხლის სამართლის რეფორმების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის სამუშაო ჯგუფის თანამომხსენებელი. მონაწილეობდა სისხლის, ადმინისტრაციული, სამოქალაქო და საკონსტიტუციო სამართალწარმოების არაერთ გახმაურებულ სასამართლო პროცესში. აწარმოებს საქმეებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. მრავალი საერთაშორისო სემინარისა და კონფერენციის მონაწილე და მომხსენებელი. პუბლიკაციების ავტორი. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, ნიდერლანდების ჰელსინკის კავშირის, ამერიკის რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI), ამერიკის იურისტთა ასოციაციის სერტიფიკატების მფლობელი; აღიარებული იქნა საქართველოს წლის საუკეთესო ადვოკატად (2002), წლის ინტელექტუალურ ადვოკატად (ჟურნალი "მეოხი", 2003).

პაატა როსტომის ძე ბარათაშვილი

დაიბადა 1953 წლის 1 იანვარს თბილისში. მეუღლე – ირინე დგებუაძე; შვილები: როსტომი, მარიამი, ნესტანი. განათლება: თბილისის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი (1975). კარიერა: კინოსტუდია "ქართულ ფილმთან" არსებული კინომსახიობთა თეატრის მსახიობი 1975 წლიდან; ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი (1989-92). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ იმყოფებოდა პოლიტიკურ დევნილობაში; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. 2004 წლიდან კვლავ მიხეილ თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრის მსახიობი. გადაღებულია კინოფილმებში: "ესკულაპეს მოწაფე", "სინემა", "ამბავი სურამის ციხისა", "ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა", "ოქროს ობობა" და სხვა. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). საქართველოს პარლამენტის წევრი (2012-2016): პარტიული სიით, პოლიტიკური ბლოკი "ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება", ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის წევრი, ფრაქცია "ქართული ოცნება".

† თენგიზ ნესტორის ძე ბარამიძე

დაიბადა 1934 წლის 8 აგვისტოს ქ. ფოთში. შვილი – თამარი. განათლება: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი (1959). კარიერა: ქ. ფოთის ექიმი-თერაპევტი (1959-60); თბილისის ცენტრალური რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს თერაპევტი, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ასპირანტი (1960-66); ქ. რუსთავის საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ექიმი (1966-

67); გასტრო-ენტეროლოგიური ცენტრის გამგე (1967-72); ქ. ფოთის №1 პოლიკლინიკის გასტრო-ენტეროლოგიური კაბინეტის გამგე 1972 წლიდან. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, ფოთის საარჩევნო ოლქი, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); ქ. ფოთის პრეფექტი. სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ იმყოფებოდა პოლიტიკურ დევნილობაში საზღვარგარეთ (ჩეჩნეთი, აზერბაიჯანი, ესტონეთი, გერმანია); დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. დაბრუნდა საქართველოში 2004 წელს. პირველი ქართველი დიდოსტატი საერთაშორისო შაშში, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საკავშირო და საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი. გარდაიცვალა 2010 წლის 13 აპრილს. ქ. ფოთში არის მისი სახელობის ქუჩა.

მელს მარტიროსის ძე ბდოიანი

დაიბადა 1947 წლის 25 აპრილს ბოგდანოვკაში (ნინოწმინდა). მეუღლე – ვანანუშ ბდოიანი; შვილები: არმენუი, ნოდარი. განათლება: სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ერევნის სპეციალური სკოლა (1969-71); სსრკ შსს როსტოვის აკადემია (1981). კარიერა: სავალდებულო სამხედრო სამსახური (1966-68); სომხეთის სსრ კალინინოს რაიონის შს განყოფილების ბავშვთა ოთახის ინსპექტორი (1973); საქართველოს სსრ ბოგდანოვკის რაიონის შს განყოფილების: უბნის ინსპექტორი (1973-76), "ბხსს" უფროსი ინსპექტორი (1976-81), შს განყოფილების უფროსის მოადგილე (1981-87), ბოგდანოვკის რაიონის შს განყოფილების უფროსი (1987-89). მილიციის ვიცე-პოლკოვნიკი. სახალხო დეპუტატთა ბოგდანოვკის რაიაღმასკომის თავმჯდომარე (1989-91). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს წევრი (1990-91): დამოუკიდებელი დეპუტატი ბოგდანოვკის საარჩევნო ოლქიდან, თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). შინაგან საქმეთა ახალქალაქის რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილე (1991-92). ნინოწმინდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე (1992-95); საბაჟო საგუშაგო "ნინოწმინდის" უფროსი (1995). საქართველოს პარლამენტის წევრი (1995-99): მაჟორიტარი, №41 ნინოწმინდის საარჩევნო ოლქი,

საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის წევრი, ფრაქცია – საქართველოს მოქალაქეთა კავშირი. საბაჟო "ნინოწმინდის" უფროსი (1999-2002); საბაჟო "სამხრეთის" იურიდიული განყოფილების უფროსი (2002-2004). ნინოწმინდის რაიონის გამგებლის მოადგილე, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი (2004-2006).

თენგიზ ამირანის ძე ბეჭაშვილი

დაიბადა 1948 წლის 19 თებერვალს სიღნაღში. მეუღლე – ლია ხატიაშვილი; შვილები: მარიამი (1982-2003); ცოტნე. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1977); თსუ საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი კინოდრამატურგის სპეციალობით (1977). კარიერა: სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს იურიდიული ჯგუფის უფროსი (1977-78); სიღნაღის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი (1978-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, სიღნაღის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სახალხო ფრონტი, იურიდიული კომისიის, თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); სიკვდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნის ინიციატორი უზენაესი საბჭოს პირველივე სესიაზე. 1992 წლიდან სიღნაღის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი, შემდგომ გამგე; საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი; სიღნაღის რაიონის გამგებელი, ქ. სიღნაღის საკრებულოს თავმჯდომარე (2003-2004). რესპუბლიკური პარტიის სიღნაღის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე 2010 წლამდე. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. გამოქვეყნებული აქვს ლექსების კრებული "უდაბნო, სახელად – "პრინცესა", თარგმანები და წერილები სამართლებრივ საკითხებზე.

დავით ვალერიანის ძე ბერძენიშვილი

დაიბადა 1960 წლის 4 აგვისტოს ქ. ბათუმში. მეუღლე – ნინო ინწკირველი; შვილები: ლევანი, ზურაბი, ანასტასია. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1986). კარიერა: ბათუმის ბერძენიშვილის სახ. ს/კ ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1986-90). საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი (1978), პარტიის

ეროვნული კომიტეტის წევრი. ანტისაბჭოთა საქმიანობისა და არალეგალურ ჟურნალ "სამრეკლოს" გამოცემა-გავრცელებისათვის გასამართლებული იქნა; სასჯელი მოიხადა მორდოვეთის ბანაკში პოლიტპატიმრებისათვის (1983-85). ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა და სახალხო ფრონტის მმართველი ორგანოების წევრი (1988-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: ბათუმის №112 გოგებაშვილის საარჩევნო ოლქი, ფრაქცია "დემოკრატიული ცენტრი"; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი (1991-96): ფრაქცია "აჭარა"; საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): პროპორციული წესით, №1 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი, ბლოკი "11 ოქტომბერი", ფრაქცია "რესპუბლიკელები". არასამთავრობო ორგანიზაცია "განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრის" კოორდინატორი, გამგეობის წევრი (1996-2002); რადიო "თავისუფლების" პოლიტიკური მიმომხილველი (1998-2002); რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე (2000-2005). ქ. თბილისის საკრებულოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტი", ფრაქციის – "ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარე (2002-2004). საქართველოს პარლამენტის წევრი (2004-2008): პარტიული სიით, "ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები", რესპუბლიკური პარტია, რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის წევრი, 2005 წლის ოქტომბრიდან ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წევრი, თავმჯდომარე. რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური მდივანი. საქართველოს პარლამენტის წევრი (2012-2016): პარტიული სიით, პოლიტიკური ბლოკი "ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება", რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის, დიასპორისა და კავკასიის საქმეთა კომიტეტის, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეაში მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის, სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ინიციატივაში მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის წევრი, ფრაქციის – "ქართული ოცნება – რესპუბლიკელები" თავმჯდომარე, პარლამენტის ბიუროს წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია "დისიდენტების ლექსიკონში" (ვარშავა, 2007).

† ბესარიონ ილიას ძე ბიბინეიშვილი

დაიბადა 1964 წლის 18 აპრილს ქ. ბათუმში. მეუღლე – ნონა ჩიხლაძე; შვილი – ნათელა. განათლება: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (1990). მოსკოვის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის ლექციათა სრული კურსი (2002-2004), იურიდიული ფაკულტეტის ლექციათა სრული კურსი (2004-2008) მეორადი განათლების ფაკულტეტზე. კარიერა: სამხედრო სავალდებულო სამსახური (1982-84). ცენტრალური რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ექიმი-ინტერნი (1990-91). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); ხელვაჩაურის რაიონის პრეფექტი (1991). 1992-2009 წლებში ძირითადად იმყოფებოდა მივლინებებში საზღვარგარეთ. ასოციაცია "კირკე"-ს გენერალური დირექტორის მოადგილე (1992-98); შპს "იგრიკა"-ს გენერალური დირექტორის მოადგილე (1998-2003); შპს "მშენიმპექსი"-ს ტექნიკური მენეჯერი (2003-2006); შპს "თნსკ"-ს მენეჯერი (2008), დირექტორი (2011). თსსი სტუდენტური არაფორმალური ჯგუფის (ახალგაზრდა მედიკოსთა კავშირი) დამფუძნებელი, საბჭოს წევრი (1985), ქრისტიან დემოკრატიული კავშირის (1987), ქრისტიან დემოკრატიული პარტიის (1988), სახალხო ფრონტის, რუსთაველის საზოგადოების თანადამფუძნებელი, არაფორმალური გამოცემა "კლდე"-ს და საინფორმაციო ბიულეტენი-დაიჯესტის გამავრცელებელი ჯგუფის წევრი (1987); მაშველთა კორპუსის და საქართველოს ექიმთა ასოციაციის თანადამფუძნებელი და საინიციატივო ჯგუფის წევრი; საგაფიცვო კომიტეტების წევრი (1987-90). საარჩევნო ბლოკის "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" (საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტიიდან, 1990), მოძრაობის "31 მარტი" (2011), სტუდია "ქვაკუთხედის", მოძრაობის "ეროვნულები", მოძრაობის – "ქართული ოცნება", პარტიის – "ქართული ოცნება", პარტიის – "საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" თანადამფუძნებელი, არასამთავრობო ორგანიზაციის – "სახელმწიფო, პიროვნება და სამართალი" დამფუძნებელი. გარდაიცვალა 2015 წლის 20 ნოემბერს.

აკაკი ივანეს ძე ბობოხიძე

დაიბადა 1964 წლის 14 სექტემბერს ხონის რაიონის სოფელ გორდში. მეუღლე – ნანა გოდერძიშვილი; შვილები: მაგდა, ირაკლი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მათემატიკოსის სპეციალობით (1986). კარიერა: ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის ასისტენტი, უფროსი ლაბორანტი (1986-90). საქართველოს რეს-პუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, ხონის საარჩევნო ოლქი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი, წამყვანი სახელმწიფო მრჩეველი (1992). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): პროპორციული წესით, №6 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი, ბლოკი "11 ოქტომბერი", გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის რწმუნებული, მთავარი სპეციალისტი (1998-2001). საქართველოს პარლამენტის წევრი (2001-2004): მაჟორიტარი, №55 ხონის საარჩევნო ოლქი, სამოქალაქო ინტეგრაციის კო-მიტეტის, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის წევრი, 2002 წლიდან ფრაქცია "მოძრაობა დემოკრატიული რეფორ-მებისათვის" წევრი, პ/გ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა". სა-ქართველოს პარლამენტის წევრი (2004-2005): მაჟორიტარი, №55 ხონის საარჩევნო ოლქი, ბლოკი "სააკაშვილი – ნაციონალური მოძრაობა", საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ფრაქცია "მაჟორიტარები". საქარ-თველოს პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთში (2005, აგვისტო-დეკემბერი); "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე (2005-2006); სა-ქართველოს ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის თავმჯდომარე (2006, თებერვალი-ნოემბერი); საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთში (2006, ნოემბერი – 2008, იანვარი). საქართველოს პარლამენტის წევრი (2008-2012): მაჟორიტარი, №59 ქუთაისის საარჩევნო ოლქი, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსათვის", პარლამენტის ბიუროს წევრი, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე, ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა". საქართველოს პარლამენტის წევრი (2012-2016): მაჟორიტარი, №58 წყალტუბოს საარჩევნო ოლქი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – "მეტი სარგებელი ხალხს", ფრაქციის – "ერთიანი ნაციონალური

მოძრაობა – მაჟორიტარები” თავმჯდომარე, პარლამენტის ბიუროს წევრი, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის წევრი. მპგ “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” პოლიტიკური საბჭოს წევრი.

ზვიად მიხეილის ძე ბოკუჩავა

დაიბადა 1959 წლის 28 ნოემბერს თბილისში. მეუღლე – მანანა ჯიქია; შვილი – მართა. განათლება: ქ. ჩიტას სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი (1983); ქ. მოსკოვის ვიშნევსკის სახ. ქირურგიის ინსტიტუტის ასპირანტურა (დატოვა 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ პროტესტის ნიშნად); ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1999); თბილისის სასულიერო აკადემიის საღვთისმეტყველო ფაკულტეტი (2001). კარიერა: თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ექიმი, თერმულ დაზიანებათა რესპუბლიკური სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის ექიმი-ორდინატორი, სანიტარული ავიაციის ექიმი-კონსულტანტი (1983-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, თიანეთის საარჩევნო ოლქი, საარჩევნო ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი (კავშირის წევრი 1992 წლამდე), კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1991); საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საბჭოს მდივანი (1991). საქართველოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსი იურისკონსულტი; საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანიის (“ჯი-არ-დი-სი”), შპს “კინო ქალაქის”, შპს “დაპ-2007”-ის მენეჯერი; საქართველოს ბანკის “მეტროსერვის +” ინკასაციის სამსახურის უფროსი; შპს “კაპიტალ გრუპ”-ის დირექტორი; ჯგუფის – “ეროვნული ღირსებისათვის” წევრი; გამომცემლობა “კანდელის” დამფუძნებელი, საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევის ფონდის დამაარსებელი; არასამთავრობო ორგანიზაციების: “მოძრაობა ღირსეული მომავლისათვის” და “თანასწორობის ინსტიტუტი” დამფუძნებელი.

იური გიორგის ძე ბურკაძე

დაიბადა 1946 წლის 27 აგვისტოს ვანის რაიონის სოფელ ტობანიერში. მეუღლე – ნანა აფციაური; შვილი – გიორგი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკა-ინფორმატიკის ფაკულტეტი კიბერნეტიკის სპეციალობით (1969). კარიერა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1969-85); თსუ-ს კიბერნეტიკის პრობლემური ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1985-91). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, ვანის საარჩევნო ოლქი, საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს ჰელსინკის კავშირი, მეცნიერებისა და განათლების კომისიის, ეკონომიკური რეფორმის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. ცხოვრობდა და საქმიანობდა ჰოლანდიაში პოლიტიკური დევნილის სტატუსით (1994-2014). გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები მათემატიკური სტატისტიკისა და სისტემური მართვის თეორიის საკითხებში.

ნემო პიერის ძე ბურჭულაძე



დაიბადა 1946 წლის 23 თებერვალს კასპის რაიონის სოფელ ერთაწმინდაში. მეუღლე – ლიანა ბურჭულაძე; შვილები: ნინო, მუხრანი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტი (1972). კარიერა: ინსტიტუტ "საქსახწყალპროექტის" უფროსი ინჟინერი (1972-84); სპი საინჟინრო გრაფიკისა და მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის თანამშრომელი (1976-87); საქართველოს მიწათმოწყობის სახელმწიფო საპროექტო-საძიებო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის "საქსახმიწპროექტის" პროექტის მთავარი ინჟინერი (1984-90); თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ლექტორი მხაზველობით გეომეტრიაში (1988-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო": ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი, უზენაესი საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე, პრეზიდიუმის წევრი, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს და ზუგდიდის სესიის მონაწილე (1993). იმყოფებოდა პოლიტიკურ დევნილობაში საზღვარგარეთ (1992-2000). "ეროვნული თანხმობის კავშირის" თავმჯდომარის მოადგილე. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006).

მანანა ვალერიანის ასული გაბაშვილი

დაიბადა 1945 წლის 23 თებერვალს თბილისში. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ირანის ისტორიის სპეციალობით (1968); თსუ ასპირანტურა (1971). კარიერა: 1972 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უმცროსი, წამყვანი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; წლების განმავლობაში ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და ასპირანტთა საბჭოს თავ-მჯდომარე; ახალგაზრდა აღმოსავლეთმცოდნეთა სამეცნიერო ჟურნალ "ჯევანმარდის" რედაქტორი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი, საგარეო ურთიერთობათა კომისიის წევრი, აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის ქვეკომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). თსუ ლექტორი (1980-2004); ქ. თბილისის №66 საშუალო სკოლის პედაგოგი, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის (1994-2001) და აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის ლექტორი (1983-2004). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში"; ისტორიის დოქტორი; ეწევა სამეცნიერო მოღვაწეობას შუა საუკუნეების საქართველოს საზღვაო ინტერესებისა და პოლიტიკის საკითხებზე.

† ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია

დაიბადა 1939 წლის 31 მარტს თბილისში. მეუღლე – მანანა არჩვაძე-გამსახურდია; შვილები: კონსტანტინე (კოკო), ცოტნე, გიორგი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი (1962). კარიერა: თსუ ლექტორი (1963-77); მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1981-90); ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. ძირითადი ნაშრომები: "ამერიკული პოეზიის ანთოლოგია", "მეოცე საუკუნის ამერიკული პოეზია", "საქართველოს სულიერი მისსია", "ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება", "წერილები, ესსეები" და სხვა; შექსპირის, ბოდლერის, უაილდის და სხვათა თარგმანების ავტორი; 1956 წელს, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე, დაპატიმრებული იქნა ანტისაბჭოთა პროპაგანდისათვის და გათავისუფლდა ექვსი თვის შემდეგ, როგორც არასრულწლოვანი, პირობითი სასჯელით. 1974 წლიდან "ამნისტი ინთერნეიშენალის" წევრი; საქართველოს ჰელსინკის კავშირის დამფუძნებელი და უცვლელი თავმჯდომარე 1976 წლიდან; გამოსცემდა არალეგალურ ჟურნალებს "ოქროს საწმისი" და "საქართველოს მოამბე"; გადასახლებული იყო პრიკასპიისკის რაიონის სოფელ კოჩუბეიში (1977-79). წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარე (1988). ამერიკის კონგრესის მიერ წარდგენილ იქნა ნობელის პრემიაზე მშვიდობის დარგში (1988). 1990 წელს აირჩიეს პოლიტიკურ პარტიათა ბლოკის – "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" სპიკერად. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, ვაკის საარჩევნო ოლქი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე. მისი ინიციატივით ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა; 1991 წლის 26 მაისს არჩეული იქნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად. 1992 წლის 6 იანვარს სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დატოვა საქართველო; 1992-93 წლებში იმყოფებოდა გროზნოში (ჩეჩნეთი). დაბრუნდა საქართველოში 1993 წლის 24 სექტემბერს. ტრაგიკულად დაიღუპა 1993 წლის 31 დეკემბერს. დაკრძალული იყო ქ. გროზნოში; გადმოსვენებული იქნა საქართველოში და დაკრძალული იქნა საქართველოს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში 2007 წლის 9 აპრილს.

თამაზ ვალერიანის ძე გამყრელიძე

დაიბადა 1929 წლის 23 ოქტომბერს ქუთაისში. მეუღლე – ნინო ჯავახიშვილი; შვილები: ეკატერინე, ალექსანდრე. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1952). კარიერა: ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (1953-60); აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, განყოფილების გამგე (1960-73), დირექტორი (1973-2000); თსუ სტრუქტურული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის გამგე 1960 წლიდან; სსრკ უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომპარტიის სიით, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის, საგარეო ურთიერთობათა კომისიის წევრი, აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობის ქვეკომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): პროპორციული წესით, №1 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი, ბლოკი "11 ოქტომბერი", საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე. საქართველოს პარლამენტის წევრი (1995-99): სმკ პარტიული სიით, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, ფრაქცია – მოქალაქეთა კავშირი. საქართველოს პარლამენტის წევრი (1999-2004): სმკ პარტიული სიით, მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების კოორდინატორი, საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) ვიცე-პრეზიდენტი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი (2004-2013). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ხეთური ენის პრაინდო-ევროპული ელემენტები", სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "ხეთური ენა და ლარინგალური თეორია"; 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის: "სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი", "დეზაფრიკატიზაცია სვანურში", "სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია", "გადაწერის წესები დიაქრონიულ ფონოლოგიაში", "წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა", "ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა". აშშ-ს ეროვნული აკადემიის წევრი; ამერიკის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი საპატიო

წევრი; ბრიტანეთის აკადემიის, ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის, საქსონიის აკადემიის უცხოელი წევრი; ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების და ინდოევროპული საზოგადოების საპატიო წევრი; ევროპის ლინგვისტური საზოგადოების პრეზიდენტი; ბონისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი; ლენინის, ჰუმბოლტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის და ჟიული შარტავას პრემიების ლაურეატი.

აკიფ ანვერ ოღლი გასანოვი

დაიბადა 1952 წლის 5 ნოემბერს მარნეულში. მეუღლე – მუხთალა ასადოვა; შვილები: ვუსალა, მეჰრიბან, ულვია. განათლება: აზერბაიჯანის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის ფაკულტეტი ფიზიკოსის სპეციალობით (ქ. ბაქო, 1973). კარიერა: მარნეულის 70-ე პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლის ფიზიკის პედაგოგი (1973-83). სამხედრო სავალდებულო სამსახური (1974-75). მარნეულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორი (1983-89). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, არჩეული მარნეულის №45 საარჩევნო ოლქიდან, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). მარნეულის გამგებლის მოადგილე (1992). ფიზიკის პედაგოგი (1992-99).

შოთა შოთას ძე გაფრინდაშვილი

დაიბადა 1959 წლის 12 მაისს ქ. ჭიათურაში. მეუღლე – ნინო გორგიაშვილი; შვილები: გიორგი, ლევან, დემეტრე, ლუკა, გვანცა. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი ისტორიკოსის სპეციალობით (1987). კარიერა: სავალდებულო სამხედრო სამსახური (1979-81). ჭიათურის მე-9 საშუალო სკოლის პედაგოგი (1987-90). სახალხო ფრონტის დარბაზის წევრი (ჭიათურის ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, ჭიათურის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სახალხო ფრონტი, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის

წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ჭიათურის ჰუმანიტარული და ეკონომიკური ინსტიტუტის პედაგოგი (1992-93). 1994 წლიდან საქმიანობს არასახელმწიფო სექტორში. 2009 წლიდან არასამთავრობო ორგანიზაცია "ჭიათურელთა კავშირის" გამგეობის თავმჯდომარე.

† გივი სერგოს ძე გაჩეჩილაძე



დაიბადა 1926 წლის 25 აგვისტოს. საშუალო განათლებით. კარიერა: ამიერკავკასიის რკინიგზის შორაპნის სალოკომოტივო დეპოს ხარატი (1943-57), ქ. თბილისის ი. ბ. სტალინის სახ. ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი (1957-90); საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს VII, VIII, IX, X, XI მოწვევების დეპუტატი; საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.



ტარიელ ამირანის ძე გელანტია

დაიბადა 1951 წლის 18 მარტს დაბა ხობში. მეუღლე – ნანა როგავა; შვილები: მარიამი, დავითი, გიორგი, ზვიადი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. კარიერა: თსუ პოლიტიკური ეკონომიკის კათედრის ასისტენტი, დოცენტი (1978-90); ჟურნალ "ეკონომისტის" განყოფილების გამგე (1983-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, ხობის საარჩევნო ოლქი, პრეზიდიუმის წევრი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. ცხოვრობს ემიგრაციაში გერმანიაში. ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

თეიმურაზ იონას ძე გვანცელაძე

დაიბადა 1951 წლის 27 სექტემბერს წყალტუბოს რაიონის სოფელ მუხიანში. მეუღლე – გულნარა კეზევაძე; შვილი – გვანცა. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1974); არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურა (1974-78). კარიერა: ქსნის საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი (1974-75); არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი (1977-85), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1985-98), წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი (1998-2006), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (2006-2009). თსუ კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თანადამფუძნებელი და სრული პროფესორი (2006-2009); სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის დამფუძნებელი და დირექტორი 2000 წლიდან; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი (კონტრაქტით, 2012 წლიდან); საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართული უნივერსიტეტის პრორექტორი, რექტორი (2010). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", უპარტიო, ეროვნებათშორისი ურთიერთობების კომისიის, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი, პრეზიდენტის აპარატის აფხაზეთის საქმეთა კურატორი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. თსუ სრული პროფესორი 2006 წლიდან. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ზმნის უარყოფით ფორმათა წარმოება აფხაზურ და აბაზურ ენებში", სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური საფუძველი". მრავალი სამეცნიერო შრომის, მათ შორის 21 წიგნის ავტორი. 1986 წლიდან კითხულობს ზოგადკავკასიოლოგიურ, აფხაზოლოგიურ, ქართველოლოგიურ და ზოგადენათმეცნიერულ სალექციო კურსებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, შოთა რუსთაველის სახ. საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში, ილია ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტში (შემდგომში

ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი), თსუ სოხუმის ფილიალში (შემდგომში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი), საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში. აფხაზეთის მეცნიერებათა რეგიონული აკადემიის წევრი (2000 წლიდან); იბერიულ–კავკასიური საერთაშორისო სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის თანადამფუძნებელი და გამგეობის თავ-მჯდომარე (2004 წლიდან); აფხაზეთმცოდნეობის სამეცნიერო ცენტრის თანადამფუძნებელი და გამგეობის წევრი (2009 წლიდან). გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

თამაზ გურამის ძე გველესიანი

დაიბადა 1956 წლის 10 მაისს ხარაგაულის რაიონის სოფელ თეთრაწყაროში. მეუღლე – ლალი გველესიანი; შვილები: ალექსანდრე, ზურაბი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტი საგზაო ინჟინრის სპეციალობით (1982). კარიერა: სავალდებულო სამხედრო სამსახური (1974-76). "საქსოფლმშენის" უფროსი ინჟინერი (1982-85); თბილისის კეთილმოწყობის სამმართველოს უბნის უფროსი (1985-87); თბილისის კალინინის რაიონის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი (1987-88). ეროვნულ მოძრაობაში 1988 წლიდან; ეროვნული ფორუმის რწმუნებული შიდა ქართლის კონფლიქტის ზონაში (1989-90); წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრი; პოლიტიკური ბლოკის – "მრგვალი მაგიდა" ერთ-ერთი დამფუძნებელი (1990), პ/გ "ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის" წევრი (2001-2005). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, №125 ახალგორის საარჩევნო ოლქი, მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის წევრი; საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრი (1990-91). საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე, ვეტერანი; "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" და საქართველოს მეომართა კავშირის – "ბექთარი" ერთ-ერთი დამფუძნებელი (2000). ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006).

გურამ ესტატეს ძე გვერდწითელი

დაიბადა 1930 წლის 12 მარტს თბილისში. მეუღლე – ჟუჟუნა რევია; შვილები: ზაზა, რამაზი (მამუკა). განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1953); სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გორკის სახ. მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურა (1957). კარიერა: ალკკ ორჯონიკიძის რაიკომის და თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი (1951-53); საქართველოს კპ ცკ-ის ინსტრუქტორი (1957-62); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის განყოფილების გამგე (1962-2004), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1964-79); ჟურნალების – "ცისკარი" და "მნათობი" რედკოლეგიის, კინოსტუდია "ქართული ფილმის" სარედაქციო და სამხატვრო საბჭოების წევრი (1982-2005); ალმანახ "კრიტიკის" მთავარი რედაქტორი (1982-84); გამომცემლობა "მერანის" დირექტორი (1984-2005). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ქართული საბჭოთა ლიტერატურის მხატვრული სახეები"; ფილოლოგიის დოქტორი; 30-ზე მეტი წიგნის, მათ შორის კრებულების: "მწერლებზე და მწერლობაზე", "ნაფიქრი-ნაიმედარი", "თანამედროვენი და თანამედროვეობა", "ფიქრი და განსჯა", "ლიტერატურული ნარკვევები, პორტრეტები, პოლემიკა", "კინოზე და სხვაზეც" ავტორი; საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი 1961 წლიდან, გამგეობის წევრი (1972-2004), პრეზიდიუმის წევრი (1978-2004).

ზურაბ ვახტანგის ძე გიგოლაშვილი

დაიბადა 1957 წლის 1 ოქტომბერს ქ. გორში. მეუღლე – მზია გიგოლაშვილი; შვილები: ეკატერინე, კახაბერი, ღვთისავარი, ვახტანგი. განათლება: მოსკოვის კოოპერაციული ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დაუსწრებელი განყოფილების ვაჭრობის ეკონომიკის ფაკულტეტი ეკონომისტის სპეციალობით (1983). კარიერა: სამხედრო სავალდებულო სამსახური (1976-78). გორის თბომეურნეობის ოპერატორი, მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მოლარე-მოანგარიშე, სასოფლო მაღაზიის გამგე,

მეფრინველეობის ფაბრიკის დასახლების სახლმმართველი (1978-90). სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი (1989).საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მერაბ კოსტავას საზოგადოება, ხმის დამთვლელი კომისიის, ეკონომიკური რეფორმის კომისიის, კერძო საკუთრებისა და პრივატიზაციის ქვეკომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). მერაბ კოსტავას საზოგადოების შიდა ქართლის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე. შპს "გოხა"-ს ეკონომისტი (1993); მეჯვრისხევის თემის საკრებულოს მდივანი (1994-97). შპს "საბურთალო"-ს ეკონომისტი (1997-98). ცხოვრობდა და საქმიანობდა საზღვარგარეთ (1998-2012). დაბრუნდა საქართველოში 2013 წელს.

ბიძინა გოდერძის ძე გიორგობიანი

დაიბადა 1963 წლის 8 დეკემბერს თბილისში. შვილები: დავითი, ანნა. განათლება: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ფაკულტეტი (1992); "BAFOK"-ეკონომიკური აკადემია (1999); ჰუმბოლტის უნივერსიტეტი რესურსების ეკონომიკის სპეციალობით (2002); ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის აგრარული პოლიტიკის კათედრის დოქტორანტი (2005-2008). კარიერა: რუსთაველის საზოგადოების უფროსი რეფერენტი (1989-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. იმყოფებოდა პოლიტიკურ ემიგრაციაში გერმანიაში (1995-2004). ბიოლოგიური ბუნდეს სამსახური სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობისათვის, გერმანია (2002-2004); "შავი ზღვის ეკონომიკური რეგიონის განვითარება სოფლის მეურნეობის მაგალითზე"; "ZMP"-აღმოსავლეთ ევროპის განყოფილება, სამხრეთ კავკასიის სოფლის მეურნეობის და სატყეო მეურნეობის განვითარება და ეკონომიკური ტენდენციების მიმოხილვა (ყოველკვარტალური გამოცემის ამიერკავკასიის განყოფილების პასუხისმგებელი). დაბრუნდა ემიგრაციიდან 2004 წელს; საქართველოს სატყეო დეპარტამენტის

თავმჯდომარე (2004-2005). კვლავ დატოვა საქართველო 2005 წელს. საქართველოს პარლამენტის 2012 წლის დადგენილებით ცნობილ იქნა პოლიტიკურ დევნილად. დაბრუნდა საქართველოში 2013 წელს. სსიპ საქართველოს ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი (2013-14). მისი ხელმძღვანელობით შემუშავდა საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა 2013 წლის ნოემბერში. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის უფროსი (2014-2015) მისი ხელმძღვანელობით შემუშავდა ქ.თბილისის გარემოს დაცვითი სტრატეგიის დოკუმენტი.

დავით გურამის ძე გოგაძე

დაიბადა 1963 წლის 16 მარტს ქუთაისში. მეუღლე – ნინო ღამბაშიძე; შვილი – სერაფიმე. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1984); თსუ ასპირანტურა (1988); პარიზის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტის კურსი. კარიერა: თსუ პოლიტიკური ისტორიის კათედრის მასწავლებელი (1985-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", ქართველ ტრა-დიციონალისტთა კავშირი, საგარეო ურთიერთობათა კომისიის მდივანი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. იმყოფებოდა პოლიტიკურ ემიგრაციაში. დაბრუნდა საქართველოში 2001 წელს. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). ექსპერტი საერთაშორისო ფინანსების დარგში.

ემზარ გიორგის ძე გოგუაძე

დაიბადა 1963 წლის 12 იანვარს ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში. მეუღლე – ლალი გოგიჩაიშვილი; შვილი – ნუცა. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულ-ტეტი (1985). კარიერა: ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის დირექტორი (1985); გაზეთ "სახალხო

განათლების“ კორესპონდენტი (1985-90); თსუ კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი (1989-96). “საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ თანათავმჯდომარე 1982 წლიდან; “ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის” ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი თავმჯდომარე (1988); საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავმჯდომარე 1989 წლიდან. სსრკ პერიოდში გამართული პირველი მრავალპარტიული არჩევნების გამართვის ინიციატორი და საუნივერსიტეტო მოძრაობის ხელმძღვანელი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”, ეროვნულ-ქრისტიანული პარტია, უზენაესი საბჭოს პრესისა და ინფორმაციის სამსახურის უფროსი, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. საერთაშორისო ინფორმაციის, სამართლისა და კულტურულ ურთიერთობათა უნივერსიტეტის პრორექტორი (2001-2002); თბილისის კავკასიური უნივერსიტეტის დირექტორი (2002-2004); თბილისის პოლიტიკური აკადემიის პრორექტორი (2004-2007). საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრი (2009-2014), სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე (2013-2014), მონიტორინგის საბჭოს წევრი 2014 წლიდან. პოეტური კრებულების: “ქორალები”, “ქედები და მყინვარები” და “ტირიფი და მდინარე” ავტორი.

გივი აბესალომის ძე გოლეთიანი

დაიბადა 1948 წლის 15 სექტემბერს ცაგერის რაიონის სოფელ ნაკურალეშში. მეუღლე – ნანა ოსეფაშვილი-გოლეთიანი; შვილები: ლაშა, მაკა. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკა-ტელემექანიკის (1972) და ელექტრონული მანქანებისა და აპარატების (1982) ფაკულტეტები. კარიერა: ქარხანა “ელექტროავტომატის” ხარატი, ტექნოლოგი, საამქროს უფროსი ოსტატი, ინჟინერ-ტექნოლოგი, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის უფროსი, უფროსი ინჟინერ-

ტექნოლოგი (1967-90). სამხედრო სავალდებულო სამსახური (1975-77). მერაბ კოსტავას საზოგადოების გამგეობის წევრი და აპარატის უფროსი 1990 წლიდან. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მერაბ კოსტავას საზოგადოება, უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის მდივანი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (28.06.2006).

† ჯემალ აკაკის ძე გოლეთიანი

დაიბადა 1937 წლის 15 სექტემბერს ცაგერის რაიონის სოფელ ნაკურალეშში. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. კარიერა: "ქართველ მართლმადიდებელთა კავშირი – დავით აღმაშენებელი"-ს წევრი (1987-88); წმიდა ილია მართლის საზოგადოების წევრი; შემდგომ – მერაბ კოსტავას საზოგადოების გამგეობის წევრი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მერაბ კოსტავას საზოგადოება (დატოვა აღნიშნული საზოგადოება 1992 წელს), თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის, შემდგომ იურიდიული კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი. სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ იმყოფებოდა პოლიტიკურ დევნილობაში; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. გარდაიცვალა 1997 წელს.

ბექან ბიძინას ძე გონაშვილი

დაიბადა 1956 წლის 18 სექტემბერს წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში. მეუღლე – ლია კობაიძე; შვილები: ბექა, ნათია, ბიძინა, ნატო. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი (1978). კარიერა: სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრონომ-ეკონომისტი (1978-80), ინფორმაციისა და პროგნოზირების სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი (1980-81); დედოფლისწყაროს რაიონის სამთაწყაროს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი (1981-87); საქართველოს კპ ცკ-ის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების ინსტრუქტორი, ბიუროს წევრი (1987-89); კომპარტიის დედოფლისწყაროს რაიკომის პირველი მდივანი (1989-90); პარალელურად – სახალხო დეპუტატთა დედოფლისწყაროს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1990). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): მაჟორიტარი, დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქი, საქართველოს კომპარტია, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). დედოფლისწყაროს რაიონის დალის მთის ახლადშექმნილი მეთევზეობის მეურნეობის დირექტორი (1991-93); დედოფლისწყაროს რაიონის გამგებელი (1993-95); საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე კახეთის მხარეში (1995-99). საქართველოს პარლამენტის წევრი (1999-2004): მაჟორიტარი, №14 დედოფლისწყაროს საარჩევნო ოლქი, საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ფრაქცია "თანადგომა".

რომან რაჟდენის ძე გოცირიძე

დაიბადა 1956 წლის 7 ნოემბერს გალში. მეუღლე – მანანა შარაშიძე; შვილები: ანა, დევი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობით (1982); თსუ ასპირანტურა (1985). კარიერა: თსუ უმცროსი, უფროსი სპეციალისტი, დოცენტი (1984-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, დიდუბის დავით აღმაშენებლის №5 საარჩევნო ოლქი, ეკონომიკური რეფორმების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ფრაქცია "დემოკრატიული ცენტრის" თანათავმჯდომარე;

ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992): პროპორციული წესით, №2 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი, ბლოკი "11 ოქტომბერი". საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერი ეკონომიკური რეფორმების დარგში (1992-93); მოღვაწეობდა პედაგოგიურ სფეროში (1993-95); საინვესტიციო ფონდ "ქართული კაპიტალის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (1995-96); ტელერადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ეკონომიკური მიმომხილველი, კერძო საკუთრების დაცვის ლიგის პრეზიდენტი (1996-98); საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის უფროსი (1998-2004); საერთაშორისო სავალუტო ფონდში და მსოფლიო ბანკში აღმასრულებელი დირექტორი საქართველოს მხრიდან. ქ. თბილისის საკრებულოს წევრი (2002-2004): საარჩევნო ბლოკი "ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტი", ფრაქცია – "ნაციონალური მოძრაობა". საქართველოს პარლამენტის წევრი (2004-2005): პარტიული სიით, "ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები", საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები". საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი (2005, მარტი – 2007, ოქტომბერი). 2008 წლიდან საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში – ეკონომიკური საბჭოს მდივანი. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცენტრის თავმჯდომარე. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი; 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; საქართველოს სახალხო ფრონტის (1989-95), რუსთაველის საზოგადოების (1988-91) წევრი, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის აღმასრულებელი მდივანი, ეროვნული კომიტეტის წევრი (1994-96).

ბერდია დიმიტრის ძე გუგავა

დაიბადა 1957 წლის 17 ივლისს ლენტეხში. მეუღლე – ნანა ქურდიანი; შვილები: დათო, ლექსო, ჯოკია, ლაშა, ბექა. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1979). კარიერა: ლენტეხის სპორტული სკოლის მწვრთნელი (1979-80), დირექტორი (1980-85); ლენტეხის ტურბაზის (1985-90) და ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლის (1990) დირექტორი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, ლენტეხის საარჩევნო ოლქი, სპორტისა და ტურიზმის ქვეკომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს

მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სპორტსაზოგადოება "შევარდენის" თავმჯდომარის მოადგილე (1992-93), თავმჯდომარე 1993 წლიდან. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ძიუდოში; საქართველოს ოლიმპიური ნაკრების უფროსი მწვრთნელი (ატლანტა, 1996); საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე (2009-2012), გამგებლის მოადგილე (2012-2013). ღირსების ორდენის კავალერი.

† ეთერ ნიკოლოზის ასული გუგუშვილი

დაიბადა 1925 წლის 2 სექტემბერს. მეუღლე – ბესო ჟღენტი; შვილი – ირინა. განათლება: მოსკოვის ლუნაჩარსკის სახ. სახელმწიფო თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტი (1949). კარიერა: ლუნაჩარსკის სახ. სახელმწიფო თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტის პედაგოგი (1950-55); საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, თეატრების სამმართველოს უფროსი (1954-55); შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში (1955-73), ამავე ინსტიტუტის რექტორი 1973 წლიდან. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი; ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; კოტე მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 2005 წლის 2 თებერვალს.

თამაზ (თომა) ვალერიანის ძე გუგუშვილი

დაიბადა 1946 წლის 18 მარტს აბაშაში. მეუღლე – მზია თუთბერიძე; შვილები: ზაალი, ზურაბი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით (1969). კარიერა: საპროექტო ინსტიტუტების: "საქსოფლმშენსახპროექტი" და "საქქალაქმშენსახპროექტი" რაიონული დაგეგმარების განყოფილების გამგე (1969-79); სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის ს/კ ინსტიტუტის რეგიონული

ეკონომიკის განყოფილების გამგე (1979-89); თსუ ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის პედაგოგი (1983-89); მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიის და სოციალური კვლევების ინსტიტუტის მიგრაციის და განსახლების განყოფილების გამგე (1989-91). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", წმინდა ილია მართლის საზოგადოება, დემოგრაფიის და განსახლების ქვეკომისიის თავმჯდომარე, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრი (1991-92); საქართველოს რეფორმატორთა კავშირის სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, აღმასრულებელი კომისიის წევრი (1993-95); საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიგრაციის კონტროლის დეპარტამენტის თავმჯდომარე (1996-2004). გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, დაიცვა დისერტაცია თემაზე: "საქართველოს სასოფლო განსახლების კონსტრუქციულ-გეოგრაფიული გამოკვლევა"; თსუ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის მოწვეული პროფესორი 2004 წლიდან; 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის მონოგრაფიების ავტორი, რამოდენიმე კანონის თანაავტორი.

გიორგი გელას ძე გულბანი

დაიბადა 1959 წლის 23 ივლისს თბილისში. მეუღლე – მარიკა დარჩია; შვილები: მარიამი, ნიკოლოზი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (1981), საკომპიუტერო ტექნიკის ინსტიტუტი (ჰელსინკი, ფინეთი, 2000). კარიერა: ინსტიტუტ "ვნიიტმე"-ს ინჟინერი, ამიერკავკასიის რკინიგზის საავადმყოფოს ინჟინერ-ფიზიკოსი, თსუ სპექტროსკოპიის განყოფილების უფროსი ინჟინერი, გეოფიზიკის ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის ინჟინერი (1981-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", ეროვნულ-ლიბერალური კავშირი, კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის, შემდგომ იურიდიული კომისიის მდივანი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი).

სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. 1994 წლიდან ცხოვრობს და საქმიანობს ფინეთში; პოლიტიკური დევნის გამო მიენიჭა ფინეთში მუდმივი ბინადრობის უფლება. 1999 წლიდან Nokia-ს, 2007 წლიდან – Nokia Siemens-ის ინჟინერი.

ბაკურ დავითის ძე გულუა

დაიბადა 1946 წლის 9 ოქტომბერს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ჯუმითში. მეუღლე – ნანა გეთია; შვილები: დავითი (1984-2004); გიორგი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი (1971); სპი მასალათა გამძლეობის და დრეკადობის თეორიის კათედრის ასპირანტურა (1974); მოსკოვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია სოციალურ-ეკონომიკური მართვის სპეციალობით (1984). კარიერა: ტექნიკური ინვენტარიზაციისა და საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ბიუროს უფროსი (1965-66); სტუდენტ ყამირელთა რაზმების ხელმძღვანელი ჩრდილოეთ ყაზახეთში (1968-69); ალკკ ზუგდიდის ქალაქკომის პირველი მდივანი (1973-74); ენგურჰესის მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივანი (1974-75); კომპარტიის გალის რაიკომის პირველი მდივანი (1975-78); აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პრეზიდიუმის წევრი, თავმჯდომარის მოადგილე (1975-79); საქართველოს კპ ცკ-ის ინსპექტორი (1978-79); კპ ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი (1979-86); სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1986-90); საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X და XI მოწვევის დეპუტატი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან, პრეზიდიუმის წევრი, მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი (1991-92). თბილისის მერიის ვიცე-პრემიერი (1992-93). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1993-95): მაჟორიტარი, №70 ფოთის საარჩევნო ოლქი. საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი (1994-95). ინიციატორი საქართველოში საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებისა, რამაც განაპირობა კონსტიტუციის შემოღება და შექმნილი პოლიტიკური ჩიხიდან ქვეყნის

გამოყვანა (1995); საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი (1995-2000). რეფორმატორთა კავშირისა და ეროვნული თანხმობის დარბაზის თავმჯდომარე. ოთხი წიგნისა და სამეცნიერო შრომების ავტორი.

გივი გრიგოლის ძე გუმბარიძე

დაიბადა 1945 წლის 22 მარტს თბილისში. მეუღლე – ნათელა ამირანაშვილი; შვილი – თენგიზი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი რუსული ფილოლოგიის სპეციალობით (1966). კარიერა: სავალდებულო სამხედრო სამსახური (1966-67). ცენტრალური სახელმწიფო არქივის მეცნიერ-თანამშრომელი (1966-69); საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მთარგმნელი, უფროსი ინსტრუქტორი, თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე (1969-77); საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ის ინსტრუქტორი, ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე (1977-83); კპ ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი (1983-85); საქართველოს კპ ცკ-ის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე, ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე (1985-88); თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე (1988-89); საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X და XI მოწვევის დეპუტატი, პრეზიდიუმის წევრი; საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე (1989-90); სსრკ სახალხო დეპუტატი (1989); სკკპ ცკ-ის წევრი (1990), სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის წევრი (1990-91). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): მაჟორიტარი, ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ვაჟა გივის ძე გურგენიძე

დაიბადა 1940 წლის 2 დეკემბერს თბილისში. მეუღლე – იზოლდა სირაძე; შვილები: თორნიკე, თამარი, თინათინი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი (1963); ამავე ფაკულტეტის ასპირანტურა შრომის ეკონომიკის დარგში (1966); მოსკოვის მორის ტორეზის სახ. უცხო

ენათა ინსტიტუტი (1969). კარიერა: თსუ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, შრომის ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის გამგე (1966-83); ელ-ტაბინის (ეგვიპტე) მეტალურგიის ინსტიტუტის წარმოების ორგანიზაციის კათედრის გამგე (1970-72). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტი სირიის არაბთა რესპუბლიკაში (1978-79). საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ლექტორი, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე, იდეოლოგიის განყოფილების გამგის I მოადგილე, საერთო განყოფილების გამგე, ცენტრალური კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში (1983-90); მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიის და სოციალური კვლევის ცენტრის (შემდგომში – ინსტიტუტი) დირექტორის მოადგილე 1990 წლიდან. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): მაჟორიტარი, ახალციხის საარჩევნო ოლქი, ეკონომიკური რეფორმების კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე (1992-94). გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) ექსპერტი-კონსულტანტი, თსუ დემოგრაფიის კათედრის დოცენტი, შემდგომ ასოცირებული პროფესორი (1995-2007). ეკონომიკის დოქტორი; 60-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, მათ შორის 12 მონოგრაფიის, 10 სახელმძღვანელოს ავტორი შრომის ეკონომიკის ორგანიზაციის, პერსონალის მართვის, სახელმწიფოს მართვის, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის საკითხებში.

ზურაბ შალვას ძე გუჩუა

დაიბადა 1948 წლის 19 აპრილს წალენჯიხაში. მეუღლე – ნონა როგავა; შვილები: ბექა, პაატა. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი (1979). კარიერა: წალენჯიხის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს წვენების ქარხნის, ჩაის ფაბრიკის მუშა (1966-74); წალენჯიხის რაიონული გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი, სოფელ ლიის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი, კვლავ კორესპონდენტი (1988-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, წალენჯიხის საარჩევნო ოლქი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი; ხელი აქვს

მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); 1991 წლის თებერვლიდან წალენჯიხის რაიონის პრეფექტი. სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის წევრი; თან ახლდა პრეზიდენტ გამსახურდიას გარდაცვალებამდე. იმყოფებოდა პოლიტიკურ დევნილობაში საზღვარგარეთ (რუსეთი, გერმანია, 1994-2004). ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006).



† გურამ ალექსანდრეს ძე გუჯაბიძე

დაიბადა 1933 წლის 7 იანვარს ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში. მეუღლე – დეზდემონა ხვადაძე; შვილები: ხათუნა, მანანა, მაია. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულ-ტეტი ფილოსოფოსის სპეციალობით (1956). კარიერა: 1959 წლიდან თანამშრომლობდა რაიონულ გაზეთებთან, ლექსების, იგავ-არაკების, სკეტჩების, კომედიების, წიგნის – "პროვინციული დეტექტივები" ავტორი. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკი, ბათუმის ხალხური შემოქმედების სახლის მეთოდისტი, სუფსის საშუალო სკოლის მასწავლებელი (1957-65); სუფსის კულტურის სახლის დირექტორი. ლანჩხუთის რაისაბჭოს კადრების განყოფილების უფროსი (1965-72); 1972 წელს პირადი განცხადებით დატოვა კომუნისტური პარტიის რიგები და ამასთან ერთად რაისაბჭოს დეპუტატის მანდატი. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკი (1974-90); 1991 წლიდან აგროსამრეწველო კომბინატ "ლანჩხუთის" კონტროლის ინსპექტორი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, ლანჩხუთის საარჩევნო ოლქი, საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარ-ტია; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატ-რიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. გარდაიცვალა 2008 წლის 13 თებერვალს.

† ბიძინა შოთას ძე დანგაძე

დაიბადა 1951 წლის 27 მარტს წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვილიშორში. მეუღლე – მანანა პატარქალაშვილი; შვილები: ლელა, ნინო, ლევანი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი (1977). კარიერა: შავი მეტალურგიის როსტოვის სამმართველოს თბილისის უბნის ინჟინერი (1977-87); ლილოს ხილბოსტნეულის კომბინატის ოპერატორი (1987-90). მერაბ კოსტავას საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", წმინდა ილია მართლის საზოგადოება, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, სამანდატო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე; იყო დაპატიმრებული სამშობლოს ღალატის მუხლით; განთავისუფლდა მსოფლიო სამართალდამცავი ორგანიზაციების აქტიური ჩარევის შედეგად. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). გარდაიცვალა 2007 წლის 13 ივლისს.

შუქრი შოთას ძე დევნოზაშვილი

დაიბადა 1949 წლის 20 თებერვალს ბოლნისში. მეუღლე – კლარა ქინქლაძე; შვილები: შოთა, ლელა, მაია. განათლება: სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტი (1972). კარიერა: მარნეულის სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის ინსტრუქტორი, ალკკ ბოლნისის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე (1973-75); ბოლნისის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი აგრონომი, სოფლის მეურნეობის გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე (1975-80); კომუნისტური პარტიის ბოლნისის რაიკომის მეორე მდივანი (1981-87), პირველი მდივანი (1987-91), 1990 წლიდან იმავდროულად სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-

91): მაჟორიტარი, ბოლნისის საარჩევნო ოლქი, საქართველოს კომპარტია, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ბოლნისის რაიონის სოფელ რატევნის სახაზინო მეურნეობის დირექტორი (1991-95). საქართველოს პარლამენტის წევრი (1995-99): მაჟორიტარი, №23 ბოლნისის საარჩევნო ოლქი, ფრაქცია – სმკ, აგრარულ საკითხთა კომიტეტის წევრი, ცენტრალური აზიის მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი. საფეხბურთო კლუბ "სიონის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე (1995-2000); სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტის თავმჯდომარე (2000-2006); 2006 წლიდან კერძო მეწარმე. სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი; საპატიო ნიშნის და ღირსების ორდენის კავალერი.

† თამარ ივანეს ასული დეკანოსიძე

დაიბადა 1922 წლის 3 ნოემბერს ხარაგაულში. მეუღლე – გივი სარალიძე; შვილები: შოთა, ია. განათლება: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი (1943). კარიერა: თსსი პათოლოგიური ანატომიის კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი, გამგე (1943-96); ჰისტოლოგიისა და ემბრიოლოგიის კათედრის (1969-73), პათანატომიის კათედრის (1973-96) გამგე; საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი პათოლოგ-ანატომი 1980 წლიდან; საქართველოს პათოლოგანატომთა საზოგადოების თავმჯდომარე 1990 წლიდან; სსრკ პათოლოგანატომთა საზოგადოების გამგეობის წევრი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "შეგუებითი და კომპენსაციური პროცესების მორფოლოგიური საფუძვლები"; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. 6 მონოგრაფიის, 150-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და ერთი სასწავლო ფილმის ავტორი; ათეროსკლეროზისა და გერონტოლოგთა საერთაშორისო საზოგადოების წევრი; თარხნიშვილის სახ. პრემიის ლაურეატი; საპატიო ნიშნის, შრომის წითელი დროშის და ღირსების (ორგზის) ორდენების კავალერი. გარდაიცვალა 2008 წლის 23 ივლისს.

† დემურ ნოეს ძე დვალიშვილი

დაიბადა 1938 წლის 15 თებერვალს ქ. ქუთაისში. მეუღლე – რუსიკო ებანოიძე; შვილები: ნინო, კობა. განათლება: ლენინგრადის საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტი ფინანსების სპეციალობით (1960). კარიერა: ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების უფროსი ეკონომისტი, განყოფილების გამგის მოადგილე, გამგე (1961-75), აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარე (1975-77); საქართველოს კომპარტიის ცკ-ის განყოფილების გამგის მოადგილე, კპ მახარაძის (ოზურგეთი) რაიკომის პირველი მდივანი (1977-81); საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი (1981-90); საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს IX, X და XI მოწვევის დეპუტატი; საქართველოს კომპარტიის ცკ-ის წევრი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის საბიუჯეტო-საბანკო ქვეკომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მთავარი სახელმწიფო მრჩეველი ეკონომიკისა და ფინანსების საკითხებში (1992); საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი (1992, ნოემბერი – 1993, ოქტომბერი). თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე, ფინანსების კათედრის პროფესორი. სამეცნიერო ნაშრომების ავტორი. ტრაგიკულად დაიღუპა 1994 წლის 9 სექტემბერს.

† მალხაზ იოსების ძე დვალიშვილი

დაიბადა 1960 წლის 13 ოქტომბერს ქუთაისში. მეუღლე – თამარ ვალიშვილი; შვილი – დავითი. განათლება: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი (1984). კარიერა: ქუთაისის №1 საავადმყოფოს ენდოკრინოლოგი (1984-90); საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, ქუთაისის საარჩევნო ოლქი, საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს ჰელსინკის კავშირი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი), 1991 წლის სექტემბრიდან

პ/ო “ქარტია-91”-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ამავე ფრაქციის წევრი. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს რწმუნებული ქუთაისში, ქალაქის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1992). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): საკომპენსაციო სიით, “ქარტია-91”. საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე (1995); საქართველოს ექიმთა ასოციაციის ქუთაისის ორგანიზაციისა და სამედიცინო ინსტიტუტ “ქუთაისი”-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი. ტრაგიკულად დაიღუპა 1995 წლის 23 მარტს. ქუთაისში ქუჩა, სადაც ფუნქციონირებს სამედიცინო ინსტიტუტი, ატარებს მალხაზ დვალიშვილის სახელს.

ფირუზ ვლადიმერის ძე დიაკონიძე

დაიბადა 1946 წლის 30 აგვისტოს ქუთაისში. მეუღლე – რუსუდან ხარჩილავა; შვილები: ქართლოსი, ეგროსი, ანა. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი (1978); ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურა (1982). კარიერა: ქუთაისის ლითოფონის ქარხნის მუშა, არასაუწყებო დაცვის დარაჯი, საქწიგნის გაერთიანების წიგნის დამტარებელი (1963-73); ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი 1978 წლიდან. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, ქუთაისის ავტომშენებელთა საარჩევნო ოლქი, საარჩევნო ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”, საქართველოს ჰელსინკის კავშირი, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი. სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. აბაშის ჰუმანიტარული და სამართლის ინსტიტუტის პრორექტორი (1995-2001). ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). სამეცნიერო ნაშრომების ავტორი, მათ შორის: “იბერიელთა აქტი გონიური”, “სიყვარული, როგორც უფლისკენ მიმავალი გზა” და სხვა.

თამაზ ახმედის ძე დიასამიძე

დაიბადა 1959 წლის 2 ივნისს შუახევის რაიონის სოფელ ჩანჩხალოში. მეუღლე – ანა ჯაბანიშვილი. განათლება: ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ისტორიისაა და გერმანული ენის მასწავლებლის სპეციალობით (1981); ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურა (1989); თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უცხო ენების ორწლიანი კურსები ინგლისურ ენაში (1989). კარიერა: სამხედრო სავალდებულო სამსახური (1981-83). ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახ. ს/კ ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი (1984-85); მეცნიერ-თანამშრომელი (1989-95); აჭარის საარქივო სამმართველოს განსაკუთრებულ საქმეთა რესტავრატორი, ბათუმის არქიტექტურის ს/კ მუზეუმის მეთვალყურე, რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი (1985-86). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: არჩეული ბათუმის საარჩევნო ოლქიდან, იურიდიული კომისიის წევრი. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992); აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, არჩეული ბათუმის საარჩევნო ოლქიდან, ფრაქცია "აჭარა"-ს თავმჯდომარე (1991-96). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): არჩეული პროპორციული წესით, №10 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი, საარჩევნო ბლოკი "11 ოქტომბერი", იურიდიული კომისიისა და ფრაქცია "რესპუბლიკელების" წევრი. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთების: "საქართველოს კარიბჭე" და "თავისუფალი სიტყვა" გამომცემელი და რედაქტორი (1993-95); "განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრის" რეგიონული კვლევების პროგრამის ხელმძღვანელი (1996-2000); "რეგიონალიზმის კვლევის ცენტრის" გამგეობის თავმჯდომარე (2000-2004). აჭარაში ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ წარმატებული მასობრივი სახალხო მოძრაობის ხელმძღვანელი (2003-2004); აჭარის აავტონომიური რესპუბლიკის დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს წევრი (2004). საქართველოს პარლამენტის წევრი (2004-2008): პროპორციული წესით, "ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები", იურიდიული კომიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის წევრი, ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები". საქართველოს პარლამენტის წევრი (2008-2012): პროპორციული წესით, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

– გამარჯვებული საქართველოსათვის”, ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”-ს წევრი (2008-2010), შემდგომ – დამოუკიდებელი დეპუტატი, 2011 წლის ივლისიდან ოპოზიციური ფრაქციის – “ერთობა სამართლიანობისათვის” წევრი, აგრარულ საკითხთა კომიტეტის წევრი. 2012 წლიდან რეგიონალიზმის კვლევის ინსტიტუტის დირექტორი. სამეცნიერო სტატიების, საქართველოში ტერიტორიული კონფლიქტების შესახებ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოცემული წიგნების და შესაბამისი ვებ გვერდის (www.rrc.ge) ავტორი; ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი (2007).

თენგიზ დავითის ძე დიხამინჯია

დაიბადა 1957 წლის 18 აპრილს თბილისში. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო ფიზიკის ფაკულტეტი (1979). კარიერა: სტაბილური იზოტოპების ინსტიტუტის, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება “ელვას” ინჟინერი, პროფესიული ორიენტაციის ცენტრის უფროსი მეთოდისტი (1981-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”, საქართველოს ჰელსინკის კავშირი, უზენაესი საბჭოს პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი, პრეზიდიუმის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): პროპორციული წესით, №8 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი, “ქარტია-91”, იურიდიული კომისიის წევრი, საერთაშორისო სამართლის ქვეკომისიის თავმჯდომარე. საპარლამენტო ასამბლეის და კონსტიტუციური კონგრესის აქტიური მონაწილე. მუშაობს სახელმწიფო მოწყობისა და კონსტიტუციური რეფორმის საკითხებზე.

† პავლე ვასილის ძე დოგუზოვი

დაიბადა 1920 წლის 1 სექტემბერს. განათლება: დაამთავრა აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (ქ. ბაქო); საქართველოს კომუნისტური პარტიის წევრი. კარიერა: წლების მანძილზე სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგი, პროფესორი; ამავე ინსტიტუტის დირექტორი

(1961-74). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): არჩეული საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, დოცენტი.



† ვიქტორ პეტრეს ძე დომუხოვსკი

დაიბადა 1948 წლის 4 თებერვალს ქუთაისში. მეუღლე – რუსუდან კიკალეიშვილი-დომუხოვსკი; შვილები: ანგელინა, თინათინი, პეტრე, მაქსიმე. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (1971). კარიერა: საქართველოს მეცნირებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (1973-91); საქართველოს მეტალურგთა თავისუფალი კავშირის გამგეობისა და დარბაზის წევრი (1989-91). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, თბილისის №7 ოქტომბრის (ჩუღურეთის) საარჩევნო ოლქი, საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი, კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის, შემდგომ იურიდიული კომისიის წევრი, პატიმართა უფლებების დაცვის ქვეკომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); 1983 წლის თვითმფრინავის გამტაცებლების საქმის შემსწავლელი დროებითი კომისიის შექმნის იდეის ავტორი და ხელმძღვანელი (ამ კომისიის ხელმძღვანელის კომპეტენციის ფარგლებში დაკითხა ედუარდ შევარდნაძე 1991 წლის ნოემბერს, ქ. მოსკოვი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ – პოლიტიკურ დევნილობაში ქ. გროზნოში; უზენაესი საბჭოს 1992 წლის 12-13 მარტის გამსვლელი სესიის (ქ. გროზნო) ერთ-ერთი ორგანიზატორი და მომხსენებელი, უზენაესი საბჭოს სესიის საპატიო სტუმრის, ჩეჩნეთის პრეზიდენტის – ჯოხარ დუდაევის თარჯიმანი; 1992 წლის 6 აპრილს, აზერბაიჯანის ხელისუფლების ნებართვის გარეშე (1992 წლის 4 თებერვალს ე. შევარდნაძემ ბაქოში ვიზიტის დროს ვიქტორ დომუხოვსკის და პეტრე გელბახიანის საქართველოში ექსტრადიციაზე უარი მიიღო აზერბაიჯანის პრეზიდენტის აბულფას ელჩიბეისა და ჩეჩნეთის პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევისგან) პეტრე გელბახიანთან ერთად, ფარულად იქნა გატაცებული ქ. ბაქოდან და ჩამოყვანილი თბილისში; 1993 წლის 5 მარტს მიესაჯა 14 წელი პატიმრობა; 1994

წლის 6 აპრილს გაერო-ს ადამიანის უფლებების დაცვის კომისიამ უკანონოდ ჩათვალა განაჩენი ვიქტორ დომუხოვსკის მიმართ და მოითხოვა მისი განთავისუფლება 90 დღეში; 1998 წლის 23 ნოემბერს ბრონისლავ გერემეკმა, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა და იმავდროულად ეუთო-ს თავჯდომარემ, საქართველოში ვიზიტის პროგრამის IX პუნქტად მოითხოვა ვ. დომუხოვსკის განთავისუფლება და 25 ნოემბერს იგი განთავისუფლებული იქნა პატიმრობიდან; 1998 წლის 1 დეკემბერს წავიდა პოლონეთში და შეუერთდა ოჯახს, რომელიც 1993 წლის 6 ნოემბრიდან ცხოვრობდა პოლონეთში; 1999 წლის 1 მარტიდან პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამრომელი. საქართველოში და პოლონეთში გამოქვეყნებული 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; 1 საავტორო რწმუნებულების მფლობელი. პოლონეთში ქართული სათვისტომოს „ქართლოსი"-ს გამგეობის წევრი. გარდაიცვალა 2013 წლის 24 მაისს, ვარშავაში. დაკრძალულია თბილისში.

† ომარ ილიას ძე ელოშვილი

დაიბადა 1946 წლის 30 ივლისს თბილისში. მეუღლე – მზია შეწირული; შვილები: ნინო, ილია, ბორენა. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი (1969); სპი მანქანებისა და მექანიზმების თეორიის კათედრის ასპირანტურა (1976). კარიერა: თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის ინსპექტორი, რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ინსტრუქტორი, კპ დმანისის რაიკომის პირველი მდივანი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1969-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომპარტიისაგან, მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის წევრი, ტრანსპორტის კომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს რეგიონალური მმართველობის განყოფილების გამგე – მთავარი სახელმწიფო მრჩეველი (1992). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): პროპორციული წესით, №5 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი, ბლოკი "მშვიდობა". საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი, სახელმწიფოს მეთაურის

საგანგებო და სრულუფლებიანი წარმომადგენელი ცხინვალის რეგიონში (1992-93). პარლამენტის "მხედრიონის" განიარაღების საგანგებო კომისიის თავმჯდომარე (1994). საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი მრჩეველი 1995 წლიდან. გარდაიცვალა 2007 წლის 24 აგვისტოს.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ვარძელაშვილი

დაიბადა 1946 წლის 10 მარტს ქ. გორში. მეუღლე – მარინა ვალიშვილი; შვილები: ანი, სოფიკო, ალექსანდრე, მირანდა. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიული ფაკულტეტი (1971). კარიერა: სამხედრო სავალდებულო სამსახური (1971-73); საწარმოო გაერთიანება "დილა"-ს ინჟინერი (1973-83); სასწავლო-საწარმოო გაერთიანება "იორის" გორის ფილიალის მთავარი ინჟინერი (1983-86); საწარმოო გაერთიანება "დილა"-ს საიარაღო წარმოების უფროსის მოადგილე (1987-90); იყო წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი; 1990 წლიდან სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრი, შიდა ქართლის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე; ასოციაცია "ჯავახეთის" წევრი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარ-ჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, ზნაურის №124 საარჩევნო ოლქი, მერაბ კოსტავას საზოგადოება, თავდაცვის კომისიის თავმჯდომარე, იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. სახელმწიფო წარმომადგენელი შიდა ქართლის კონფლიქტურ ზონაში, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა სამთავრობო კომისიის შტაბის უფროსი (1992-93); ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორის ურთიერთობათა კომიტეტის იურისტ-ექსპერტთა განყოფილების უფროსი (1993-97); 1997 წლიდან გორის "აგროტექსერვისის" იურისტი. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006).

სალომე ზურაბის ასული ზვიადაძე

დაიბადა 1953 წლის 8 აპრილს ხარაგაულის რაიონის სოფელ კიცხში. მეუღლე – დავით ქორქია. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობით (1977). კარიერა: მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი (1977-79); სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი; გაზეთ "ეკრანის ამბების" რედაქციის მთარგმნელი (1980-90); 1976 წლიდან მონაწილეობდა არალეგალური ორგანიზაციების მუშაობაში; საქართველოს საპატრიარქოს ჟურნალ "საღვთისმეტყველებო კრებულის" პასუხისმგებელი მდივანი (1979-80). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს პარლამენტის აპარატის წამყვანი, შემდგომ მთავარი სპეციალისტი (1993-97); შპს "სანი"-ს მენეჯერი (1997-2002). რამოდენიმე წიგნის რედაქტორი; საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.

გივი მოსეს ძე თალაკვაძე

დაიბადა 1949 წლის 14 ივლისს თბილისში. მეუღლე – ნინო თალაკვაძე; შვილები: ზურაბი, გიორგი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (1971). კარიერა: თსუ ფიზიკის ფაკულტეტის მეცნიერ-თანამშრომელი, ზოგადი ფიზიკის კათედრის ასისტენტი, დეკანის მოადგილე (1971-75); თსუ ალკკ კომიტეტის მდივანი (1975-76); საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე (1976-77); ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი (1978-79); საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მეორე მდივანი (1979-85); თბილისის საქალაქო კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე (1985-86); საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (1986-89); კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე (1989); საქართველოს კომპარტიის ცკ-ის იდეოლოგიური განყოფილების გამგე (1989-90); საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი (1986-90). საქართველოს რესპუბლიკის

პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან, მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრის მოადგილე (1991-95); სს "საქართველო – აბსოლუტ კონსალტინგი"-ს პრეზიდენტი (1995-96); სს "აბსოლუტ – ჰოვარდენერჯი"-ს პრეზიდენტი (1996-2002); შპს "კედარი 2000"-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (2002-2008); სს "GAC"-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (2008-2010); აიპ "AG group"-ის პრეზიდენტი (2010-2013); "ქართული საექსპერტო ჯგუფის" ხელმძღვანელი 2012 წლიდან. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მთავარი კონსულტანტი (1997-98); საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მთავარი კონსულტანტი (2001-2002); ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; საქართველოს საინჟინრო აკადემიის და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი; აშშ შტატ ჯორჯიის საპატიო მოქალაქე. ღირსების ორდენის კავალერი.

გივი ჩიტოს ძე თაქთაქიშვილი

დაიბადა 1952 წლის 3 მარტს თბილისში. მეუღლე – მარინა ჟორჟოლიანი; შვილები: ეთერი, თემური, ელენე. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1974); სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურა (1981). კარიერა: საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის ს/კ ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი (1974-78), განყოფილების გამგე (1981-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: პრეზიდიუმის წევრი, საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, ნაძალადევის მარიამ გარიყულის №3 საარჩევნო ოლქი, ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი, ეკონომიკური რეფორმის კომისიის, შემდგომ ეკონომიკის კომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. 1994 წლიდან ცხოვრობდა ჩეჩნეთში, ესტონეთში, შემდეგ რუსეთში (ფაქტიურად არალეგალურად); სამჯერ იყო დაპატიმრებული. 1999

წლიდან ცხოვრობს ჰოლანდიაში, სადაც პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო. ხრონინგენის (ჰოლანდია) სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ-მუშაკი (2007-2011); 2011 წლიდან "კავკაზუს ინტერკონეკტის" (ამსტერდამი, ჰოლანდია) მეცნიერ-მკვლევარი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა კადრების მომზადებისა და გამოყენების პრობლემები საქართველოში"; ეკონომიკის დოქტორი; გამოქვეყნებული 4 წიგნისა და 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მრავალი სტატიის ავტორი ქართულ, რუსულ, ჰოლანდიურ და ინგლისურ ენებზე.



† პაატა ავთანდილის ძე თოიძე

დაიბადა 1955 წლის 23 მაისს ქ. მახარაძეში (ოზურგეთი). მეუღლე – ირმა გიგინეიშვილი; შვილები: მარიამი, ანა. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი (1977), ოდესის სამშენებლო-საინჟინრო ინსტიტუტის ასპირანტურა (1983). კარიერა: ოდესის სამშენებლო-საინჟინრო ინსტიტუტის არქიტექტურისა და ქალაქგეგმარების კათედრის არქიტექტორი, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ასპირანტი (1978-83); ქობულეთის საპროექტო ბიუროს მთავარი არქიტექტორი (1983-86); ოზურგეთის არქიტექტორთა და დიზაინერთა ასოციაციის არქიტექტორი (1986-89). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს ჰელსინკის კავშირი, მაჟორიტარი, ოზურგეთის საარჩევნო ოლქი, კულტურისა და განათლების კომისიის, მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის წევრი; ოზურგეთის პრეფექტი; პრეზიდენტ გამსახურდიას რწმუნებული გურიაში; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ნაციონალურ-კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1992); სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას (1992-2000); დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). "კიდ არქიტექტურის" არქიტექტორი (2001-2002); კომპანია "ცენტრ პოინტის" მშენებელ-არქიტექტორი 2002 წლიდან. გარდაიცვალა 2016 წლის 23 იანვარს.

† მაია პეტრეს ასული თომაძე

დაიბადა 1954 წლის 26 ივნისს ქ. თბილისში. შვილი – გიორგი რუხაძე. განათლება: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტი (1976). კარიერა: თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრის დასის სოლისტი 1976 წლიდან; მოსკოვის სახელმწიფო დიდი აკადემიური თეატრის სტაჟიორი და სოლისტი (1979-83); მსოფლიოს გამოჩენილ მომღერლებთან ერთად წარმატებით გამოდიოდა ბარსელონას "ლიცეოს" თეატრის სცენაზე (1987-89). უარი თქვა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიცემულ ყველა წოდებასა და ჯილდოზე. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, თბილისის სამგორის "საქჰიდროენერგომშენის" №20 საარჩევნო ოლქი, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიასთან არსებული მუსიკის ქვეკომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ფინეთში (1992-94). საქართველოს სახალხო არტისტი, ზაქარია ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი, ფრანსისკო ვინიასის სახ. საერთაშორისო კონკურსის I პრემიის ლაურეატი და გრან-პრის მფლობელი (ბარსელონა, 1986); წლის საუკეთესო როლისათვის პრემიის ორგზის ლაურეატი (1976, 1987). ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას. გარდაიცვალა 1994 წლის 18 დეკემბერს.

მედეა მირიანის ასული თუშმალიშვილი

დაიბადა 1944 წლის 23 მარტს თბილისში. მეუღლე – ალექსანდრე თუშმალიშვილი; შვილები: გიორგი, თომა. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ფრანგული ენის სპეციალობით (1966); მოსკოვის ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა ფრანგული ლიტერატურის განხრით (1972). კარიერა: რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (1972-92); დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "არმან სალაკრუს დრამატურგია"; ფილოლოგიის მეცნიერებათა

დოქტორი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი, საგარეო ურთიერთობათა კომისიის წევრი, შემდგომ – თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ დევნილი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე. 1992 წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრობს პოლიტიკურ ემიგრაციაში საფრანგეთში. იყო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში. ჟურნალ "გუშაგი"-ს გამომცემელი (მეუღლესთან – სანდრო თუშმალიშვილთან ერთად, 1992-94). 2003 წელს, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, კვლავ მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა.

† გივი გრამიტონის ძე იმერლიშვილი

დაიბადა 1953 წლის 10 მარტს ხაშურის რაიონის სოფელ ბრილში. მეუღლე – ნატა იმერლიშვილი; შვილი - ლაშა. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1975). კარიერა: ხაშურის რაიონის ნაბახტევის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი, დაბა სურამის საშუალო სკოლის დირექტორი, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განყოფილების გამგე, ფონდების განყოფილების მთავარი მცველი, დირექტორის მოადგილე (1975-90), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1994-2003); პარალელურად ილიას სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ხაშურის ფილიალის ლექტორი. სამეცნიერო ნაშრომების ავტორი ფეოდალური პერიოდის საქართველოს ისტორიაში. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, ხაშურის საარჩევნო ოლქი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); ხაშურის რაიონის პრეფექტი. გარდაიცვალა 2003 წლის 13 ოქტომბერს.

ავთანდილ პროკოფის ძე იმნაძე

დაიბადა 1940 წლის 15 ოქტომბერს თბილისში. მეუღლე – ეთერ ბერიკაშვილი; შვილი – ნათია. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიის ფაკულტეტი (1965); თბილისის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი (1975). კარიერა: სპი სტუდენტური თეატრის ერთ-ერთი დამფუძნებელი და რეჟისორი (1966); ქართლის ჰიდრო-გეოლოგიური პარტიის უფროსი გეოლოგი, საქართველოს სსრ ტელერადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის რეჟისორის ასისტენტი (1966-69), რეჟისორი (1972-75); კინოსტუდია "ქართული ფილმის" რეჟისორის ასისტენტი (1975-78). პოლიტიკური ბრალდებით დაპატიმრებული იქნა და იხდიდა სასჯელს (1978-83); საქტელერადიო მაუწყებლობის რეჟისორი (1983-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", №74 წყალტუბოს საარჩევნო ოლქი, ეროვნული ფრონტი-რადიკალური კავშირი, ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე, შეწყალების კომისიის თანათავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე (1992-95); საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის სპეციალისტი (1998-2002).

† ნოდარ ტარიელის ძე იმნაძე

დაიბადა 1945 წლის 10 სექტემბერს ბათუმში. მეუღლე – ქეთევან იმნაძე; შვილები: ზურაბი, ნატო. განათლება: ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1974). კარიერა: აჭარის სამხატვრო სახელოსნოს მხატვარ-გამფორმებელი (1975-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს ჰელსინკის კავშირი (ბათუმის რეგიონალური ჯგუფის ხელმძღვანელი), თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის, ჰუმანიტარულ და

სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ტრაგიკულად დაიღუპა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შენობაში 1991 წლის 30 აპრილს.

ხვედრი ნიკოლოზის ძე ინასარიძე

დაიბადა 1932 წლის 6 დეკემბერს პარიზში. მეუღლე – ცისანა ფირცხალავა; შვილები: ნიკო, ქეთინო. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი (1958); თსუ ასპირანტურა (1958-61). კარიერა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის: უმცროსი, უფროსი და მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (1961-89), ალგებრის განყოფილების გამგე 1989 წლიდან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (1987-2009). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", უპარტიო, განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ტოპოლოგიური სივრცეების და მათი უწყვეტი ასახვების სასრული რიგის ნაზრდები"; სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "კოჰომოლოგიები მნიშვნელობით ნახევარჯგუფებში". საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 1983 წლიდან; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი 2001 წლიდან. მრავალი სამეცნიერო ნაშრომის და მონოგრაფიების ავტორი; საერთაშორისო მათემატიკური ელექტრონული ჟურნალების "Homology, Homotopy and Applications", "Journal of Homotopy and Related Structures", "Tbilisi Mathematical Journal" (მათგან პირველ ორს აქვს "იმპაქტ ფაქტორი") დამაარსებელი; საქართველოს მათემატიკოსთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე (1990-97); ევროპის მათემატიკოსთა საზოგადოების წევრი; რაზმაძის სახელობის და ხორეზმის საერთაშორისო პრემიების ლაურეატი მათემატიკის დარგში; არასამთავრობო და არაკომერციული დამოუკიდებელი მეცნიერული ორგანიზაციის – "თბილისის მათემატიკური მეცნიერებების ცენტრი"-ს ხელმძღვანელი.

ანტონ ვლადიმერის ძე ინგოროყვა

დაიბადა 1948 წლის 8 იანვარს ოზურგეთის რაიონის სოფელ მაკვანეთში. მეუღლე – ფერიდე ხიდეშელი; შვილები: ვლადიმერი, დავითი, გიორგი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო გეოლოგიური ფაკულტეტი (1971); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი (1978). კარიერა: კპ ოქტომბრის რაიკომის განყოფილების გამგე, ლენინის რაიკომის II მდივანი, თბილისის კომიტეტის განყოფილების გამგე, ოქტომბრის რაიკომის I მდივანი, თბილისის საქალაქო კომიტეტის II მდივანი (1977-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომპარტიის სიით, მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). აგროსამრეწველო ფირმა "სამგორის" გენერალური დირექტორი (1991-94); საქართველოს სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1994-95); საპაიო-კომერციული "ახალი ქართული ბანკის" ვიცე-პრეზიდენტი (1995); სს "გაერთიანებული ქართული ბანკის": გენერალური დირექტორი (1995-98), სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, თავმჯდომარე (1999), კვლავ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (2001-2003). საქართველოს პარლამენტის წევრი (1999-2000): სმკ პარტიული სიით; ეკონომიკური პოლიტიკის და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტების წევრი, ფრაქცია – მოქალაქეთა კავშირი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "საწარმოს ნაყოფიერების გაზრდის ეკონომიკური პარამეტრი"; ეკონომიკის დოქტორი; სტუ პროფესორი, საბანკო და საფინანსო დეპარტამენტის ხელმძღვანელი. მონოგრაფიის, სამეცნიერო ნაშრომების, სახელმძღვანელოს "საბანკო მენეჯმენტის ზოგადი საფუძვლები" და დამხმარე სახელმძღვანელოს "საბანკო მენეჯმენტის ტრადიციები და მათი ზოგიერთი თავისებურებანი საქართველოში" ავტორი; საპატიო ნიშნის ორდენის კავალერი.

ჯემალ სულიკოს ძე იონათამიშვილი

დაიბადა 1946 წლის 25 ოქტომბერს ხაშურში. მეუღლე – ნინო იონათამიშვილი; შვილები: კონსტანტინე, ნათია. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (1972). კარიერა: სსრკ 50 წლისთავის სახ. საწარმოო გაერთიანების

ინჟინერი, ლაბორატორიის უფროსი, განყოფილების გამგე, მთავარი მეტროლოგის მოადგილე (1974-82); სს გაერთიანება "ანალიზხელსაწყოს" წამყვანი ინჟინერი (1983-84); სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს წამყვანი ინჟინერი, განყოფილების გამგე, მეცნიერებათა აკადემიის მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის ცენტრის ჩამოყალიბების აქტიური მონაწილე, მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი (1984-90). საქართველოს ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირის თანადამფუძნებელი, მთავარი კომიტეტის წევრი, საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, ისნის ვაზისუბნის №16 საარჩევნო ოლქი, საქართველოს ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი, ჰუმანიტარული და სოციალური საკითხების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006).

რამაზ ოტიას ძე იოსელიანი

დაიბადა 1951 წლის 3 აგვისტოს წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბში. მეუღლე – ნანა ნიშნიანიძე; შვილი – თათია. განათლება: ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი ისტორიის სპეციალობით (1974). კარიერა: წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე (1974-81); თბილისის საავიაციო ქარხნის ხარატი, საამქროს უფროსი (1981-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია (პარტიის გამგეობის წევრი), სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის წევრი, სოფლის მეურნეობის და ეკოლოგიის ქვეკომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). 1992

წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. ქ. ქუთაისში "ქართული სკოლის" ისტორიის პედაგოგი, კერძო სკოლა "ინტელექტის" დირექტორი.

გრიგოლ (გურამ) ეფრემის ძე ისაკაძე

დაიბადა 1953 წლის 22 ივნისს საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში. მეუღლე – ნინო გელაშვილი; შვილები: ალექსანდრე, გიორგი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (1975). კარიერა: თბილისის ლესელიძის სახ. სამხედრო სკოლა-ინტერნატის, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელი, თსუ ბირთვული ფიზიკის კათედრის ლაბორანტი, ლაბორატორიის გამგე (1976-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", "საქართველოს ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი" (დამფუძნებელი, გამგეობის წევრი), სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის წევრი, ეკოლოგიის ქვეკომისიის თავმჯდომარე, საგარეჯოს რაიონის პრეფექტი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006).

ალექსანდრე (სანდრო) ირაკლის ძე კავსაძე

დაიბადა 1944 წლის 5 მაისს ქუთაისში. მეუღლე – გულიკო დვალი-კავსაძისა (გარდაიცვალა 2009 წელს). განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1976); საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი. კარიერა: სავალდებულო სამხედრო სამსახური (1963-66); თბილისის 70-ე მიკრორაიონის პედაგოგ-ორგანიზატორი, ალკკ რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე (1967-69); საქართველოს შს სამინისტროს

პოლიტიკური განყოფილების ინსტრუქტორი, საქართველოს კპ ცკ-ის ინსტრუქტორი (1969-72); საქართველოს კპ გორის რაიკომის მდივანი, პირველი მდივანი (1972-76); საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე (1976-83); მილიციის გენერალ-მაიორი. საქართველოს კპ ცკ-ის ვაჭრობის და მომსახურეობის განყოფილების გამგე (1983-86); საქართველოს მთავარი სახელმწიფო არბიტრი – საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე (1986-89); ქ. გორის და გორის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების გაერთიანებული პრეზიდიუმის თავმჯდომარე, კპ გორის რაიკომის მდივანი (1989-90); საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს IX, X და XI მოწვევის დეპუტატი (1975-1985). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): მაჟორიტარი, გორის მეჯვრისხევის საარჩევნო ოლქი. თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი, პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილე – ეროვნებათაშორისი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, სახელმწიფო საბჭოს სპეციალური რწმუნებული ცხინვალის რეგიონში სამოქალაქო და ეროვნებათაშორისი კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში (1992). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1993): პროპორციული სიით, №5 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი, ბლოკი "ერთობა", ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორის ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე. საქართველოს ქონების მართვის (პრივატიზაციის) კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს ქონების მართვის მინისტრი, საქართველოს ადამიანის უფლებათა და ეროვნებათშორის ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე (მინისტრი), საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერი (1992-97); საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი ჟენევაში, გაერო-ს ევროპის განყოფილებასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში (1997-2004). "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" კანონის ავტორი (1997) და "წამების წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენციის ფაკულტატიური ოქმის" თანაავტორი (2002). 2010 წელს ბერად აღიკვეცა (ბერი ილია).

† ამირან სერგოს ძე კალაძე

დაიბადა 1945 წლის 3 მაისს სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერში. მეუღლე – ანნე-მეტსის კალაძე; შვილები: სერგო, კლარა. განათლება: თბილისის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1970). კარიერა: პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი და მთარგმნელი; 1960 წლიდან ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას; 17 წიგნის ავტორი; ესტონურ ენაზე თარგმნა მორის ფოცხიშვილის ლექსების კრებული (ანდრეს ეჰინთან ერთად) და ქართული იუმორი; ესტონურიდან ქართულ ენაზე თარგმნა: ანტონ ჰენსენ ტამსაარე, იან კროსი, იოჰან სმუელი, ანდრეს ეჰინი, ენ ვატემაა, არვო ვალტონი, ტეეტ კალასი, მატი ჰუნგი, კალე კურგი; ქართულ ენაზე თარგმნა ფინური პოეზიის ანთოლოგია. იუჰან სმუულის სახ. პრემიის ლაურეატი; საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი; საქართველოს მთარგმნელობითი კოლეგიის დირექტორი 1989 წლიდან. ფინეთ-საქართველოს საზოგადოების პრეზიდენტი; სხვადასხვა ანტისაბჭოური ორგანიზაციის წევრი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", უზენაესი საბჭოს სარედაქციო კომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. გარდაიცვალა 1995 წლის 27 ივნისს.

ზურაბ კონსტანტინეს ძე კანდელაკი

დაიბადა 1941 წლის 24 თებერვალს თბილისში. მეუღლე – ზეინაბ გზირიშვილი; შვილი – კონსტანტინე. განათლება: თბილისის რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი (1965). კარიერა: სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახ. სახელმწიფო ქართული დრამატული თეატრის დამდგმელი რეჟისორი (1965-67); ტელერადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის რადიომუწყებლობის მხატვრული გადაცემების მთავარი რედაქციის რეჟისორი (1967-73), მთავარი რეჟისორი 1973 წლიდან. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", "ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი", კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის, ადამიანის

უფლებათა დაცვის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოთეატრის მთავარი რეჟისორი; განხორციელებული აქვს 400-ზე მეტი რადიოსპექტაკლი (მათ შორის ტალინში, ვარშავაში, ბუდაპეშტში, მოსკოვში, მინსკში); გამოცემულია მისი რადიოპიესების 2 კრებული, მოთხრობების კრებული "უფალო, გამიყვანე გვირაბის ბოლოს", რომანი "უძრავი ქარი"; რადიოდადგმების I საკავშირო ფესტივალის (1990) და საერთაშორისო ფესტივალის – "ოსტანკინოს პრიზის" (1994) გრან-პრის, ბერლინის საერთაშორისო ფესტივალის – "ევროპის პრიზი" ჟიურის სპეციალური პრიზის მფლობელი; მისი პიესები დაიდგა მრავალ ქვეყანაში. ღირსების ორდენის კავალერი.

† გურამ ისაიას ძე კანკავა

დაიბადა 1928 წლის 10 ნოემბერს თბილისში. მეუღლე – ლია გოგაძე; შვილები: გიორგი, მაია. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით (1952). კარიერა: საქართველოს განათლების სამინისტროს მუზეუმის მუშაკი, გაზეთ "ზარია ვოსტოკას", გამომცემლობა "საქმედგამის" რედაქტორი (1953-59); რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი 1959 წლიდან. საქართველოს და საბჭოთა კავშირის მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირების წევრი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", უპარტიო; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი; სამეცნიერო ნაშრომების, წიგნების: "ისტორიული რომანი და მისი ქართული ტრადიციები" (საკანდიდატო დისერტაციის თემა, კვლევაში ცენტრალური ადგილი უკავია კონსტანტინე გამსახურდიას "დიდოსტატის მარჯვენას"), "ლიტერატურული წერილები", "წერილები, პორტრეტები" ავტორი. გარდაიცვალა 1992 წლის 29 იანვარს.

კონსტანტინე ვახტანგის ძე კაპანაძე

დაიბადა 1948 წლის 1 ნოემბერს. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სკკპ ცკ-თან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია. კარიერა: თბილისის მექანიკური ქარხნის წუნმდებელი (1967-70); ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი, კპ 26 კომისრის სახ. რაიკომის ინსტრუქტორი, ალკკ რაიკომის პირველი მდივანი (1970-74); კპ თბილისის ქალაქკომის ინსტრუქტორი, საქარხნო რაიკომის მდივანი, II მდივანი (1974-79); კპ თბილისის ქალაქკომის განყოფილების გამგე (1979-81); საქართველოს კომპარტიის ცკ-ის განყოფილების გამგის მოადგილე (1981); საქარხნო რაიკომის პირველი მდივანი (1982-84); კპ თბილისის ქალაქკომის მდივანი (1984-86); საქართველოს კპ მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების, სოციალურ-ეკონომიკური განყოფილების გამგე (1986-89). საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს XI მოწვევის დეპუტატი. საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი (1990-91). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): მაჟორიტარი, სამგორის საარჩევნო ოლქი, საქართველოს კომპარტია, ეკონომიკური რეფორმის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.



† იოსებ (სოსო) ვახტანგის ძე კასრაძე

დაიბადა 1947 წლის 22 აპრილს ცხინვალში. მეუღლე – ნანა ნიკოლაიშვილი; შვილები: სალომე, ელენე, ელისო. განათლება: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი (1966-72); უნივერსიტეტ "საქართველო"-ს მედიცინის ფაკულტეტი ფარმაციის სპეციალობით (2002-2005). კარიერა: საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ანსამბლ "ოროველას" სოლისტ-ინსტრუმენტალისტი (1970-72), მხატვრული ხელმძღვანელი (1977-80). ქარელის რაიონის სოფელ აბანოს დოლომიტების წარმოების საექიმო პუნქტის გამგე (1972-76); თბილისის კახიანის სახ. საგზაო კლინიკური საავადმყოფოს: ინტენსიური პალატის (1980-86), ინფარქტის განყოფილების (1986-87) ექიმი-ორდინატორი, 1987 წლიდან ინფარქტის განყოფილების გამგე. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", ეროვნულ-ლიბერალური კავშირი, ჰუმანიტარული

და სოციალური საკითხების შემსწავლელი კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. განთავისუფლებული იქნა განყოფილების გამგის თანამდებობიდან. 1997 წლიდან მუშაობდა ქ. თბილისის მერიის ბიგ-ბენდში; 2009 წლიდან ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის ექიმი-კარდიოლოგი და აფთიაქის გამგე. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). გარდაიცვალა 2012 წლის 10 მარტს.

ლია გიორგის ასული კაცაძე

დაიბადა 1940 წლის 15 მაისს სამტრედიის რაიონის სოფელ წიალობანში. მეუღლე – გიული გიორგაძე; შვილები: აკაკი, გიგა. განათლება: ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი (1967). კარიერა: ქუთაისის 22-ე საშუალო სკოლის პედაგოგი (1969-93). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, ქუთაისის დავით აღმაშენებლის საარჩევნო ოლქი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე.

† ზაალ (ზაზა) ნიკოლოზის ძე კახიანი

დაიბადა 1927 წლის 5 ივლისს ბაღდათის რაიონის სოფელ როკითში. მეუღლე – ნაირა ხაზარაძე; შვილები: დარეჯანი, ბარბარე. განათლება: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი (1951), ასპირანტურა (1954). კარიერა: თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის ასისტენტი, სამეცნიერო საბჭოს სწავლული

მდივანი, ფაკულტეტის დეკანი (1954-60); 1960 წლიდან ამავე ინსტიტუტის გადაუდებელი ქირურგიის კათედრაზე, 1967 წლიდან კათედრის გამგე; საქართველოს სსრ ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე (1962-72); საქართველოს სამეცნიერო-საექიმო საზოგადოების თავმჯდომარე 1975 წლიდან; ქირურგთა საკავშირო საზოგადოების გამგეობის წევრი 1984 წლიდან; თბილისის ექიმთა მომზადებისა და დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის, საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის რექტორი (1988-99). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): მაჟორიტარი, ბაღდათის საარჩევნო ოლქი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, დაიცვა დისერტაცია თემაზე: "პორტული ჰიპერტენზიის ეთიოლოგია, პათოგენეზი და მკურნალობა". საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე; სამედიცინო საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე; საქართველოს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტი 1994 წლიდან; უცხოეთის ქვეყნების აკადემიების წევრი; 260-მდე სამეცნიერო ნაშრომის, 36 მონოგრაფიის, გამოგონებების და რაციონალიზატორული წინადადების ავტორი; საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; შრომის წითელი დროშის ორდენის, ღირსების ორდენის კავალერი; თბილისის საპატიო მოქალაქე. გარდაიცვალა 2000 წელს.

რევაზ ამირანის ძე კემულარია

დაიბადა 1955 წლის 5 ნოემბერს გალში. მეუღლე – ლუარა კემულარია; შვილები: სოფიო, სალომე, თამარი. განათლება: საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი ექიმი რეაბილიტოლოგის სპეციალობით (1977). კარიერა: სავალდებულო სამხედრო სამსახური (1974-76); აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებების სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტი. 1976 წლიდან ეწევა ლიტერატურულ მოღვაწეობას; მისი ნოველები და ლექსები დაბეჭდილია პერიოდულ გამოცემებში. "საქართველოს თავისუფალ დემოკრატთა კავშირის" დამფუძნებელი (სოხუმი, 1989); "ეროვნული ხსნის კომიტეტის" წევრი; "საქართველოს ეროვნული ფორუმის" წევრი; აფხაზეთის მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარე; "მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური ექსპერტი. საქართველოს რესპუბლიკის

პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მერაბ კოსტავას საზოგადოება, სამანდატო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. იმყოფებოდა პოლიტიკურ დევნილობაში საზღვარგარეთ (1992-98). არასამთავრობო ორგანიზაცია "ანტიკორუფციული და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირის" (ფოთი) დამფუძნებელი. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). 2015 წლიდან საქართველოს ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის საინიციატივო ჯგუფის წევრი.

ვარლამ (ვაჟა) ვარლამის ძე კეშელავა

დაიბადა 1930 წლის 14 ნოემბერს ქ. გაგრაში. მეუღლე – ზაირა სარიშვილი; შვილები: ნინო, თორნიკე. განათლება: მოსკოვის ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი (1953); დასავლური ფილოსოფიის ისტორიის კათედრის ასპირანტურა (იქვე, 1957). კარიერა: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი (1957-75); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის კათედრის გამგე (1975-78); საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგის მოადგილე (1978-81); ჟურნალის – "საქართველოს კომუნისტი" (1982-90), გაზეთის – "ზარია ვოსტოკა" და მისი მემკვიდრის – "ვესტნიკ გრუზიი" (1990-91) მთავარი რედაქტორი; საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრის დირექტორი (1998-99); მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი 2000 წლიდან. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს XI მოწვევის დეპუტატი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; 80-ზე მეტი სამეცნიერო შრომის (მონოგრაფიები, სამეცნიერო

კრებულები, სტატიები) ავტორი სოციალური და პოლიტიკური ფილოსოფიის საკითხებზე; გამოცემულია როგორც ქართულ, ასევე რუსულ, გერმანულ, ესპანურ, პოლონურ, ინგლისურ, იტალიურ, სომხურ და უზბეკურ ენებზე.

მალხაზ ტარიელის ძე კვანჭილაშვილი

დაიბადა 1951 წლის 30 აგვისტოს თბილისში. მეუღლე – მარინა ბასილაშვილი; შვილები: ელენე, ანა. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1974); ასპირანტურა (1978). კარიერა: სოფელ ბორბალოს რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი (1974-75); მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (1978-94); 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების აქტიური მონაწილე, მეცნიერებათა აკადემიაში და თსუ-ში საპროტესტო აქციების ერთ-ერთი ინიციატორი; მონაწილეობდა საქართველოში და სპიტაკში (სომხეთი) სტიქიით დაზარალებულთათვის სახლების მშენებლობაში. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", წმინდა ილია მართლის საზოგადოება, კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის, ეკონომიკური რეფორმის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-93): საკომპენსაციო სიით, "ქარტია-91" (ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის უცვლელი წევრი), თვითმმართველობისა და რეგიონული მმართველობის კომისიის წევრი; 1993 წელს, სოჭის ცნობილი ხელშეკრულების მიღების შემდეგ, პროტესტის ნიშნად დატოვა პარლამენტი პირადი განცხადების საფუძველზე, მკაცრად გააკრიტიკა რა იმდროინდელი პოლიტიკური კურსი, "მიმართული საქართველოს სულიერი და ტერიტორიული მთლიანობის ნგრევისაკენ" (ციტატა მის მიერ ე. შევარდნაძის სახელზე დაწერილი განცხადებიდან). "კონიუნქტურის კვლევის ცენტრის" დირექტორი პროგრამებისა და განვითარების დარგში (1994-97); სახალხო დამცველის რწმუნებული განათლების, კულტურისა და მეცნიერების დარგში (1998-99); ანტიკორუფციული ბიუროს ექსპერტი სახელმწიფო სტრუქტურების ოპტიმიზაციის მიმართულებით (2000-2001). კითხულობდა ლექციებს თსუ-სა და სტუ-ში; 20-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, რამდენიმე პუბლიცისტური სტატიისა და წიგნის ავტორი.

ნუგზარ აქვსენტის ძე კვაჭაძე

დაიბადა 1942 წლის 13 აპრილს მახარაძის (ოზურგეთი) რაიონის სოფელ ლიხაურში. მეუღლე – დეა პაპუაშვილი; შვილი – ინგა. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი (1974). კარიერა: სამხედრო სავალდებულო სამსახური (1961-64). საშუალო სკოლის პედაგოგი (1970-72); საქმთავარენერგოს: ნავთლულის ელექტროსადგურის მორიგე ელექტრიკოსი, ელექტრო ქვესადგურების ჯგუფის უფროსი (1965-79); "საბურთალო-I"-ის ელექტრო ქვესადგურების ჯგუფის უფროსი 1980 წლიდან. საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების (1989), მერაბ კოსტავას საზოგადოების (1990 წლიდან) წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვის ჯგუფის ხელმძღვანელი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", ასპინძის №99 საარჩევნო ოლქი, მერაბ კოსტავას საზოგადოება, მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის წევრი, ენერგეტიკის ქვეკომისიის თავმჯდომარე, თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-93): საკომპენსაციო სიით, მერაბ კოსტავას საზოგადოება, ენერგეტიკის ქვეკომისიის თავმჯდომარე; დატოვა პარლამენტი 1993 წლის მაისში პირადი განცხადების საფუძველზე. ცენტრალური ელექტროქსელების მთავარი ინჟინერი; სს "თელასის" მაღალი ძაბვის ქვესადგურების ჯგუფის უფროსი. მერაბ კოსტავას საზოგადოების დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

† ალექსი როსტომის ძე კვეზერელი

დაიბადა 1949 წლის 26 აპრილს გურჯაანის რაიონის სოფელ ქოდალოში. მეუღლე – მარინე კვეზერელი; შვილები: მანანა, ზურაბი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ელექტრული მანქანებისა და აპარატების ინჟინერ-ელექტრიკოსის სპეციალობით (1971); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეც-ფაკულტეტის ბიზნესის უმაღლესი სკოლა წარმოების მართვის ორგანიზაციის სპეციალობით (1991). კარიერა: სასოფლო მშენებლობის სამინისტროს გურჯაანის სპეციალიზირებული მოძრავ-მექანიზირებული №7 კოლონის ინჟინერი, უფროსი (1971-

81); გურჯაანის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს მთავარი ინჟინერი (1981-82); გაერთიანება "საქსოფლმონტაჟკომპლექტის" მოძრავ-მექანიზირებული №3 კოლონის ინჟინერი, უფროსი (1982-89); სოფელ ქოდალოს მერძევეობის კომპლექსის დირექტორი, შემდგომში – კოლმეურნეობის თავმჯდომარე (1989-95). საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1991, XI – 1992, I): მაჟორიტარი, გურჯაანის საარჩევნო ოლქი. სმკ გურჯაანის ორგანიზაციის თავმჯდომარე (1993-95); გურჯაანის რაიონის აგროსამრეწველო სამმართველოს უფროსი (1995-96); ელექტრომეურნეობისა და რეალიზაციის გურჯაანის რაიონული საწარმო "ელექტრონის" დირექტორი (1996); სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ავტოკოლონა 2684-ის დირექტორი (1996-2002); გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდას თემის საკრებულოს თავმჯდომარე (2002-2004); მოღვაწეობდა კერძო ბიზნესში (2007-2008). ტრაგიკულად დაიღუპა 2008 წლის 21 აგვისტოს.

ავთანდილ ალექსანდრეს ძე კვეტენაძე

დაიბადა 1947 წლის 22 იანვარს ზესტაფონის რაიონის სოფელ ზოვრეთში. მეუღლე – მარიამ ჩაკვეტაძე; შვილი – გიორგი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით (1968). კარიერა: შავი მეტალურგიის ქარხნების დამპროექტებელი ინსტიტუტის ინჟინერი, ჯგუფის უფროსი, მთავარი სპეციალისტი, განყოფილების გამგე (1968-81). სამხედრო სავალდებულო სამსახური (1971-73). ტრესტ "საქსანტექმონტაჟის" ტექნიკური განყოფილების უფროსი (1981-86); მშენებელთა დამოუკიდებელი პროფკავშირის ფედერაციის განყოფილების გამგე (1986-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, თბილისის სამგორის ლილოს №19 საარჩევნო ოლქი, უპარტიო, მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის წევრი, მეწარმეობის ქვეკომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. ცხოვრობდა საფრანგეთში პოლიტიკური დევნილის სტატუსით (2000-2006). 2006 წლიდან ცხოვრობს საქართველოში.

კანდიდ (კახა) აკაკის ძე კვიციანი

დაიბადა 1949 წლის 1 მაისს მესტიაში. მეუღლე – ნანა შუკვანი, შვილები: მაკა, ხათუნა, აკაკი. განათლება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო ფაკულტეტი, მიმოსვლის გზათა ინჟინერ-მშენებელი (1975). კარიერა: საავტომობილო გზების სამინისტროს საპროექტო საგამომკვლევო კანტორის ინჟინერი (1976-78); №13 საგზაო-სამშენებლო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი (1978-79); მესტიის საგზაო სამმართველოს (1979-86), №5 საგზაო-სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს (1986-89); საწარმოო გაერთიანება "ქუთაისავტოგზის" (1989-91) უფროსი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი. მესტიის რაიონის პრეფექტი (1991, ნოემბერი – 1992, მარტი); მესტიის რაიონის გამგებელი (1992, მარტი-ოქტომბერი); საავტომობილო გზების სახელმწიფო კონცერნ "საქავტოგზის" გზების ექსპლუატაციის სამმართველოს უფროსი (1992-95); საგზაო საგადასახადო სამმართველოს უფროსი (1995-97); საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე (1997-2003), თავმჯდომარე (2003, სექტემბერი-დეკემბერი), კვლავ თავმჯდომარის მოადგილე (2004, იანვარი-ივნისი); სამშენებლო ორგანიზაციების ასოციაცია "მანკაბ-XXI"-ს პრეზიდენტი (2006-2008). საქართველოს პარლამენტის წევრი (2008-2012): მაჟორიტარი, №47 მესტიის საარჩევნო ოლქი, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსათვის", დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრი, ფრაქცია "საქართველოს რეგიონები – მაჟორიტარები". ვახტანგ გორგასლის III ხარისხის და ღირსების ორდენის კავალერი.

მერაბ შალვას ძე კიკნაძე

დაიბადა 1953 წლის 9 მაისს. მეუღლე – მარინა კიკნაძე; შვილი – სანდრო. განათლება: მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკური ინსტიტუტი (1976). კარიერა: მოსკოვის ლებედევის სახ. ფიზიკის ინსტიტუტის სტაჟიორ-მკვლევარი (1976-77); თსუ დაბალი ტემპერატურების ფიზიკის ს/კ ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი 1978 წლიდან. საქართველოს რეს-პუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, საბურთალოს კოლხეთის №22

საარჩევნო ოლქი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი, მრეწ-ველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის მდივანი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. 1992 წლის 12 მარტს ჩეჩნეთის რესპუბლიკის დედაქალაქ გროზნოში გამართულ უზენაესი საბჭოს სხდომაზე არჩეული იქნა დროებით თავმჯდომარედ, 1993 წლის ივლისში, ქ. ზუგდიდში გამართულ სხდომაზე – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. 1994 წლის 1 აპრილს პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან.

ნიკოლოზ არჩილის ძე კილასონია

დაიბადა 1957 წლის 17 თებერვალს თბილისში. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია–გეოლოგიის ფაკულტეტი სპეციალობით – საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფია (1980); თსუ საერთაშორისო ურთიერთობების მეორადი ფაკულტეტი (1980). კარიერა: ქარხანა "ელექტროძრავის" ზეინკალი, სპი-ს ლაბორანტი (1972-75); "საქსახმინპროექტის" ინჟინერი, თბილისის თბომეურნეობის სამმართველოს საქვაბის ოპერატორი, თბილისის გრამჩამწერი სტუდია "მელოდიის" ოპერატორი (1981-88); 1989 წლიდან "იბერია-89" საწარმოო დანერგვითი ცენტრის მენეჯერი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, საგარეო ურთიერთობათა კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). დამოუკიდებელი თარჯიმანი (1992-95); საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს ნოუ-ჰაუს ფონდის უშტატო თარჯიმანი (1995-97); წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საქართველოში მისიის ოფიცერი (1997-99); საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა სამმართველოს თარჯიმანთა ჯგუფის უფროსი (1999-2004); საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს: ეკონომიკური დეპარტამენტის

ეკონომიკური ანალიზის სამმართველოს უფროსი (2005-2006), ამერიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე (2006-2007), პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე (2008-2015). 2008 წლიდან საქართველოს საგარეო დაზვერვის სამსახურის ანალიტიკური დირექტორატის უფროსის მოადგილე. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006).

თენგიზ კალისტრატეს ძე კიტოვანი

დაიბადა 1938 წლის 9 ივნისს თბილისში. მეუღლე – ციცინო სულაძე; შვილები: მაია, ნინო, ნათია. განათლება: თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დეკორატიული ხელოვნების ფაკულტეტი (1967). კარიერა: ხატვა-ხაზვის პედაგოგი თეთრიწყაროს რაიონში; ავჭალის მინის ქარხნის მთავარი მხატვარი; თბილისის სახელმწიფო სარეკლამო სააგენტოს მთავარი მხატვარი; გამოფენებში მონაწილეობდა 1965 წლიდან; მონარქისტული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1991); საქართველოს ეროვნული გვარდიის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი, პირველი გენერალი და სარდალი (1992-96). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, საბურთალოს საარჩევნო ოლქი, საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", თავდაცვის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). 1991 წლის დეკემბერ – 1992 წლის იანვარში ჯაბა იოსელიანთან და თენგიზ სიგუასთან ერთად ხელმძღვანელობდა კანონიერი ხელისუფლების დამხობას. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი და ვიცე-პრემიერი (1992). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): მაჟორიტარი, №4.23 ბოლნისის ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი. იყო დაპატიმრებული, იხდიდა სასჯელს (1995-99). გენერალ-მაიორი; ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი.

აკაკი ზურაბის ძე კობაძე

დაიბადა 1954 წლის 26 ოქტომბერს ქ. ქუთაისში. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი (1976); ამავე ფაკულტეტის ასპირანტურა (1982). კარიერა: ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის ასისტენტი (1976-80); თსუ ასპირანტი (1980-82); საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1983-89); 1986 წლიდან სტუ დოცენტი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი, ჰუმანიტარული და სოციალური საკითხთა კომისიის მდივანი, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მდივანი, რელიგიის საქმეთა კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ანტონ I კათალიკოსი, მისი ფილოსოფიური და რელიგიური შეხედულებების კრიტიკა"; ფილოსოფიის დოქტორი. სამეცნიერო ნაშრომების, პრესაში გამოქვეყნებული სტატიების ავტორი.

გელა ელიზბარის ძე კობერიძე

დაიბადა 1952 წლის 15 ოქტომბერს ონის რაიონის სოფელ ცხმორში. მეუღლე – ლიანა კობერიძე; შვილები: მირანდა, გურანდა, ბექა. განათლება: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი ეკონომისტ ორგანიზატორის სპეციალობით (1976). კარიერა: გლდანის რაიონის საფინანსო განყოფილების გამგის მოადგილე, თბილისის ქალაქის საფინანსო სამმართველოს სახელმწიფო შემოსავლების განყოფილების უფროსი, კრწანისის რაიონის საფინანსო განყოფილების გამგე, კრწანისის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის უფროსი (1975-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", წმინდა ილია მართლის საზოგადოება, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს

რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-93): საკომპენსაციო სიით, “ქარტია-91”, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილე (1993-96): საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე (1996-98). 1998 წლიდან სადაზღვევო კომპანია “ენიკი”-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავ-მჯდომარე-პრეზიდენტი.

რესან ჰასანის ძე კონცელიძე

დაიბადა 1938 წლის 1 მარტს ბათუმში. მეუღლე – მარინა თავზარაშვილი-კონცელიძე; შვილები: მე-დეა, არჩილი, რესანი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათ-მშენებლობის ფაკულტეტი (1961). კარიერა: თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორი (1961-62); ალკკ ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი (1962-63), საკავშირო ალკკ ცკ-ის ინსტრუქტორი, პასუხისმგებელი ორგანიზატორი (1963-66); საქართველოს ალკკ ცკ-ის მეორე მდივანი (1966-69); ქ. თბილისის ოქტომბრის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1969-73); კპ საქარხნო რაიკომის I მდივანი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ის განყოფილების გამგე (1973-74); საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი (1974-89); სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის I მოადგილე (1985-89); საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს IX, X და XI მოწვევის დეპუტატი; მომხმარებელთა საზოგადოებების ცენტრალური კავშირი “ცეკავშირი”-ს გამგეობის თავმჯდომარე (1989-94). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): მაჟორიტარი, ქობულეთის ჩაქვის №115 საარჩევნო ოლქი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). 1991-92 წლებში დანგრეული თბილისის ცენტრის აღორძინების მიზნით შექმნილი ს/ს “თბილისი სიტი”-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (1996-2004); დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების დროს შეიარაღებული ძალების მომარაგების, ზემო აჭარაში სტიქიით დაზარალებულთა ახალქალაქის რაიონში დასახლების, სხალთის მონასტრის აღდგენის, ეკლესია-მო-ნასტრების, თეატრების აღორძინების საქმეში; საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი (1986-90).

გაიოზ (გიზო) ბენოს ძე კორძაძე

დაიბადა 1938 წლის 19 მარტს ჩოხატაურში. მეუღლე – ელენე მუსელიანი; შვილი – ნათია. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1966). კარიერა: სამხედრო სავალდებულო სამსახური (1957-59). პროფტექნიკური სასწავლებლის პედაგოგი (1966-69); თბილისის ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, სამეცნიერ-საგანმანათლებლო განყოფილების გამგე; სპი-ს ქართული ენისა და ლიტერატურის ლექტორი (1969-90). დისიდენტური საქმიანობისთვის იდევნებოდა სუკ-ის მიერ (1960-1990). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, დიდუბის საარჩევნო ოლქი, ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, საგარეო ურთიერთობათა კომისიის, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): კომპენსაციის სიით, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი (გენერალური მდივანი 1990-97), კულტურის კომისიის წევრი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი 1995 წლიდან. თსუ რაგბისტთა გუნდის პირველი თაობის მორაგბე, საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირის წევრი.

ზაურ ჟერლოს ძე კოსტავა

დაიბადა 1953 წლის 27 იანვარს ოზურგეთში. მეუღლე – ნანა გოგიბერიძე; შვილები: ლაშა, ანა. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი გზათა მიმოსვლის ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით (1978). კარიერა: სამხედრო სავალდებულო სამსახური (1972-74). ტრესტ "საქმთავარენერგოს" ქ. ოზურგეთის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს ბათუმის ოსტატი, ტრესტ "საქკომუნსპეცმშენის" ოზურგეთის სპეციალიზებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს სამუშაოთა უფროსი, სამუშაოთა მწარმოებელი (1970-86); ბუნების დაცვის ოზურგეთის სარაიონთაშორისო კომიტეტის უფროსი ინჟინერი (1986-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი

საქართველო”, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის წევრი. ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე.

პაატა პეტრეს ძე კოლუაშვილი

დაიბადა 1956 წლის 5 სექტემბერს ქუთაისში. მეუღლე – ნინო ჩიხლაძე; შვილები: ლილი, თამარ, ერეკლე. განათლება: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტი (1978); ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კახეთის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტი (2002). კარიერა: ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ს/კ ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1978-82); საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მევენახეობისა და მეხილეობის მთავარი სამმართველოს წამყვანი ეკონომისტი, მთავარი ეკონომისტი (1983-85); სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სამმართველოს მთავარი ეკონომისტი, ფერმერულ მეურნეობათა სექტორის უფროსი (1986-90). საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი 1988 წლის მარტიდან; მერაბ კოსტავას საზოგადოების საადგილმამულო ფონდის გამგეობის წევრი (1990-95). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, ადიგენის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სახალხო ფრონტი, ეკონომიკური რეფორმის კომისიის წევრი, აგრარული რეფორმის ქვეკომისიის თავმჯდომარე, ფრაქცია “დემოკრატიული ცენტრი”; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი, აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსების და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, რესპუბლიკის დროებითი მთავრობის თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრის მოადგილე აგრარულ საკითხებში (1992). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): პროპორციული წესით, №5 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი, ბლოკი “11 ოქტომბერი”, სახალხო ფრონტი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; ხელი აქვს მოწერილი

საქართველოს კონსტიტუციაზე (1995). საგანგებო ეკონომიკური საბჭოს წევრი (1993-95); სახელმწიფო კანცელარიის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი აგრარული რეფორმის საკითხებში (1996-2003). ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, დაიცვა დისერტაცია თემაზე: "საქართველოს სასურსათო უშიშროების პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები". საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის დოცენტი (2001-2003), შემდეგ პროფესორი (2003-2009); თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი (2005-2010). 2010 წლიდან სტუ ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი 2004 წლიდან. 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომის (მიწის, აგრარული პოლიტიკის და სასურსათო პრობლემებზე), მათ შორის 6 მონოგრაფიის, 4 სახელმძღვანელოსა და 150-ზე მეტი საგაზეთო პუბლიკაციის ავტორი. ეკონომიკური პროფილის 8 ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წავრი; 10-მდე მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს რედაქტორი. "მოძრაობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის" თანათავმჯდომარე (1997-2003); საქართველოს ვეტერან რაგბისტთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი (2000-2010). ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი. აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი საზოგადოებრივ-პუბლიცისტური მოღვაწეობისათვის (1995). საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. ღირსების ორდენის კავალერი.

თენგიზ პიმენის ძე კუბლაშვილი

დაიბადა 1941 წლის 14 თებერვალს ხაშურში. მეუღლე – მანანა კუბლაშვილი; შვილები: ნინო, ეკა. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ფსიქოლოგის სპეციალობით (1975). კარიერა: სავალდებულო სამხედრო სამსახური (1960-63). თსუ სოციალური კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი (1976-77); კითხულობდა ლექციათა კურსს ფსიქოლოგიაში თელავის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (1977-84), ფსიქოლოგიაში, ფილოსოფიის ისტორიასა და ლოგიკაში მცხეთის სასულიერო სემინარიაში (1980-84). ჟურნალის – "სკოლა და ცხოვრება" ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის განყოფილების რედაქტორი (1984-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, გლდანის

ავჭალის №24 საარჩევნო ოლქი, საარჩევნო ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. პოლიტიკური ორგანიზაცია “ჭყონდიდელი”-ს პოლიტსაბჭოს წევრი, თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე; პოლიციის აკადემიის სამხედრო კათედრის სამხედრო ფსიქოლოგიის ლექტორი (2001-2002). მოთხრობებისა და პუბლიცისტური წერილების ავტორი.

ანზორ ისმაილის ძე კუდბა

დაიბადა 1939 წლის 21 დეკემბერს ბათუმში. მეუღლე – სვეტლანა კუდბა; შვილები: სპარტაკი, თამარი. განათლება: ბათუმის საზღვაო სასწავლებელი (1958), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება (1970). კარიერა: ბათუმის სავაგონო დეპოს, რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის, მეტალურგიული ქარხნის მუშა; 1970 წლიდან აჭარის რადიომაუწყებლობის კომიტეტის კორესპონდენტი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ჟურნალ “ჭოროხის” პროზის განყოფილების გამგე; მწერალი; რომანების: “ზენა ქარი”, “აპოკალიფსი”, “უჟამო ჟამი”, “მარიამ მაგდალინელი”, პოემის – “დროის წიგნი” და მოთხრობათა კრებულის – “სიცოცხლის დედა” ავტორი.

დავით ბიჭიკოს ძე კუპრეიშვილი

დაიბადა 1959 წლის 6 ივნისს სენაკში. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1983). კარიერა: საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს კონსულტანტი (1983-84); მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი (1984-94);

საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ავტორი, სათათბიროს წევრი და იურისკონსულტანტი; საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის, ფეხბურთის, აღმოსავლური ორთაბრძოლების, "უ-შუ"-ს ფედერაციის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ავტორი (1989-90), ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების წევრი; მერაბ კოსტავას საზოგადოების დაფუძნებიდან გამგეობის წევრი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მერაბ კოსტავას საზოგადოება, კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): საკომპენსაციო სიით, მერაბ კოსტავას საზოგადოება, კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული (1998-2005). მერაბ კოსტავას სახ. საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის იურისტი 2005 წლიდან; მერაბ კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი (2005-2010). საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი 2012 წლიდან.

გივი შალვას ძე ლობჟანიძე

დაიბადა 1952 წლის 10 ნოემბერს ლაგოდეხის რაიონის სოფელ რაჭისუბანში. მეუღლე – ნათელა შუბითიძე; შვილები: გიორგი, შალვა. განათლება: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი (1975). კარიერა: ლაგოდეხის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ექიმი-ორდინატორი (1975-80), ამავე განყოფილების გამგე (1980-91). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, ლაგოდეხის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სახალხო ფრონტის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ლაგოდეხის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ექიმი (1991-97); 1997 წლიდან შპს "კელაპტარი"-ს (ქირურგიული კლინიკა) დამფუძნებელი და დირექტორი. ღირსების ორდენის კავალერი (2005).

თემურ სერგოს ძე ლორთქიფანიძე

დაიბადა 1949 წლის 10 იანვარს ქ. სოხუმში. მეუღლე – დალი მანაგაძე; შვილი – მარიამი. განათლება: სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი (1981). კარიერა: სპი სოხუმის ფილიალის მასწავლებელი (1982-90); დისიდენტურ და ეროვნულ მოძრაობაში 70-იანი წლებიდან; ილია ჭავჭავაძის საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების ჩამომყალიბებელი (ვოვა ვეკუასა და ნუგზარ მგალობლიშვილთან ერთად, 1988); ეროვნული ფორუმის წევრი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, სოხუმის ცენტრალური №1 საარჩევნო ოლქი, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი 1991 წლიდან, მაჟორიტარი, საკონსტიტუციო, ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის, აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხთა და საინფორმაციო უზრუნველყოფის კომისიის, წევრი, ფრაქცია “დემოკრატიული რეფორმებისათვის”.

როსტომ ვასილის ძე ლორთქიფანიძე

დაიბადა 1943 წლის 16 დეკემბერს ხულოში. მეუღლე – ქეთევან ნუკრაძე; შვილები: მინდია, ნათია. განათლება: საქართველოს შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი (1975). კარიერა: კინოსტუდია “ქართული ფილმის” მეორე რეჟისორი, ხალხური შემოქმედების სახლის მეთოდისტი (1965-73); სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის პირადი რეფერენტი, მღვდელი (1979-84). წმინდა სამების ეკლესიის დეკანოზი 1985 წლიდან. იყო საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის წევრი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): არჩეული საქართველოს კომუნისტური პარტიის სიით, უპარტიო; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი).

† აკაკი გიორგის ძე მათიაშვილი

დაიბადა 1933 წლის 16 იანვარს გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში. მეუღლე – ელენე მათიაშვილი; შვილები: თამარი, ნოდარი, ნინო. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1957); თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის ასპირანტურა (1963). კარიერა: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, ასევე საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; მოსკოვის კოოპერაციული ინსტიტუტის თბილისის დაუსწრებელი განყოფილების დეკანის მოადგილე; თბილისის სავაჭრო-ეკონომიკური ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე; 1970 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თსუ-ში; საქართველოს საისტორიო საზოგადოების გარდაბნის რაიონული განყოფილების თავმჯდომარე (1972-82); აქტიურ მონაწილეობას იღებდა ფერეიდნელი ქართველების ისტორიულ სამშობლოში ჩამოსახლების პროცესში. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "საბატონო გლეხთა მოძრაობა საქართველოში (XIX საუკუნის 20-30-იანი წლები)", სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობა დიდი სამამულო ომის წლებში". 7 მონოგრაფიისა და ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მრავალი წიგნის რედაქტორი და რეცენზენტი; დაჯილდოებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით. 1956 წლის მარტის ცნობილი მოვლენების აქტიური მონაწილე (ე.წ. "შეუიარაღებელი აჯანყების" შტაბის წევრი). ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი (1990-92); კავშირის რიგები დატოვა 1992 წელს. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: №125 ახალგორის საარჩევნო ოლქი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი), ახალგორის რაიონის პრეფექტი. სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. პროტესტის ნიშნად უარი თქვა სადეპუტატო პენსიაზე. გარდაიცვალა 2006 წლის 7 იანვარს.

ნუგზარ (ხუტა) გრიგოლის ძე მამალაძე

დაიბადა 1947 წლის 11 ნოემბერს ჩოხატაურში. მეუღლე – მანანა თოდაძე; შვილი – გიორგი. განათლება: სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაცია-ელექ-ტრიფიკაციის ფაკულტეტი ელექტრო-ინჟინერის სპე-ციალობით (1970). კარიერა: "საქსოფლტექნიკის": ჩოხატაურის განყოფილების მთავარი ინჟინერი (1970-72), გარდაბნის რაიონული გაერთიანების უფროსი ინჟინერი, მთავარი ინჟინერი, მმართველი (1972-78), ცენტრალური აპარატის უფროსი სპეციალისტი (1978-88), აგროკომბინატის გენერალური დირექტორი (1988-92). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, გარდაბნის საარჩევნო ოლქი, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის, უზენაესი საბჭოს სამდივნოს წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). გარდაბნის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე (1992-95). საქართველოს პარლამენტის წევრი (1995-99): მაჟორიტარი, №21 გარდაბნის საარჩევნო ოლქი, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მიწის რესურსებისა და კადასტრის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, ფრაქცია სმკ-ს თავმჯდომარის მოადგილე. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილე, პირველი მოადგილე (2000-2003).

ნოშრევან მახმუდის ძე მამულაძე

დაიბადა 1948 წლის 5 სექტემბერს ხულოს რაიონის სოფელ კალოთაში. მეუღლე – ნონა ბოლქვაძე; შვილები: ეკა, ლერი, ლევანი. განათლება: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკულტეტი აგრონომ-ეკონომისტის კვალიფიკაციით (1971), აჭარის იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სახალხო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი (1980), თსუ კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის სრული კურსი ეკონომიკის დარგში (1973), სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის კურსი (1984). კარიერა: სავალდებულო სამხედრო სამსახური (1971-72). სახელმწიფო ბანკის ხულოს განყოფილების უფროსი საკრედიტო ინსპექტორი (1972-73); ხულოს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ეკონომისტი (1973-77); აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის

სამინისტროს უფროსი ეკონომისტი-ფინანსისტი, კოლმეურნეობების საქმეთა მართვის განყოფილების უფროსი (1977-79); აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს შტატგარეშე რეფერენტი (1978-80); ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პედაგოგი (1979-80). კომპარტიის ხულოს რაიკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე (1982-84); რაიკომის და ბიუროს წევრი (1984-90); ხულოს სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, აგროსამრეწველო გაერთიანების თავ-მჯდომარე (1984-91). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწ-ვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): მაჟორიტარი, ხულოს №120 საარჩევნო ოლქი, საქართველოს კომპარტია, ეკონომიკური რეფორმების კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ხულოს რაიონის აგროსამრეწველო სამმართველოს, შემდგომ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსი და რაიონის გამგებლის პირველი მოადგილე (1991-2005). ხულოს რაიონის მუნიციპალური საკრებულოს დეპუტატი (2000-2003); 2005 წლიდან, როგორც ეკომიგრანტი, ცხოვრობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროში. თეთრიწყაროს მუნიცი-პალიტეტის საკრებულოს დეპუტატი (2010-2014). ღირსების ორ-დენის კავალერი (2012).

თენგიზ (გია) სერგოს ძე მამფორია

დაიბადა 1959 წლის 7 ნოემბერს ზუგდიდში. მეუღლე – ნინო ლეთანძე; შვილები: ზვიადი, ანა. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი (1987). კარიერა: მცხეთის ტექნიკური ცენტრი "გარანტი"-ს მთავარი ბუღალტერი (1988-91); ილია მართლის საზოგადოების წევრი (1987-89); მერაბ კოსტავას საზოგადოების გამგეობის წევრი (1990-91). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მერაბ კოსტავას საზოგადოების სიით, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მდივანი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის წევრი.

იმყოფებოდა პოლიტიკურ დევნილობაში საზღვარგარეთ (1992-2004). დაბრუნდა საქართველოში 2004 წელს. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მთავარი მრჩეველი (2004-2007); ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006).

ავთანდილ ანტონის ძე მარგიანი

დაიბადა 1945 წლის 24 დეკემბერს მესტიის რაიონის სოფელ მულახში. მეუღლე – მარიამ დათუკიშვილი; შვილები: გურამი, გიორგი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი. კარიერა: ამიერკავკასიის ნავთობსადენის სამმართველოს გარდაბნის უბნის უფროსი, ინჟინერი, რუსთავის სანაშენე საბჭოთა მეურნეობის დირექტორი (1978-90); კომბინატ "ელბრუსის" ინჟინერი, მთავარი ინჟინერი (1971-77); "ტრანსნავთობის" ბაზის უფროსი (1978-80). კომპარტიის გარდაბნის რაიონის განყოფილების გამგე, რაიკომის I მდივანი (1980-89); ქვემო ქართლში 8 სოფლის, 7 ციხე-კოშკის აღმშენებლობის თავკაცი. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი (1990-91); საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (სკკპ) გაუქმების პირველი ინიციატორი (1991, 7 დეკემბერი). საქართველოს დემოკრატიული კავშირის თანათავმჯდომარე (1991-92). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): მაჟორიტარი, გარდაბნის №28 საარჩევნო ოლქი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992): საკომპენსაციო სიით, ბლოკი "მშვიდობა", ფრაქცია "დემოკრატიული კავშირი". საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ვიცე-პრემიერი (1992-95). თურქეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოება "კარადენიზის" დამფუძნებელი (1993). საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი (2013). საზოგადოებრივი ორგანიზაციების: "საქართველოს რუსთა კავშირი", "ქართველთა და ოსთა ძმობის, მეგობრობის და კეთილმეზობლობის კავშირი", ქართველთა და აზერბაიჯანელთა მეგობრობისა და კეთილმეზობლობის კავშირის "ბაბექი", "ილიას გზა" ლიდერი; საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრისა და მატერიალური რესურსების დაცვის კავშირის "მამული", საზოგადოების "ლემი" დამფუძნებელი.

† გრიგოლ ნიკოლოზის ძე მარგიანი

დაიბადა 1921 წლის 14 ივლისს მესტიაში. მეუღლე – ეთერ იოსელიანი; შვილები: სატვა, ნიკოლოზი. განათლება: მოსკოვის ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1949); ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურა (აკადემიკოს ევგენი ტარლეს ხელმძღვანელობით, 1953). კარიერა: დიდი სამამულო ომის დროს სვანთა განსაკუთრებული პარტიზანული რაზმის მებრძოლი; დაჯილდოებულია დიდი სამამულო ომის II ხარისხის ორდენით, 6 მედლით. მესტიის რაიონის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი; სვანეთის რეგიონის ბუნების (განსაკუთრებით ტყის მასივების) და ისტორიული ძეგლების დაცვისადმი მიძღვნილი და სვანეთის ისტორიის ხელოვნური არქაიზაციის მიმართ კრიტიკული მრავალი პუბლიკაციის ავტორი; თელავის იაკობ გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი (1953-57); ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1957-78), განყოფილების გამგე, პროფესორი (1978-93); ინ-სტიტუტთან არსებული ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზირებული სამეცნიერო საბჭოს (ერთადერთი სამამულო ისტორიის დარგში) თავმჯდომარე; თსუ-ს მსოფლიო ისტორიის დარგში სადოქტორო ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზირებული სამეცნიერო საბჭოს წევრი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "1918 წლის იანვრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა ავსტრიაში"; სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ საქართველოში". 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 7 მონოგრაფიის: "საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864-1917 წლებში", "ბოსლეველი", "გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში და ისტორიული პროცესის საზრისი" და სხვათა ავტორი; "საქართველოს ისტორიის ნარკვევების" VI ტომის თანაავტორი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული XIX საუკუნის ისტორიის შემსწავლელი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე; 1987 წლის სტიქიის შედეგად სვანეთიდან ბარში ჩასახლებული მოსახლეობის დასახმარებლად შექმნილი საშეფო ჯგუფის ხელმძღვანელი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომპარტიისაგან, კულტურის,

განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). გარდაიცვალა 1993 წლის 28 აგვისტოს.

† არკადი ივლიანეს ძე მარკოზია

დაიბადა 1930 წლის 28 მარტს მარტვილში. მეუღლე – ანასტასია მონიავა; შვილები: მერი, ლოლა, ივლიანე, დია, ცირა. განათლება: კიევის სამხედრო აკადემია. კარიერა: მუშაობდა საზკვების სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე, იყო გაგრის "კურორტვაჭრობის" საცალო საცალო განყოფილების დირექტორი, ქ. გაგრაში კაფე "არკადიას" მეპატრონე. წმინდა ილია მართლის საზოგადოების გაგრის რეგიონული საზოგადოების ხელმძღვანელი, საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო". 1991 წლის 22 დეკემბერს დაუდგენელი პირების მიერ ჩაცხრილული იქნა თბილისში, თავისუფლების მოედანზე.

გიორგი გივის ძე მარჯანიშვილი

დაიბადა 1955 წლის 4 იანვარს თბილისში. მეუღლე – მარინე ლომიძე. განათლება: თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი (1977). კარიერა: საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს, ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის, ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. საქართველოს სახალხო ფრონტის I ყრილობაზე არჩეული იქნა გამგეობის წევრად (1990); სახალხო ფრონტის ფრაქცია "ეროვნულ-ლიბერალური კავშირის" დამფუძნებელი, შემდგომ ბლოკის "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" შემადგენლობაში ეროვნულ-ლიბერალური კავშირის თავმჯდომარე, იმავდროულად საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს ჰელსინკის კავშირი, საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, კულტურის, განათლებისა

და მეცნიერების კომისიის წევრი; საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე. სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ იმყოფებოდა პოლიტიკურ დევნილობაში. ცხოვრობს საფრანგეთში, ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას.

ირაკლი სიმონის ძე მასხარაშვილი

დაიბადა 1938 წლის 28 ივნისს ქ. ბორჯომში. მეუღლე – ლეილა ბაკურიძე; შვილები: ანა, ლევანი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი (1963); სსრკ მშენებლობის და არქიტექტურის კომიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა (1969). კარიერა: "თბილქალაქპროექტის" და "საგზაოსაპროექტო ინსტიტუტის" არქიტექტორი, უფროსი არქიტექტორი (1963-66); სპი არქიტექტურის კათედრის პედაგოგი (1970-73); "საქქალაქმშენსახპროექტის" უფროსი არქიტექტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი, პროექტის მთავარი არქიტექტორი, სექტორის ხელმძღვანელი, არქიტექტურული სახელოსნოს უფროსი (1973-89). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის წევრი, არქიტექტურის, ქალაქმშენებლობის და კულტურული მემკვიდრეობის ქვეკომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორი (1991-95); თბილისის ურბანული განვითარების და საქართველოს ურბანიზაციის და მშენებლობის ქალაქთმშენებლობითი საბჭოების წევრი (1996-2003).

გურამ შალვას ძე მაქაცარია

დაიბადა 1949 წლის 8 მარტს ზუგდიდში. მეუღლე – მარინა კაჭარავა; შვილი – შალვა. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკის ფაკულტეტი (1972), კიევის ავტომატიკის ინსტიტუტის ასპირანტურა. კარიერა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერთანამშრომელი (1972-73); რუსთავის სამეცნიერო-

საწარმოო გაერთიანება “ავტომატმრეწვის” უფროსი ინჟინერი (1973-76), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1976-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”, მაჟორიტარი, რუსთავის ლეონიძის №49 საარჩევნო ოლქი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის წევრი, მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის ქვეკომისიის თავმჯდომარე, პრეზიდიუმის წევრი, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის წევრი (1992-93); ჰელსინკის კავშირის რესპუბლიკური გამგეობის და მრგვალი მაგიდის წევრი. კანონიერი ხელისუფლების ლეგიტიმურობის შენარჩუნების მიზნით უარი თქვა სადეპუტატო პენსიაზე.

† მიხეილ დიმიტრის ძე მაყაშვილი

დაიბადა 1955 წლის 5 თებერვალს თბილისში. მეუღლე – მედეა ჩიქოვანი; შვილები: დემეტრე, სალომე, ელენე. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი (1977). კარიერა: ტიპიური პროექტირების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქიტექტორი, თბილისის საქალაქო საბჭოსთან არსებული საპროექტო-საშემსრულებლო კანტორა ”ქალაქგაფორმების” საპროექტო-საშემსრულებლო ჯგუფის უფროსის მოადგილე, საპროექტო ინსტიტუტ “საქსახგაზპროექტის” წამყვანი არქიტექტორი (1977-90). ეროვნული სამართლიანობის კავშირის წევრი; მონარქისტულ-კონსერვატორული და ქართველ ტრადიციონალისტთა პარტიების ერთ-ერთი დამფუძნებელი; დატოვა ტრადიციონალისტთა კავშირი 1992 წელს. მონარქისტული პარტიის გაზეთ “ძლევაი”-ს რედაქტორი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, თავდაცვისა და უშიშროების კომისიის სამხედრო ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის წევრი;

ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. 1992 წლის ოქტომბერში დაპატიმრებული იქნა სამშობლოს ღალატის, ტერორიზმისა და დივერსიის ბრალდებით, ფაქტების არ არსებობის გამო, 9 თვის პატიმრობის შემდეგ, სასამართლოს გარეშე გაანთავისუფლეს 1993 წლის ივნისში. ჰერალდიკის ასოციაციის გამგეობის და საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების კომისიის, ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს გამგეობის წევრი; საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლიკის (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (სამფეროვანი დროშისა და გერბის) ახალი რედაქციის ავტორი (1990); მუშაობდა საქართველოს არმიის ფურნიტურისა და სამხედრო ნიშნების შექმნაზე; ჟურნალ "მხედარში" სტატიების ციკლის – "ქართული არმიის წოდებები და სამხედრო ჰერალდიკა" ავტორი (1992); საკრებულოსთან არსებული ჰერალდიკისა და გენეალოგიის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი; საგაზეთო სტატიების ავტორი; რამდენიმე წიგნის რედაქტორი ("ქართული ჰერალდიკის ისტორია – დროშა სვიანად მოხმარებული" და სხვა); არა-ერთი პარტიის დროშისა და გერბის ავტორი; მუშაობდა გვარების წარმოშობის ისტორიაზე, შექმნა სხვადასხვა გვართა გერბები და დროშები (მაყაშვილები, ჩიქოვანები, მარშანიები, გულაშვილები, ნასიძეები); იყო მაყაშვილების საგვარეულოს თავკაცი; თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ფორმის დიზაინერთა განყოფილების მხატვარ-დიზაინერი; ქართველ თავად-აზნაურობის საკრებულოსთან არსებული ნიკო (ბური) ბაგრატიონის სახ. სკოლა-ლიცეუმის ისტორიის პედაგოგი (2001-2005). ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). გარდაიცვალა 2009 წლის 23 თებერვალს.



არჩილ ოთარის ძე მაჭავარიანი

დაიბადა 1951 წლის 20 იანვარს ხარაგაულის რაიონის სოფელ ლაშეში. განათლება: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიური ფაკულ-ტეტი ექიმ-სტომატოლოგის სპეციალობით (1975). კარიერა: ცხინვალის საოლქო საავადმყოფოს საკონ-სულტაციო პოლიკლინიკის (1976-77), მარნეულის რაიონის შულავერის (1977-81), გორის რაიონის ვარიანის

საექიმო ამბულატორიის (1981-86) ექიმი-სტომატოლოგი, თბილისის II სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ექიმი-პროთეზისტი (1986-90); მარნეულის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი (1990). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მერაბ კოსტავას საზოგადოება, ჯანმრთელობის დაცვის კომისიის, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); მარნეულის რაიონის პრეფექტი (1990-91).

მაია ვლადიმერის ასული მაჭავარიანი

დაიბადა 1926 წლის 28 ოქტომბერს თბილისში. შვილი – დავით ამირეჯიბი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური ენების განყოფილება (1949); სწავლობდა თსუ-ს ასპირანტურაში ზოგადი ენათმეცნიერების განხრით, საიდანაც ანტიმარისტული გამოსვლის გამო გარიცხეს (1950); საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურა ზოგადი ენათმეცნიერების განხრით (1953). კარიერა: თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი (1953-56); ენათმეცნიერების ინსტიტუტის უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, განყოფილების გამგე, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი (1956-2002), 2002 წლიდან კონსულტანტი ენის თეორიის დარგში; ენათმეცნიერების დოქტორი; მჭიდროდ თანამშრომლობდა ლენინგრადის ტიპოლოგიურ ჯგუფთან (1968-90), დიდი ბრიტანეთის ლივერპულის უნივერსიტეტთან (1994-97), აშშ-ს სამხრეთ კალიფორნიის (USC) უნივერსიტეტთან (1986-92, უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი, 1992). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, თბილისის ოქტომბრის ფიროსმანის №8 საარჩევნო ოლქი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. ლინგვისტთა ევროპული ორგანიზაციის (1977-

89), კავკასიოლოგთა ევროპული საზოგადოების (1990-98) წევრი; მიღებული აქვს ორი საერთაშორისო გრანტი: IREX-ის (აშშ, 1992), Volksvagen-ის (გერმანია, 2001-2003); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამი გრანტი.

† მუხრან ივანეს ძე მაჭავარიანი

დაიბადა 1929 წლის 12 აპრილს საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთში. მეუღლე – ლამარა ბოკერია; შვილები: ნანა, ივანე. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის განხრით (1954). კარიერა: ჟურნალ "ცისკრის" პოეზიის განყოფილების გამგე (1957-63); ჟურნალ "პიონერის" მთავარი რედაქტორი (1963-64); თბილისის კინოსტუდიის სასცენარო კოლეგიის წევრი (1964-67); ჟურნალ "დილა"-ს მთავარი რედაქტორი (1967-82); ალმანახ "საუნჯე"-ს მთავარი რედაქტორი (1982-88); საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი (1954-92), თავმჯდომარე (1988-92). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს პარლამენტის წევრი (1999-2004): ფრაქცია "XXI საუკუნე", განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი 2009 წლიდან. ავტორი პოეტური კრებულებისა: "ლექსები", "უნდა გაგახაროთ", "თქვი", "წითელი და მწვანე ბალახი", "გზადაგზა", "იარონ", "ვინც იყო იგი რომ არა", "დუმილი რეკავს", "ვითარცა მტკვარი", "მრავალჭირვარამგადანახადი", "არამც და არამც", "გიკვირს?! – ნუ გიკვირს!", "ვიძახი და ვიძახი და ვიძახი", "ყოველი ტოტი და ტოტის ტოტი", "ასი ლექსი", "ახლა კი დროა"; გამოიცა მისი თხზულებათა ოთხტომეული (2007), ორტომეული (2009). თარგმნილი აქვს პაბლო ნერუდას ლექსები (გ. ძნელაძესთან ერთად); "კალევალა" (გ. ძნელაძესთან და შ. ჩანტლაძესთან ერთად); თანამედროვე ბულგარული პოეზიის ანთოლოგია. რუსთაველის, აკაკი წერეთლის, მემედ აბაშიძის პრემიების ლაურეატი; ახალგაზრდობის მეშვიდე მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი (1958); საპატიო ნიშნის, წითელი დროშის, კირილესა და მეთოდეს (ბულგარეთის სახელმწიფო ჯილდოს) ორდენების კავალერი. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). მიენიჭა "ქართული პოეზიის რაინდის" წოდება. გარდაიცვალა 2010 წლის 17 მაისს. დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

ნუგზარ პეტრეს ძე მგალობლიშვილი

დაიბადა 1948 წლის 7 მარტს სოხუმში. მეუღლე – თამარ მილდიანი; შვილი – ქეთევანი. განათლება: მოსკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტის დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი (1972). კარიერა: მხატვარი, 1972 წლიდან საქართველოსა და საზღვარგარეთ მოწყობილი გამოფენების მონაწილე; აფხაზეთის მეცნიერების და შემოქმედებითი ინტელიგენციის კლუბის ვიცე-პრეზიდენტი (1977); საქართველოს მხატვართა კავშირის, მხატვართა საერთაშორისო ფედერაციის (IFA) და ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის (IFJ) წევრი; საქართველოს ავანგარდისტ მხატვართა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი. დისიდენტურ და ეროვნულ მოძრაობაში 70-იანი წლებიდან; ილია ჭავჭავაძის საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების ჩამომყალიბებელი (ვოვა ვეკუასა და თემურ ლორთქიფანიძესთან ერთად – 1988); საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს XI მოწვევის დეპუტატი (1989-90): სოხუმის კალინინის №359 საარჩევნო ოლქი; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთა მონაწილეობის ორგანიზატორი (1990). ამ აქციის შედეგად საქართველოში დაინიშნა პირველი დემოკრატიული არჩევნები. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, სოხუმის აღმოსავლეთის №100 საარჩევნო ოლქი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი, სარედაქციო კომისიის, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი 1991 წლიდან, საკონსტიტუციო, ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისიის წევრი. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006).



თემურ დავითის ძე მდინარაძე

დაიბადა 1946 წლის 8 ივნისს თბილისში. მეუღლე – ჟუჟუნა მდინარაძე; შვილები: არჩილი, დავითი. განათლება: ოდესის მიხეილ ლომონოსოვის სახ. კვების მრეწველობის ინსტიტუტი კვების მრეწველობის ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით (1970); ხორცისა და ხორცის პროდუქტების საკავშირო ს/კ ინსტიტუტის ასპირანტურა (1973-77). კარიერა: წყალტუბოს ხორცის კომბინატის ტექნოლოგი (1971); ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს უფროსი ეკონომისტი, ინჟინერ-ტექნოლოგი (1972); რუსთავის ხორცკომბინატის საამქროს უფროსი (1978); გაერთიანება "თბილხორცის" მთავარი ტექნოლოგი (1979-81); თსუ უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ბიოტექნოლოგიური ლაბორატორიის გამგე, პროფესორი 1981 წლიდან. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): საკომპენსაციო სიით, მამულის აღორძინების საზოგადოება; დეპუტატის უფლებამოსილება შეუწყდა პირადი განცხადების საფუძველზე (ხელისუფლების ქვეყნისათვის საზიანო მაკროეკონომიკური კონცეფციისადმი პროტესტის ნიშნად). ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

ირაკლი თენგიზის ძე მელაშვილი

დაიბადა 1965 წლის 3 სექტემბერს თბილისში. მეუღლე – მაგდა პოპიაშვილი; შვილი – ნია. განათლება: ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1990); თბილისის იურიდიული ინსტიტუტი (1999); მოსკოვის პოლიტიკური სკოლა (1994-96). კარიერა: თსუ ქართული კულტურის ისტორიის კათედრის

თანამშრომელი (1990-2000). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საგარეო ურთიერთობათა კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): საკომპენსაციო სიით, "ქარტია-91", გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია. საქართველოს ატლანტიკური თანამშრომლობის ასოციაციის პრეზიდენტი (1996-97); პარლამენტის მრჩეველთა საბჭოს აღმასრულებელი დირექტორი (1997-98); მოსკოვის დიპლომატიური აკადემიის მსმენელი (1998-99); შპს "პირველი ლობის" ლობისტი (1999-2003); "ქარტია-91"-ის (1991-93), გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის (1993-95), ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის (1996-2005) წევრი; საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის – "სახალხო ფორუმი კეთილდღეობისა და დემოკრატიისათვის" ერთ-ერთი დამფუძნებელი; 2006 წლის ნოემბრიდან პ/გ "ეროვნული ფორუმის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, პოლიტიკური საბჭოს წევრი. ა/ო "არჩევანი თავისუფლებისათვის" დამფუძნებელი; ექსპერტი საარჩევნო საკითხებში. 2012 წლის დეკემბრიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი. 2013 წლიდან საქართველოს მთავრობის კანცელარიის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დაპარტამენტის უფროსი.

† ალბერტი (ალიკო) შალვას ძე მელაძე

დაიბადა 1926 წლის 26 აპრილს თბილისში. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლექტორ-ბიბლიოთეკარის სპეციალობით. კარიერა: თსუ ლაბორანტი, სამშენებლო საწარმოების, თბილისის თბომეურნეობის სამმართველოს მუშაკი; თბილისის №10 ბიბლიოთეკის განყოფილების გამგე; სსრკ კომუნისტური პარტიის ცკ-ის გენერალური მდივნის, ნიკიტა ხრუშჩოვის, თბილისში დაგეგმილი ჩამოსვლის (1961) დროს მისი ლიკვიდაციის დაგეგმვისათვის გასამართლებული იქნა და მიესაჯა 15 წელი (დაჯგუფების ორგანიზატორ – შოთა (ოთარ) მექვაბიშვილს დახვრეტა, აბრამ (აბრეკ) ბათოშვილს 10 წელი, აკაკი მდინარაძეს 10 წელი); იხდიდა სასჯელს შრომა-

გასწორების კოლონიაში; მოგვიანებით მათ სასჯელის ზომა შეუმცირდათ და შემდეგ გათავისუფლდნენ კიდეც ბრალეულობის გადაკვალიფიცირების გამო. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, კრწანისის საარჩევნო ოლქი, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი).

† როდენ ბენიამინის ძე მემარნიშვილი

დაიბადა 1937 წლის 3 ოქტომბერს ოზურგეთში. მეუღლე – ლია ბუჯიაშვილი; შვილები: ნუკრი, ქეთევანი. განათლება: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (1960); ამავე ინსტიტუტის ასპირანტურა. კარიერა: მიწათმოქმედების ს/კ ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს ალკკ ცკ-ის ინსტრუქტორი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მთავარი აგრონომი, დირექტორი, რესპუბლიკური გაერთიანება "საქეთერზეთმრეწვის" მმართველი (1960-77); საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ინსპექტორი, მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს კპ ცკ-ის განყოფილების გამგის მოადგილე, კპ თეთრიწყაროს რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს კპ ცკ-ის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე, სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება "თავთავის" გენერალური დირექტორი, მიწათმოქმედების ს/კ ინსტიტუტის დირექტორი, გაერთიანება "საქსოფლქიმიის" თავმჯდომარე (1977-89); კპ მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს თავმჯდომარე (1989-90); საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X და XI მოწვევის დეპუტატი, აგროსამრეწველო კომპლექსის კომისიის თავმჯდომარე. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): მაჟორიტარი, მარნეულის შულავერის №46 საარჩევნო ოლქი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კონსულტანტი. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი. ვახტანგ გორგასლისა და ღირსების ორდენის კავალერი. გარდაიცვალა 2002 წლის 15 მარტს.

როინ ვიქტორის ძე მეტრეველი

დაიბადა 1939 წლის 7 დეკემბერს აბასთუმანში. მეუღლე – ლუიზა ნიკოლაიშვილი; შვილები: ნინო, ვიქტორი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1962). კარიერა: საქართველოს ალკკ ცკ-ის მდივანი (1962-66), მეორე მდივანი (1966-67), პირველი მდივანი (1967-70); საქართველოს კომპარტიის ცკ-ის განყოფილების გამგე (1970-72). ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილე (1972-86); თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი (1986-89); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი 1988 წლიდან. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომპარტიისაგან, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). თსუ პროფესორი 1965 წლიდან; თსუ-ს რექტორი (1992-2005). ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი; დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "შინაკლასობრივი ბრძოლა შუა საუკუნეების საქართველოში"; 170-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 15 მონოგრაფიის ავტორი. კალიფორნიის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის წევრი; საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი; პირველი ქართული ეროვნული ენციკლოპედიის ერთ-ერთი გამომცემელი და რედაქტორი; მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის თავმჯდომარე; ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის ს/კ ცენტრის ხელმძღვანელი; ჟურნალის – "The Caucasus Globalization" სარედაქციო კოლეგიის წევრი. შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის, ღირსების ორდენის კავალერი; დაჯილდოებულია საქართველოს საპატრიარქოს ოქროს ჯვრით; ივანე ჯავახიშვილისა და აკაკი წერეთლის სახელობის პრემიების, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.



ვახტანგ ვალერიანის ძე მეუნარგია

დაიბადა 1935 წლის 25 სექტემბერს ზუგდიდში. მეუღლე – თამარ ქორთუა; შვილები: მაია, მედეა, იასონი. განათლება: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სან-ჰიგიენური ფაკულტეტი (1959); თსსი მიკრობიოლოგიის კთედრის ასპირანტურა (1962). კარიერა: თბილისის ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ვირუსოლოგიის ლაბორატორიის უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1962-75); მოსკოვის კლინიკური და ექსპერიმენტული ონკოლოგიის ინსტიტუტის (1965-70), აკადემიკოს მუხაძის სახ. ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის ს/კ ინსტიტუტის იმუნოჰემატოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1975-2011). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). მოსკოვის ონკოლოგიის ექსპერიმენტული და კლინიკური ს/კ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ლიმფოციტების, ვირუსების და სამიზნე უჯრედების ურთიერთმოქმედების ექსპერიმენტული შესწავლა" (1969). ტვილდიანის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიისა და იმუნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. მედიცინის დოქტორი; სრული პროფესორი. 120 სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიის (ნ. ტატიშვილთან და თ. სოსელიასთან ერთად): "იმუნოლოგიური ამოცნობის მოლეკულური და უჯრედული ასპექტები", 4 გამოგონების და 7 რაციონალიზატორული წინადადების ავტორი ექსპერიმენტული ონკოვირუსოლოგიის, ონკოიმუნოლოგიის, ლეიკემიების, მემ-კვიდრული ანემიების იმუნოლოგიის და იმუნოგენეტიკის, პოპულაციური გენეტიკის და პირველადი იმუნოდეფიციტის დარგში; საქართველოს იმუნოლოგთა და ალერგოლოგთა საზოგადოების გამგეობის წევრი.

არჩილ გურამის ძე მინდიაშვილი



დაიბადა 1956 წლის 27 მაისს. განათლება: თბილისის სასულიერო სემინარია; საქართველოს ეკლესიის დეკანოზი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი (1972-74); კარიერა: 1980 წლიდან დიაკვანი, მღვდელი; მსახურობდა დიდუბის ღვთისმშობლის, გორის ღვთისმშობლის, თბილისის წმინდა პეტრე-პავლეს ეკლესიაში, ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). წიგნების: "მემუარები სიბერემდე", "ზღვაური" (ავტობიოგრაფიული რომანი), ლექსების კრებულის: "შეტირილი" ავტორი.

მირიან შოთას ძე მირიანაშვილი

დაიბადა 1961 წლის 1 იანვარს თბილისში. შვილი – ელენე. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოფიზიკის სპეციალობით (1983), იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნის სპეციალობით (1998), თსუ ასპირანტურა გეოფიზიკის მიმართულებით (1987). კარიერა: სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა თსუ-ში (1987-2003); სახალხო ფრონტის გამგეობის წევრი (1989-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" (დამფუძნებელი და მუდმივი საბჭოს წევრი), საქართველოს ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი, ფრაქცია "რადიკალური კავშირის" და პრივატიზებისა და ქონებათსარგებლობის ქვეკომისიის თავმჯდომარე, ეკონომიკური რეფორმის კომისიის, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). რეფორმატორთა კავშირის საორგანიზაციო მდივანი, შემდგომ პოლიტიკური მდივანი (1996-98); ერთიანი ნაციონალისტური მოძრაობის თავმჯდომარე 1999 წლიდან.

ველოდი ამბროსის ძე მირცხულავა

დაიბადა 1934 წლის 28 დეკემბერს ხობის რაიონის სოფელ პირველ ხორგაში. შვილები: მაია, ელისო. განათლება: სოხუმის მ. გორკის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი (1970). კარიერა: სავალდებულო სამხედრო სამსახური (1954-56). სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციათა თანამშრომელი, მოძრავ-მექანიზებული კოლონა "აფხაზნაპირგამაგრების" განყოფილების უფროსი (1971-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, გულრიფშის №108 საარჩევნო ოლქი, საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს ჰელსინკის კავშირი, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. იმყოფებოდა პოლიტიკურ დევნილობაში საზღვარგარეთ. დაბრუნდა საქართველოში 1996 წელს. საქართველოს ჰელსინკის კავშირის აფხაზეთის გამგეობის წევრი. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006).

ნუგზარ არჩილის ძე მოლოდინაშვილი

დაიბადა 1955 წლის 5 ნოემბერს თბილისში. მეუღლე – ანა ჭავჭავაძე; შვილი – არჩილი. განათლება: საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი (1977); საკავშირო ვეტერინარული აკადემიის ასპირანტურა (ლენინგრადი, 1985). კარიერა: ზოოვეტერინარული ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი (1985-89). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: პრეზიდიუმის და უშიშროების საბჭოს წევრი, საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, ყვარლის საარჩევნო ოლქი, მერაბ კოსტავას საზოგადოება, კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის, შეწყალების კომისიის თავმჯდომარე, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის

აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. გასამართლებული იქნა და მიესაჯა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა (უკანონო ფორმირებების შექმნის, შეიარაღებული ბანდიტიზმის ბრალდებით, 1995); შეწყალებული იქნა 1999 წელს. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006).

თემურ ვალერიანის ძე მჟავია

დაიბადა 1952 წლის 5 იანვარს ოზურგეთის რაიონის სოფელ კონჭკათში. მეუღლე – მანანა ვადაქარია; შვილები: ირაკლი, ნათია. განათლება: სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი (1975). კარიერა: ისტორიისა და ლიტერატურის მასწავლებელი (1975-1978); სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ასისტენტი (1977-79); ქარხანა "სოხუმხელსაწყოს" პროფკავშირის კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე (1980-82), კადრების მომზადებისა და გადამზადების განყოფილების გამგე (1982-83), სამეურნეო სამმართველოს უფროსი (1988-90); კინდღის სასათბურე მეურნეობის კადრების განყოფილების გამგე (1982-83); სოხუმის ტურისტული ბაზის უფროსი ინსტრუქტორი (1986-88); სოხუმის ელექტრონული ტექნიკის ქარხნის სამეურნეო სამმართველოს უფროსი (1990-92). წმინდა ილია მართლის საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე; ჰელსინკის მოძრაობის აქტივისტი აფხაზეთში; 1980 წლის სოხუმის მასობრივი მიტინგის ერთ-ერთი ორგანიზატორი, სადაც აფხაზეთში პირველად გაჟღერდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. აფხაზეთის

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი 1991 წლიდან, სოხუმის რაიონის №65 საარჩევნო ოლქი, ადამიანის უფლებათა დაცვის, ეროვნებათშორისი ურთიერთობებისა და ეთიკის კომისიის წევრი; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე (2004-2009). 2007 წლის დეკემბრიდან პოლიტიკური პარტია "საქართველო და დიასპორა"-ს დამფუძნებელი. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი (2013).

† ზვიად გიორგის ძე ნადარეიშვილი

დაიბადა 1959 წლის 25 ნოემბერს აბაშაში. შვილი – გიორგი. განათლება: საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით (1981). კარიერა: სამხედრო სავალდებულო სამსახური (1981-83); №2 მოძრავი კოლონის ინჟინერი (1983-84); №8 მოძრავი მექანიზებული კოლონის მშენებელ-ინჟინერი (1984-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს ჰელსინკის კავშირი (ცხუმ-აფხაზეთის რეგიონული ორგანიზაციის გამგეობის წევრი); ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ერთ-ერთი პირველი ჩაუდგა სათავეში აფხაზეთში ეროვნული გვარდიის შექმნას. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე. 1992 წლის 7 ოქტომბერს ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღთან მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს ერთ-ერთი დაჭრილის გამოყვანისას იგი სეპარატისტებმა აიყვანეს ტყვედ და 12 ოქტომბერს განსაკუთრებული სისასტიკით დახვრიტეს ქალაქ ტყვარჩელში. 1992 წლის 20 ნოემბერს გადმოსვენებულ იქნა ქალაქ სოხუმში. დაკრძალულია კაშტაკის სასაფლაოზე.

† თამაზ ვლადიმერის ძე ნადარეიშვილი

დაიბადა 1954 წლის 19 ივლისს გაგრაში. მეუღლე – ლელა ყურაშვილი; შვილები: ანა, ვლადიმერი. განათლება: თბილისის უმაღლესი სამხედრო საარტილერიო სასწავლებელი (1975); აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ისტორიკოსის სპეციალობით (1981). კარიერა: ქ. გაგრის უშიშროების კომიტეტის სამთავრობო კავშირგაბმულობის განყოფილების

თანამშრომელი (1974-79); კპ გაგრის ქალაქკომის ინსტრუქტორი, განყოფილების გამგე, მეორე მდივანი (1979-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): მაჟორიტარი, ქ. გაგრის საარჩევნო ოლქი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (1991): ქ. გაგრის №17 საარჩევნო ოლქი, თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1992). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): მაჟორიტარი, №9.71 სოხუმის ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე (1992-93); საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის მრჩეველი (1993); საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ვიცე-პრემიერი (1993-95); აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი 1995 წლიდან. საქართველოს პარლამენტის წევრი (1999-2004). გენერალ-მაიორი. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "ეთნიკური წმენდა და გენოციდი, აგრესიული სეპარატიზმის იარაღი". წიგნების: "გენოციდი აფხაზეთში", აფხაზეთის ტრაგედიის დოკუმენტური კრებული – "სეპარატიზმის საშიშროება საქართველოში", "შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ", "აფხაზეთი ომამდე და ომის შემდეგ", მონოგრაფიების, სამეცნიერო ნაშრომების, მრავალრიცხოვანი პუბლიკაციის ავტორი.ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი; გაერო-ს საერთაშორისო ინფორმატიზაციის აკადემიის, აფხაზეთის აკადემიის, კავკასიის აკადემიის აკადემიკოსი; გ. შარვაშიძის პრემიის ლაურეატი; "აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის" თავმჯდომარე; დაჯილდოებულია საქართველოს საპატრიარქოს მადლობის სიგელით და ვერცხლის ჯვრით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნულ სამხედრო აკადემიის ლექტორი, ევროპული სამეცნიერო წრეების მიწვევით ევროპის მრავალი ქალაქის უნივერსიტეტში; მისი წიგნის მიხედვით შავგულიძის სახ. თეატრის მიერ დადგმულმა პიესამ – "ბზარი და აჩრდილები" ბელგიის თეატრალურ ფესტივალზე გრან-პრი მოიპოვა (2000). გარდაიცვალა 2004 წლის 30 აგვისტოს. თბილისში არის თამაზ ნადარეიშვილის ქუჩა.

მაია რევაზის ასული ნათაძე

დაიბადა 1929 წლის 27 მაისს თბილისში. შვილები: გიორგი, დავითი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი (1952). კარიერა: 1953 წლიდან თსუ ასპირანტი, მასწავლებელი, პროფესორი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო"; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). დატოვა თსუ 2006 წელს მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით პროტესტის ნიშნად. კავშირის – "სოლიდარობა განათლებული საქართველოსთვის" დამფუძნებელი და გამგეობის წევრი 2006 წლის ნოემბრიდან. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, დაიცვა დისერტაცია თემაზე: "ლინგვისტური სტილისტიკის აგების პრინციპები და ენათა შეპირისპირების სტილისტური ასპექტი"; ლინგვისტიკისა და ლიტერატურის თეორიის (პოეტიკის) სფეროში სამეცნიერო ნაშრომების, 5 მონოგრაფიისა და 100-მდე სამეცნიერო სტატიის, პროზაული და პოეტური მხატვრული თარგმანების, მათ შორის: – "XX საუკუნის ევროპული პოეზია" (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, რუსული), "ქართულ-ინგლისური თარგმანის ლინგვისტური პრობლემები", "გერმანულ-ინგლისური და ქართულ-ინგლისური სტილისტური პრობლემები" ავტორი. დაჯილდოებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით.

ნოდარ რევაზის ძე ნათაძე



დაიბადა 1929 წლის 27 მაისს თბილისში. მეუღლე – ნანა ნათაძე; შვილები: ერეკლე და ლევანი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით (1952); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურა (1955). კარიერა: ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (1956-69); ფილოსოფიის ინსტიტუტის კლასიკური მემკვიდრეობის სექტორის გამგე 1969 წლიდან. საქართველოს სახალხო ფრონტის დამფუძნებელი და გამგეობის უცვლელი თავმჯდომარე 1989 წლიდან. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს წევრი (1989-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის

უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, მთაწმინდის №9 საარჩევნო ოლქი, კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატი (1991, 26 მაისი). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): პროპორციული სიით, №5 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი, ბლოკი "11 ოქტომბერი", სახალხო ფრონტი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, დაიცვა დისერტაცია თემაზე: "რენესანსის პრობლემა ქართულ მწერლობაში"; მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური ნაშრომის, წიგნების: "რუსთველური მიჯნურობა და რენესანსი", "დროთა მიჯნაზე", "მითი და სინამდვილე", "თომა აქვინელის ფილოსოფია, მიზეზობრიობა და თავისუფლება", "ერი და ეროვნული კულტურა", "ვეფხისტყაოსანი" (კრიტიკული გამოცემა განმარტებებითა და კომენტარებით) და სხვათა ავტორი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში: "The International Who is Who".

† იგორ შალვას ძე ნარმანია

დაიბადა 1947 წლის 25 მარტს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორში. მეუღლე – ფარიზა გოგოლაძე-ნარმანია; შვილები: ეკატერინე, ბესიკი (ხვიჩა). განათლება: ცხაკაიას (სენაკი) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მექანიზაციის ფაკულტეტი (1967); ქ. როსტოვის ვაჭრობის ტექნიკუმი სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნის სპეციალობით (1974); ქ. ლენინგრადის ტექნოლოგიური ინსტიტუტი კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის ფაკულტეტი (1988); საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი (1991). კარიერა: სავალდებულო სამხედრო სამსახური (1967-69). საქართველოს და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ძიუდოში. საქართველოს რესპუბლიკური სპორტული დაოსტატების სკოლის სენაკის ბაზის მწვრთნელი ძიუდოში (1967-90); თბილისის სპორტული დაოსტატების მწვრთნელი ძიუდოში (1970-80); ქ. დნეპროპეტროვსკის ძიუდოს დაოსტატების სკოლის მიწვეული მწვრთნელი (1978-84); სამრეწველო და შერეული მაღაზიის დირექტორი (1984-89). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს ჰელსინკის კავშირი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის

აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). პარალელურად საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული დასავლეთ საქართველოში. მონაწილეობდა სამაჩაბლოსა და აფხაზეთის კონფლიქტების დარეგულირებაში; ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრაზე დაითანხმა მაშინდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი – ვლადიმერ არძინბა (მისი უსაფრთხოების გარანტად მძევლად დატოვა საკუთარი შვილი – ბესიკი), რის შედეგადაც 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ყველა რეგიონმა, აფხაზეთის ჩათვლით. სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. იმყოფებოდა დევნილობაში (ჩეჩნეთი, უკრაინა); დაბრუნდა საქართველოში 2001 წელს. აფხაზეთის ა.რ. უმაღლესი საბჭოს ექსპერტ-კონსულტანტი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში (2003). ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). მისი მეშვეობით ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს ტყვეობას დააღწია თავი უამრავმა ადამიანმა; 1987 წლის 31 დეკემბერს წყალდიდობის დროს გადაარჩინა ათობით ადამიანი. გარდაიცვალა 2010 წლის 10 იანვარს.

თევდორე (თედო) გიორგის ძე ნინიძე

დაიბადა 1950 წლის 2 იანვარს მახარაძის (ოზურგეთი) რაიონის სოფელ ასკანაში. მეუღლე – თინათინ ცხაკაია; შვილი – გიორგი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1971); სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა სამოქალაქო სამართლის სპეციალობით (მოსკოვი, 1974). სამართლის დოქტორი. კარიერა: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი (1975-78); საქართველოს კპ ცკ-ის ინსტრუქტორი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, თსუ სამართლის საფუძვლების კათედრის გამგე, მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემების კვლევის ცენტრის სექტორის გამგე (1975-89); ჟურნალ "სამართალი"-ს მთავარი რედაქტორი (1989-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან, კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის წევრი; ხელი

აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი, იურიდიული განყოფილების გამგე – მთავარი სახელმწიფო მრჩეველი (1992); საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი (1992-93); საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი (1993-95), საქართველოს იუსტიციის მინისტრი (1995-98); საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (1998-2004). თსუ პროფესორი 2004 წლიდან. სამეცნიერო ნაშრომების, მონოგრაფიების: "მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი", "საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი" ავტორი. იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი. ღირსების ორდენის კავალერი.

ნოდარ გიორგის ძე ნონიაშვილი

დაიბადა 1947 წლის 10 აგვისტოს დმანისში. მეუღლე – ციცინო ელისაბედაშვილი; შვილები: თამარი, ნესტანი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი სპარსული ფილოლოგიის განხრით (1970); თსუ ასპირანტურა ირანული ფილოლოგიის განხრით (1975). კარიერა: სპარსული ენის თარჯიმანი ირანში ისფაჰანის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობაზე (1970-72); თბილისის I საშუალო სკოლის სპარსული ენის მეთოდური ჯგუფის ხელმძღვანელი (1972-73); თარჯიმანი ირანში (1976-79); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწე, პრეზიდიუმის სწავლული მდივანი ასპირანტურის დარგში (1979-84); თარჯიმანი ირანში (1984-85); საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის რეფერენტი, საოქმო განყოფილების უფროსი (1985-90); პარალელურად ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი (1986-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, დმანისის საარჩევნო ოლქი, უპარტიო, ეკონომიკის კომისიის საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის ქვეკომისიის თავმჯდომარე, იმავე კომისიის პასუხისმგებელი მდივანი, საგარეო ურთიერთობის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. ქ. თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). ფილოლოგიის დოქტორი, დაიცვა დისერტაცია თემაზე: "ჯეიმს მორიერის რომანის – "ჰაჯი ბაბა ისფაჰანელის თავგადასავალი"-ს სპარსული თარგმანები". ბორის პასტერნაკის "დოქტორ ჟივაგო"-ს, სპარსული პოეზიის და სხვა თარგმანების ავტორი.

თამაზ აბესალომის ძე ობგაძე

დაიბადა 1955 წლის 5 აპრილს თბილისში. მეუღლე – ნათელა შალიკაშვილი; შვილები: ლელა და ია. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1974); მოსკოვის ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე მიზნობრივი წესით (1979). კარიერა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის სტაჟიორ-ლაბორანტი (1980-81); ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის ინჟინერი (1981-83); საქართველოს საგეგმო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრის (1983-85), ინსტიტუტ "ვოდგეოს", (1985-87) უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. სპი უმაღლესი მათემატიკის კათედრის ასისტენტი (1980-87), უფროსი მასწავლებელი (1987-88), დოცენტი, პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში (1988-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საგარეო ურთიერთობათა კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სტუ პროფესორ-მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრის დირექტორის მოადგილე (1991-95). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): კომპენსაციის სიით, მერაბ კოსტავას საზოგადოება, განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრი. ახალგორის კერძო უნივერსიტეტის დამფუძნებელი (1992-97). სტუ თვითმფრინავმშენებლობის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის კათედრების პროფესორი (1995-96). საქართველოს საგადასახადო სამსახურის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მთავარი ინსპექტორი (1996-97). ვლადიმირის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკისა და თეორიული ფიზიკის კათედრის პროფესორი, თეორიული და გამოყენებითი მექანიკის კათედრის

გამგე, ვიტებსკის სახელმწიფო ტექნილოგიური უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის მიწვეული პროფესორი (1997-2000); მოსკოვის საბუღალტრო აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის ინსტიტუტის კრასნოდარის წარმომადგენლობის დირექტორი, მოსკოვის სახელმწიფო ადმინისტრირების ინსტიტუტის პრორექტორი, მოსკოვის ბიზნესისა და პოლიტიკის ინსტიტუტის მათემატიკური და ინფორმაციული უზრუნველყოფის კათედრის გამგე, მოსკოვის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის პროფესორი (2000-2003). ს/ს "თბილავიამშენის" საკონსტრუქტორო ბიუროს აეროდინამიკური განყოფილების ხელმძღვანელი, სასწავლო ცენტრის დირექტორი (2003-2007). სტუ მართვისა და ავტომატიზაციის კათედრის სრული პროფესორი (2003-2007), საინჟინრო კიბერნეტიკისა და ხელსაწყოთმშენებლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (2007-2013). საქართველოს ეროვნული აკადემიისა და საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი. რუსეთის ბიოფიზიკოსთა საზოგადოების წევრი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "დატვირთვების განსაზღვრა სელურ ნაკადში მოთავსებულ საინჟინრო ნაგებობებზე", სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "ზვავური ტიპის ნაკადების მათემატიკური მოდელირება და განმსაზღვრელი პარამეტრების იდენტიფიკაცია". 15 მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს, 140 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ღირსების ორდენის კავალერი.

არჩილ ვარლამის ძე ოდიშარია

დაიბადა 1938 წლის 27 ივლისს თბილისში. მეუღლე – დალი ჩიჩუა; შვილები: ნინო, თამარი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-გეოლოგიის სპეციალობით (1961); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის ასპირანტურა (1970). კარიერა: სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი 1962 წლიდან. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი (გამგეობის წევრი), მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის წევრი, კავშირგაბმულობის ქვეკომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის

აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). დევნილი უზენაესი საბჭოს ზუგდიდის (1993) სესიის მონაწილე. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, დაიცვა დისერტაცია თემაზე: "კლდოვანი გრუნტების სეისმური მოძრაობის კანონზომიერებანი"; 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

გიორგი ალექსის ძე ოჩიაური



დაიბადა 1927 წლის 10 იანვარს დუშეთის რაიონის სოფელ შუაფხოში. მეუღლე – გულნაზი ლორთქიფანიძე; შვილები: ნანა, ხათუნა. განათლება: თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი (1953), ასპირანტურა (1957). კარიერა: 1953 წლიდან მონაწილეობს საქართველოსა და საზღვარგარეთ მოწყობილ სამხატვრო გამოფენებში; თსსა პროფესორი, ქანდაკების კლასის ხელმძღვანელი. ძირითადი ნამუშევრები: "ვაჟა-ფშაველა", "ზღვა", "შენ ხარ ვენახი", "ქალის ტორსი" (ადლერი), "სიცოცხლის ხე" (ტექსელი), "რექვიემი", "მუსიკა", "რესტავრაცია" და სხვა; დამდგმელი მხატვარი ფილმისა "ალავერდობა". საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, დუშეთის საარჩევნო ოლქი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). საქართველოს სახალხო მხატვარი; სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1988); შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2013). რუსეთის სამხატვრო აკადემიის საპატიო წევრი; თსსა საპატიო დოქტორი; ავტორი სამენოვანი წიგნისა "ევროპული ქანდაკების ბუნებისათვის"; საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე 1997 წლიდან; ხალხთა მეგობრობის ორდენის (1986), ღირსების ორდენის (2005), ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენის (2012) კავალერი; მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ საბჭოთა და დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში, "მსოფლიოს წამყვანი ინტელექტუალები" (IBC, 1999-2000); "XX საუკუნის გამოჩენილი ადამიანები" (ABI). საქართველოს პარლამენტის წევრი (2012-2015): პარტიული სიით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – "მეტი სარგებელი ხალხს", გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წევრი, ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", 2015 წლის მარტში დატოვა პარლამენტი პირადი განცხადების საფუძველზე.

თედო შალვას ძე კაატაშვილი

დაიბადა 1957 წლის 19 ივნისს თბილისში. მეუღლე – ბელა სალუქვაძე; შვილები: ნინო, ელენე. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკის ფაკულტეტი ინჟინერ-ფიზიკოსის სპეციალობით (1979). კარიერა: სტაბილური იზოტოპების (1979-84) და გეოფიზიკის (1984-90) ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომელი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: პრეზიდიუმის წევრი, საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი (1987-91); "ქარტია-91"-ის თავმჯდომარე (1991); საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): პროპორციული წესით, №1 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი, "ქარტია-91", საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე. საქართველოს პარლამენტის წევრი (1999-2004): პარტიული სიით – ბლოკი "საქართველოს აღორძინება", ფრაქცია "ტრადიციონალისტი", საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის, ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელი, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეებისა და საზღვარგარეთ არსებულ ეროვნულ ფასეულობათა დაბრუნების, ეროვნული თანხმობის და ცალკეული თანამდებობის პირების ქმედებათა კანონიერების შემსწავლელი დროებითი კომისიების წევრი. ავტორი წიგნისა "წერილები".

ალექსანდრე იურის ძე პავშენცევი

დაიბადა 1944 წლის 5 დეკემბერს თბილისში. მეუღლე – ირინა პავშენცევა; შვილები: დიმიტრი, ნატალია. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტი (1967). კარიერა: ინსტიტუტების "საქსახპროექტისა" და "თბილჰიდროპროექტის" ინჟინერი (1967-72); სამუშაო მივლინებით იმყოფებოდა კუბის რესპუბლიკაში (1972-74); კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი, განყოფილების გამგის მოადგილე, გამგე (1975-80); საქართველოს კპ ცკ განყოფილების გამგის პირველი მოადგილე (1980-82); კპ თბილისის 26 კომისრის სახ. რაიკომის პირველი მდივანი (1983-86); კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, კპ ცკ-ის

მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მეორე მდივანი (1986-90); საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს XI მოწვევის დეპუტატი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). 1992 წლიდან მოღვაწეობს რუსეთის ფედერაციაში სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციებში.

გურამ რაფიელის ძე პაპუნიძე

დაიბადა 1944 წლის 2 აპრილს ქედის რაიონის სოფელ ზენდიდში. მეუღლე – ლიანა მიქელაძე; შვილები: ირაკლი, სოფიო. განათლება: საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი (1970). კარიერა: სავალდებულო სამხედრო სამსახური (1964-67); საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორანტი, უფროსი ინჟინერი, უმცროსი მეცნიერ-მუშაკი, უფროსი მეცნიერ-მუშაკი (1970-80); ამავე ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორი (1980-81); ფილიალის ბაზაზე მისი უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დაარსებული სუბტროპიკული ნაყოფის შენახვისა და გადამუშავების სრულიად საკავშირო სამეცნიერო კვლევითი და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის დირექტორი (1981-2009). შოთა რუსთაველის სახ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-მუშაკი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, ქედის №119 საარჩევნო ოლქი, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობის და ეკოლოგიის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: “სუფრის იმერული ტიპის ღვინოების ტექნოლოგიების სრულყოფა”, სადოქტორო დისერტაცია თემაზე: “ციტრუსოვანთა ნედლეულის კომპლექსური გადამუშავების ტექნოლოგიების დამუშავება და სამრეწველო ათვისება”. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი-აკადემიკოსი. საქართველოს ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონალური ცენტრის სოფლის მეურნეობის

განყოფილების ხელმძღვანელი. 170 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 12 გამოგონებისა და მონოგრაფიების ავტორი.

რობერტ მელენტის ძე პეტრიაშვილი

დაიბადა 1945 წლის 7 აგვისტოს ზნაურში (ყორნისი). მეუღლე – ქეთევან ჯერვალიძე; შვილები: სოფიო, ნინო, გიორგი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი (1975). კარიერა: თბილისის გამწვანების ტრესტის, თბილისის რკინიგზის სატვირთო სადგურის მუშა (1964-70); 1975 წლიდან საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის, მარქსიზმ-ლენინიზმის საკავშირო ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: პრეზიდიუმის წევრი, საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი, თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის წევრი, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. იმყოფებოდა პოლიტიკურ დევნილობაში საზღვარგარეთ. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006); ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი.

სიმონ (გურამ) მელენტის ძე პეტრიაშვილი



დაიბადა 1942 წლის 16 მაისს ლენტეხში. მეუღლე – ალა ტესნავეცი; შვილები: ოლღა, ირინე. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი. კარიერა: საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი, ს/კ ინსტიტუტის ინჟინერი, კინოსტუდია "ქართული ფილმის" რეკვიზიტორი, რეჟისორის თანაშემწე, ასის-

ტენტი, ტელესტუდიის ტელეოპერატორი; მწერალი, რეჟისორი, მსახიობი. ზღაპრების კრებულის ავტორი; სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი ფილმებისა: "ელისა და რარუს თავგადასავალი", "რად სტვენს ბულბული"; გადაღებულია 20 ფილმში. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, თბილისის ნაძალადევის №1 საარჩევნო ოლქი, სარედაქციო კომისიის თავმჯდომარე, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს ზუგდიდის (1993) სესიის მონაწილე. იმყოფებოდა პოლიტიკურ დევნილობაში საზღვარგარეთ. დაბრუნდა საქართველოში 2012 წელს.

† ავთანდილ დიმიტრის ძე პოპიაშვილი

დაიბადა 1944 წლის 5 მარტს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვებაში. მეუღლე – ნაირა ბეპიევი; შვილები: ნინო, თამარი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი (1970). კარიერა: ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტი (ფილოსოფიის ისტორიის სპეციალობით), უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1970-77); კითხულობდა ლექციების კურსს ფილოსოფიის ისტორიაში ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (1977-97); იაკობ გოგებაშვილის სახ. პედაგოგიური კოლეჯის პრორექტორი (1992-97). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი, ეკონომიკური რეფორმის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი; დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ფისტეს ეთიკური იდეალიზმის კრიტიკისათვის"; სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "ინდივიდის პრობლემა კირკეგორისა და ნიცშეს ფილოსოფიაში"; ორი მონოგრაფიის, მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და პუბლიკაციების ავტორი. გარდაიცვალა 1998 წლის 15 თებერვალს.

პროფესორ ავთანდილ პოპიაშვილის სახელი მიენიჭა მის მშობლიურ სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლას.

თამაზ ომარის ძე ჟორჟოლიანი

დაიბადა 1960 წლის 4 სექტემბერს მესტიაში. მეუღლე – ნანა კურტანიძე; შვილები: თამარი, ომარი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი თბოენერგეტიკოსის სპეციალობით (1984). კარიერა: სამხედრო სავალდებულო სამსახური (1980-82). ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის ინჟინერ-ენერგეტიკოსი, საამქროს უფროსი (1984-89). ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი 1988 წლიდან; მერაბ კოსტავას საადგილმამულო ფონდის გამგეობის წევრი; წმინდა ილია მართლის საზოგადოების რეგიონული ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, ზუგდიდის რუსთაველის 91-ე საარჩევნო ოლქი, ეკონომიკური რეფორმის კომისიის, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი; ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. ცხოვრობდა ბელგიაში, პოლიტიკური დევნილის სტატუსით (1998-2015), დაბრუნდა საქართველოში 2015 წელს.

ალექსანდრე დავითის ძე ჟღენტი

დაიბადა 1945 წლის 4 აპრილს. განათლება: კარპენკო-კარის სახ. კიევის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტი (1965-71). კარიერა: მრავალი დოკუმენტური და მხატვრული ფილმის დამდგმელი რეჟისორი, სცენარის ავტორი; კინოსტუდია "ქართული ფილმის" რეჟისორი 1972 წლიდან. კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი 1978 წლიდან. ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა სექციის თავმჯდომარე (1978-82); ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების ინიციატორი (1990); საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საექსპერტო კომიტეტის თავმჯდომარე (1990-91).

ვასილ ამაშუკელისა და ალექსანდრე წუწუნავას საზოგადოებების დამფუძნებელი (1991). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, ჩოხატაურის №84 საარჩევნო ოლქი, საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. კანონიერი ხელისუფლების ლეგიტიმურობის შენარჩუნების მიზნით უარი თქვა სადეპუტატო პენსიაზე. 2005 წლიდან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი. 2002 წელს სპორტული კინოსა და ტელევიზიის მსოფლიო დღის დამფუძნებელი; 2003 წლიდან საქართველოს სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის პრეზიდენტი, 2008 წლიდან – საპატიო პრეზიდენტი. აფხაზეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

† სერგო ტარასის ძე რიგვავა

დაიბადა 1927 წლის 17 აპრილს გალში. მეუღლე – ვიქტორია სირაძე; შვილები: გიორგი, რუსუდანი (1964-94). განათლება: საკავშირო ალკკ ცკ-თან არსებული ცენტრალური კომკავშირული სკოლა (1946); პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (1957). კარიერა: ალკკ სოხუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი (17 წლის ასაკში, 1944-46); ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი, პირველი მდივანი, საქართველოს ალკკ ცკ-ის მდივანი, მეორე მდივანი (1944-56); კომპარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, საქართველოს ზოოვეტერინალური ინსტიტუტის პარტკომის მდივანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი, კპ თბილისის კალინინის რაიკომის მეორე მდივანი, პირველი მდივანი, კპ თბილისის ქალაქკომის მდივანი (1956-73); თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1974-79); პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე (1979-86); საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი, აპარატის ხელმძღვანელი, პრეზიდიუმის

წევრი (1986-88); საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე (1973-90); საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მეორე მდივანი; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს IV, VII, VIII, IX, X და XI მოწვევის დეპუტატი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომპარტიის სიით, სამანდატო კომისიის წევრი. ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის და ღირსების ორდენის კავალერი. გარდაიცვალა 2013 წლის 13 ნოემბერს.

ავთანდილ ფარნაოზის ძე რცხილაძე



დაიბადა 1939 წლის 19 ივნისს თბილისში. მეუღლე – მარინა ჭელიძე; შვილები: ნინო, ნოდარი. განათლება: თბილისის რკინიგზის ტექნიკუმი (1966); თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია (1981). კარიერა: ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ელექტრო-მექანიკოსი (1963-64); თბილისის №26 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი (1964-66); თბილისის მეტრო-პოლიტენის მექანიკოსი (1966-75); თბილისის ვასო აბაშიძის სახ. მუსიკალური თეატრის მსახიობი (1976-85); თელავის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი (1985-88). საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის წევრი 1987 წლიდან, საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი დაფუძნების დღიდან (1989); საქართველოს ეროვნული მოძრაობის ყველა ხელმძღვანელი ცენტრის: ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტი (1989, მაისი), საქართველოს ეროვნული ფორუმი (1990, მარტი), საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა (1990, მაისი) თანადამფუძნებელი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, თელავის ვარდისუბნის №61 საარჩევნო ოლქი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი (გამგეობის წევრი), კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, შემდგომ – ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; თელავის რაიონის პრეფექტი. ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993)

და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. იმყოფებოდა პოლიტიკურ დევნილობაში საზღვარგარეთ (1992-94). 1994 წლის აპრილში დაპატიმრებული იქნა სამშობლოს ღალატის მუხლით. განთავისუფლებული იქნა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების კატეგორიული მოთხოვნით, ქვეყნიდან გაუსვლელობის ხელწერილით (რაც მოუხსნეს 2000 წელს). ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006).

ანზორ ალექსანდრეს ძე საკანდელიძე

დაიბადა 1940 წლის 14 აპრილს ქუთაისში. მეუღლე – ნათელა გაფრინდაშვილი; შვილები: ალექსანდრე, დავითი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი (1963); ასპირანტურა (1972). კარიერა: საქართველოს მშენელობის სამინისტროს ტრესტ "მშენინდუსტრიის" №1 რკინა-ბეტონის ქარხნის მთავარი ტექნოლოგი, სპი ინჟინერი, უფროსი ლაბორანტი, უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, დოცენტი (1964-81); ცეკავშირის სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტ "საქკოოპმშენის" თბილისის რკინა-ბეტონის ქარხნის დირექტორი (აქ, მისი სადოქტორო კვლევითი სამუშაოების მიხედვით, პირველად სსრკ-ში სერიულად წარმოებული იქნა ბეტონის ქიმიური დანამატები, ე.წ. "სუპერპლასტიფიკატორი"), ტრესტის მმართველის მოადგილე, თბილისის სამრეწველო საწარმოო კომბინატის დირექტორი, მთავარი ტექნოლოგი (1981-85). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, ქუთაისის უქიმერიონის №73 საარჩევნო ოლქი, მერაბ კოსტავას საზოგადოება, მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის წევრი, მშენებლობის კომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ფირმა "ა-ს"-ის მასალების კომბინატის დირექტორი (1999-2001); 2001 წლიდან შპს "დურუჯი"-ს მთავარი მენეჯერი მეცნიერებისა და წარმოების დარგში. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, დაიცვა დისერტაცია თემაზე: "საქართველოს ადგილობრივ მასალებზე დამზადებული მაღალი სიმტკიცის ბეტონების გამოკვლევა". სსრკ სპორტის ოსტატი კალათბურთში, სსრკ სამგზის ჩემპიონი სტუდენტთა შორის, 10

წლის მანძილზე თბილისის “ბურევესტნიკის” წევრი; საქართველოს თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის თავმჯდომარე; 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 100-ზე მეტი პუბლიკაციისა და რამდენიმე კანონპროექტის ავტორი.

მინდია ევგენის ძე სალუქვაძე

დაიბადა 1933 წლის 3 მაისს თბილისში. მეუღლე – თამარ ჯაში; შვილები: მანანა, მარინე. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (1955); სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის ასპირანტურა (1961). კარიერა: თბილისის №55 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი (1955-57); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, განყოფილების გამგე, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1957-81); ამავე ინსტიტუტის დირექტორი (1981-2006); თბილისის საქალაქო და სარაიონო საბჭოების არაერთგზის დეპუტატი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: “ოპტიმალური რეგულატორების ანალიზური კონსტრუირება შეშფოთებების პირობებში”, სადოქტორო დისერტაცია თემაზე: “ვექტორული ოპტიმიზაციის ამოცანები მართვის თეორიაში”; 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 10 მონოგრაფიისა და თანაავტორებთან ერთად 5 სახელმძღვანელოს ავტორი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, პრეზიდიუმის წევრი; გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი; სხვადასხვა დარგობრივი მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი; საქართველოს სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატი; საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს წევრი; საქართველოს სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრი და ტექნიკის სექციის თავმჯდომარის მოადგილე; საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმებისა და მსოფლიო კონგრესების მონაწილე და მომხსენებელი; მის სახელს უკავშირდება სამეცნიერო ლიტერატურაში შესული ტერმინები: “სალუქვაძის პრინციპი”, “სალუქვაძის ამოხსნა”, “სალუქვაძის მეთოდი”. წლების მანძილზე

საზოგადოება “მემორიალის” და ჩოხოსანთა საზოგადოების თავ-მჯდომარე, შემდგომ – საპატიო თავმჯდომარე. ღირსების ორდენის კავალერი.

† რევაზ გიორგის ძე სალუქვაძე

დაიბადა 1929 წლის 15 სექტემბერს თბილისში. მეუღლე – მერი ფირცხალავა; შვილები: ზაალი, მარიამი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-ტექნიკური ფაკულტეტი (1953). კარიერა: თსუ ლაბორანტი (1952-54); ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (1954-62); თსუ უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ბირთვული ფიზიკის პრობლემური ლაბორატორიის გამგე, მაღალი ენერგიების ფიზიკის კათედრის გამგე, ფიზიკის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი (1962-74); სოხუმის ილია ვეკუას სახ. ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი 1974 წლიდან. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და 30-ზე მეტი გამოგონების ავტორი; საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე; სახელმწიფო და პეტრე მელიქიშვილის სახ. პრემიების ლაურეატი; საზოგადოება “თბილისელის”, საერთაშორისო ბირთვული სამეცნიერო საზოგადოების წევრი. ღირსების ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის (ABI) გამოცემაში: “წლის პიროვნება” (1996). გარდაიცვალა 2000 წლის 22 ოქტომბერს.

ნიკოლოზ ჯემის ძე სანებლიძე



დაიბადა 1958 წლის 31 იანვარს თბილისში. მეუღლე – თინათინ ინასარიძე; შვილი – ეკატერინე. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი (1979). კარიერა: თსუ თანამშრომელი (1979-88); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, თსუ უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი

(1988-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, ეკონომიკური რეფორმის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის პოლიტიკური მდივანი 1994 წლიდან.

გუბაზ ლევანის ძე სანიკიძე

დაიბადა 1967 წლის 2 თებერვალს ქუთაისში. მეუღლე – ირმა შუბლაძე; შვილები: ლევანი, ნინო. განათლება: ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1989). კარიერა: თსუ აზია-აფრიკის (1990-95) და ანტიკური ისტორიის (1995-2006) კათედრების დოცენტი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, მაჟორიტარი, ამბროლაურის საარჩევნო ოლქი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს პარლამენტის წევრი (1999-2004): პარტიული სიით – ბლოკი "საქართველოს აღორძინება", თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოკვლევის დროებითი კომისიების, ეროვნული თანხმობის დროებითი კომისიის წევრი, ფრაქცია "ტრადიციონალისტის" თავმჯდომარის მოადგილე (2004-დან თავმჯდომარე). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "რომი და ელინურ-ელინისტური სამყარო", სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "ანტიკურ-რომაული რესპუბლიკის კრიზისი და დაცემა ძველი წელთაღრიცხვის II-I საუკუნეში". საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის – "სახალხო ფორუმი კეთილდღეობისა და დემოკრატიისათვის" დამფუძნებელი და ერთ-ერთი ლიდერი; პ/ო "ეროვნული ფორუმის" ერთ-ერთი დამფუძნებელი (2006, ნოემბერი). საქართველოს პარლამენტის წევრი (2008): პარტიული სიით, "გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო – მემარჯვენეები)", არჩევნების გაყალბების პროტესტის ნიშნად საკუთარი განცხადების საფუძველზე შეუწყდა პარლამენტარის უფლებამოსილება 2008 წლის 20 ივნისს. "ეროვნული ფორუმის" თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინის-

ტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). საქართველოს პარლამენტის წევრი (2012-2016): მაჟორიტარი, №59 ქუთაისის საარჩევნო ოლქი, პოლიტიკური ბლოკი "ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება", დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, პარლამენტის ბიუროს წევრი, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის წევრი, სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ინიციატივაში მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი, ფრაქცია "ქართული ოცნება", 2013 წლის მარტიდან ფრაქციის "ქართული ოცნება – ეროვნული ფორუმი" წევრი. 2015 წლის 19 თებერვლიდან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

ზურაბ ტიტეს ძე სანიკიძე

დაიბადა 1962 წლის 15 ნოემბერს თბილისში. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კარიერა: თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მუშა (1979-84); საქართველოს სახელმწიფო არქივის არქივარიუსი (1984-87); საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მუშა (1987-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს სახალხო ფრონტი-რადიკალური კავშირი (მთავარი კომიტეტის წევრი), თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის, იურიდიული კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006).

ავთანდილ პეტრეს ძე საყვარელიძე

დაიბადა 1937 წლის 6 აგვისტოს ქუთაისში. მეუღლე – ელენე სტურუა; შვილები: პეტრე, მარინა. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი (1963); სსრკ სახალხო მეურნეობის აკადემია ეკონომიკისა და წარმოების მართვის სპეციალობით (1980). კარიერა: თბილისის ქარხანა "ელექტროავტომატის" ინჟინერი,

უფროსი ინჟინერი (1960-63); საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის სწავლული მდივანი (1963-65); რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის განყოფილების გამგე (1965-72); საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ინსპექტორი (1972-73); კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი (1973-75); აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (1975-78); კპ კალინინის რაიკომის პირველი მდივანი (1980-81); საქართველოს კპ ცკ-ის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე (1981-86); ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილე (1986-92), მთავარი რედაქტორი (1992-2006). 2006 წლიდან ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქტორის მრჩეველი. მისი ხელმძღვანელობთ და უშუალო მონაწილეობით გამოიცა უნივერსალური ქართული ენციკლოპედიის IX-XI ტომები, ენციკლოპედიები: "თბილისი", "ქართული ენა", "თბილისი – მოედნები, პროსპექტები, ქუჩები", ენციკლოპედია "საქართველოს" I-II ტომი. მრავალი სამეცნიერო-სარედაქტორო საბჭოს წევრი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მრავალგზის დეპუტატი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომპარტიისაგან, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ღირსების ორდენის კავალერი.

† მერაბ ვლადიმერის ძე საყვარელიძე

დაიბადა 1947 წლის 2 იანვარს თბილისში. მეუღლე – თამარ საყვარელიძე; შვილები: ლადო, დავითი, ნიკოლოზი. განათლება: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი (1970); თსსი ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის კათედრის ასპირანტურა (1977). კარიერა: თბილისის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროსი ორდინატორი, მეცნიერ-თანამშრომელი (1970-90). საქართველოს ექიმთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1989). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, ზესტაფონის ყვირილას №65 საარჩევნო ოლქი, საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია,

ჯანმრთელობის დაცვის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. სესიის მონაწილე. საქართველოს ტრავმატოლოგ-ორთოპედთა საერთაშორისო აკადემია SICOTA–ს წევრი; ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ერთიანი ეროვნული ასოციაციის დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი; ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი. ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრის დირექტორის მოადგილე, სწავლული მდივანი (1994), ექსპერტ-კონსულტანტთა ჯგუფის ხელმძღვანელი 1996 წლიდან; საყრდენ მამოძრავებელი აპარატის დაზიანებით დაინვალიდებულთა რეაბილიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი (1998-2000); შპს "სოციალური რეაბილიტაციის" პროგრამების მენეჯერი 2000 წლიდან; "საქართველოს გულის ფონდის" გენერალური დირექტორი 1999 წლიდან; შპს "ადაპტის" კლინიკა "ანგიოკარდის" დირექტორი 2000 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "მხრისა და წინამხრის ძვლების გართულებულ მოტეხილობათა მკურნალობა"; მედიცინის დოქტორი; 50-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა და გამოგონების ავტორი. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). გარდაიცვალა 2010 წლის 21 ივნისს.

† ნუგზარ რაჟდენის ძე საჯაია

დაიბადა 1941 წლის 25 დეკემბერს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში. მეუღლე – რუსუდან გასვიანი; შვილი – დავითი. განათლება: თბილისის ა. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის ფაკულტეტი (1964). კარიერა: კომკავშირულ სამუშაოზე (1964-70); კომუნისტური პარტიის თბილისის ქალაქკომის ინსტრუქტორი, ორჯონიკიძის, ლენინის რაიკომების განყოფილების გამგე (1970-74); მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი, ჩხოროწყუს რაიკომის პირველი მდივანი, ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი (1974-79); საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ადმინისტრაციული განყოფილების გამგე (1979-85); რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე (1985-89); საქართველოს კპ ცკ-ის ორგანიზაციულ-

პარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილების უფროსი (1989-90); საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს IX, X და XI მოწვევის დეპუტატი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან, მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის თავმჯდომარის მოადგილე (1992-95); საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში – უშიშროების საბჭოს მდივანი (1995-2002). გენერალ-ლეიტენანტი; ვახტანგ გორგასლისა და ღირსების ორდენების კავალერი. გარდაიცვალა 2002 წლის 25 თებერვალს.

ჯემალ ბიქტორის ძე საჯაია

დაიბადა 1947 წლის 23 მარტს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ თაიაში. მეუღლე – იზო გიორგბელიძე; შვილები: ელდარი, მადონა, ირმა, ლონდა, ჯეირანი, ემზარი, მარიამი. განათლება: სოხუმის გორკის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიური ფაკულტეტი (1972). კარიერა: სოხუმის სანერგე მეურნეობის მუშა (1964-72); სოხუმის რაიონის სოფელ ბესლეთის სკოლის პედაგოგი (1972-76); მეფრინველეობის საწარმოს დირექტორის მოადგილე (1976-82); მეცხოველეობის კომპლექსის დირექტორი (1982-87); ბარათაშვილის კოლმეურნეობის თავმჯდომარე (1987-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, სოხუმის საარჩევნო ოლქი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): მაჟორიტარი, სოხუმის №9.77 საარჩევნო ოლქი, მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისიის წევრი. საქართველოს პარლამენტის წევრი (1995-99): არჩეული აფხაზეთიდან, დამოუკიდებელი დეპუტატი, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის, თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტის წევრი. საქართველოს პარლამენტის წევრი (1999-2004): არჩეული აფხაზეთიდან, გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრი, ფრაქცია "ახალი აფხაზეთი და ქრისტიან დემოკრატები". აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი, ფრაქცია

“ერთიანი საქართველო”, საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისიის, საკონსტიტუციო, ადამიანის უფლებათა, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის წევრი. ღირსების ორდენის კავალერი.

აპოლონ აპოლონის ძე სილაგაძე

დაიბადა 1942 წლის 29 მაისს თბილისში. შვილები: ლევანი, ნინო, თინათინი, ვაჟა. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1964). კარიერა: თსუ სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრის, სემიტოლოგიის კათედრის ასისტენტი (1966-75), დოცენტი და პროფესორი 1975 წლიდან; თსუ პრორექტორი (1981-85); თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი (1986-88); სემიტოლოგიის კათედრის გამგე 1984 წლიდან. გაზეთების: “სახალხო განათლება”, “ერი” (საქართველოს უზენაესი საბჭოს გაზეთი) მთავარი რედაქტორი (1988-91). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91); ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). გაზეთ “სვობოდნაია გრუზია”-ს მთავარი რედაქტორი (1992-98). საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში, სირიის არაბთა რესპუბლიკაში, ლიბანის რესპუბლიკაში და იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფოში (1998-2004). სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო “საქინფორმის” გენერალური დირექტორი (2004-2006). თსუ სრული პროფესორი, თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, არაბისტიკის კათედრის ხელმძღვანელი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი 2009 წლიდან, ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) – 2015 წლის აპრილიდან. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: “თანამედროვე არაბული ლექსი”; სადოქტორო დისერტაცია თემაზე: “ქართული ლექსი – მუდმივი სიდიდეების დონეზე”. წიგნების: “ლექსთმცოდნეობითი ანალიზის პრინციპების შესახებ”, “თანამედროვე არაბული ლიტერატურათმცოდნეობა და კრიტიკა”, “საქართველო 88-90”, “უნიკალური არაბული სალექსო ფორმის შესახებ”, “საქართველო 92”, “სამი ისტორიულ-პოლიტიკური ესე” (ვახტანგ

გურულთან ერთად), “საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან”, “საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა”, “ძველი ქართული ლექსი და ქართული პოეზიის უძველესი საფეხურის პრობლემა”, “ქართული ლიტერატურის ისტორია, როგორც სისტემა და ლიტერატურული ნორმები”, “სასულიერო პოეზიის რიტმული ორგანიზაციის საკითხები”, “XVIII საუკუნის ეგვიპტის ეპიგრაფიკიდან”, “ქართული სახელმწიფო კონცეფციის ისტორიიდან”, “ეროვნული ცოცხალი ორგანიზმი”, “ისტორიულ-პოლიტიკური ნარკვევები”, “ახალი არაბული ვერსიფიკაციის ისტორიიდან”, “ქართული იდეა”, “არაბული დიგლოსია”, “მეგრული ლექსი”, “ვეფხისტყაოსნის ლექსი და მისი ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში” და სხვა, 140-ზე მეტი სამეცნიერო და მრავალი პუბლიცისტური ნაშრომის, არაბული პოეზიის ნიმუშთა თარგმანების, “ყურანის თარგმანისა და კომენტარების” ავტორი.

ანზორ ვალერიანის ძე სიჭინავა

დაიბადა 1960 წლის 12 მარტს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეში. მეუღლე – ირმა ახალაია. განათლება: აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი ისტორიკოსის სპეციალობით (1984). კარიერა: ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ლესიჭინეს ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა (1977-78); სოფელ ლესიჭინეს II და III საშუალო სკოლების, ჩხოროწყუს მოსწავლე ახალგაზრდობის რაიონული სახლის მასწავლებელი (1982-96); ჩხოროწყუს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი (1987-2000). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, ჩხოროწყუს №95 საარჩევნო ოლქი, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). 1998 წლიდან თბილისის საგანმანათლებლო სკოლა-პანსიონ “მთიები”-ს მასწავლებელი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგე. 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 8 წიგნის ავტორი და თანაავტორი. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი 2014 წლიდან.

გია ანზორის ძე სუბელიანი



დაიბადა 1965 წლის 18 თებერვალს თბილისში. მეუღლე – ნანა იაშაღაშვილი; შვილები: მარიამი, საბა. განათლება: თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი სასარგებლო წიაღისეული საბადოების ძებნა-ძიების სპეციალობით, ინჟინერ-გეოლოგი (1986). კარიერა: გაერთიანება "საქგეოლოგიის" ჩრდილო-დასავლეთის გეოლოგიური საძიებო ექსპედიციის გეოლოგი (1986-90). სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების გამგეობის წევრი (1990-91). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, ოჩამჩირის №109 საარჩევნო ოლქი, მერაბ კოსტავას საზოგადოება, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). არარეგისტრირებული კავშირის – "წმინდა გიორგის კავშირი – ზეციხე" ბუღალტერი (1992-94); საქართველოს შსს სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობებზე (1994-98); არასამთავრობო ორგანიზაციის – "წმინდა გიორგის კავშირი – ზეციხე" ბუღალტერი (1998-2003). 2012 წლიდან არასამთავრობო ორგანიზაციის – "წმინდა გიორგის სადროშო" დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე.

რამაზ დურსუნის ძე სურმანიძე

დაიბადა 1933 წლის 10 მაისს შუახევის რაიონის სოფელ ჭალაში. მეუღლე – ნაზი სურმანიძე; შვილები: ზურაბი, ფრიდონი, ზაზა. განათლება: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი (1956). კარიერა: თბილისის №1 საავადმყოფოს ფერშალი (1951-56); შუახევის რაიონის სოფელ ბარათაულის ამბულატორიის გამგე, ამავე რაიონის მთავარი ექიმი (1957-63); ბათუმის №1 საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე (1963-64); ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე (1964-75); ბათუმის სამედიცინო სასწავლებლის პედაგოგი (შეთავსებით, 1964-77); ბათუმის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ლექტორი (შეთავსებით, 1966-98); ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი (შეთავსებით, 1969-

2000); კურორტების მართვის აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარე (1975-77); აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი (1977-85); სანიტარიული განათლების საოლქო სახლის ექიმი (1985-91); ხალხური მედიცინის აჭარის რეგიონული ასოციაცია "მედეა"-ს დამფუძნებელი (1990). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): მაჟორიტარი, შუახევის №118 საარჩევნო ოლქი, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომისიის წევრი, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობების საქართველოს საზოგადოების აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე (1977-85, 1994-2005); შპს ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის დამფუძნებელი და უცვლელი რექტორი 1991 წლიდან; შპს "სამედიცინო განათლების" დირექტორი (1995-2008). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (2008-2012): პროპორციული წესით, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის წევრი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ზემო აჭარის მოზარდთა ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის მაჩვენებლები", სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "ქართული კარაბადინი – XVIII საუკუნე"; 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 40 მონოგრაფიის, სამი რომანისა და მოთხრობების 12 კრებულის ავტორი; საქართველოს მწერალთა კავშირისა და ჟურნალისტთა ფედერაციის, რამდენიმე დარგობრივი აკადემიის ნამდვილი წევრი; საქართველოსა და აჭარის დამსახურებული ექიმი; აბუსერისძე ტბელისა და ზაქარია ჭიჭინაძის სახ. პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი; ბათუმისა და შუახევის საპატიო მოქალაქე.

დავით მარლენის ძე ტაბიძე

დაიბადა 1951 წლის 7 ოქტომბერს ქუთაისში. შვილები: გიორგი, ირაკლი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი (1973). კარიერა: თსუ ლაბორანტი, უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, ასპირანტი (1973-78); უფროსი ლაბორანტი (1981); უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, დოცენტი (1985). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის

უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”, საქართველოს ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, დაიცვა დისერტაცია თემაზე: “ბისინდოლების სინთეზი და კვლევა”.

ირინე ილიას ასული ტალიაშვილი

დაიბადა 1946 წლის 22 დეკემბერს სიღნაღში. შვილები: ზაზა და მამუკა ბაკაშვილები. განათლება: თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1969); ლენინგრადის კინოს, თეატრისა და მუსიკის სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი (1986). კარიერა: ტელერადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის რეჟისორის ასისტენტი, სოციოლოგიის რედაქციის, ხალხური შემოქმედების რედაქციის რედაქტორი, რეჟისორი (1974-85); 1985 წლიდან ტელევიზიის ხალხური შემოქმედების რედაქციის რეჟისორი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”, საქართველოს ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის მდივანი, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). ოცამდე წიგნის (მათ შორის – “პატივი ეცით სიკვდილს”), პოლიტიკური წერილების, საბავშვო

მოთხრობების ავტორი; საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალ "კარდუ-2000"-ს დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი.



ივანე (უშანგი) თედოს ძე ტურაშვილი

დაიბადა 1948 წლის წლის 13 აგვისტოს ახმეტის რაიონის სოფელ მატანში. მეუღლე: ეფემია მჭედლიშვილი; შვილები: ზურაბი, მარიამი, რატი, მინდია. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართველური ენების სპეციალობით (1971); თსუ ასპირანტურა ძველი ქართული ენის განხრით (1972-76). კარიერა: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1981-91); გადაცემა ტელეაბიტურიენტთათვის – "ქართული ენა" (1981-91). ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი; დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ბერთის ოთხთავის ენობრივი თავისებურებანი". სრულიად საქართველოს წმიდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრი (1989). ერთ-ერთი მოთავე ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილი გახმაურებული მიტინგისა, რომელშიც მონაწილეობდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელები – მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია (1989). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო"); მაჟორიტარი, ახმეტის საარჩევნო ოლქი, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); ახმეტის რაიონის პრეფექტი. სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. მცირე ხნით იყო პოლიტიკური პატიმარი. ეროვნული დაუმორჩილებლობის პრესცენტრის თანამშრომელი (ზუგდიდი, 1993). 1994 წლიდან პოლიტიკური დევნილი გერმანიაში. 15 სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილის ავტორი. მათ შორის "ფაშისტური წამების მეთოდები შევარდნაძის ნეოკომუნისტურ საპყრობილეებში (1993); "დასავლეთში პოპულარული დიქტატორი შევარდნაძე" (2000 წ. "ფრანქფურთის ქრონიკა") და სხვ.

† ლოვარდ ვასილის ძე ტუხაშვილი

დაიბადა 1940 წლის 25 ოქტომბერს სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევში. მეუღლე – თამარ ტუხაშვილი; შვილები: მაია, შორენა, ერეკლე. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1964); ასპირანტურა (1967). კარიერა: თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1967-68); ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კათედრის უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1969-89); წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი (1988-90), კათედრის გამგე (1990-91); საქართველოში მცხოვრები არაქართული მოსახლეობის საპრობლემო ჯგუფის ხელმძღვანელი; თსუ-ს, ილია ჭავჭავაძის სახელობის და სულხან-საბას სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების ლექტორი; სტუ საქართველოს ისტორიის კათედრის შექმნის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი; საქართველოს ტელევიზიის "ალტერნატიული საათის" წამყვანი კონსულტანტ-რედაქტორი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "ქართული დიპლომატიის განვითარება და საგარეო პოლიტიკის აქტუალური პრობლემები X-XIV საუკუნეებში"; 140-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიების, 300-ზე მეტი წერილის ავტორი საქართველოს შუა საუკუნეების პოლიტიკური ისტორიის, ქართველი ხალხის ეთნოფსიქოლოგიის, ფეოდალური ხანის ქართული ლიტერატურის საკითხებზე; საქართველოს ისტორიის ნარკვევების რვატომეულის, თბილისის ისტორიის სამტომეულის თანაავტორი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან, პრესისა და საგამომცემლო საქმის ქვეკომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). გარდაიცვალა 1995 წლის 18 სექტემბერს.

მინდია გურამის ძე უგრეხელიძე

დაიბადა 1942 წლის 19 მაისს ქუთაისში. მეუღლე – ლუიზა კობახიძე; შვილები: ჯავარა, პაპუნა. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1963). კარიერა: მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1963-76); თსუ დოცენტი (1976-83); საქართველოს კომპარტიის ცკ-

ის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგის მოადგილე (1983-86); საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი (1986-88); გაზეთ "კომუნისტის" რედაქტორის მოადგილე, რედაქტორი (1983-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან, კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე (1990-99); სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი, სასამართლო რეფორმის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე (1993-98). კითხულობდა ლექციების კურსს აშშ-სა და გერმანიაში (1994-96); სტუ თანამედროვე სამართლის კათედრის გამგე 1995 წლიდან; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (1997-99). ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს მოსამართლე (1999-2007). იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, დაიცვა დისერტაცია თემაზე: "გაუფრთხილებლობითი ბრალის პრობლემა სისხლის სამართალში". 100-მდე სამეცნიერო ნაშრომისა და თარგმანის, მათ შორის მონოგრაფიების ავტორი; მაქს პლანკის საერთაშორისო საზოგადოების სტიპენდიანტი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრემიის ლაურეატი; უმაღლესი კვალიფიკაციის მოსამართლე; "იურისტთა მსოფლიო ასოციაციისა" და "სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის" წევრი; ღირსების ორდენის კავალერი.

გივი თემიკოს ძე ურიათმყოფელი

დაიბადა 1961 წლის 25 იანვარს ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საზანოში. მეუღლე – ძლიერიშვილი ნინო; შვილები: გიორგი, მარიამი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააღრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტი ეკონომისტის სპეციალობით (1983). კარიერა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი ბუღალტერი, მთავარი ბუღალტერ სტაჟიორი, მთავარი ბუღალტრის მოადგილე (1983-90); მერაბ კოსტავას სახ. საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის მთავარი ბუღალტერი (1990, 1992-98). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, ზესტაფონის საყავრის №64 საარჩევნო ოლქი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოდგილე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს

დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). მცხეთის რაიონის დაბა ზაჰესის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე (1996-98, 2002-2004); შპს "ჯორჯია"-ს მთავარი ბუღალტერი (1998-2000); საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის საფინანსო საქმიანობის ანალიზის სამმართველოს უფროსი (2000); საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული ფასების სახელმწიფო ინსპექციის უფროსი, ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი (2000-2003); ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების კოორდინაციის განყოფილებისა და ადგილობრივი საგადასახადო და სატარიფო პოლიტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტი (2003-2004); საქართველოს კონტროლის პალატის სოციალური სექტორის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (2004-2005); მცხეთის რაიონის დაბა ზაჰესის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე (2006-2009); შპს "პრიმა აუდიტი"-ს აუდიტის ასისტენტი, აუდიტორი (2007-2011). 2013 წლიდან შპს "გური"-ს დამფუძნებელი და დირექტორი.

† მერაბ ბორისის ძე ურიდია

დაიბადა 1957 წლის 23 ივნისს ქუთაისში. მეუღლე – ნინო ბისიეშვილი; შვილები: ლევანი, ქეთევანი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1979). კარიერა: მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (1979-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", წმიდა ილია მართლის საზოგადოება (გამგეობის წევრი), საგარეო ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): პროპორციული წესით, №6 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი, "ქარტია-91", საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. 1995 წლიდან შპს "კონიუნქტურის კვლევის ცენტრის" დირექტორი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; სამეცნიერო სტატიებისა და 1 წიგნის ავტორი. გარდაიცვალა 2011 წლის 20 მარტს.

ჯეირან ნიკოლოზის ძე ფაჩუაშვილი

დაიბადა 1942 წლის 31 აგვისტოს ქუთაისში. მეუღლე – ნათელა გეგუჩაძე; შვილები: ნიკოლოზი, თამარი, ნინო. განათლება: თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი (1968). კარიერა: მხატვარი; მოღვაწეობს ფერწერასა და თეატრალურ-დეკორაციულ ხელოვნებაში. ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის მთავარი მხატვარი 1968 წლიდან, სამხატვრო ხელმძღვანელი და გენერალური დირექტორი (1997-2006); აღნიშნული თეატრის გარდა გაფორმებული აქვს სპექტაკლები ფოთის სახელმწიფო თეატრში, კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო დრამატულ თეატრში, თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში, ჭიათურის აკაკი წერეთლისა და გორის გიორგი ერისთავის სახ. თეატრში, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას თეატრში, ნიჟნი ნოვგოროდის თეატრში, სამარის ოპერისა და ბალეტის თეატრში, ბრატისლავის თეატრში "ნოვი სცენა"; ქუთაისის ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელი 1988 წლიდან; საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი 1975 წლიდან, კავშირის მდივანი (1986-90), ქუთაისის ორგანიზაციის განყოფილების თავმჯდომარე 1976 წლიდან, მხატვართა კავშირის თანათავმჯდომარე 2003 წლიდან. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს, რუსეთის, გერმანიის, ინგლისის კერძო კოლექციებში; საქართველოს დამსახურებული მხატვარი; სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საპატიო ნიშნის და ღირსების ორდენის კავალერი.

† გერმანე გერმანეს ძე ფაცაცია

დაიბადა 1951 წლის 20 აგვისტოს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალდაბაში. მეუღლე – მარიამ სიმონიშვილი; შვილები: ნინო, ანა. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი (1973). კარიერა: თსუ უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1973-77); ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (1977-83); პოლიტოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, განყოფილების გამგე (1983-90), დირექტორი (1991-96); საქართველოს

კპ ცკ-ის მდივანი, საქართველოს ეროვნული კონგრესის წევრი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1991): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): საკომპენსაციო სიით, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, ფრაქცია "აფხაზეთის" თავმჯდომარე. საქართველოს პარლამენტის წევრი (1995-99): არჩეული აფხაზეთიდან, ფრაქცია "აფხაზეთის" თავმჯდომარე. საქართველოს პარლამენტის წევრი (1999-2004): არჩეული აფხაზეთიდან, სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წევრი, ფრაქცია "ახალი აფხაზეთი და ქრისტიან დემოკრატები". აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი 1995 წლიდან: საკონსტიტუციო, ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის, საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისიის წევრი, ფრაქცია "დემოკრატიული რეფორმებისათვის". საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი. ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, დაიცვა დისერტაცია თემაზე: "ცოდნის თეორიული და ემპირიული დონეების თანაფარდობა სოციოლოგიაში"; ათამდე წიგნის, 200-ზე მეტი სტატიის ავტორი; საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 2013 წლის 10 სექტემბერს.

† მამიკონ გევორქის ძე ფიდანიანი

დაიბადა 1939 წლის 11 ნოემბერს. განათლება: ერევნის ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტი. კარიერა: ახალქალაქის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს ინსტრუქტორ-ორგანიზატორი, ზოოტექ-ნიკოსი, უფროსი, შემდგომ – მთავარი ზოოტექნიკოსი (1963-70), სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი ზოოტექნიკოსი, სამმართველოს უფროსის მოადგილე, სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების თავმ-ჯდომარის მოადგილე, კპ ახალქალაქის რაიკომის განყოფილების გამგე, აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე (1970-87); კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი (1987-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): მაჟორიტარი, ახალქალაქის №39 საარჩევნო ოლქი, საქართველოს კომპარტიისაგან.

დალი სარდიონის ასული ფიროსმანაშვილი

დაიბადა 1948 წლის 9 იანვარს წითელწყაროს (დედოფლისწყარო) რაიონის სოფელ გამარჯვებაში. შვილი – მარიამი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი არმენოლოგიის სპეციალობით (1971). კარიერა: მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, მუზეუმში ღია ცის ქვეშ (1971-90); საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების საბინაო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). საქველმოქმედო ორგანიზაციის – "დემოგრაფია და ქველმოქმედება" პრეზიდენტი.

კონსტანტინე ალექსის ძე ფირცხალავა

დაიბადა 1961 წლის 21 ივლისს თბილისში. მეუღლე – ვიქტორია ფირცხალავა; შვილები: სერგო, ალექსი. განათლება: კრასნოიარსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1983), მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის (МИМО) ასპირანტურა (2000). კარიერა: კრასნოიარსკის სამხარეო პროკურატურის გამომძიებელი (1983-85); საქართველოს გენერალური პროკურატურის განყოფილების პროკურორი (1985-87); ქ. გაგრის პროკურორი (1987-90); საკავშირო უშიშროების მიერ გატაცებული იქნა ქ. სოჭიდან და გადაყვანილი მოსკოვში; განთავისუფლებული იქნა ზვიად გამსახურდიას აქტიური მცდელობისა და ჩეხეთის პრეზიდენტის ვაცლავ ჰაველის პირადი თავდებობის შემდეგ (1990). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1991): საარჩევ-

ნო ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”, დამოუკიდებელი მაჟორიტარი, აბაშის საარჩევნო ოლქი, იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი (1991, დეკემბერი – 1992, იანვარი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. მიყენებული ჰქონდა სამშობლოს ღალატის მუხლი. 1992 წლის იანვარში დატოვა საქართველო, მიიღო რუსეთის მოქალაქეობა; იყო სხვადასხვა კომერციული სტრუქტურების იურისტი; 1999 წლიდან რფ შსს სისტემაში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე; 2004 წლიდან ეკონომიკური უშიშროების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე; რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინინისტროს წარმომადგენელი შვეიცარიის კონფედერაციაში და ლიხტენშტეინში. პოლიციის გენერალ-მაიორი. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი; სამეცნიერო ნაშრომების ავტორი; დაჯილდოებულია სახელმწიფო ჯილდოებით; რუსეთის ფედერაციის დამსახურებული იურისტი.

გია გოდერძის ძე ფირცხალაიშვილი

დაიბადა 1963 წლის 28 თებერვალს ლანჩხუთში. მეუღლე – ნინო მშვიდობაძე; შვილი – ეკა. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი (1986). კარიერა: თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ენერგეტიკის განყოფილების უფროსის მოადგილე, თბილისის გარე განათების სამმართველოს გლდანის რაიონის უფროსი (1986-90). წმინდა ილია მართლის საზოგადოების ადამიანთა უფლებების კომისიის წევრი (1988-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”, მაჟორიტარი, გლდანის მოსულიშვილის №25 საარჩევნო ოლქი, მერაბ კოსტავას საზოგადოება, სამანდატო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას

რწმუნებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (1992-93); დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. 1993 წლიდან პოლიტიკურ ემიგრაციაში (ესტონეთი, ჰოლანდია, დანია). დაბრუნდა საქართველოში 2006 წელს.

† ივერი ვარლამის (ბათუს) ძე ფრანგიშვილი

დაიბადა 1930 წლის 6 ივლისს სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში. მეუღლე – ციალა ღუღუნიშვილი; შვილი – არჩილი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი (1952). კარიერა: "ჰიდროენერგოპროექტის" თბილისის განყოფილების ინჟინერი, "საქენერგოს" ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი ინჟინერი, ავტომატიკის, ელექტრომექანიკის და ტელემექანიკის მართვის პრობლემების ინსტიტუტის ინჟინერი (1952-60); რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის ასპირანტი (1955-58), წამყვანი ინჟინერი, მეცნიერ-მუშაკი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე 1970 წლიდან, დირექტორი 1987 წლიდან; სსრკ ატომური სადგურების ავტომატიზაციის გენერალური კონსტრუქტორი; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1984-90); საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს XI მოწვევის დეპუტატი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი; საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი; საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი; 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიების, 50-ზე მეტი გამოგონების ავტორი; რსფსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე; კალიფორნიის მეცნიერების, ტექნიკის და ხელოვნების აკადემიის წევრი; საზოგადოების – "ქართველები რუსეთში" პრეზიდენტი. "შრომის წითელი დროშის" (ორგზის), "ხალხთა მეგობრობის" და საქართველოს "ღირსების ორდენის" კავალერი. გარდაიცვალა 2006 წლის 28 თებერვალს.

ტარიელ ალექსანდრეს ძე ფუტკარაძე

დაიბადა 1960 წლის 9 მაისს შუახევში. მეუღლე – ია ვაშაკიძე; შვილები: ნათია, რატი, ცოტნე. განათლება: ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1983); იყო გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სტიპენდიანტი; მეცნიერებათა აკადემიის ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურა (1986). კარიერა: ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (1983-90); თსუ ახალციხის ფილიალის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ქართული ენის კათედრის პირველი გამგე (1990). საქართველოს ჰელსინკის კავშირი წევრი; საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (საარჩევნო ბლოკი «მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო»); საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მდივანი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ქ. ბათუმის პრეფექტი (1991). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. კანონიერი ხელისუფლების ლეგიტიმურობის შენარჩუნების მიზნით დღემდე უარი აქვს ნათქვამი სადეპუტატო პენსიაზე (როგორც უზენაესი საბჭოს წევრი, სადეპუტატო პენსიის აღებას არ აპირებს მანამ, სანამ სასამართლოს წესით არ შეფასდება 1991-92 წლების პუტჩი). ქუთაისის აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი (1993-2011); აღნიშნული უნივერსიტეტის პროფესორი 1999 წლიდან; თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი 2000 წლიდან. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი 2011 წლიდან; ამავე უნივერსიტეტის სრული პროფესორი 2011 წლიდან. დიალექტოლოგთა, ეთნოლოგთა და ფოლკლორისტთა ყოველწლიური საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის: "ქუთაისური საუბრები" ორგანიზატორი 1995 წლიდან. სამეცნიერო ჟურნალის – "ქართველური მემკვიდრეობა" დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი 1996 წლიდან; საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის – "ქუჯი" დამფუძნებელი და რედაქტორი (1999-2001),

სამეცნიერო-პოპულარული გაზეთის – “ქართული!..” (1998-2004) დამფუძნებელი და რედაქტორი; სამეცნიერო ჟურნალის – «ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული» ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი (2009 წლიდან); სამეცნიერო ჟურნალის – «ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები» დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი (2012 წლიდან). მისი მონაწილეობით განხორციელდა რამდენიმე რესპუბლიკური და საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი (1998-2015); “საქართველოს სახელმწიფო ენის საბჭოს» დამფუძნებელი (1996, ქუთაისი). თანამოაზრეებთან ერთად დააფუძნა სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი “ქართველთა (ქართველური) ენა და კულტურა საზღვრებს გარეშე” (2001), “იბერიულ-კავკასიური საერთაშორისო სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი” (2004), “საქართველოს სამეურვეო საბჭოების ასოციაცია” (2004); 2005-2010 წლებში ხორციელდებოდა მის მიერ მომზადებული ორი სამაგისტრო პროგრამა: “ქართული სამწიგნობრო ენა” და “ქართველური ენათმეცნიერება” (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში); 2008 წლიდან კი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები “ქართველურ ენათმეცნიერებაში” (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში); 2011 წლიდან დღემდე მისი ხელმძღვანელობით ქართულ უნივერსიტეტში ხორციელდება საბაკალავრო პროგრამა – “ქართული ფილოლოგია”, სამაგისტრო პროგრამა – “ენათმეცნიერება” და სადოქტორო პროგრამა – “ქართველური ენათმეცნიერება”. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა 20-ზე მეტ დიალექტოლოგიურ ექსპედიციას: აჭარაში, სამცხე-ჯავახეთში, სვანეთში, ლეჩხუმში, სამეგრელოში, ხევსურეთში, იმერხევში, ტაოში. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან არსებული საზოგადოებრივ-საკონსულტაციო საბჭოს წევრი 2014 წლიდან. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: “სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი სამხრეთ-დასავლურ კილოთა მონაცემების მიხედვით”, სადოქტორო დისერტაცია კი თემაზე: “თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა”. ენათმეცნიერული ხასიათის 300-მდე სამეცნიერო ნაშრომის (მათ შორის მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები) და 300-ზე მეტი პუბლიცისტური წერილის ავტორი.

† ვიქტორ (ბადრი) კალისტრატეს ძე ფხალაძე

დაიბადა 1950 წლის 24 ნოემბერს თბილისში. მეუღლე – ხათუნა ქობულია; შვილი – მარიამი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1976). კარიერა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური ცენტრის ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციის წევრი, თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი, კულტურის სამინისტროს მუზეუმების განყოფილების, თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომელი (1976-90). ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. კანონიერი ხელისუფლების ლეგიტიმურობის შენარჩუნების მიზნით უარი თქვა სადეპუტატო პენსიაზე. თბილისის მე-6 საშუალო სკოლის ისტორიის პედაგოგი. აქვეყნებდა წერილებს პერიოდულ პრესაში. გარდაიცვალა 2005 წლის 17 იანვარს.

გიორგი (გოგი) გიორგის ძე ქავთარაძე

დაიბადა 1940 წლის 2 აპრილს თბილისში. მეუღლე – ნუნუ ლომიძე; შვილები: ბიძინა, ბექა. განათლება: საქართველოს შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი (1967). კარიერა: კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის რეჟისორის თანაშემწე, მსახიობი (1958-62); თბილისის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, რეჟისორი (1963-69, 1972-76); ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი (1969-72); სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი (1974-76); ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახ. სახელმწიფო დრამატული (1976-82) და სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახ. სახელმწიფო ქართული დრამატული თეატრის (1982-92) დირექტორი და სამხატვრო

ხელმძღვანელი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომპარტიისაგან; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). გრიბოედოვის სახ. რუსული დრამატული თეატრის (1992-99) და რუსთავის დრამის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი; "გოგი ქავთარაძის ახალი თეატრის" სამხატვრო ხელმძღვანელი; პროფესორი; 100-ზე მეტი სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი; განსახიერებული აქვს 70-ზე მეტი როლი თეატრსა და კინოში; პიესებისა და სცენარების ავტორი; საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე 2010 წლის სექტემბრიდან; კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი; ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო და მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი. საქართველოს პარლამენტის წევრი (2012-2016): მაჟორიტარი, №51 ზესტაფონის საარჩევნო ოლქი, პოლიტიკური ბლოკი "ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება", აგრარულ საკითხთა კომიტეტის, განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის წევრი, ფრაქცია "ქართული ოცნება".

გურამ ბენედიქტეს ძე ქაშაკაშვილი

დაიბადა 1932 წლის 10 ნოემბერს ბაღდათში. მეუღლე – ლეილა სულაკაძე; შვილები: ია, ბენედიქტე. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიული ფაკულტეტი (1956); სსრკ სახალხო მეურნეობის აკადემია ეკონომიკის მართვის პროგრამით (1992). კარიერა: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფოლადის ჩამომსხმელი, ოსტატი, საამქროს უფროსი (1956-79); ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი (1979-83); რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი (1983-96); სახელმწიფო კონცერნ (ჰოლდინგური კომპანია) "საქსამთომეტალურგიის" პრეზიდენტი (1994-96). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან. საქართველოს პარლამენტის წევრი (1995-99): მაჟორიტარი, რუსთავის №3 საარჩევნო ოლქი, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის წევრი, ფრაქცია – მოქალაქეთა კავშირი. სტუ მეტალურგიული ინსტიტუტის დირექტორი (1997-2001); სტუ მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი (2001-2005); სტუ შავი ლითონების მეტალურგიის კათედრის პროფესორი. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, დაიცვა დისერ-

ტაცია თემაზე: “ლითონის ღუმელგარეშე დამუშავების უწყვეტი ჩამოსხმის სრულყოფა, ზემტკიცე მილების წარმოება”. 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის სახელმძღვანელოების, მონოგრაფიებისა და 100-მდე გამოგონების ავტორი; რუსთაველის პრემიის (ავტორთა ჯგუფთან ერთად, ნაშრომისთვის “მეტალურგიული ლექსიკონი”), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატი; ყოველთვიური საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო ჟურნალების: “სტალ”-ისა და “მეტალურგ”-ის სარედაქციო კოლეგიების წევრი; საქართველოს საინჟინრო, უკრაინის ეროვნული, რუსეთის საბუნებისმეტყველო და ნიუ-იორკის აკადემიების წევრი; საქართველოს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, დამსახურებული გამომგონებელი; მეტალურგთა საერთაშორისო კავშირის საქართველოს ორგანიზაციის პრეზიდენტი. შრომის წითელი დროშის, ლენინის და ღირსების ორდენის კავალერი.

დიმიტრი გიორგის ძე ქებურია

დაიბადა 1947 წლის 10 ივნისს ქ. სენაკში. მეუღლე – მზია მოლაშხია; შვილები: გიორგი, დავითი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი ელექტრული ქსელებისა და სისტემების სპეციალობით (1970). კარიერა: “საქსოფლელექტრომშენის” სოხუმის სამმართველოს ოსტატი (1971-73); სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის მასწავლებელი (1974-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, სოხუმის დასავლეთის №102 საარჩევნო ოლქი, საარჩევნო ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”, მერაბ კოსტავას საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების გამგეობის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (09.11.2006).

შოთა ნიკოლოზის ძე ქიტიაშვილი

დაიბადა 1952 წლის 25 აგვისტოს სოფელ გურჯაანში. მეუღლე – ქეთევან ქიტიაშვილი; შვილები: ლევანი, არჩილი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1976). კარიერა: გურჯაანის მევენახეობის მეურნეობის მუშა, ბრიგადირი (1976-78); გურჯაანის მე-3 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი 1978 წლიდან დღემდე. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, გურჯაანის საარჩევნო ოლქი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); გურჯაანის რაიონის პრეფექტი. სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ კახეთის დაუმორჩილებლობის კომიტეტის თავმჯდომარე (1992-93); დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. გურჯაანის რაიონის სასამართლოს მიერ აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2005). 2013 წლიდან არასამთავრობო ორგანიზაციის – "კახეთის მევენახეების და ხილის მწარმოებლების უფლებათა დამცველი საზოგადოება" დამფუძნებელი და თავმჯდომარე.

† ზაურ დავითის ძე ქობალია



დაიბადა 1941 წლის 7 ივლისს ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში. მეუღლე – ნონა ჟვანია; შვილები: მაია, დათო, თეა. განათლება: ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი (1960). კარიერა: გასამართლებული იყო და იხდიდა სასჯელს ანტისაბჭოთა პროპაგანდისათვის (პოტმა, რსფსრ, 1963-68); ზუგდიდის ქაღალდის კომბინატისა და "ავტოვაზტექმომსახურების" თანამშრომელი (1969-89). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, ზუგდიდის კახათის №92 საარჩევნო ოლქი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე, თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. გასამართლებული

იქნა “სამშობლოს ღალატის” მუხლით და იხდიდა სასჯელს (1994-2000). 2000 წელს განთავისუფლებული იქნა პოლიტპატიმართა მასობრივი საპროტესტო აქციების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ჩარევის შედეგად. გარდაიცვალა 2012 წლის 1 დეკემბერს.

† ალექსანდრე (ალიკო) გიორგის ძე ქობულაშვილი



დაიბადა 1951 წლის 28 მაისს თბილისში. მეუღლე – მარინე ბაქრაძე; შვილი – გიორგი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი ელემენტარული ნაწილაკებისა და კოსმოსური სხივების ფიზიკის სპეციალობით (1973). კარიერა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბირთვული ფიზიკის კათედრის კოსმოსური სხივების ლაბორატორიის ლაბორანტი, ინჟინერი, მეცნიერ-თანამშრომელი (1973-88). ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში 1988 წლიდან; საქართველოს სახალხო ფრონტის საორგანიზაციო კონფერენციების, I და II ყრილობების დელეგატი, დარბაზის წევრი, თბილისის რეგიონალური ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს მდივანი, საარჩევნო საქმეთა კომისიის წევრი (1989-90); სსფ-ში რადიკალური ფრაქციის (შემდგომ – რადიკალური კავშირი) შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი (რადიკალური კავშირი გამოვიდა სსფ-ის შემადგენლობიდან, დააფუძნა “საქართველოს ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი”, შევიდა “საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების მრგვალ მაგიდაში”); საარჩევნო ბლოკის “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო” საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (1990). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”, საქართველოს ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი (მთავარი კომიტეტის წევრი), საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე, კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის წევრი, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, სამდივნოს უფროსი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); მონაწილეობდა ე.წ. “სამმხრივი კომისიის (სსრკ უზენაესი საბჭო, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ე.წ. “სამხრეთ ოსეთის” ხელმძღვანელობა) მუშაობაში. სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. 1993 წლიდან ცხოვრობდა რუსეთის

ფედერაციაში. 1996 წლის დეკემბრიდან მასზე ინფორმაცია არ არსებობს; გამოცხადებული იქნა გარდაცვლილად ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით (14.12.2004).

თეიმურაზ აკაკის ძე ქორიძე

დაიბადა 1954 წლის 1 აპრილს სამტრედიაში. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1976). კარიერა: მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტი, ლიტერატურის თეორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი, სხვადასხვა დროს სწავლული მდივანი; პარალელურად ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტში და სპი-ის არქიტექტურის კათედრაზე (1981-91). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: პრეზიდიუმის წევრი, საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, თბილისის მუხიანის №26 საარჩევნო ოლქი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი (გამგეობის წევრი), კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; იმყოფებოდა პოლიტიკურ ემიგრაციაში საფრანგეთსა და ავსტრიაში; დაბრუნდა საქართველოში 1995 წელს; ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგი. 100-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის ლიტერატურულ-პუბლიცისტური ნარკვევების კრებულის ავტორი.

† ბესიკ თენგიზის ძე ქუთათელაძე

დაიბადა 1958 წლის 1 ივლისს საჩხერეში. მეუღლე – ლია გელბახიანი-ქუთათელაძისა; შვილები: თენგიზი, ზურაბი. განათლება: თბილისის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი (1985). კარიერა: სპორტსმენი, სპორტის ოსტატი ძიუდოსა და სამბოში. საჩხერის სპორტული სკოლის მწვრთნელი (1979-80); საჩხერის პროფესიულ-

ტექნიკური სასწავლებლის ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელი (1982-84); საჩხერის სპორტული კომპლექსის დირექტორი (1984-90). ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც საფუძველი ჩაუყარა ქართული არმიის ჩამოყალიბებას. მის მიერ შექმნილი საჩხერის სამხედრო ნაწილის ბაზაზე სამთო მომზადების სკოლაში ნატო-ს ეგიდით ხდება ქართველი და უცხოელი სამხედროების მომზადება. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, საჩხერის №67 საარჩევნო ოლქი, თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის წევრი, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საჩხერის რაიონის პრეფექტი. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე (1991-92); თავდაცვის სამინისტროს დასავლეთ მიმართულების სარდალი (1992). სამხედრო ჩინი – პოლკოვნიკი. დაიღუპა საბრძოლო ოპერაციის დროს 1992 წლის 27 ივნისს. გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით; საჩხერის სამთო მომზადების სკოლას მიენიჭა ბესიკ ქუთათელაძის სახელი.

† ნათელა სამსონის ასული ქუთელია

დაიბადა 1928 წლის 18 აგვისტოს ქ. სოჭში. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ინგლისური ენის სპეციალობით (1951); ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურა ზოგადი ენათმეცნიერების სპეციალობით (1954). კარიერა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომ – ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფილოლოგიის განხრის ასოცირებული პროფესორი (1954-2014). უძღვებოდა სალექციო კურსებს: ენათმეცნიერების შესავალი, ზოგადი და კავკასიური ენათმეცნიერების თეორიული კურსი, ზოგადი ფონეტიკა-ფონოლოგია, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკა, ფონოტაქტიკა და დიაქრონული ცვლილებები, კოლხურის (ზანურის) ფონემატური სტრუქტურა, ინდოევროპულ ენათა შესწავლის საფუძვლები. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო"; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). იუსტიციის სამინისტროსთან არსებული გვარების შეცვლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

(1991). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე "ჰარმონიულ ხშულთა ორი სისტემა ქართულ ენაში (ექსპერიმენტული გამოკვლევა)"; სადოქტორო დისერტაცია თემაზე "ლაზურის ფონემატური სტრუქტურა". ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. წიგნების: "ლაზური პარამითეფე", "ლაზურის ფონემატური სტრუქტურა", "ქართველოლოგიური კვლევები" და 30-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორი. გარდაიცვალა 2014 წლის 18 აპრილს.

† რუსლან გიორგის ძე ღონღაძე

დაიბადა 1944 წლის 23 მაისს საჩხერეში. მეუღლეები: ოლესია ღონღაძე, მანანა ფალავანდიშვილი; შვილები: გიორგი, მიხეილი. განათლება: თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი (1968). კარიერა: ძეგლთა დაცვის სარესტავრაციო სახელოსნოს არქიტექტორი (1968-71); საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის რეჟისორი (1971-90). სატელევიზიო ფილმების: "სერგო ზაქარიაძე", "ავთო ვარაზი", "ხიტა ქუთათელაძე", "ზურაბ ნიჟარაძე", "ფარნაოზ ლაპიაშვილი", "დავით კაკაბაძე", "ქართული სამკაულის ოსტატები", "თელაველი ნარშავები", "მრავალჟამიერ", "9 აპრილის შესახებ" და სხვათა მხატვარი, სცენარის ავტორი, რეჟისორი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", რადიკალური კავშირი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). გარდაიცვალა 1993 წლის 4 აგვისტოს.

ეთერ გრიგოლის ასული ყაველაშვილი

დაიბადა 1948 წლის 25 მარტს ბოლნისში. განათლება: საშუალო-სპეციალური, წიგნსაქონელმცოდნე. კარიერა: 1972 წლიდან "საქწიგნში" სხვადასხვა თანამდებობებზე; 1989 წლის 9 აპრილის მიტინგის აქტიური მონაწილე და დაზარალებული. საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდის დამფუძნებელი კრების მდივანი; მერაბ კოსტავას

საზოგადოების წევრი 1990 წლიდან. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მერაბ კოსტავას საზოგადოება, სამდივნოს თავმჯდომარის მოადგილე, საბინაო საკითხთა ქვეკომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (28.06.2006).

ანრი ილიას ძე ყრუაშვილი



დაიბადა 1933 წლის 25 დეკემბერს ამბროლაურის რაიონის სოფელ ბუგეულში. მამა – ილია ყრუაშვილი – მშენებელი ინჟინერი, გარდაიცვალა გულაგში 1943 წელს. რეაბილიტირებულია 1957 წელს. რეპრესიების შედეგად ოჯახმა დაკარგა საცხოვრებელი ბინა თბილისის ცენტრში. მეუღლე – ქეთევან კობახიძე; შვილი – მიხეილი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი (1958). კარიერა: "თბილქალაქპროექტის" არქიტექტორი (1958-61); ექსპერიმენტალური პროექტირების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის – "თბილზნიეპი" უფროსი არქიტექტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი, პროექტის მთავარი არქიტექტორი, ექსპერიმენტალური პროექტირების განყოფილების უფროსი (1961-70); პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი (1970-83); "თბილქალაქპროექტის" პროექტის მთავარი არქიტექტორი, სახელოსნოს უფროსი (1983-89); შემოქმედებითი გაერთიანება "არქფონდის" მთავარი არქიტექტორი (1989-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრი, არქიტექტურისა და ქალაქგეგმარების ქვეკომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). "თბილქალაქპროექტის" მთავარი სპეციალისტი (1992-98); თბილისის

გენგეგმისა და პერსპექტიული განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი (1998-2001). მისი ავტორობით განხორციელდა სხვადასხვა პროექტი; არქიტექტურული კონკურსების მონაწილე და გამარჯვებული; სცენარის თანაავტორი მოკლემეტრაჟიანი ფილმისა – "ღამის მუსიკოსები", სცენარის თანაავტორი და რეჟისორი დოკუმენტური ფილმებისა: "ქართული ასომთავრული" და "გახსენება". 1974 წლიდან საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი, კავშირის ეთიკის კომისიის თავმჯდომარე (2008-2012). საქართველოს დამსახურებული ინჟინერი. 2014 წელს მიენიჭა "არქიტექტურის რაინდის" ტიტული.

თამაზ პიმენის ძე ყურაშვილი

დაიბადა 1938 წლის 17 ივნისს თბილისში. მეუღლე – მანანა გობრონიძე; შვილები: ნინო, პიმენი. განათლება: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი (1960); თსსი პედიატრიის კათედრის ასპირანტურა (1965). კარიერა: ტყიბულის მაღაროთა სამმართველოს სამედიცინო-სანიტარიული ნაწილის ექიმი, რაიონული საავადმყოფოს ექიმი-ორდინატორი, რუსთავის საქალაქო საავადმყოფოს ექიმი, თსსი ასპირანტი, მეცნიერ-თანამშრომელი (1960-67); პედიატრიის ს/კ ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი (1967-74); ბავშვთა ინფექციური სნეულებების განყოფილების ხელმძღვანელი 1974 წლიდან; საქართველოს სახალხო ფრონტის პირველადი ორგანიზაციების ჩამოყალიბების აქტიური მონაწილე (1989); საქართველოს ექიმთა ასოციაციის დაარსების ორგანიზატორი და პირველი თავმჯდომარე (1989). 1989 წლის 9 აპრილის თბილისის ტრაგედიის გარემოებათა გამომკვლევი სამთავრობო კომისიის წევრი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, ცაგერის საარჩევნო ოლქი, საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). მის მიერ შემუშავებული იქნა "საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლები", რაც შემდგომ პერიოდში საფუძვლად დაედო საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. ქ. თბილისის საქალაქო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის ბავშვთა და მოზარდთა სამედიცინო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების კოორდინატორი (1996-2000); იყო აჭარის ა.რ. კურატორი ბავშვთა ინფექციური დავადებების დარგში; ხელმძღვანელობდა პედიატრიის ინსტიტუტის მოძრავი პოლიკლინიკის გამსვლელი ბრიგადების მუშაობას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში; საერო ინსტიტუტ "გაენათი"-ს და უნივერსიტეტ "მეტეხი"-ს პროფესორი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ღვიძლის ფუნქციათა ზოგიერთი მაჩვენებლის მდგომარეობა ბრონქული ასთმის დროს ბავშვთა ასაკში"; სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "კლინიკურ-მეტაბოლური დარღვევები და მათი კორექციის დასაბუთება ნაწლავთა მწვავე ინფექციების დროს ბავშვებში"; 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის მონოგრაფიებისა და რაციონალიზატორული წინადადებების ავტორი; საქართველოს პედიატრიის ს/კ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს, საქართველოს პედიატრთა ასოციაციის გამგეობის, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი; საქართველოს სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; ჟურნალების: "საქართველოს პედიატრი" და "ჩვენ" სარედაქციო საბჭოს წევრი; პროგრამის – "ბავშვთა ინიციატივა" ხელმძღვანელი და ერთ-ერთი შემსრულებელი.

ნუგზარ მიხეილის ძე შავთვალაძე

დაიბადა 1948 წლის 10 აპრილს წითელწყაროში. მეუღლე – ლამარა ჩაჩანიძე; შვილები: თეა, მიხეილი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი (1971). კარიერა: "საქსოფლმშენი"-ს განყოფილების უფროსი, სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი, სამმართველოს უფროსი, ეკონომიკური რეფორმების სამმართველოს უფროსი (1971-90); არასამთავრობო ორგანიზაცია "ჯავახეთის" დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი 1990 წლიდან. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის ქვეკომისიის თავმჯდომარე, თავდაცვის კომისიის წევრი, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო

მრეწველობის კომიტეტის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) სესიის მონაწილე. იმყოფებოდა პოლიტიკურ დევნილობაში საზღვარგარეთ (1992-95); დაბრუნდა საქართველოში 1995 წელს. საქართველოს მიწის მართვის დეპარტამენტის განყოფილების უფროსი (1997-2000); ფირმა "ავიატონის" ფილიალის "იბერია ავიატონის" (რომელმაც ქუთაისის საავიაციო ქარხანაში ააწყო ბიზნეს კლასის თვითმფრინავების წარმოება და ვერტმფრენების ძრავების რემონტი) დირექტორი (1998-2003); ადამიანის უფლებათა საერთაშორისო საზოგადოების (ISHR-IGFM) საქართველოს ეროვნული სექციის წევრი, ვიცე-პრეზიდენტი 1999 წლიდან; ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006).



გიორგი მიხეილის ძე შაიშმელაშვილი

დაიბადა 1939 წლის 8 ოქტომბერს სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში. მეუღლე – ირინე ბეგიშვილი; შვილი – გიორგი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი (1963), სპი ასპირანტურა (1973). კარიერა: რომის ურბანისტიკის ინსტიტუტის სტაჟიორი (1974-75); სტუ არქიტექტორული გეგმარების კათედრის გამგე (1989-92). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოში ურბანისტიკის კათედრის დამფუძნებელი და მისი პირველი გამგე (1992-95). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): საკომპენსაციო სიით ბლოკ "ერთობისაგან". საქართველოს პარლამენტის წევრი (1995-99): სმკ პარტიული სიით, ფრაქცია – სმკ, საქართველო-იტალიის საპარლამენტო დელეგაციის თავმჯდომარე, ურბანისტიკის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. საქართველოს პარლამენტის წევრი (1999-2004): სმკ პარტიული სიით, კულტურული მემკვიდრეობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში საქართველოს ევროსაბჭოსთან საკანონმდებლო თანამშრომლობის ჯგუფის ხელმძღვანელი, რეგიონალური

პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის წევრი, ფრაქცია "თანადგომა". სტუ პროფესორი 1992 წლიდან; მცხეთის კომპლექსური ქალაქგეგმარებითი რეკონსტრუქციის პროექტის მთავარი არქიტექტორი, იუნესკო-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან შემუშავებული მცხეთის ურბანული მემკვიდრეობის აღორძინების საერთაშორისო პროგრამის ხელმძღვანელი (1983). არქიტექტურის დოქტორი; 100-ზე მეტი არქიტექტურულ-ქალაქგეგმარებითი პროექტის და 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; მხატვართა კავშირის წევრი; არქიტექტორთა კავშირის კოლეგიის წევრი, ურბანისტიკის კომისიის თავმჯდომარე; პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; საქართველოს იუნესკო-ს ეროვნული კომისიის ვიცე-პრეზიდენტი. ღირსების ორდენის კავალერი.

მზექალა აკაკის ასული შანიძე

დაიბადა 1926 წლის 16 იანვარს თბილისში. მეუღლე – რიჩარდ (სეიჯი) ამირეჯიბი; შვილები: ქეთევანი, თამარი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1948). კარიერა: თსუ უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, დოქტორი, პროფესორი 1981 წლიდან; აკადემიკოს ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1956-62); გიორგი წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1962-69); ხელნაწერთა ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი 1969 წლიდან. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ფრანგული ბგერები ძველ ებრაულ ენაში", სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები"; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, თარგმანებისა და მონოგრაფიების ავტორი, მათ შორის: "ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი", "ცხოვრებაი მეფეთ-მეფე დავითისი", "ახლადაღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა"; აკაკი შანიძის სახელობის პრემიის და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი (2015).

ვალერიან აკაკის ძე შარიქაძე

დაიბადა 1949 წლის 23 თებერვალს ქ. კასპში. მეუღლე – მარინე გიორგობიანი; შვილები: ოთარი, ნინო. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით (1971); სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ეკონომიკურ-მათემატიკური ინსტიტუტის ასპირანტურა (1975). კარიერა: საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, ლაბორატორიის გამგე (1975-80); ახალგაზრდა კადრების მომზადებისა და გადამზადების ცენტრის კათედრის გამგე (1980-85); ჟურნალ "საქართველოს კომუნისტი"-ს მთავარი რედაქტორის მოადგილე (1985-87); საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ის ინსტრუქტორი, კონსულტანტი (1987-89); კპ კასპის რაიკომის პირველი მდივანი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1989-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): მაჟორიტარი, კასპის საარჩევნო ოლქი, საქართველოს კომუნისტური პარტია, ეკონომიკური რეფორმის კომისიის წევრი; მეწარმეობის შესახებ პირველი კანონის ერთ-ერთი ავტორი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო-კომერციული "აგრომრეწვბანკი"-ს გამგეობის თავმჯდომარე (1992-94); სს "საქართველოს ბანკი"-ს პირველი ვიცე-პრეზიდენტი, შემდეგ გენერალური დირექტორი (1994-2000); სს "ჯორჯიან კარდ"-ის გენერალური დირექტორი (2001-2003); სს "ინტელექტბანკი"-ს გენერალური დირექტორი (2003-2005). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "სოციალურ-ეკონომიკური განვითარების იმიტაციური მოდელირება" (მოსკოვი, 1977); ეკონომიკის დოქტორი. ექსპერტი, კონსულტანტი დაფინანსებისა და ეკონომიკის საკითხებში. ღირსების ორდენის კავალერი.

თეიმურაზ გივის ძე შაშიაშვილი

დაიბადა 1951 წლის 20 ივნისს ქუთაისში. მეუღლე – დეა მჭედლიშვილი; შვილები: ნესტანი, ნინი, გიორგი. განათლება: ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; ლენინგრადის უმაღლესი პარტიული სკოლა (1982-84). კარიერა: ალკკ ქუთაისის ქალაქკომის ინსტრუქტორი (1970-73), მდივანი, მეორე მდივანი (1973-75); საქართველოს ალკკ ცკ-ის პროპაგანდისა და

კულტურული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე (1976-78); ალკკ ქუთაისის ქალაქკომის პირველი მდივანი (1978); საქართველოს კომპარტიის ქუთაისის ქალაქკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე 1978 წლიდან; შეთავსებით საქართველოს კომპარტიის ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის ქუთაისის ფილიალის დირექტორი (1979-82); საქართველოს კომპარტიის ცკ-ის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი, შემდგომ – ინსპექტორი (1984-89); ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, კპ ქუთაისის ქალაქკომის პირველი მდივანი (1989-91). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომპარტიისაგან, ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-93): მაჟორიტარი, №6.59 ქუთაისის ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი. ქ. ქუთაისის მერი (1993-97); საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებული იმერეთის მხარეში (1995-97); საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული იმერეთის მხარეში (1997-2003). საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი (2004). პოლიტიკური პარტიების: "წინ საქართველო" და "თეთრები" დამფუძნებელი და თავმჯდომარე; "სახალხო კრების" აღმასრულებელი საბჭოს წევრი. ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი (2001).

ელდარ ნიკოლოზის ძე შენგელაია

დაიბადა 1933 წლის 26 იანვარს თბილისში. მეუღლე – ნელი შენგელაია; შვილები: ნატო, ეკატერინე, ელენე (1983-2006). განათლება: საკავშირო სახელმწიფო კინოინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი (1958). კარიერა: კინოსტუდია "მოსფილმის" დამდგმელი რეჟისორი (1957-59); კინოსტუდია "ქართული ფილმის" დამდგმელი რეჟისორი (1960); საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის I მდივანი (1976-91), კავშირის თავმჯდომარე (1991-2006). საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X და XI მოწვევის დეპუტატი (1980-85, 1986-90); სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობის დელეგატი (1989-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, საბურთალოს საარჩევნო ოლქი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991

წლის 9 აპრილი). “სახალხო ფრონტის” ერთ-ერთი დამფუძნებელი; საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): პროპორციული სიით, №1 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი, ბლოკი “ერთობა”, ეროვნული თანხმობის დროებითი კომისიის წევრი, კულტურის კომისიის თავმჯდომარე. საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავმჯდომარის მოადგილე 1993 წლიდან. საქართველოს პარლამენტის წევრი (1995-99): სმკ პარტიული სიით, ფრაქცია – სმკ, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. საქართველოს პარლამენტის წევრი (1999-2004): პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარე, ეროვნული თანხმობის დროებითი კომისიის წევრი; 2002 წელს სმკ პარტიის და ფრაქციის დაშლის შემდეგ პარტია “გაერთიანებული დემოკრატების” და ფრაქცია “გაერთიანებული დემოკრატების” წევრი. საქართველოს პარლამენტის წევრი (2004-2008): პარტიული სიით, “ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები”, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრი, ფრაქცია “ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები”. 2008 წლიდან საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე. დამდგმელი რეჟისორი ფილმებისა: “ლეგენდა გაყინულ გულზე”, “ზამთრის ზღაპარი”, “თეთრი ქარავანი”, “მიქელა”, “არაჩვეულებრივი გამოფენა”, “ცისფერი მთები ანუ ტიან-შანი”, ვიდეოფილმებისა: “9 აპრილის ტრაღედია”, “ექსპრეს ინფორმაცია”. საქართველოს და საკავშირო კინოფესტივალების პრიზიორი; საქართველოს ალკკ, სსრკ სახელმწიფო და რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი; სსრკ სახალხო არტისტი; შრომის წითელი დროშის და ლენინის ორდენების, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენის და წმინდა გიორგის ბრწყინვალების ორდენის კავალერი.

ჯემალ ბიქტორის ძე შონია

დაიბადა 1947 წლის 13 აგვისტოს გალის რაიონის სოფელ საბერიოში. შვილები: ხათუნა, თეკლე. (ვაჟი – ბადრი ტრაგიკულად გარდაიცვალა 1987 წელს). განათლება: სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1970). კარიერა: სამხედრო სავალდებულო სამსახური (1970-71). გალის რაიონული გაზეთის კორესპონდენტი (1971-75), რედაქციის პასუხისმგებელი

მდივანი (1976-90). საქართველოს ჟურნალისტთა და მწერალთა კავშირების წევრი 1971 წლიდან. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, გალის ჭუბურხინჯის №111 საარჩევნო ოლქი, საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სამოქალაქო უფლებების ქვეკომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ – საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის წევრი. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. დევნილობის შემდეგ გაზეთ "იბერია-სპექტრი"-ს პასუხისმგებელი მდივანი (1994-2003); გაზეთის – "ეროვნული თანხმობა" პასუხისმგებელი რედაქტორი; ჟურნალ "მწერლობა – XXI"-ის პასუხისმგებელი მდივანი. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობის, ისტორიის, ტოპონიმიკის, ეკოლოგიის და სხვა საკითხებზე პრესაში გამოქვეყნებული წერილების, რამოდენიმე პოეტური კრებულის ავტორი.

ვალტერ გრიგოლის ძე შურღაია

დაიბადა 1944 წლის 20 მაისს სანაკის რაიონის სოფელ ზანაში. მეუღლე – ლიანა ჭითანავა; შვილები: შორენა, მედეა. კარიერა: 1958 წელს, 8-ე კლასელმა მოსწავლემ, მეგობრებთან ერთად ჩამოაყალიბა "საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ორგანიზაცია". ავრცელებდნენ პროკლამაციებს საქართველოს დამოუკიდებლობის მოწოდებით. (ორგანიზაციის წევრები დაპატიმრებული და გასამართლებული იქნენ ანტი-საბჭოთა საქმიანობის ბრალდებით (მუხლები: 71-73) და მიესაჯათ: ანრიდ (ბუჭა) სანაიას-4, სერგო სორდიას-2, არასრულწლოვანებს: რუსლან ქირიას და ვალტერ შურღაიას – თითო წელი. სასჯელის მოხდის შემდეგ აეკრძალათ საქართველოს ფარგლებს გარეთ გასვლა 10 წლის განმავლობაში, არ მიეცა სწავლის გაგრძელების საშუალება. ფაქტიურად მათი ცხოვრება წარმოადგენდა ბრძოლას არსებობისათვის. 1987 წლიდან უკვე ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ აღორძინებული ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე. საქართველოს რესპუბლიკის პირველი

მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”, მაჟორიტარი, ზუგდიდის №93 რუხის საარჩევნო ოლქი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი, თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის მდივანი, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მდივანი, იურიდიული კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელო – ზემო სვანეთის მხარეში. სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) წინ ჩართული იყო აქტიურ მოლაპარაკებებში სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად ტარიელ ფუტკარაძესთან, ზვიად ძიძიგურთან და ზაურ ქობალიასთან ერთად. ეს ვერ მოხერხდა. შემდეგ – საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის შემქმნელი და პირველი თავმჯდომარე, პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებული. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე. პოლიტპატიმარი, იხდიდა სასჯელს სამშობლოს ღალატის მუხლით (1994-2000). მისი ოჯახი განიცდიდა დევნას (მეუღლე გაათავისუფლეს სამსახურიდან, შვილები გარიცხეს უმაღლესი სასწავლებლებიდან). ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). თავისი ცხოვრების უდიდეს შეცდომად მიაჩნია ე.წ. “ტელევიზიის საქმეში” (1992) მონაწილეობა, რის გამოც მას არასამართლიანად მიეწერა ამ საქმის ორგანიზატორობა.

† ალექსანდრე ამირანის ძე შუშანაშვილი

დაიბადა 1935 წლის 23 ივლისს. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. კარიერა: ალკკ თიანეთის რაიკომის მეორე მდივანი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1958-61); იურიდიულ მეცნიერებათა საკავშირო ინსტიტუტის ასპირანტი (1962-64); ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას (1965-70, 1987-90); საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსი, რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე (1970-76); საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი (1976-87). 1990 წლიდან საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე. საქართველოს სსრ

უმაღლესი საბჭოს IX, X და XI მოწვევის დეპუტატი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომპარტიიდან, კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მთავარი სახელმწიფო მრჩეველი კანონმდებლობისა და მართლწესრიგის საკითხებში. იუსტიციის გენერალ-მაიორი; იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი. გარდაიცვალა 2000 წლის 14 აპრილს.

კუკური ასტიონის ძე ჩაფიჩაძე

დაიბადა 1948 წლის 10 აპრილს თერჯოლის რაიონის სოფელ თუზში. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიისა და კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტი ელექტროქიმიის სპეციალობით (1971); იმავე ფაკულტეტის ასპირანტურა (1975). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სპეციალობით; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი. კარიერა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1971-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, თერჯოლის №68 საარჩევნო ოლქი, საქართველოს სახალხო ფრონტი, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. კანონიერი ხელისუფლების ლეგიტიმურობის შენარჩუნების მიზნით უარი თქვა სადეპუტატო პენსიაზე. 1993 წლიდან ცხოვრობდა და საქმიანობდა არაბთა გაერთიანებულ საემიროებში; დუბაიში პოლიმერების წარმოების დარგში ერთ-ერთი საწარმოს რიგითი ინჟინრის თანამდებობიდან – მეწილემდე. იგივე ტექნოლოგიის შემოტანის და გამოყენების საფუძველზე საქართველოში ინდივიდუალური მეწარმე "კუკური ჩაფიჩაძე"-ს დამფუძნებელი; შპს "ბულაჩაური – 2005"-ის პარტნიორი.

თენგიზ ნიკოლოზის ძე ჩაჩავა

დაიბადა 1947 წლის 7 აპრილს. მეუღლე – სევდია უგრეხელიძე; შვილები: ნინო, სოფიო. განათლება: თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია (1973); კონსერვატორიის ასპირანტურა (1976). კარიერა: თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგი (1975-78); კონსერვატორიის პედაგოგი, დოცენტის მოვალეობის შემსრულებელი (1978-90); ეროვნულ-ლიბერალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, ისნის №14 საარჩევნო ოლქი, საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის, იურიდიული კომისიის წევრი. ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე.

† გიორგი (გია) გიორგის ძე ჩეჩელაშვილი

დაიბადა 1941 წლის 28 ივლისს თბილისში. მეუღლე – მანანა ხარატიშვილი; შვილები: ნინო, ია. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით. კარიერა: "საქჰიდროენერგომშენის" ინჟინერი; "მთავართბომშენის" ტრესტის კპ კომიტეტის მდივანი, "საქაგრომრეწვის" კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, უფროსი; მშენებლობის სამინისტროს №2 ტრესტის მმართველის მოადგილე; "საქგვირაბმშენის" თავმჯდომარის მოადგილე; სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსი, საგზაო პოლიციის სამმართველოს უფროსი, ადმინისტრაციული პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91); ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი).

საქართველოს პარლამენტის წევრი (1999-2000): სმკ პარტიული სიით, ფრაქცია სმკ, საგანგებო სიტუაციების მართვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. პოლიციის გენერალ-მაიორი; საქართველოს რაგბის კავშირის თავმჯდომარის მოადგილე; საპატიო ნიშნის და ვახტანგ გორგასლის ორდენების კავალერი. გარდაიცვალა 2000 წლის 2 თებერვალს.

ფოტი სამსონის ძე ჩიტლიდისი (ჩიტლოვი)

დაიბადა 1952 წლის 17 აპრილს წალკის რაიონის სოფელ ახალიკში. მეუღლე – ჩიტლიდუ მარინე; შვილები: ივანე, სამსონი. განათლება: სარატოვის იურიდიული ინსტიტუტი (1975). კარიერა: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოძრავ-მექანიზებული კოლონის მუშა (1969-71); ბოლნისის რაიონის პროკურატურის სტაჟიორი, გამომძიებელი, პროკურორის თანაშემწე (1975-76); თბილისის ისნის რაიონის პროკურორის თანაშემწე (1976-80); დმანისის რაიონის პროკურორი (1980-85); წალკის რაიონის პროკურორი (1985-86); წალკის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1986-88); კპ წალკის რაიკომის პირველი მდივანი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1988-90); საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროს წევრი; სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): მაჟორიტარი, №42 წალკის საარჩევნო ოლქი, საქართველოს კომპარტია; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). წალკის რაიონის პროკურორი (1991-95); მარნეულის პროკურორის უფროსი თანაშემწე (1995-2005).

გოგი გიორგის ძე ჩიქავა

დაიბადა 1960 წლის 20 ოქტომბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალკახათში. მეუღლე – მთვარისა ჩიქავა; შვილები: ელენე, ეკატერინე. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით (1989). კარიერა: სავალდებულო სამხედრო სამსახური (1979-81); ზუგდიდის ქაღალდის კომბინატის, თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანების მუშა, ეკონომისტი (1981-90). 1989 წლიდან "საქართველოს ჰელსინკის კავშირი –

ეროვნული აღორძინება”-ს წევრი, ისანი-სამგორის რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი და თავმჯდომარე; საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”, მაჟორიტარი, ისნის რაიონის №15 საარჩევნო ოლქი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი. ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. 2000 წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრობს ემიგრაციაში გერმანიაში.

† ლეო ლეონტის ძე ჩიქავა

დაიბადა 1928 წლის 20 თებერვალს ზუგდიდის რაიონის სოფელ კოკში. მეუღლე – თამარ კვეკვესკვირი; შვილები: გიორგი, მედეა. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1950); თსუ ასპირანტურა (1953). კარიერა: სოხუმის გორკის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი (1954-55); სპი უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი (1955-69), პოლიტეკონომიის კათედრის გამგე (1974-83); თბილისის ილია ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე (1969-74); მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის (1974-83); ეკონომიკის ინსტიტუტის (1983-90) დირექტორის მოადგილე; მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიის სოციალურ-ეკონომიკური კვლევის ცენტრის დირექტორი (1990-2006). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; დაიცვა დისერტაცია თემაზე: “საქართველოს კვების მრეწველობის ტერიტორიული სპეციალიზაციისა და ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები”; 170-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 21 მონოგრაფიის, წიგნისა და ბროშურის ავტორი, მათ შორის: “საქართველოს კვების მრეწველობის ადგილი და როლი შრომის საერთო საკავშირო დანაწილებაში”, “ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი (სახელმძღვანელო)”, “ინოვაციური ეკონომიკა”, “დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა” და სხვა. ეკონომიკურ

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი 1994 წლიდან; ეგრისის და ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აკადემიკოს გუ-გუშვილის სახ. უნივერსიტეტის რექტორი 1997 წლიდან; სახელმ-წიფო სამსახურის მართვისა და მოსამსახურეთა მომზადების, გად-ამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის უფროსი 1999 წლიდან. ჟურნალების: "Общество и экономика" (მოსკოვი), "ეკო-ნომიკა და ბიზნესი", "საქართველოს ეკონომიკა" სარედაქციო კო-ლეგიის წევრი; ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პალა-ტის თავმჯდომარე. ღირსების ორდენის კავალერი. გარდაიცვალა 2015 წლის 11 ივლისს.

ბიძინა კონსტანტინეს ძე ჩოლოყაშვილი

დაიბადა 1950 წლის 3 იანვარს თბილისში. მეუღლე – ქეთევან აბრამიშვილი-ჩოლოყაშვილისა; შვილები: ნინო, მარიამი, კონსტანტინე. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1972). კარიერა: საქართველოს მეცნიერებათა აკა-დემიის ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქე-ოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლო-გიური კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი (1973-1992). ქართველურენოვანი სამყაროს წინარექრისტიანული პერიოდის კულტმსახურების რეკონსტრუქციის საკითხების მკვ-ლევარი. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზოგა-დოებრივ საწყისებზე არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს კულტურის კომისიის თავმჯდომარე (1974-76). ამ პერიოდში მისი თაოსნობით აღინიშნა იკორთის ტაძრის 800 წლისთავი. რესპუბ-ლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორი-ტარი, ნაძალადევის დავით გურამიშვილის №2 ს/ო, საქართველოს ჰელსინკის კავშირი, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრი, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ქვე-კომისიის თავმჯდომარე; მისი ინიციატივით შემუშავდა "კანონი საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ". ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგე-ნის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევ-ნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის

(1993) სესიების მონაწილე. 1992 წლის მარტში ქ. გროზნოში სესიაზე აირჩიეს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარედ. 1992 წლის 24 ივნისს იმათ შორის იყო, ვინც დაგომისში ხელმოსაწერი შეთანხმების – "ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ" (ამ შეთანხმებით რუსეთის სამხედრო შენაერთებს ენიჭებოდა სამშვიდობო სტატუსი) ჩაშლის მიზნით დაიკავა საქართველოს ტელე-რადიო მაუწყებლობის კომიტეტის შენობა, რის შედეგადაც დაპატიმრებული იქნა სამშობლოს ღალატის ბრალდების მუხლით. ამავე ფორმულირებით გარიცხული იქნა სამსახურიდან. ადამიანის უფლებათა დამცველმა ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ აღიარა პოლიტპატიმრად. ხელისუფლება იძულებული შეიქმნა დაპატიმრებულები გაენთავისუფლებინა, თუმცა სამსახურში აღარ აღადგინეს. 1994 წლის აპრილში, ქ. გროზნოში უზენაესი საბჭოს სესიაზე აირჩიეს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დევნილობაში. 1998 წელს გადადგა თანამდებობიდან საკუთარი განცხადების საფუძველზე. მისი თავმჯდომარეობისას გამოიცა ბიულეტენი "Вестник", რომლის მეშვეობითაც უზენაესი საბჭო მიმართავდა გაერო-ს და სხვა ორგანიზაციებს, ემხილათ საქართველოში განხორციელებული ხელისუფლების უზურპაცია. 1995 წელს ესტონეთის მთავრობამ მას და მის ოჯახს მიანიჭა ქვეყანაში დროებითი ცხოვრების უფლება, 1996 წელს კი საფრანგეთის მთავრობამ – პოლიტიკური დევნილის სტატუსი. ცხოვრობს და საქმიანობს საფრანგეთში. ემიგრაციაში ყოფნისას გამოიცა მისი წიგნები: "უძველესი ქართული მარტიროლოგიური თხზულება", "Le martyre des enfants de Kola", "ქართულენოვანი ეკლესია – ახალი იერუსალიმი", "ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი-ს განმარტებისათვის", "სიდონიას წინასწარმეტყველება", "ქართულენოვანი ეკლესიის წინასწარმეტყველი". 2012 წელს დააფუძნა საზოგადოებრივი ორგანიზაცია "ქართული წესრიგი".

გელა არტემის ძე ჩორგოლაშვილი

დაიბადა 1958 წლის 9 სექტემბერს თბილისში. მეუღლე – ლია ბარამიძე; შვილები: ბექა, ანი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიული ფაკულტეტი (1980); დნეპროპეტროვსკის მეტალურგიის ინსტიტუტის ასპირანტურა (1990). კარიერა: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მე-

ფოლადე, ცვლის ოსტატი (1980-81); სპი მეტალურგიის ფაკულტეტის უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1981-87); საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართველოს ქვემო ქართლის უფროსი ინსპექტორი (1985-86); საზოგადოებრივი ორგანიზაცია "დავით აღმაშენებელის" წევრი (1978-79); არალეგალური ორგანიზაცია "დაფიონის" დამფუძნებელი (1979); არაფორმარული ორგანიზაცია "ეროვნული ღირსების ჯგუფის" თანადამფუძნებელი (1989); საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ ორგანიზაციათა და პარტიათა "ეროვნული ხსნის მთავარი კომიტეტის" წევრი (1989); პ/ო "წმინდა ილია მართლის საზოგადოების" გამგეობის წევრი 1990 წლიდან; პ/გ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა, ორგანიზაციათა და ინდივიდუალურ წევრთა "მრგვალი მაგიდის" ერთ-ერთი დამ-უძნებელი და მუდმივი წევრი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" (ბლოკის პასუხისმგებელი წარმომადგენელი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში), მაჟორიტარი, საბურთალოს სააკაძის №23 საარჩევნო ოლქი, მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშე-ნებლობისა და ენერგეტიკის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარე, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); ცხინვალის სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტის შემსწავლელი სამმხრივი კომისიის (სსრკ, რსფსრ, საქართველო) თანათავმჯდომარე. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებში (1991 წლის 26 მაისი) პრეზიდენტობის კანდიდატის, ზვიად გამსახურდიას, ნდობით აღჭურვილი პი-რი. საქართველოს ადამიანის უფლებების ინსტიტუტის დამ-ფუძნებელი და ხელმძღვანელი (1992-95); "სამართლებრივი სახელმწიფოს მხარდამჭერი ჯგუფის" დამფუძნებელი (1995). 100-ზე მეტი სტატიის, ინტერვიუს, პუბლიცისტური წერილების, თარგმანების ავტორი; მიღებული აქვს 6 საავტორო უფლება; მისი რედაქტორობით გამოიცა ალმანახი "ეროვნული ღირსებისათვის" (2000). 2008 წლიდან – "საქართველოს დეპუტატთა კლუბი – 28 ოქტომბერი"-ს დამფუძნებელი, გამგეობის თავმჯდომარე.

† ირაკლი ოთარის ძე ჩხეიძე

დაიბადა 1954 წლის 7 სექტემბერს თბილისში. მეუღლე – მანანა დევდარიანი; შვილები: გვანცა, ნუცა. განათლება: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ელექტროფიკაციისა და მექანიზაციის ფაკულტეტი (1976); იმავე ინსტიტუტის ასპირანტურა (1983). კარიერა: საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ინჟინერი (1977, 1979-81); სამხედრო სავალდებულო სამსახური (1977-78). საწარმოო გაერთიანება "საქსოფრემონტის" ინჟინერ-ტექნოლოგი (1981); სოფლის მეურნეობის ელექტრო-ფიკაციისა და მექანიზაციის ს/კ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (1983-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: თბილისის ისნის ვარკეთილის №17 საარჩევნო ოლქი, პრეზიდიუმის წევრი, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი (დატოვა კავშირი 1992 წელს). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. ქართველ თავადაზნაურთა კავშირის დამფუძნებელი (2004). საქართველოს რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი (2004-2006). გარდაიცვალა 2006 წლის 21 მაისს.

პაატა ავთანდილის ძე ჩხეიძე

დაიბადა 1955 წლის 19 ნოემბერს გორში. მეუღლე – ნონა გიგაია; შვილები: ლალი, გიორგი. განათლება: თბილისის ილია ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი (1977). კარიერა: სოფელ თორტიზის საშუალო სკოლის და გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელი (1977-82); გორის გ. ერისთავის სახ. სახელმწიფო თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე (1985-88); ფილოსოფიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი 1988 წლიდან. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, გორის ვარიანის №32 საარჩევნო ოლქი, განათლების კომისიის წევრი;

ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): კომპენსაციის სიით, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, ადგილობრივი თვითმმართველობის კომისიის წევრი. გორის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის (შემდგომში გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ინგლისური ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე, უცხო ენების ფაკულტეტის დეკანი (1997-2005). ქ. გორის გამგებელი (2002-2004). ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი ფულბრაიტის პროგრამით (2005-2006). ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი; ავტორი წიგნებისა: "ივანე მაჩაბლის ტრადიცია", "კონსერვატიზმის ისტორია"; მთარგმნელი (როსტომ ჩხეიძესთან ერთად) წიგნებისა: "ესეები", "ვირჯინია ვულფის ესეები", "ბეოვულფი", "საუბრები", "გულისჭიდილი საკუთარ თავთან" – უილიამ ფოლკნერი, "დაბადების დღეს გილოცავთ, ვანდა ჯუნ" – კურტ ვონეგუტი, "ათი ესეი" – ტომას ელიოტი.



ვახტანგ შალვას ძე საგარეიშვილი

დაიბადა 1943 წლის 7 ოქტომბერს ზესტაფონში. მეუღლე – მედეა კიკნაძე; შვილები: ნინო, ლაშა (1968-2009), ოთარი. განათლება: ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1966); თსუ ასპირანტურა (1969). კარიერა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (1970-78); თსუ ზოგადი მათემატიკის კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი, დოცენტი (1978-95, 2000-2004). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", სრულიად საქართველოს წმიდა ილია მართლის საზოგადოება, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი, აღმსარებლობის საკითხთა ქვეკომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს ზუგდიდის (1993) სესიის მონაწილე. გაძევებული იყო თსუ-დან (1995-2000); ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრე-

სიის მსხვერპლად (2006). თსუ პროფესორი (2004-2006), თსუ ასოცირებული პროფესორი 2007 წლიდან. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "О рядах Фурье по системе Хаара", სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "Function classes and Fourier coefficients". 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

შალვა გოგლას ძე ცომაია



დაიბადა 1967 წლის 19 მარტს გორში. მეუღლე – მარიკა კაპანაძე; შვილი – გვანცა. განათლება: განათლება: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი (1991). კარიერა: სავალდებულო სამხედრო სამსახური (1985-87). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, გორის №32 საარჩევნო ოლქი, სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება (გამგეობის წევრი), ეკონომიკის კომისიის სოფლის მეურნეობის ქვეკომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. შიდა ქართლის გარემოს დაცვის სამმართველოს უფროსი (2004-2008). 2015 წლის იანვრიდან ქ. გორის მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში.

ვლადიმერ (ლადო) ვასილის ძე ცოფურაშვილი

დაიბადა 1947 წლის 29 მაისს თბილისში. მეუღლე – მანონი ღვინიაშვილი; შვილები: თამარი, სალომე. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი (1972); ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის უმაღლესი სკოლა (1991). კარიერა: გზების საპროექტო საკავშირო ინსტიტუტის თბილისის ფილიალის, გაერთიანება "საქგეოლოგიის" თანამშრომელი, საძიებო პარტიების უფროსი (1971-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის

უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”, საქართველოს ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი, სახელმწიფო რეგულირებისა და ანტიმონოპოლიური ქვეკომისიის თავმჯდომარე, ეკონომიკური რეფორმების კომისიის წევრი, მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი. სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ იმყოფებოდა პოლიტიკურ დევნილობაში. შპს “კავკასბიზნესაუდიტის” დამფუძნებელი და მმართველი პარტნიორი 1995 წლიდან; ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). ა/ო საქართველოს დეპუტატთა კლუბის – “28 ოქტომბერი” დამფუძნებელი და გამგეობის წევრი.

რომან რეზმანის ძე ცხომელიძე

დაიბადა 1943 წლის 5 ნოემბერს. მეუღლე – ალექსანდრა ძამაშვილი; შვილები: რუსუდანი, თამარი. განათლება: ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (1965). კარიერა: ხულოს რაიონის აგარის საშუალო სკოლის, ქობულეთის №1 საშუალო სკოლის პედაგოგი (1965-68); ალკკ ქობულეთის რაიკომის განყოფილების გამგე, მეორე მდივანი, პირველი მდივანი (1968-73); კომუნისტური პარტიის ქობულეთის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე (1973-78); მუხაესტატეს მეციტრუსეობის მეურნეობის დირექტორი (1980-86); ცეცხლაურის მეურნეობის დირექტორი 1986 წლიდან. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): მაჟორიტარი, ქობულეთის №114 საარჩევნო ოლქი, აგრარული კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ქობულეთის რაიონის გამგებლის მოადგილე (1993-2002).

† აკაკი ვარლამის ძე ძიძიგური

დაიბადა 1914 წლის 13 აგვისტოს ხონის რაიონის სოფელ მათხოჯში. მეუღლე – ირინა ჟღენტი; შვილი – მედეა ძიძიგური. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1937); თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალის კლასი (1938). კარიერა: საშუალო სკოლის მასწავლებელი, საქართველოს რადიოს რედაქტორი, პასუხისმგებელი რედაქტორი, მთავარი რედაქტორი (1937-56); საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის დამაარსებელი, თავმჯდომარის მოადგილე და თბილისის ტელესტუდიის დირექტორი; კინოსტუდია "ქართული ფილმის" დირექტორი; საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე; ჟურნალ "დროშის" მთავარი რედაქტორი, საქართველოს ტელევიზიის დირექტორი, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, კინოსტუდია "ქართული ფილმის" დირექტორი (1957-83); საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი (1984-95). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან. მრავალი პუბლიცისტური ნაშრომის, წერილის, გადაცემის ავტორი; საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დამსახურებული ჟურნალისტი; ღირსების ორდენის კავალერი. გარდაიცვალა 1995 წლის 8 აპრილს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ზვიად ვალიკოს ძე ძიძიგური

დაიბადა 1964 წლის 31 ოქტომბერს აბაშის რაიონის სოფელ მარანში. მეუღლე – ეკატერინე კუტალია; შვილები: გიორგი, დემნა, ალექსანდრე, ვაჩე, ელენე. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტი (1986). კარიერა: "საქაგრომშენი"-ს სამტრედიის სამშენებლო ტრესტის მშენებელი ოსტატი, ინჟინერი, გეოდეზისტი, უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერი (1986-90); ეროვნულ მოძრაობაში 1987 წლიდან; ილია მართლის საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი, თავმჯდომარე სამტრედიაში (1988-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, სამტრედიის საარჩევნო ოლქი, თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის წევრი; ხელი

აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); სამტრედიის პრეფექტი (1991). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. პრეზიდენტ გამსახურდიას საგანგებო პოლიტიკური რწმუნებული იმერეთში (1992-93); ეროვნულ-კონსერვატიული პარტიის თანათავმჯდომარე (1993); პოლიტპატიმარი (დაპატიმრებული იქნა ძმასთან და სიძესთან ერთად, პროკურატურამ მოითხოვა მისი დახვრეტა, სასამართლომ 13 წლით პატიმრობა მიუსაჯა, 1995-2000); 2000 წელს განთავისუფლებული იქნა პოლიტპატიმართა მასობრივი საპროტესტო აქციების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ჩარევის შედეგად; პ/გ "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" (2000 წლიდან), შემდგომში – საქართველოს კონსერვატიული პარტიის დამფუძნებელი და თავმჯდომარე 2005 წლიდან; საარჩევნო ბლოკის – "ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტი" თანათავმჯდომარე (2002-2003). ქ. თბილისის საკრებულოს წევრი (2002-2004): საარჩევნო ბლოკი "ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატიული ფრონტი", ფრაქცია – "ნაციონალური მოძრაობა". საქართველოს პარლამენტის წევრი (2004-2008): მაჟორიტარი, №54 სამტრედიის საარჩევნო ოლქი, ბლოკი "სააკაშვილი – ნაციონალური მოძრაობა", საქართველოს კონსერვატორული პარტია, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის, დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის წევრი, 2004 წელს პარლამენტში კონსერვატიული და რესპუბლიკური პარტიების მიერ შექმნილი ოპოზიციური ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარე. 2007 წლის სექტემბრიდან "გაერთიანებული ოპოზიციის" ერთ-ერთი ლიდერი. საქართველოს პარლამენტის წევრი (2008): პარტიული სიით, "გაერთიანებული ოპოზიცია (ეროვნული საბჭო – მემარჯვენეები)", არჩევნების გაყალბების პროტესტის ნიშნად საკუთარი განცხადების საფუძველზე შეუწყდა პარლამენტარის უფლებამოსილება 2008 წლის 20 ივნისს. საქართველოს პარლამენტის წევრი (2012-2016): მაჟორიტარი, №20 რუსთავის საარჩევნო ოლქი, პოლიტიკური ბლოკი "ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება", პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, პარლამენტის ბიუროს წევრი, რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის, სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ინიციატივაში მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის წევრი, ფრაქცია – "ქართული ოცნება – კონსერვატორები".

მანანა გრიგოლის ასული ძოძუაშვილი

დაიბადა 1945 წლის 18 დეკემბერს ქ. სოხუმში. შვილები: მაია, დავითი. განათლება: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი (1971); ასპირანტურა (1985). კარიერა: ქ. სოხუმის სამშობიარო სახლის ექიმი-გინეკოლოგი, მთავარი მეან-გინეკოლოგი (1971-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს ჰელსინკის კავშირი, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ქვეკომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი (1991). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე.

ზურაბ გიორგის ძე ძოწენიძე

დაიბადა 1937 წლის 18 აპრილს თბილისში. მეუღლე – ლეილა ხუსკივაძე; შვილები: დარეჯანი, ნინო, ქეთევანი, ფატი, თინათინი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი (1960). კარიერა: თსუ ქიმიური კინეტიკის კათედრის ასისტენტი, დოცენტი (1960-73), კათედრის გამგე 1974 წლიდან. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, დაიცვა დისერტაცია თემაზე: "არა-ადიტიური ეფექტები წვის პროცესების ინჰიბირებისას"; პროფესორი, 122 სამეცნიერო ნაშრომის და სახელმძღვანელოს: "წვის პროცესების თეორიული საფუძვლები" ავტორი; "Euroscience"-ის (ევროპის მეცნიერთა გაერთიანება, სტრასბურგი) ახალი ტექნოლოგიების ტრანსფერის ჯგუფის საქართველოს განყოფილების ხელმძღვანელი 1999 წლიდან.

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006).

გიორგი იაკობის ძე წითლანაძე

დაიბადა 1935 წლის 21 აპრილს ასპინძის რაიონის სოფელ საროში. განათლება: თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტი (1958). კარიერა: სამუშაოთა მწარმოებელი ქ. ჩელიაბინსკში (1958-60); სამუშაოთა მწარმოებელი, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მთავარი ინჟინერი, დირექტორი, სამშენებლო ორგანიზაციის უფროსი ასპინძის რაიონში (1960-73); ასპინძის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, მშენებლობის სამინისტროს ტრესტ "მშენინდუსტრიის" მმართველის მოადგილე (1973-90); საქართველოს კომპარტიის ასპინძის რაიკომის პირველი მდივანი (1990-91). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): მაჟორიტარი, ასპინძის №99 საარჩევნო ოლქი, მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის მდივანი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): მაჟორიტარი, ასპინძის №5.39 ერთმანდატიანი სარჩევნო ოლქი; ასპინძის რაიონის გამგებელი (1994-98); სამცხე-ჯავახეთის საგადასახადო ოპერატიული სამსახურის უფროსის მოადგილე (1998-2000); სამცხე-ჯავახეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს უფროსი (2000-2003).

მირიან სერგოს ძე წიკლაური

დაიბადა 1960 წლის 12 იანვარს ყაზბეგის რაიონის სოფელ ცდოში. მეუღლე – მანანა საღინაძე; შვილი – ლუკა. განათლება: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი (1985). კარიერა: ყაზბეგის რაიონული პოლიკლინიკის ექიმი-ნევროლოგი (1986-90, 1993-2000). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, ყაზბეგის №50 საარჩევნო ოლქი. ყაზბეგის პრეფექტი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის

აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. ყაზბეგის რაიონული საავადმყოფოს ექიმი; "მედი-კლაბ ჯორჯია"-ს ექიმი-ნევროლოგი (2000-2007); აკადემიკოს ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრის ექიმი-ნევროლოგი (2007-2012); საქართველოს საპატრიარქოს ჯვრის მამის ეკლესიასთან არსებული სამედიცინო-საკონსულტაციო ცენტრის ექიმი-კონსულტანტი. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). საქართველოს პარლამენტის (2012-2016): მაჟორიტარი, ყაზბეგის №50 საარჩევნო ოლქი, პოლიტიკური ბლოკი "ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება", ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრი, ფრაქცია "ქართული ოცნება".

შალვა გაბრიელის ძე წიკლაური

დაიბადა 1933 წლის 15 ივნისს თბილისში. მეუღლე – ნელი წერეთელი; შვილი – პაატა. განათლება: იაკობ ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებლის ფერწერის ფაკულტეტი (1957); თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი (1967). კარიერა: 1956 წლის 9 მარტის გამოსვლების დროს დაპატიმრებული იქნა და მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა; სასჯელის მოხდის შემდეგ მარტვილის და თბილისის სკოლების პედაგოგი, სამხატვრო ფონდის საწარმოო კომბინატის დირექტორის მოადგილე (1968-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, მცხეთის საარჩევნო ოლქი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების და ლიტვასა და ჰოლანდიაში საპროტესტო აქციების მონაწილე; ჰოლანდიაში "ზვიად გამსახურდიას საზოგადოების" დამფუძნებელი და ამავე სახელწოდების ჟურნალის გამომცემელი.

დაბრუნდა საქართველოში 1998 წელს; ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006); წიგნების: "და ფიქრი ჩემი და სევდა ჩემი" და "ემიგრანტის დღიურები (ლიტვა, ნიდერლანდები)" ავტორი.

შალვა ავთანდილის ძე წინწალაშვილი

დაიბადა 1960 წლის 14 თებერვალს გურჯაანში. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი (1982). კარიერა: თსუ ანალიზური ქიმიის კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი (1982-85); გურჯაანის აგურის ქარხნის ცვლის უფროსი, საქართველოს შს სამინისტროს ექსპერტ-ქიმიკოსი, "საქსოფლქიმიის" გურჯაანის სარაიონო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე (1985-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარ-ჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, კარდენახის №54 საარჩევნო ოლქი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი, სოფლის მეურნეობის კომისიის, თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); გურჯაანის პრეფექტი. დევნილი უზენაესი საბჭოს ზუგდიდის სესიის მონაწილე (1993). შსს კახეთის სამხარეო საექსპერტო ბიუროს განყოფილების უფროსი (1992-98). ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006).

ზურაბ ნიკოლოზის ძე წიქარიძე

დაიბადა 1943 წლის 7 მაისს ქ. ცხინვალში. მეუღლე – სოფიო ბენდიაშვილი; შვილები: ნიკოლოზი, ნინო, მარიამი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტი (1967). კარიერა: მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ლაბორანტი, უმცროსი მეცნიერ-თანა-მშრომელი (1960-90); 1986 წლიდან იმავდროულად სპი-ს ლექტორი. საქართველოს რესპუბლიკის პირ-ველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს

ეროვნულ-ლიბერალური კავშირი, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო სიძველეთა დაცვის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მეტალურგიაში; ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი. მეტალურგიის საკითხებზე 40-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, მათ შორის გამოგონებების ავტორი.

† ნოდარ ალექსანდრეს ძე წულეისკირი

დაიბადა 1932 წლის 5 მარტს მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში. მეუღლე – მერი მიშველაძე; შვილები: ირმა, მაკა. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულ-ტეტი (1959). კარიერა: საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის რედაქტორი, უფროსი რედაქტორი, ჟურნალ "დილა"-ს პასუხისმგებელი მდივანი, ჟურნალების: "მნათობი"-სა და "ცისკარი"-ს განყო-ფილების გამგე, გამომცემლობა "მერანი"-ს რედაქციის გამგე, საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრი (1990-91). საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი (1991, ივლისი – 1992, მარტი). მარნეულის რაიონის სოფელ წერაქვის საშუალო სკოლის დირექტორი 2005 წლამდე. მწერალი; ჯერ კიდევ სტუდენტობისას საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიის ლაურეატი; რომანების: "თუთარჩელა", "ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი", "ზესნახესა და ბუძგურიას სიყვარულის ამბავი", კრებულების: "დავით აღმაშენებლის ქვა", "სისატურა", "მთისა და ბარისა", "ბრძოლა სატანასთან", სცენარებისა კინოფილმებისათვის: "რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", "საჰაერო ხიდი"; რუსთაველის თეატრში დადგმული

სპექტაკლების: “თუთარჩელა”, “ძველი სამრეკლო” და სხვათა სცენარების ავტორი; მისი რომანის – “აფთრები” მიხედვით გადაღებულია კინოფილმი “მონანიება”. ღირსების ორდენის კავალერი. გარდაიცვალა 2015 წლის 12 თებერვალს.

† ვახტანგ ამირანის ძე ჭითავა

დაიბადა 1939 წლის 21 ივნისს ხობში. მეუღლე: ზაირა ჭითავა; შვილები: ამირანი, შორენა. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1971). კარიერა: რუსთავის საქალაქო გაზეთის მუშაკი, რუსთავის №16 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე (1960-79). საქართველოში დისიდენტური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე; მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა რუსთავში არალეგალური ორგანიზაცია “ეროვნული თვითშეგნების აღორძინების კომიტეტი” (1978); 1980 წელს, ზურაბ გოგიასთან და ვაჟა ჟღენტთან ერთად, დაპატიმრებული და გასამართლებული იქნა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლით (ანტისაბჭოთა საქმიანობა) და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა; როგორც “განსაკუთრებით საშიშმა სახელმწიფო დამნაშავემ”, სასჯელი მოიხადა შორეულ ჩრდილოეთში, პერმის გუბერნიაში, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში (1980-87). რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი (1987-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო”, მაჟორიტარი, რუსთავის ლადო მესხიშვილის №48 საარჩევნო ოლქი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი, ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. თბილისის სესიების მონაწილე. გარდაიცვალა 2011 წლის 29 იანვარს.

ნოდარ ამბროსის ძე ჭითანავა

დაიბადა 1935 წლის 10 მარტს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაშში. მეუღლე – ქეთევან ჭითანავა; შვილები: თინათინი, ნესტანი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი (1063); სკკპ ცკ-თან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა (შემდგომ – საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია, 1968). კარიერა: ალკკ ზუგდიდის რაიკომის ინსტრუქტორი, ზუგდიდის რაიკომის მეორე, პირველი მდივანი (1960-62); კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანი (1962-64); საქართველოს კომპარტიის პოლიტგანათლების სახლის კონსულტანტი (1964-66); საქართველოს კპ ცკ-ის ინსტრუქტორი (1968-70); კპ სენაკის რაიკომის პირველი მდივანი (1970-73); კპ აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი (1973-74); საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი (1974-79); რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1979-85); საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი (1985-89); საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (1989-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან, ეკონომიკური რეფორმების კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის მინისტრი (1991-92); საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების ს/კ ინსტიტუტის დირექტორი (1993-2004); სდასუ-ს ბიზნესისა და მართვის კათედრის ხელმძღვანელი 2004 წლიდან. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "ორგანიზაციულ-ეკონომიკური და მმართველობითი ურთიერთობების სრულყოფის პრობლემები საქართველოს აგრარულ-სამრეწველო კომპლექსში"; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, რამდენიმე დარგობრივი აკადემიის წევრი; 100-მდე სამეცნიერო ნაშრომის, 9 მონოგრაფიის ავტორი; შრომის წითელი დროშის ორდენის ორგზის კავალერი.

† ლევან ალექსანდრეს ძე ჭილაშვილი

დაიბადა 1930 წლის 18 აგვისტოს გურჯაანში. მეუღლე – ელენე ცაგარელი; შვილები: დავითი, გიორგი. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი (1953); მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა (1956). კარიერა: სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში (1957-73), დირექტორი 1973 წლიდან; თსუ პროფესორი 1969 წლიდან; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "ქალაქები ფეოდალურ საქართველოში"; 100-მდე სამეცნიერო ნაშრომის და 14 წიგნის ავტორი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. საქართველოში და საზღვარგარეთ მოწყობილი ქართული კულტურისა და ხელოვნების გამოფენების ერთ-ერთი ორგანიზატორი (პარიზი, ტოკიო, ოსაკა, ზაარბრიუკენი, მიუნხენი, დრეზდენი); ჯანაშიას სახელობის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი. გარდაიცვალა 2004 წლის 26 აპრილს.

დილარ მიხეილის ძე ხაბულიანი

დაიბადა 1952 წლის 24 ნოემბერს ლენტეხის რაიონის სოფელ ცანაში. მეუღლე – ხათუნა ჯაფარიძე, შვილები: ანი, გიორგი. განათლება: საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტი (1974); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1979). კარიერა: სპორტსმენი, ძიუდოისტი. სსრკ ნაკრების წევრი, ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი სტუდენტთა შორის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი; საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ინსტრუქტორი (1974-77); სპორტული საზოგადოება "ქარიშხალას", საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის უფროსი მწრთვნელი (1977-82); სპორტული საზოგადოება "შევარდენის" ჭიდაობის ოლიმპიური რეზერვების სკოლის დირექტორი (1982-90); საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი (1991-2010).

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, №78 ლენტეხის საარჩევნო ოლქი, საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს ჰელსინკის კავშირი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი (1990-91). საქართველოს პარლამენტის წევრი (1995-99): მაჟორიტარი, №78 ლენტეხის საარჩევნო ოლქი, საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის, მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის წევრი, ფრაქცია "ლეიბორისტი". საფეხბურთო კლუბ "მერანი"-ს დამფუძნებელი. მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე (2006-2007); დიდგორის რაიონის გამგებელი (2007-2008). საქართველოს პარლამენტის წევრი (2008-2012): მაჟორიტარი, №4 კრწანისის საარჩევნო ოლქი, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსათვის", სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის წევრი, ფრაქციის "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარის მოადგილე.

გია გრიგოლის ძე ხავთასი

დაიბადა 1964 წლის 17 ნოემბერს ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში. მეუღლე – მაია ფურცელაძე; შვილი – რუსუდანი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატური ელექტროკავშირის ფაკულტეტი (1990). კარიერა: სამხედრო სავალდებულო სამსახური (1982-84). კინოსტუდია "ქართული ფილმის" მხატვარ-დეკორატორი (1981-85); თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრის ელექტროინჟინერი (1987-88); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის კათედრის ლაბორანტი (1986-88); სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის უფროსი ინჟინერი (1986-90). მერაბ კოსტავას საადგილმამულო ფონდის თავმჯდომარის მოადგილე (1990-95); წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი (1988-90); "ქართული ფილმის" წევრი (1990-91). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: ცხინვალის მაჟორიტარული ოლქი, საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მერაბ

კოსტავას საზოგადოება (გამგეობის წევრი, თავმჯდომარის მოადგილე), თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1992-95): საკომპენსაციო სიით, მერაბ კოსტავას საზოგადოება, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის წევრი, მერაბ კოსტავას საზოგადოების ფრაქცია. 1995 წლიდან სხვადასხვა მედიასაშუალებების ექსპერტ-კონსულტანტი. საქართველოში პირველი ინტერნეტ-გაზეთის და ვებ-პორტალის – www. Dosie. ge დამაარსებელი (1997); არასამთავრობო ორგანიზაციის – "ჟურნალისტური გამოძიების ცენტრი" დამფუძნებელი და ხელმძღვანელი (2000-2006).

ტრისტან სოლომონის ძე ხანიშვილი

დაიბადა 1947 წლის 30 მარტს ქარელის რაიონის სოფელ ურბნისში. მეუღლე – ქეთევან გოგიჩაშვილი; შვილები: ნათია, უჩა. განათლება: საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი (1976). კარიერა: კასპის კომუნალური მეურნეობის კომბინატის ინვენტარიზატორი (1965-66); ურბნისის საბჭოთა მეურნეობის აგროუბნის მუშა, ბრიგადირი (1968-76); რუისის საბჭოთა მეურნეობის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე (1976-79); საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიკომის ინსტრუქტორი (1979-80); სახალხო კონტროლის ქარელის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე (1980-83); ქარელის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1983-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): მაჟორიტარი, ქარელის №34 საარჩევნო ოლქი, უზენაესი საბჭოს სამანდატო და ეთიკის კომისიის, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის უფროსი ინსპექტორი (1993-96); შპს "აუდიტსერვისკომპანი"-სა და "აუდიტექსპერტი"-ს დირექტორი (1996-2002).

† გურამ ლევანის ძე ხარატიშვილი

დაიბადა 1934 წლის 14 იანვარს გორში. მეუღლე – ვიქტორია მჟავანაძე; შვილი – გიორგი. განათლება: მოსკოვის ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1956); სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურა. კარიერა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი, განყოფილების გამგე (1957-66); თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი (1966-72); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორი (1972-81); თსუ მართვის თეორიის კათედრის პროფესორი 1971 წლიდან, კათედრის გამგე (1991-2006); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი 1988 წლიდან, ვიცე-პრეზიდენტი 2005 წლიდან. კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი (1981-2006). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომპარტიისაგან; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "ექსტრემალური ამოცანები წრფივ ტოპოლოგიურ სივრცეებში"; მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის მონოგრაფიების ავტორი; მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარებში: "Who is Who in America" და "Marquis Who is Who"; ღირსების ორდენის კავალერი. გარდაიცვალა 2009 წლის 7 სექტემბერს.

† ევგენი კირილეს ძე ხარაძე

დაიბადა 1907 წლის 31 ოქტომბერს თბილისში. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (1930). ლენინგრადის ასტრონომიის სახელმწიფო ინსტიტუტის ასპირანტურა (1934). კარიერა: საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დამაარსებელი და დირექტორი (1932-92), საპატიო დირექტორი (1992-2001). თსუ ასტრონომიის კათედრის გამგე (1939-98); თსუ რექტორი (1959-65). საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1972-77), პრეზიდენტი (1978-86). ასტრონომთა საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი (1976-82). საქართველოს რესპუბლიკის პირველი

მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი; ასტრონომიის და ასტროფიზიკის მრავალი სასკოლო და საუნივერსიტეტო ორიგინალური ქართული სახელმძღვანელოს, 100-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; საზღვარგარეთის სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი; ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს წევრი და ასტრონომიული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს და სსრკ მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი; საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე; სოროსის ფონდის დამსახურებული პროფესორი; თბილისის საპატიო მოქალაქე. ლენინის ოთხი ორდენის, შრომის წითელი დროშის და ღირსების ორდენის კავალერი. გარდაიცვალა 2001 წლის 10 ოქტომბერს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას მისი სახელი მიენიჭა.

ნიკოლოზ არჩილის ძე ხაჭაპურიძე

დაიბადა 1944 წლის 26 ივლისს ბორჯომში. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი (1965); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ასპირანტურა (1971). კარიერა: მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1968-90); პროფკავშირული ორგანიზაცია "საქართველოს მეტალურგთა თავისუფალი კავშირის" ერთ-ერთი დამაარსებელი და გამგეობის თავმჯდომარე. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, ბორჯომის №36 საარჩევნო ოლქი, საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); ბორჯომის რაიონის პრეფექტი. სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ იმყოფებოდა პოლიტიკურ დევნილობაში საზღვარგარეთ; დაბრუნდა საქართველოში 1998 წელს. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

თენგიზ სულეიმანის ძე ხახვა



დაიბადა 1952 წლის 3 თებერვალს ბათუმში. განათლება: ბელორუსიის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ელექტრიკოსის სპეციალობით (1973). კარიერა: ქ. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ინჟინერი, სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი (1973-78); ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კპ კომიტეტის მდივანი, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისინსტრუქტორი,სექტორისგამგე,განყოფილების გამგის მოადგილე (1978-81), ბათუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი (1981-86); საქართველოს კპ ცკ-ის ინსპექტორი, აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი (1986-89). სკკპ ცკ-ის პასუხისმგებელი ორგანიზატორი (1989-90). აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე (1986-89). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): პრეზიდიუმის წევრი, მაჟორიტარი, ხელვაჩაურის ახალშენის №116 საარჩევნო ოლქი. ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). აჭარის ა.რ სპორტისა და ტურიზმის მინისტრი (1991-95). ენერგეტიკული საბაჟოს განყოფილების უფროსი (1995-97). 1997 წლიდან რუსეთის ფედერაციის ფედერალური ქონების ფონდის თავმჯდომარის მოადგილე, 2007 წლიდან პირველი მოადგილე; 2008 წლიდან რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ქონების მართვის ფედერალური სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილე.

† გიორგი იოსების ძე ხონელიძე

დაიბადა 1962 წლის 19 ოქტომბერს თბილისში. მეუღლე – მარიამ გოკიელი; შვილები: თორნიკე, ელენე. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ხიდებისა და გვირაბების ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით (1987). კარიერა: მუშაობდა სპეციალობით ინსტიტუტ "საქსახპროექტში" (1987-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, საგარეო ურთიერთობათა კომისიის წევრი; საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქმიანობდა კერძო ბიზნესში. გარდაიცვალა 1995 წლის 17 აპრილს.

გიორგი მეთოდეს ძე ხოშტარია



დაიბადა 1938 წლის 4 ოქტომბერს თბილისში. მეუღლე – ირინე გუნცაძე; შვილები: ვახტანგი, თინათინი, ნუგზარი, ელენე. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1963). კარიერა: 1964 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჩუბინიშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი; სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციათა კურსს ქართული და ევროპული ახალი და უახლესი დროის ხელოვნებაში თსუ-ში, რუსთაველის სახ. თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, აბაშის №88 საარჩევნო ოლქი, "მრგვალი მაგიდის" და საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის წევრი; საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი (1990-91); ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, დაიცვა დისერტაცია თემაზე: "ფიროსმანაშვილის შემოქმედება"; ნაშრომების ავტორი ქართულ მხატვრობაზე, ქანდაკებაზე, სახვითი ხელოვნების თეორიაში. ღირსების ორდენის კავალერი (2015); დაჯილდოებულია "Human Rights Watch"-ის პრემიით ადამიანის უფლებათა სფეროში.

მალხაზ ვახტანგის ძე ხუციშვილი

დაიბადა 1966 წლის 2 ნოემბერს წნორში. მეუღლე – ლია ნარინდოშვილი; შვილები: ელენე, მარიამი. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ავტომობილებისა და საავტომობილო მეურნეობის სპეციალობით (1990). კარიერა: სავალდებულო სამ-ხედრო სამსახური (1984-86). საქართველოს რეს-პუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მერაბ კოსტავას საზოგადოება, თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის წევრი, მართლწესრიგის ქვეკომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის

9 აპრილი). საქართველოს პარლამენტის კანონიერების დაცვის კომიტეტის საქმის მწარმოებელი (1992-95); საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე; მერაბ კოსტავას საზოგადოების გამგეობის წევრი, კონტროლისა და კოორდინაციის კომიტეტის თავმჯდომარე (1991-99); 1998 წლიდან "ატლანტიკური თანამშრომლობის საქართველოს ასოციაციის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, წევრი; შპს "ტრანს ლაინის" დირექტორის მოადგილე. 2010 წლის მაისში ადგილობრივ არჩევნებში "ალიანსი საქართველოსთვის" სიღნაღის რაიონული შტაბის ხელმძღვანელი, არჩეული იქნა სიღნაღის საკრებულოს წევრად, რაც პირადი განცხადების საფუძველზე დაუთმო სიით მომდევნო კანდიდატს; პ/გ "ახალი მემარჯვენეების" (ახლები) წევრი 2006 წლიდან, სიღნაღის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე (2006-2012). 2012 წლიდან პოლიტიკური პარტიის – "ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" რაიონული ორგანიზაციის ბიუროს წევრი.

ბეჭან აპოლონის ძე ჯავახია

დაიბადა 1957 წლის 2 იანვარს სენაკში. მეუღლე – მარინე კვარაცხელია; შვილი – შალვა. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1979); თსუ ასპირანტურა სპეციალობით – შუა საუკუნეების ისტორია (1982-86). კარიერა: საქართველოს კულტურის სამინისტროს მეთოდისტი (1979-88); თსუ ასპირანტი, მეცნიერ-თანამშრომელი, დოცენტი (1982-92). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, სენაკის №89 საარჩევნო ოლქი, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიის წევრი, ზოგადი და სპეციალური განათლების ქვეკომისიის თავმჯდომარე; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მრჩეველი-რეფერენტი (1992). გაზეთ "მარჯის" რედაქტორი (1992-93); ეროვნულ-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარე (1992-2003). ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის დოცენტი

(1999-2006); ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი (2006-2013); ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი 2013 წლიდან. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; დაიცვა დისერტაცია თემაზე: "გვიან შუა საუკუნეების ირან-საქართველოს ურთიერთობანი დასავლეთ ევროპულ წყაროებში (ადამ ოლეარიუსი)". 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, წიგნების: "მარადიული რომი", "სხვა რომი", "რომის შემდეგ", "ბიზანტიზმი და ბიზანტიზმის მემკვიდრეობის საკითხი", "რაინდობა შუა საუკუნეების ევროპაში", "საქართველო და ქართველები ადამ ოლეარიუსის მოგზაურობათა წიგნში", "ანტიკურობიდან შუა საუკუნეებისაკენ (დასავლეთ ევროპა, ბიზანტია, საქართველო)". ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006).

† ნინო ალექსანდრეს ასული ჯავახიშვილი

დაიბადა 1914 წლის 7 ნოემბერს მოსკოვში. მეუღლე – მამია კომახიძე. განათლება: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი (1935). კარიერა: თსსი ასისტენტი, დოცენტი (1935-49); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალ. ნათიშვილის სახ. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1946-51), განყოფილების გამგე (1951-58), დირექტორის მოადგილე (1958-59), დირექტორი (1959-2006). საქართველოს ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე (1946–90), შემდგომ საპატიო თავმჯდომარე. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 5-გზის, სსრკ უმაღლესი საბჭოს X და XI მოწვევის დეპუტატი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან, ჰუმანიტარულ და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, დაიცვა დისერტაცია თემაზე: "ზურგის ტვინის ნერვული წნულების სიმპათიკური წველის ფორმა და მათი ურთიერთობა"; 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (43 გამოქვეყნებულია უცხოეთში), 7 მონოგრაფიის ავტორი; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი; გერონტოლოგიისა და გერიატრიის საპრობლემო საბჭოს თავმჯდომარე; მედიკო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; ქართული ენ-

ციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო საბჭოს წევრი; ჟურნალ "ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის" მთავარი რედაქტორი; ჟურნალების: "Acta Anatomica" (შვეიცარია), "Морфология (АГЭ)" (რუსეთი), "საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე" და "მეცნიერებათა აკადემიის მაცნე" სარედაქციო საბჭოების წევრი; ხელმძღვანელობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის პრობლემურ კომისიებს: "გული და სისხლძარღვები" და "დღეგრძელობის სოციალური და კლინიკური ასპექტები"; საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე; სხვადასხვა ქვეყნების ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოებების საპატიო წევრი; მისი უშუალო ხელმძღვანელობით შესრულებული და დაცულია 46 დისერტაცია, ამათგან 18 სადოქტორო; მრავალი საერთაშორისო კონგრესის მომხსენებელი. დასახელებულია "წლის ქალად" (Who is Who, 2003), "XXI საუკუნის დიდ მოაზროვნედ" (2005). ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის მრჩეველი. საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი. გარდაიცვალა 2012 წლის 21 ივლისს.

† ნოდარ შალვას ძე ჯანბერიძე

დაიბადა 1927 წლის 26 მაისს თბილისში. მეუღლე – ლიუდმილა ჯანბერიძე; შვილები: გიორგი, შალვა. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის არქიტექტურული განყოფილება (1949); ასპირანტურა (1951). კარიერა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტი, მეცნიერ-თანამშრომელი, დირექტორის მოადგილე (1949-85), დირექტორი (1988-96). თბილისის სამხატვრო აკადემიის პედაგოგი (1961-85); საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე (1974-81); სსრკ მხატვართა კავშირის მდივანი (1977-82); საქართველოს კომპარტიის ცკ-ის კულტურის განყოფილების გამგე (1981-88). საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს IX, X და XI მოწვევის დეპუტატი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომპარტიისაგან; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი; საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის

აკადემიკოსი; რუსეთის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის (AICA) სსრკ ეროვნული სექციის ვიცე-პრეზიდენტი; ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და კონფერენციების მონაწილე, ჟურნალის – "ლიტერატურა და ხელოვნება" დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, სხვადასხვა სამეცნიერო და სამხატვრო საბჭოების, ჟურნალების რედკოლეგიების წევრი; მისი თაოსნობით მოეწყო ექსპედიციები ტაო-კლარჯეთის ხელოვნების ნიმუშების მოსაძიებლად; სამეცნიერო ნაშრომების, მონოგრაფიების, ალბომების: "საქართველოს სსრ მთავრობის სახლის არქიტექტურა", "თბილისის ხუროთმოძღვრული გზამკვლევი", "საბჭოთა საქართველოს არქიტექტურა", "გიორგი ლეჟავა", "ხუროთმოძღვარი ა. ქურდიანი", "ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები", "ქართული ხუროთმოძღვრება", "საქართველოს არქიტექტურა დასაბამიდან დღემდე", "თბილისი-მცხეთა", "საქართველოს მხატვრები", "ძიება და ტრადიცია", "საქართველოს არქიტექტურული ძეგლები" ავტორი. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ხალხთა მეგობრობის და ღირსების ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში. გარდაიცვალა 1997 წლის 31 მაისს.

ედუარდ არჩილის ძე ჯანელიძე

დაიბადა 1936 წლის 12 მარტს ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში. მეუღლე – ლიანა ბიჭიაშვილი; შვილები: გიული, მირიანი. განათლება: საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი (1965). კარიერა: ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის (შემდგომ – უნივერსიტეტი) უფროსი ლაბორანტი, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, უფროსი მასწავლებელი, თერაპიის და კლინიკური დიაგნოსტიკის კათედრის დოცენტი, არგადამდებ დაავადებათა შემსწავლელი განყოფილების გამგე (1965-90). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია, სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომისიის წევრი, ვეტერინარიის და საკვებწარმოების ქვეკომისიის თავმჯდომარე; მოამზადა და წარადგინა 3 კანონპროექტი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების

(1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას. ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი. 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; შექმნილი და დაპატენტებული აქვს 4 ვეტერინარული პრეპარატი. წარდგენილი იყო ღირსების ორდენზე, უარი განაცხადა მის მიღებაზე პოლიტიკური მოტივით. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006).

† თამაზ ბესარიონის ძე ჯანელიძე



დაიბადა 1926 წლის 7 ნოემბერს თბილისში. მეუღლე – ლამარა ურიდია; შვილები: მარინე, ნანა. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი (1949), სპი-ს ასპირანტურა (1952). კარიერა: სპი ალკკ კომიტეტის მდივანი, კპ კომიტეტის მდივანი (1947-52); საქართველოს ალკკ თბილისის ქალაქკომის პირველი მდივანი, საქართველოს კპ კალინინის რაიკომის პირველი მდივანი, თბილისის ქალაქკომის განყოფილების გამგე, საქართველოს ალკკ ცკ-ის პირველი მდივანი, კპ ჭიათურის ქალაქკომის პირველი მდივანი; გეოლოგიის ინსტიტუტის უფროსი ინჟინერი, წამყვანი ინჟინერი, უმცროსი და უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1952-72); ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის უფროსი მეცნიერ-რედაქტორი (1967-73). ქ. თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე (1973); კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1974-77), დირექტორი 1978 წლიდან; გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე (1994-2003). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "საქართველოს იურიული ვულკანიზმი"; 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ამავე აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი; საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს და პრეზიდიუმის, სტუ დიდი სამეცნიერო საბჭოს, საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის სამეცნიერო საბჭოს, თბილისის მერიის მრჩეველთა საბჭოს წევრი; სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პალეოვულკანოლოგიური კომისიის თავმჯდომარე, პალეოვულკანოლოგიური რუკების მთავარი რედაქტორი 1983 წლიდან; საკავშირო ალკკ ცკ-ის წევრი (1954-58), საქართველოს კომპარტიის ცკ-ის წევრი (1954-60), სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს (1954-58), საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წევრი (1959-63).

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომპარტიის სიით; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი, სათბობისა და ენერგეტიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (1992). "ხალხთა მეგობრობის" ორდენის კავალერი. გარდაიცვალა 2015 წლის 6 დეკემბერს.

† თეიმურაზ არჩილის ძე ჯანელიძე

დაიბადა 1944 წლის 20 სექტემბერს ბაღდათში. მეუღლე – ლეილა ჯანელიძე; შვილები: თეიმურაზი, თინათინი. განათლება: თბილისის სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილება (1970). კარიერა: რუსთავის სამუსიკო სკოლის პედაგოგი; ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ააღორძინა საბჭოთა პერიოდში აკრძალული ქართული საგალობელი; აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მომღერალი, სალიბაურის სკოლა-ინტერნატის პედაგოგი, ორთაჭალის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდისტი, საქართველოს კამერული გუნდის მთავარი ქორმეისტერი (1963-90). ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თაოსნობით დაარსებული "ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის" (1974), "ჰელსინკის ხელშეკრულების შესრულებისათვის ხელშემწყობი ჯგუფის" (შემდგომში – "საქართველოს ჰელსინკის კავშირი") წევრი 1975 წლიდან; "წმიდა ილია მართლის საზოგადოების" პირველი გამგეობის წევრი (1988); ქ. რუსთავში "ჰელსინკის კავშირის" საქალაქო განყოფილების დამაარსებელი და პირველი თავმჯდომარე (1989). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, რუსთავის №47 საარჩევნო ოლქი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); ქ. რუსთავის პრეფექტი 1991 წლის თებერვლიდან. სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) დროს დაიჭრა; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. 1992-94 წლებში განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; 1993 წელს დაპატიმრებული, გასამართლებული და შემდეგ განდევნილი იქნა საქართველოდან.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე. 1994 წელს დაბრუნდა დევნილობიდან. კვლავ რუსთავის სამუსიკო სკოლის პედაგოგი; აქვე დააარსა საგუნდო-სადირიჟორო განყოფილების ფასიანი სექტორი; უარი განაცხადა ღირსების მედალზე, რის გამოც გაანთავისუფლეს სექტორის გამგის თანამდებობიდან; კვლავ ააღორძინა რუსთავში "ჰელსინკის კავშირი" და გახდა მისი თავმჯდომარე (1996). ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს ეროვნული სექციის გენერალური მდივანი 1999 წლიდან. გარდაიცვალა 2005 წლის 1 ოქტომბერს.

ედიშერ კალისტრატეს ძე ჯანჯულია

დაიბადა 1960 წლის 19 ივლისს გალის რაიონის სოფელ ოქუმში. მეუღლე – გულიკო არბოლაძე; შვილი – ანრი. განათლება: ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით (1989); თსუ მეორადი ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით (1989). კარიერა: საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის სადროშოს გალის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე (1989); საქართველოს ჰელსინკის კავშირის გალის რეგიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, გალის №110 საარჩევნო ოლქი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); გალის რაიონის პრეფექტი. სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღიარა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად (2006). 1993 წლიდან ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის სამსახურში; 2000 წლიდან სს "სამშენებლო კომპანია "ივერთმშენის" გენერალური დირექტორი.

ბადრი გივის ძე ჯაფარიძე

დაიბადა 1960 წლის 10 ივლისს თბილისში. მეუღლე – სოფო ხაზარაძე; შვილები: თამარი, მარიამი, ლუკა. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგიის სპეციალობით (1982); მოსკოვის ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა (1985). კარიერა: თსუ შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგიის კათედრის ლაბორანტი, მეცნიერ-თანამშრომელი (1985-95). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: მაჟორიტარი, ონის №77 საარჩევნო ოლქი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სს "თიბისი ბანკის" დამფუძნებელი პარტნიორი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 1992 წლიდან; "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" დამფუძნებელი პარტნიორი და დირექტორატის წევრი 1995 წლიდან. ამერიკის სავაჭრო პალატის საქართველოში დირექტორთა საბჭოს წევრი 2004 წლიდან; ევროკავშირი–საქართველოს ბიზნეს-საბჭოს დირექტორატის წევრი.

† გულადი (ბუხულა) მერაბის ძე ჯაფარიძე



დაიბადა 1942 წლის 27 აგვისტოს მესტიაში. მეუღლე – ნელი (ნანუჩი) ნავერიანი; შვილები: მარეხ, ლელა, ბექა. განათლება: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო და ენერგეტიკის ფაკულტეტები. კარიერა: "ჭიათურმარგანტრესტის" ახალი ითხვისის მაღაროთა სამმართველოს ინჟინერი ელექტრომექანიკოსი, ინჟინერი (1968-70); მესტიის ელექტროქსელების ექსპლუატაციის ინჟინერი, მთავარი ინჟინერი (1970-73), დირექტორი (1973-90); საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომის ბიუროს წევრი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990): დამოუკიდებელი მაჟორიტარი, მესტიის №97 საარჩევნო ოლქი, მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის წევრი, ფრაქციის გარეშე. დაიღუპა ავტოკატასტროფაში 1990 წლის 21 დეკემბერს.

† ვიტალი ნიკოლოზის ძე ჯაში



დაიბადა 1940 წლის 31 მაისს ოზურგეთში. მეუღლე – თინა მთიულიშვილი; შვილები: ნიკოლოზი, ნინო. განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. კარიერა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სამხატვრო აკადემიის, თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის პედაგოგი (1970-74); მუშაობდა წარმოების სხვადასხვა სფეროში (1974-85); თბილისის სამრეწველო ეკონომიკურ ტექნიკუმში (1985-90). ექვთიმე თაყაიშვილის საზოგადოების ერთ-ერთი თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, ოზურგეთის შემოქმედის №87 საარჩევნო ოლქი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი. ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე, ვეტრანი. გარდაიცვალა 2015 წლის 22 აპრილს.

ბონდო სერაპიონის ძე ჯიქია

დაიბადა 1938 წლის 5 დეკემბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭაქვინჯში. მეუღლე – მილადა ქობალია; შვილები: ზაზა, ნანა. განათლება: საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი (1961). კარიერა: "საქსოფლტექნიკის" ზუგდიდის გაერთიანების ინჟინერ-მექანიკოსი, მმართველის მოადგილე (1961-64); ზუგდიდის სასოფლო-საწარმოო კომბინატის ალკკ კომიტეტის მდივნის მოადგილე, ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის სატრანსპორტო განყოფილების უფროსი, ენგურჰესის მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე (1964-66); ალკკ ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი (1966-72); კპ ზუგდიდის ქალაქკომის მდივანი, II მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ინსპექტორი (1972-75); კპ ქობულეთის (1975-83), ცხაკაიას (სენაკი, 1983-86) და ზუგდიდის (1986-88) რაიკომების პირველი მდივანი; საქართველოს კომპარტიის ცკ-ის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე (1988-89); აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანი (1989-90);

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს XI მოწვევის დეპუტატი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე (1992). საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული სამეგრელო – ზემო სვანეთის მხარეში (1993-2003). "წითელი ვარსკვლავის","საპატიო ნიშნის", ვახტანგ გორგასლის I ხარისხისა და ღირსების ორდენის კავალერი.

† ვლადიმერ იროდიონის ძე ჯოლოგუა

დაიბადა 1938 წლის 27 აგვისტოს სოხუმში. მეუღლე – სვეტლანა ჯოლოგუა; შვილები: ჯარჯი, ნინო, ლაშა, ელიზბარი. განათლება: საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი. კარიერა: გაგრის რაიონული გაზეთის კორექტორი, ლიტმუშაკი; საოკეანო ტრაილერის მეზღვაური, გაგრის რადიომაუწყებლობის კორესპონდენტი, რედაქტორი; საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი: საარჩევნო ბლოკი "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო", მაჟორიტარი, გაგრის ბიჭვინთის №105 საარჩევნო ოლქი, საქართველოს ჰელსინკის კავშირი, კულტურის, განათლების და მეცნიერების კომისიის წევრი; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). სახელმწიფო გადატრიალების (1991-92, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-93) და ზუგდიდის (1993) სესიების მონაწილე. იმყოფებოდა ემიგრაციაში (1992-2006); მოსკოვში გამომავალი პოლიტემიგრაციის ალმანახ "ემიგრანტი"-ს რედაქტორის მოადგილე; თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებთან. წიგნების: "თავისუფლება ნისიად" (საქართველოში 1991-92 წლების პოლიტიკური მოვლენების შესახებ) და "მოგზაურობა ჯოჯოხეთში" ავტორი. შერვაშიძის სახ. პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 2012 წლის 20 მაისს.

† მიხეილ სიმონის ძე ჯორჯიაშვილი

დაიბადა 1949 წლის 15 მაისს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ჯორჯიაშვილში. მეუღლე – მანანა ჯორჯიაშვილი; შვილები: მირიანი, ნინო (ნუცა), შორენა. განათლება: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. კარიერა: კომპარტიის თეთრიწყაროს რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი, საერთო განყოფილების გამგე (1966-74); სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე (1977-81); თეთრიწყაროს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი (1982-90); საქართველოს კომპარტიის თეთრიწყაროს რაიკომის პირველი მდივანი (1990). საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91): მაჟორიტარი, თეთრიწყაროს საარჩევნო ოლქი, საქართველოს კომპარტია. ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი). "სახალხო ბანკის" თეთრიწყაროს ფილიალის დირექტორი. გარდაიცვალა 2014 წლის 3 დეკემბერს.

კრებული გამოსაცემად მომზადდა
საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის
ქართველოლოგიის ცენტრში